F-749
1976

სუნჯუ

1976 3

ალეფბეი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

პროზა

ანმედხან აბუ-ბაქარი. თოვლის ადამიანები. რომანი. დასასრული. თარგმნა ციალა ჩხეიძემ 5

რობერტ მუზილი. პორტუგალიელი ქალი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ. ბოლოსიტყვაობა რეზო ყარალაშვილისა 77

ჰრანტ მათევოსიანი. აბვისტო. მოთხრობა. სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 97

მორის დრიუონი. რკინის მეფე. რომანი. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნეს თინა კოპლატაძემ და მზია ბაქრაძემ 111

პოეზია

ტუდორ არგეზი. ლექსები. თარგმნა გივი ალხაზიშვილმა 174

კონსტანტინე გალმონტი. გალტიის ყულების დედოფალი. ლექსი. რუსულიდან თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ 207

3
(12)
მაისი
ივნისი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1976

შინაარსი

ლიტერატურული მემკვიდრეობა

გლეზ პასკალი. აზრები. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ 179

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

დავით დავლიანიძე. მთვარის ნიშნით 210

გეჟან გიორგაძე. სამი ქართველი ქალის ამბავი 217

დავით ლაშქარაძე. მეგობრის გახსენება 228

ადოლფ ენდლერი. მოგბითხრობთ საქართველოზე. თარგმნა ოთარ ხუციშვილმა 230

ჩვენი ავტორები 239

გარეკანზე: ელენე ახვლედიანის „ღვინის ალმართი თბილისში“

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია *(პასუხისმგებელი მდივანი)*, **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

აჰმედხან აბუ-ბაქარი

თოვლის ადამიანები

რ ო მ ა ნ ი

თარგმნა ციალა ჩხეიძემ

მესაფლავეს მკვლელობას სწამებენ

ვარტკომად რომ ირჩევდნენ, ჩამსულამ იცოდა, რა მძიმე საქმეც უნდა აეკიდებინა, მეტადრე აქ, შუბურუმში. ბარემაც სცადა აცილება მიეცა საკუთარი კანდიდატურისათვის. ამბობდა, ისედაც უამრავი საზრუნავი მაქვსო სოფლის მალაზიაშიც და შინაც; ის ხომ შვიდი ქალიშვილის მამა იყო, რაც, შუბურუმელების აზრით, დიდი უბედურება გახლდათ. მაინც დასტოვეს სიაში და აირჩიეს. რას იფიქრებდა მაშინ ჩამსულა, თუ აულში ასეთი ამბები დატრიალდებოდა: გაქრებოდა დალაქი, შეიქნებოდა ლაპარაკი თოვლის კაცზე, წამოვიდოდა ეს ზვავები, მეწყრები, შვავები, შეწყდებოდა კავშირი გარე სამყაროსთან, მალაზიაში გამოილეოდა შუბურუმელებისათვის ყველაზე სასურველი, ყველაზე აუცილებელი საქონელი: თამბაქო, ნავთი, ასანთი, შაქარი... მარილი, მგონი, კიდევ უნდა ჰქონდეს. ჩამსულა იმ ყმაწვილივით გრძნობდა თავს, რომ დაიტრაბახა, კარგი ცხენოსანი ვარო, და უცებ ცხენი მიჰგვარეს, აბა, დოღში გადიო. პარტკომს ახლა იმდენი საზრუნავი გაუჩნდა — ლამის ღამე ეთია და თვალი არ მოეხუჭა.

შეფიქრიანებული ჩამსულა იჯმუხნება და ბოლთას ცემს სოფსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში. არ იცის, როგორ დაიწყოს ლაპარაკი, კართან კი, იმ პლაკატის ქვეშ, სადაც ქალი ხატია, სიცილით რომ ეზიდება მანდარინით, ვაშლით, ყურძნით, ბროწეულითა თუ, ერთი სიტყვით, ყველა იმ სიკეთით სავსე კალათას, რაც არასოდეს მოსულა და არც ახლა მოდის შუბურუმში, სწორედ

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2

ამ მხიარული პლაკატის ქვეშ მერხზე შეწუხებული ჰაჯი-ბექირი ზის და ქვის-მთლელის ტლანქი ხელებით სრესს თავის ქუდს.

— მიდი, ჩამსულა, რაკი გამომიძახე, ბარემ მითხარი კიდევაც, რა გინდა, — ამბობს ბოლოს მოლოდინით გულგადალეული ჰაჯი-ბექირი. — მე თვითონაც ვაპირებდი აქ მოსვლას...

— რისთვის?

— მინდოდა მოგლაპარაკებოდით შენ და მუხთარს.

— მოგვლაპარაკებოდი? რაზე?

— მინდოდა მეთხოვა, დამეხმარეთ-მეთქი. მზადა ვარ სოფსაბჭოში მოვაწერო ხელი ხევასთან.

— მე მითხრეს, რომ აღარ უნდიხარ.

— მაგას ნუ მეტყვი, პარტკომო! ხომ იცი, რა თავის მოჭრაა კაცისთვის, თუ ცოლმა მიატოვა. იმას კი არა, მე აღარ მინდოდა, მე!

— მაშ რაღას უჩივი?

— ახლა ვწუხვარ, ვნანობ. ყველამ იცის, რომ ხევა ჩემი ცოლია.

— მერედა მოელაპარაკე?

— ხევას? ჰო, მოველაპარაკე.

— მერე?

— წყლის ნაყვაა. დაუჟინია: მე კი არ მომიგონია ეგ ტუტუცური წესები, თქვენ, მამაკაცებმა მოიგონეთო. იმ ქოხიდან მაშინ წამოვალ, როცა ადამი იმ სიტყვებს მეტყვისო. ვეუბნები: აღარაა ადამი, აღარაა-მეთქი! რანაირად მოვიქცე-მეთქი?

— ის რას გეუბნება? — ეკითხება ჩამსულა და თავმჯდომარის მაგიდასთან ჯდება. კმაყოფილია, ლაპარაკი თავისთავად რომ წარიმართა ასე.

— გაგონებაც კი არ უნდა.

— მაინც რაო?

— იქნებ სულაც შენ მოკალიო!

— ჰოო, ეგ დიდი ბრალდებაა. მართლაც, მოდი, მოვისაზროთ, ჰაჯი-ბექირ, სად შეიძლება იყოს ადამი? ჰა?

— მე რა ვიცი? რომ ვიცოდე, ხელს დავტაცებდი და აქ მოვათრევდი.

— უკანასკნელად როდის ნახე ადამი?

— იმ დღეს ვნახე, მოგკლავ-მეთქი, რომ დავექადნე.

— შენ გინდოდა ადამის მოკვლა?

— ჰო.

— ჰოდა, იქნება შემთხვევით... ჰა?

— არა, არა, პარტკომო, არ მომიკლავს! — თვალები დაჰკვესა ჰაჯი-ბექირმა. — მაშინ ვერ დავეწიე, მერე კი აღარ მინახავს.

— მაშასადამე, არ მოგიკლავს?

— არ მომიკლავს.

— მაშ სად არის?

— არ ვიცი! — ამოიოხრა სოფლის მესაფლავემ და მხრები აიჩეჩა.

— ჰმ, ჰო. იცი რა, ჰაჯი-ბექირ, ყველაფერი შენს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. აი, აულში უკვე მითქმა-მოთქმაა, ამბობენ, ვითომ შენ დამარხე ადამი ერთ-ერთ იმ საფლავში, წინასწარ რომ თხრი ხოლმე ზამთრისთვის, რათა მერე გათოშილი მიწა არ თხარო. შენც მოჰკრავდი ყურს, ჰა?

— კი. ოღონდ ტყუილია, ბოროტი ტყუილია.

ჩამსულამ ჩაფიქრებით ჩამოისვა ხელი გაჯაგრულ ნიკაპზე. დიახ, იმ უწყინარი სოფლის დალაქის, ადამის გაუჩინარების მერე აულში მომრავლდნენ გაუპარსავი მამაკაცები. ჩამსულამ ხელი დაავლო ტელეფონის ყურმილს, მაგრამ გაახსენდა, ხაზი რომ აღარ იყო, და ისევ დასდო. მერე თამბაქო გააბოლა. დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

მესაფლავემ დუმილს ველარ გაუძლო.

— იქნებ იმ... ქაფთარმა მოიტაცა?

— და შენ გინდა დავიჯერო ეგ ზღაპარი? — თვალები მოწკურა ჩამსულამ.

— აკი გაზეთებშიც წერენ თოვლის კაცზე!

— ჰმ, ჰო! რა ვქნათ, ჰა, ჰაჯი-ბექირ?

— ერთსა გთხოვთ, უთხარით ხევას, დამიბრუნდეს.

— დაიცა, შენ რაებს ამბობ?!

— როგორ თუ რაებს ვამბობ? გთხოვთ, ხევა დამიბრუნოთ.

— ხევა ცოცხალია და კარგადაა. და არც არსად გაქრება. მე გეკითხები, ადამი სადაა-მეთქი?

— არ ვიცი.

— მაშასადამე, შენ არ მოგიკლავს?

— არა, პარტკომო, არ მომიკლავს.

— აკი შენ თვითონ თქვი, მოკვლას დავექადნეო! ყველამ გაიგონა, რომ დაექადნე.

— ჰო, დავექადნე.

— ჰაჯი-ბექირმა კი ტყუილუბრალო ქადილი არ იცის. ჰაჯი-ბექირი მთიელია, ვაჟკაცია. ასე არ არის?

— ეგრეა. ოღონდ მე არ მომიკლავს.

— მაშ, ხანჯალი არ ჩაგირტყამს?

— არა, არა.

— ჰო, ადამი ჩია კაცი იყო. ქვითაც გააფრთხობინებდი სულს.

— კი, მაგრამ მე ხომ არც ქვა ჩამირტყამს!

— ჰოო, მესმის, უცაბედად ჰკარი ხელი და ხრამში გადააგდე, ხომ?

— არა, არა, არა...

— სულ ამიბნიე თავგზა, ჰაჯი-ბექირ. იქნებ სჯობია შენ თვითონ მოჰყვე, როგორ მოხდა ეს ამბავი?

— რა ამბავი, პარტკომო? რა უნდა მომხდარიყო?

— რა და რანაირად დაიღუპა საცოდავი ადამი.

— აბა მე რა ვიცი, პარტკომო?! მე ხომ არ მინახავს.

— ჰოო! გა-სა-გე-ბია. შენ გინდა თქვა, რომ ბნელოდა, როცა ეს მოხდა? ხომ?

— ა-არ ვიცი..

— აი ხომ ხედავ, უკვე დაბეჯითებით ველარ მპასუხობ! მაშასადამე, ჩვენ დავადგინეთ, რომ ბნელოდა. ძალიან ბნელოდა, ხომ?

მესაფლავე ხმას არ იღებდა.

— ეჰ, ჰაჯი-ბექირ, ჰაჯი-ბექირ! ვაჟკაცი ხარ, მთიელი, და ძაღლის კუდივით კი იგრიხები. პირდაპირ სიტყვას გაურბიხარ. არ მეგონა, მხდალი თუ იყავი.

— არ მომიკლავს-მეთქი!

— ბარემ ისიც მითხარი, რომ მიცვალებულისა გეშინია, ჰა? ემუქრებოდი, გაეკიდე, მოკვლა გინდოდა, და თურმე ვერ დაეწიე დაფეხვილ, ჩია ადამს! მაშინ როცა ხარივით მიჰყარ-მოჰყარე ჯანიანი ვაჟკაცები, ვინც გაკავებდა.

— ხომ გეუბნები, არ...

— არა, ჰაჯი-ბექირ, ზღაპრების მოყოლის შნო არა გაქვს. ეგ საქმე ბებია აიბალას გადაულოცე.

ჩამსულა გაჩუმდა. ფერმიხდილი მესაფლავე დაოთხილი ცხენივით ქშინავდა.

ამ დროს კაბინეტში დამტვერილი ყარა-ხართუმი შემოძვრა, ზურგიდან ტომარა ჩამოიღო, თოფი კუთხეში მიაყუდა, ქურქი და ფაფახი ჩამოიფერთხა და მერეღა ჰკითხა ჩამსულას:

— შეიძლება?

— რა შეიძლება?

— შემოვიდე!

— შენ უკვე შემოხვედი.

— ჰო, მართლა. უჰ, დავიღალე. მგლის ხეობიდან ისე მოვრბოდი, სული არ მომითქვამს.

ყარა-ხართუმმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ჰაჯი-ბექირს ალმაცერად გადახედა.

— ისევ ხელცარიელი მოხვედი? — ჰკითხა ჩამსულამ.

— არა. ამჯერად რაღაც-რაღაცეები ვიპოვნე.

— იპოვნე?! — გველნაკბენივით წამოიჭრა ჰაჯი-ბექირი. — სად იყო?

— ვიპოვნეო? — წამოდგა ჩამსულაც.

— ამომასუნთქეთ, — შეევედრა მონადირე. — ქანცი გამიწყდა, არაქათი აღარ მაქვს...

— თქვი, რა დაემართა! — შეუტია პარტკომმა.

— საცოდავი, აწი ველარ გაახელებენ ჩვენი ყაჩაღანები. ერთი დრო იყო, მისთვისაც გალობდა ბულბული...

— ჰა, თქვი ბარემ!

— აღარ არის ადამი!

— ტყუილია! — იყვირა ჰაჯი-ბექირმა და შეტორტმანდა.

— არ ვიცი, შემთხვევამ იმსხვერპლა თუ განზრახ მოჰკლა ვილაცამ. დღეს მგლის ხეობაში ჩავედი და ამას წავაწყდი, — ყარა-ხართუმმა ტომარა გახსნა და ნადირისგან დახრული ძვლები — წვივის, თეძოსა და წინა ტერფის ნარჩენები ამოალაგა...

მესაფლავემ თვალებზე ხელი აიფარა და ყრუდ ამოიკვნესა.

— რა დაგემართა, ჰაჯი-ბექირ? — ცივად ჩაჰკითხა ჩამსულამ.

— მე ეგ არ მინდოდა. არ მეგონა, თუ მკვდარი იყო.

— ყარა-ხართუმ, დარწმუნებული ხარ, რომ მისი ძვლებია? — ძვლებს დააკვირდა ჩამსულა. — ადამი ჩია კაცი იყო, ეს ძვლები კი თითქოს უფრო მსხვილია.

— ჩონჩხი მუდამ ადამიანზე მაღალი გვეჩვენება, — მიუგო მონადირემ. — ეგეც არ იყოს, ძვლებთან კიდევ ერთი რაღაც იდო...

და ტომრიდან ნაცრისფერი კრაველის ფაფახი ამოიღო, აულის ყველა ბავშვი რომ კარგად იცნობდა.

— აბა თქვი, ჰაჯი-ბექირ, განა ეს მისი ფაფახი არ არის? — ჰკითხა ყარა-ხართუმმა და ფაფახი გაუწოდა მესაფლავეს.

— ჰო, მისი ქუდია, — ძლივს ამოღერღა ჰაჯი-ბექირმა, მერე აცახცახდა, თითქოს ანაზდად შეამცივნაო, შეტრიალდა და ფეხათრევით გავიდა.

პარტკომმა და მონადირემ ერთმანეთს გადახედეს.

— დავიჭირო? — თოფისკენ წაიღო ხელი ყარა-ხართუმმა.

— არაა საჭირო, — ჩამსულას სახეზე ზიზღი აღებეჭდა. — მესაფლავეები და მოლები არ ისწრაფიან ალაჰის სამოთხეში მოხვედრას. გაქცევით კი ვერსად გაიქცევა: ზვავმა ყველა მოგვიმწყვდია ხაფანგში.

ჩამსულამ დაავალა მონადირეს ხევასთვის წაეღო ადამის გულისმომკვლელი ნეშტი, და ყარა-ხართუმმაც წაუღო. ქალი რომ არ შეშინებულიყო, მონადირემ შორიდან მოუარა, მოჰყვა, რომ ამქვეყნად ყველა მოკვდავია, რომ მისი და ხევას წინაპრებიც რა ხანია დაიხოცნენ, რომ თვითონ მან მშობლებიც დაჰკარგა ამ თორმეტი წლის უკან, რომ არავინ იცის, ვისთვის როდის ჩამოჰკრავს ალსასრულის ჟამი... ამ მწუხარე ამბავს ხევა ისე შეხვდა, როგორც შეჰფერის მთიელ ქალს — გულგამგმირავი კივილით და ტირილით. კივილის გაგონებაზე მეზობლები მოცვივდნენ და შეიქნა ჩვეულებრივი გაბმული მოთქმა-გოდება, როგორც ადათი და წესი იყო. დედაბრები ურჩევდნენ ხევას — ალაჰი შეგირაცხს სიკეთეს, ღირსეულად დაკრძალე უბედური დალაქიო, ვისაც ბედმა არ გაუღიმა და არ ეღირსა თაფლობის თვე, ან თუნდაც თაფლობის კვირა მაინც გაეტარებინა ახალგაზრდა ცოლთან, ისიც ამდენი ხნის მწარე სიმარტოვის მერეო. საცოდავი, რარიგ ოცნებობდა ცოლზე! ჰოდა, როცა ვითომ აუხდა მხურვალე ოცნებაო...

ჩვენი შორეული წინაპრები მისთანა შემთხვევებს ბნელეთის ავი სულების — იან-ვანის, სათაელის, ლუციფერის, ზევსის, ალაჰის, იეღოვას უხასიათობას. საბაოთის იდუმალ ზრახვებს აწერდნენ... მე კი, გამოგიტყდებით და, ყველაფრის მიზეზი მაინც შური და უკეთურობა მგონია, ერთბაშად მოშხამულ ღრუბლად რომ გადაებურება ხოლმე ბედნიერ კაცს და გაფურჩქვნა-აყვავილების დროს ანაზდად აგრძნობინებს, რომ ჭკნება და ხმება მისი სასიცოცხლო ძალები, რომ აღარ ჰყოფნის ჰაერი, რომ დაღესტნის ზეცის კაშკაშა მზეც კი ბნელდება მისთვის... განცვიფრებული იხედება იგი ირგვლივ, ცდილობს მიხვდეს, რა მოხდა, რაა მიზეზი? მაგრამ შურის ბაცილას ელექტრომიკროსკოპშიაც კი ვერ დაინახავ, თუმცა ისიც შავი ჭირის ბაცილასავით ჰკლავს ადამიანს. მოშხამული ადამიანისთვის კი უდიდესი სიკეთე და ხსნაა უანგარო, გულუხვი, დიდსულოვანი მეგობარ-ამხანაგები. ვაგლახ, რომ სწორედ მეგობარ-ამხანაგები არ აღმოაჩნდა ბედკრულ ადამს!

მომიტევეთ, ძალა არ შემწევს განვაგრძო ამბავი...

აული შურისგებას მოითხოვს

მეორე დილით დალაქის ქოხთან ქვებსა და მორებზე უკვე ჩამომსხდარიყვნენ დარბაისელი შუბურუმელები. მოვიდნენ, რათა თავიანთი მწუხარება გამოეხატათ და ხევასთვის სამძიმარი ეთქვათ. გადაწყვიტეს, ადამი დაეკრძალათ გზის

პირას, შუბურუმის პირველი შენობების მოშორებით. მთიელებს ასეთი წესი აქვთ: ვინც აულისგან შორს დაიღუპა ან გარდაიცვალა, გზის პირას, სოფლის გარეთ კრძალავენ.

მაგრამ საფლავი ვინ უნდა გაუთხაროს? წესით ხომ სოფლის მესაფლავე ჰაჯი-ბექირს ევალება, მაგრამ, ვინ იცის, დათანხმდება თუ არა — აკი მასზე აქვთ ეჭვი, ადამი მოჰკლაო. და მაინც იძულებული შეიქნენ მისთვის მიემართათ: ვერავინ აღასრულებდა ამ საქმეს ისე კარგად, არავინ იცოდა, რა სიღრმეზე უნდა გაეთხარათ მიწა, მიცვალებულის თავი აღმოსავლეთით მიექციათ თუ დასავლეთით, არავის შეეძლო ქვის კუბოს გამოთლა და ძეგლზე წარწერის ამოკვეთა. ესეც არ იყოს, წინასწარ დამზადებული ძეგლები მხოლოდ ჰაჯი-ბექირის ქოხთან ეწყო.

ჰაჯი-ბექირი ჯერ გაჰკვირდა, აღშფოთდა, უარის თქმა დააპირა, მერე დაფიქრდა და დათანხმდა: დე ყველამ ნახოს, რომ მზადაა უკანასკნელი სამსახური გაუწიოს ადამიანს, ვინაც ამდენი უბედურება მოუტანა. სხვა რომ არაფერი, ახლა არ ღირდა უარით გაენაწყენებინა ისედაც მტრულად განწყობილი სოფლელები.

დედაკაცები ქოხში დასტიროდნენ ადამს: ერთი დაიწყებდა სიმღერით მოთქმას, სხვები ერთობლივად აყოლებდნენ ხოლმე ხმას. ახლოვდებოდა ცხედრის, უკეთ, განსვენებულის საცოდავი ნეშტის გამოსვენების დრო.

ხმამაღლა, სასოწარკვეთით და მწარედ მოთქვამდა უნუგეშო ხევა:

შენ თითქოს ზეცით მომევლინე, ადამ!
რატომ იჩქარე უკან წასვლა, ადამ?
ავ სამარეში გადაგაგდეს ბოროტებმა.
შენთან ერთად მეც დამღუპეს, ადამ!
შენ ჩემში ლამპარი აანთე, ადამ!
და მწარე დარდით გული მომიკალ, ადამ!
ასე ულმობლად რად შეამოკლე წუთი,
როს ვარსკვლავთ შორის მთვარედ ამოველ, ადამ?!
ცრემლებით მოვრწყავ შენს სამარეს, ადამ!
სუნთქვით გავათბობ სასტიკ ყინვაში, ადამ!
იძინე, ჩემო ძვირფასო ქმარო, — აჰი, აჰი!
რაღამ მაცოცხლოს მე უშენოდ, ადამ?

— კარგი, გეყოფა, კმარა ამდენი მოთქმა, — აწყნარებდა თავის დაქალს აიშათი, თან გაკვირვებას იყო, ადამის ასე მხურვალედ და ნაზად შეყვარება როდის მოასწრო. საოცარი და უცნაური გრძნობა ყოფილა სიყვარული!

— შენ ვერ გამიგებ, დაიკო! — მწარედ აქნევდა თავს ხევა. — ადრე არც მე მესმოდა, გაცეცხლებული ადამიანები ერთმანეთს რატომ წყევლიდნენ: ალაჰმა მოგცეს დიდი ბედნიერება და მაშინვე წაგართვასო! ოჰ, რა საშინელი წყევლა ყოფილა!

— ხევა, ეგ ყველაფერი შენ თვითონ შთააგონე შენს თავს.

— არა, აიშათ, არა! რა ადამიანი დავკარგე! წყეულო მესაფლავევ, ჭინჭარიც ამოსულიყოს შენს კერაზე. მთელი შუბურუმი ადამის ფრჩხილადაც არა ღირდა. რატომ არ წავყევი მე სასიკვდილე მაშინ, რატომ? იქნება მოვმკვდარიყავი, მაგრამ ადამი ხომ ცოცხალი იქნებოდა.

და აი, წესისამებრ. ქოხში, სადაც წრედ დამსხდარიყვნენ მოტირალი დედაკაცები, შევიდნენ კაცები. ქალები უფრო მწარედ ატირდნენ. კაცებმა სუდარა-

ში გახვეული ნეშტი დასაკრძალავ საკაცეზე დადეს, ნაბადი წააფარეს და კრაველის ნაცრისფერი ფაფახიც იქვე მიუდეს. ოთხმა კაცმა მხარზე გაიდო საკაცე, თანაბარი სწრაფი ნაბიჯით გავიდნენ ქუჩაში, სადაც პროცესიას შეუერთდა აულის ყველა მამაკაცი... მოთქმით მოტირალი ქალები ქოხთან დარჩნენ — მათ ეკრძალებოდათ მიცვალებულის საფლავამდე გაცილება. სამგლოვიარო პროცესიას სახურავებიდან და შუკებიდან მისჩერებოდნენ ბავშვები. ვერ გაიგებდით, რა იხატებოდა მათ საზრისიან სახეებზე — წუხილი თუ გაკვირვება.

ჰაჯი-ბექირს უდიდესი გულმოდგინებით ამოეთხარა საფლავი გაყინულ მიწაში. ახლა იდგა, წერაქვს დაყრდნობილი, როგორც მწყემსი დაეყრდნობა ხოლმე კომბალს, და ტუჩების ცმაცუნით ჩურჩულებდა რაღაც ლოცვას. ადამის ნეშტი ფრთხილად ჩაუშვეს უკვე სამარეში ჩადგმულ კუბოში. ჰაჯი-ბექირმა ზედ ქვის ფილები წააფარა, მერე სწრაფად წააყარეს მიწა სამარეს და იმ ადგილას, სადაც თავი უნდა ყოფილიყო, ორმეტრიანი ძეგლი დადგეს. ვაგლახ, ქვის ძეგლი ამოუჩუქურთმებელი იყო, — ვერ მოესწრო, მაგრამ სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ჰაჯი-ბექირმა მაინც ამოკვეთა... გარდაცვალების რა თარიღი? — გამოგიტყდებით, მაგის წაკითხვა კი ველარ მოვიფიქრე და, მართალიც ბრძანდებით, ძალზე ვნანობ, რომ არ წავიკითხე. მაგრამ სწორედ ამ დროს შეიქნა დავა: საჭირო იყო თუ არა წაეკითხათ „იასინი“ ყურანიდან, მართლმორწმუნე მუსლიმანების სამარესთან რომ კითხულობენ ხოლმე; გადაწყვიტეს, საჭირო არაა, — განსვენებული დალაქი უღმერთოთა კავშირის წევრი გახლდათო. ლოცვების ნაცვლად წარმოითქვა რამდენიმე გულისამაჩუყებელი სიტყვა, ჩამოთვალეს ადამის დამსახურებანი შუბურუმის წინაშე, აღნიშნეს მისი გულკეთილობა და პირდაპირი ხასიათი; რაც უნდა იყოს, ადამმა თავისი წვლილი შეიტანა აულში კულტურის განვითარების საქმეში — ახალი ყოფისა და ადამიანის სილამაზისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა.

დალაქის სამარესთან ყველაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ყარა-ხართუმმა, კოლმეურნეობის მონადირემ. მან თვალი მოავლო შეჯგუფულ მამაკაცებს და ღრმა მწუხარებით თქვა:

— ჩემო ძვირფასო შუბურუმელებო! ჩვენ აქ ვეთხოვებით კაცს, რომელმაც პატიოსნად განვლო თავისი ხანმოკლე და მწარე სიცოცხლე. თქვენც მოგეხსენებათ, რა კეთილი, რა უწყინარი იყო ეს კაცი; არავისთვის სიავე არ უნდოდა... მხოლოდ მისი სიკვდილის მერე მივხვდით, თუ ვინ დავკარგეთ. ადამი იყო არა მარტო სოფლის დალაქი, ის გახლდათ დიდი კეთილმოსურნე საზოგადოებრივი მუშაკი, განმანათლებელი და ცოდვად არ ჩაგვეთვლება, მისი სახელი ყველაზე გამოჩენილი ადამიანების გვერდით რომ მოვიხსენიოთ. ადამი მუდამ იყო თავგამოდებული ათეისტი, მის ქოხში ნამაზის შესასრულებელი პატარა ნოხიც კი ვერ ვნახეთ, ის გახლდათ აგრეთვე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აქტიური წევრი, დოსაფის წევრი... მეგობრებო, მიძნელდება ჩამოვთვალო მისი ყველა დამსახურება შუბურუმის საზოგადოებრიობის წინაშე, მაგრამ ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ მათ. მართალია, ჯერ ვერ გამოვარკვიეთ, შემთხვევით დაიღუპა ადამი, ქაფთარის პირველი მსხვერპლი შეიქნა თუ ბოროტმა ხელმა მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ გამოვარკვევთ კია, უსათუოდ გამოვარკვევთ! შუბურუმი ამერიკა არ არის, სადაც შეიძლება ქურდულად მოჰკლა პრეზიდენტი და კვალი ჩაფარცხო. არა, ჩვენ ვამხილებთ დამნაშავეებს და ისინი დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ!

ამ სიტყვების მერე აღელვებული, გულაჩუყებული, გაუპარსავი შუბურუმელები მოჰყვნენ იმის წყევლა-კრულვას, ვინც მათ ხელიდან გამოაცალა ადამი, ვინც სასიკვდილოდ გაიმეტა ეს კეთილი, საყვარელი, წმინდა კაცი! ხალხში გაისმა ყვირილი, კვნესა, გოდება:

— გავასამართლოთ ადამის მკვლელი!

— ვიპოვნოთ და დავსაჯოთ, თვით ქაფთარიც რომ გამოდგეს!

— რა კაცი მოკლეს! რა გულქვაობაა!

— დავობლდით ახლა! ჩვენი საცოდავი, საწყალი ადამი!

ჰაჯი-ბექირი თავდახრილი იდგა; ძალა არ შესწევდა თვალი გაესწორებინა თანასოფლელთა ავი გამოხედვისთვის. იმჟამად დაბეჯითებით რომ სცოდნოდათ, ადამი მესაფლავემ მოჰკლაო, იქვე გაგლეჯდნენ კიდევაც.

კაცმა არ იცის, რით დასრულდებოდა საქმე, ჰაჯი-ბექირი სასწრაფოდ რომ არ გასცლოდა იქაურობას.

წარმოთქმული სიტყვებით გულაჩუყებული, აღელვებული ბრუნდებოდნენ მამაკაცები, თან ადამს დასტიროდნენ. აულში რომ შევიდნენ, მათ სირბილით შემოეგება შავკაბიანი ხევა; ეს კაბა უნდა სცმოდა ამიერიდან გაუხდელად ორმოცი დღე და ღამე. ხევა ქვითინებდა, წყევლა-კრულვას უგზავნიდა ვიღაცას და გაჰყვიროდა:

— ხალხო, იმან მოჰკლა! იმან!

ხალხი შეჩერდა, ბრაზით და მრისხანებით აგუგუნდა:

— ვინ? ვინ მოჰკლა? რა ჰქვია მკვლელს? გვითხარი!

— ჰაჯი-ბექირი, მან მოჰკლა! რაღას უყურებთ, ხალხო? დასაჯეთ მკვლელი!

ხევამ თავზე წაივლო ხელი და თმა დაიგლიჯა.

ასეა ხოლმე, როცა ცეცხლზე ნავთს დაასხამენ, მყის მოსკდება ცეცხლის მდინარე, აბობოქრდება, ალი ზეცას აიჭრება.

გამძვინვარებული ბრბო დაიძრა ჰაჯი-ბექირის ქოხისკენ, რათა ნაცარტუტად ექციათ იქაურობა და პატრონთან ერთად უფსკრულში გადაეძახათ ყველაფერი. ალბათ აღსრულდებოდა კიდეც თვითგასამართლება, ხალხისთვის გზა რომ არ გადაეღობათ ჩამსულას და მუხთარს.

— ხალხო, ნუ გაგიჟდებით! — იყვირა ჩამსულამ. — ეგ ჯერ არ დამტკიცებულა.

— რას ჰქვია არ დამტკიცებულა?! — აზრიალდა ბრბო. — რატომ არ დამტკიცებულა? ასეთი კაცი დავკარგეთ და მკვლელი ვერ ვიპოვნოთ?! განა შუბურუმი დალასია? ყველამ გავიგონეთ, როგორ იქადნებოდა ჰაჯი-ბექირი!

— თუ დამნაშავეა, — თქვა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ მუხთარმა, თან მოზღვავებულ ხალხს აკავებდა, — გამოძიება გაარკვევს, თვითგასამართლების უფლებას კი არ მოგცემთ!

— ეგ არც ჩვენ გვინდა! — ხალხი ნელ-ნელა ცხრებოდა, ერთ ადგილას ტოკავდა. — ჩვენ მოვითხოვთ, რომ დამნაშავე დაისაჯოს! დააპატიმრეთ ჰაჯი-ბექირი!

— კეთილი! — გადასძახა მუხთარმა. — დავაპატიმრებთ.

მესაფლავე დააპატიმრეს, თუმცა იგი ერთთავად, ყრუდ და უიმედოდ იმეორებდა: „მე არ მომიკლავს, არ მომიკლავს...“

უთუოდ იკითხავთ, რა დაემართა ხევას, თავისი ყოფილი ქმარი ასე ერთბაშად რამ შეაძულაო? უბრალოდ, როცა თავბედს იწყევლიდა, იმ ღამეს ადამს რატომ არ წავყევიო, თითქოს კვლავ ჩაესმა ადამის ჩურჩული: „სს-სუ, ჩუმად ილაპარაკე! განა არ გესმის, ქოხთან ვიღაც დაბიჯებს და ახველებს? ისაა!“ — მერე ის გადარეული რახუნი ჭიშკარზე?! თვალნათლივ წარმოუდგა ფერმიხდილი ადამი, აცახცახებული ხელებით რომ შემოუკეცა საბანი და საჩქაროდ გავიდა. მერე ის იყო გაისმა თავზარდამცემი, განწირული ღრიალი და ვიღაცამ აჩქარებით ჩაურბინა ქოხს.

და ხევამ ირწმუნა: ჰაჯი-ბექირია მკვლელიო!

ჭაშთარის გამოჩენა

ვინ იცის, რამდენჯერ გამოსულან შუბურუმელები მრისხანე შაითან-ულელტეხილზე წერაქვებითა და ნიჩბებით, გზა რომ გაეწმინდათ, მეწყრისა და ზვავის ნარჩენები გადაეყარათ. ტყუილად ხომ არ ეძახიან შუბურუმელები შაითან-ულელტეხილს ეშმაკის ულელტეხილს და ხუმრობენ კიდეც: თუ ვინმეს აულში ეტყვიან, შაითანთანამც წასულხარო, არც ისე შორს გაუგზავნიათ — გზა ყველამ კარგად იცისო.

ძველთაგან დგას აქ ბრტყელსახურავიანი გრძელი სახლი, ძველთაძველ ქარვასლას რომ წააგავს. საგზაო სამუშაოების დროს ამ სახლში ისვენებენ, თბებიან მუშები რკინის ღუმელებთან, შეექცევიან ცხელ ჩაის, ზოგჯერ ღამესაც ათევენ: აულში წასვლა-წამოსვლამ ხომ ქანცი გააცალა ადამიანს. ბევრჯერ დაუნგრევია ეს სახლი ზვავს, მაგრამ ჯიუტ შუბურუმელებს კვლავ აღუდგენიათ. ამჯერად მომსკდარ ზვავს თითქმის გვერდზე ჩაუვლია ამ მოფამფალებული შენობისათვის. შორიდან გეგონებოდათ, გზას ჭიანჭველები შესევიანო. ექოს მიჰქონდა ჩაქუჩებისა და დიდი ურიების ჭახანი, იმათი ყვირილი, ვინც ძალაყინებით ამტვრევდა კლდეს, უფსკრულში გადაცვივნული ქვების გრუხუნი. უფსკრულის ფსკერზე კი ბორგავდა გაგიჟებული ნიაღვარი, იტაცებდა ქვებს, ატრიალებდა, ყრუდ ახეთქებდა ერთმანეთს და დუჟმორეული მიაქანებდა შორს. ლაპლაპებდა წერაქვები, ხრაშუნით ესობოდა ნიჩბები თოვლიან მიწაში — ყინავდა ულელტეხილზე! ყველა გატაცებით მუშაობდა. იცოდნენ, რომ ამ სამუშაოს სხვა არავინ გააკეთებდა; მხიარულად დასძახოდა, აქეზებდა და ამხნევებდა ხალხს სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარი, თან მარჯვედ იქნევდა წერაქვს. გუნებაში ვარაუდობდა, ასე გულმოდგინედ თუ ვიმუშავეთ, ულელტეხილს ალბათ ორ კვირაში გავწმენდთო. და როგორც ხდება ხოლმე ყოველთვის, როცა მარჯვედ და შეხმატკბილებულად მუშაობენ და როცა ირგვლივ ბევრი ხალხია, — ყველანი ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ამასწინანდელი შიში, ეგ კი არა, თოვლის კაცსაც მასხრად იგდებდნენ. ალი-ხოჯას სახელები დაეკაპიწებინა, წერაქვს ისე ურტყამდა, სულ ბელტები ცვიოდა აქეთ-იქით, თან ენად იყო გაკრეფილი და სიცილით ხოცავდა ხალხს.

— ეეჰ, ახალგაზრდებო! — გაიძახოდა ალი-ხოჯა. — წერაქვის დაჭერაც არ იცით, თქვენ ოღონდ მანქანები მოგართვან, ტექ-ნი-კა! ვიღას ახსოვს, რომ სწორედ წერაქვითა და ნიჩბით დავიწყეთ საბჭოთა ხელისუფლების შენება. აი, ასე ვთხრიდით ბარში ოქტომბრის არხს. თვითონ მიქაილმა ჩამომართვა ხელი ორდენის გადმოცემისას.

— შენ გადმოგცეს თუ? — უნდობლად ჩაიცინა ხოჯა-ალიმ.

— მე კი არა, რესპუბლიკას.

— ეგრე გეთქვა.

— სულ ერთი არ არის? შენც ხარ რაღა! მაშინ შენ-ჩემობა არ ვიცოდით, ყველაფერი საერთო იყო, ყველაფერი ჩვენი იყო. ან კი საიდან გეცოდინება შინაყუდას! სამოქალაქო ომშიც კი არ მიგიღია მონაწილეობა, იმიტომაც დარჩი ეგრე, შე უბედურო. ეჰ, მახსოვს, დავსხდებოდით ხოლმე პარტიზანულ კოცონთან, თოფს გულზე მივიხუტებდით და რიჟრაჟამდე ვოცნებობდით...

— რაზე ოცნებობდით?

— ყველაფერზე! ბევრი, ძალზე ბევრი რამ აგვიცხადდა, ოღონდ ესაა, რომ აქა-იქ კიდევ შამბნარივით შემოგვრჩნენ უნამუსო, გულნამცეცა ადამიანები.

— მკვირცხლად, მკვირცხლად, ბიჭებო! — დასძახა მუხთარმა. — მიბაძეთ პატივცემულ ალი-ხოჯას.

ალი-ხოჯა გაყოყოჩდა და წერაქვი ისე მოიქნია, კინაღამ ხოჯა-ალის მოარტყა. ძლივს მოასწრო ხოჯა-ალიმ განზე გახტომა.

— ჰეი, რას შვრები? — დაიყვირა შეშინებულმა. — სამოქალაქო ომი ნუკი გგონია!

— დიახ! მართალი ხარ, იქ უფრო ადვილად გაარჩევდა კაცი, ვინ იყო ჩვენიანი და ვინ კიდევ უცხო. აბა, გაიწი! — იყვირა ეშხში შესულმა ალი-ხოჯამ.

ბინდბუნდი რომ ჩამოწვა, მაშინღა დაანებეს თავი მუშაობას. დრო იყო, შინ წასულიყვნენ, რომ დილაადრიანად ისევ დაბრუნებულიყვნენ. ახალგაზრდობამ გადაწყვიტა ღამე აქ გაეთია — ტყუილად რად დაეკარგათ დრო წინ და უკან სიარულში? სამაგიეროდ იცრიატებდა თუ არა, წერაქვებსა და ნიჩბებს დასტაცებდნენ ხელს. მანამდე კი მცირე ხანს შეისვენეს თამბაქოს მოსაწევად — გააბოლეს, ვისაც რა ჰქონდა: თამბაქო, დაკეპილი ძირხვენა. ერთს რუსული წეკოც კი აღმოაჩნდა, ვიღაცას ხავსი გაეხმო და თამბაქოს ნაფშვენში აერია. მწარე კვამლით ახრჩოლდა ჩიბუხები და შეხვეული პაპიროსები. ხალხს ხველა აუტყდა, იგინებოდნენ. მაგრამ ამ დროს მოულოდნელი და საზარი რამ მოხდა: შაითან-ულელტეხილს ჯერ ყრუდ, ხოლო შემდეგ მკაფიოდ გადაუარა ხმამაღალმა, გულგამგმირავმა ღრიალმა. შუბურუმელები შეკრთნენ, პირი იქით იბრუნეს, საიდანაც ყვირილი ისმოდა, და გახევდნენ. სხვებზე ადრე სოფსაბჭოს თავმჯდომარემ შეამჩნია შავი ლანდი იმისა, ვინც ყვიროდა: რაღაც არსება მიბობღავდა თოვლიან ალმართზე, ხან წელში გამართული და ხანაც ოთხით. ერთ წამს მუხთარს იმედი მიეცა, სხვები ვერ დაინახავენო, მაგრამ ხალხმა დაინახა.

— აგე, მიდის, აგე!

— ქაფთარია!

— ხედავთ, გაიქცა!

— სადაა, აბა სად?!

— წავიდა, გაქრა!.. მაშასადამე, არ ყოფილა მონაჩმახი ზღაპარი! არა, თავმჯდომარევ?

თავგზააბნეული მუხთარი სდუმდა. ან კი რა ჰქონდა სათქმელი?! ხომ საკუთარი თვალით იხილა... აწ ვეღარ დაიჟინებს ჯიუტად, თოვლის კაცი არ არსებობს, ზღაპარია, ბებრების მოგონილი, მორწმუნეთათვის შეთხზული ჭორი არისო. ახლა თვითონაც დარწმუნდა: თოვლის კაცი მართლა არსებობდა.

ხალხი დაეშურა აულში დაბრუნებას, დასტაცეს ხელი თავიანთ ნიჩბებს,

წერაქვებს და დიდ ურიებს. ველარც იმათ გაბედეს დარჩენა, ვინც აქ აპირებდა ღამის გათევას. სულ ბოლოს კი თავზარდაცემული, გაოგნებული თავმჯდომარე მუხთარი მიაბიჯებდა. მან კარგად იცოდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი შუბურუმისთვის.

სასწაულებრივი განკურნება

ძველია ქოხი, ისე ძველი, მთიელების თქმით, სახურავს ნისლი რომ დაეწვეს, ისიც კი შეაყანყალებს. პატრონმა რა ხანია მიატოვა სახლ-კარი და დედაწულიანად ბარში გადასახლდა. იქ, ბარში, გამოზარდა ვაჟიშვილი, დალესტნის მრავალ აულში ყასუმ-კორესპონდენტის სახელით ცნობილი. ხომ უნდა ეამაყებოდეთ შუბურუმელებს, რომ მათი აულიდან გამოვიდა (როგორც აქ ამბობენ ხოლმე) „დიდთავა კაცი". მაგრამ შუბურუმელები არ ამაყობენ. რატომ? აბა სადაური შუბურუმელია, თუკი შუბურუმში არ ცხოვრობსო, გიპასუხებენ.

ამ ქოხში გახსნა ახლახან აიშათმა ოთხსაწოლიანი სოფლის საავადმყოფო. ოთხივე საწოლის თავზე ტალღებად მიცურავს კვამლი, დამწვარი ფოთლების, წეკოს, თამბაქოს, წამლის სუნი დგას ოთახში. ავადმყოფებს საქმე არაფერი აქვთ და ფილოსოფოსობენ; ერთმანეთს არწმუნებენ, ყველა სნეულების ძირი ეს წყეული ჩვეულება — თამბაქოს წევაა, მაგრამ იქვე უმატებენ: რაც უნდა იყოს, მამაკაცს — თუ ის ნამდვილი ვაჟკაცია — ან თამბაქოს ან საფანტის კვამლი უნდა დასტრიალებდესო თავს. ორმოცდაათიოდე წლის უკან შუბურუმელები არ ეწეოდნენ. ეგ კი არა, თამბაქო თვალითაც არ ენახათ. მაგრამ ერთხელ შუბურუმში ვიღაც თურქი ჩამოსულა პირდაპირ სტამბოლიდან. ბაზარში თურქი თურმე ყოველ მსურველს ყალიონს სთავაზობდა, — ერთი მოქაჩეო; ხალხიც ჰქაჩავდა, ხველა აუტყდებოდათ და გაეცლებოდნენ, თან ხელს ჩაიქნევდნენ: ვითომც ეგ ოხრობა ვის რა ჭირად უნდაო. დაღონდა თურქი, მაგრამ მალე გული მოიცა და მთელ ბაზარს გამოუცხადა, სამი დიდებული თვისება აქვს თამბაქოს: ჯერ ერთი, ვინც ეწევა, არასოდეს არ დაბერდება; მეორეც, თამბაქოს მწეველს ძაღლი არასოდეს უკბენს; მესამეც, თამბაქოს მწეველის სახლს არასოდეს არავინ გაქურდავსო. ხალხმა დაიჯერა და დაიტაცეს თამბაქო, ისე რომ თურქისათვის არც კი უთხოვიათ, გვასწავლე, რანაირად მოვწიოთო. მას უკან ქაჩავენ და ქაჩავენ შუბურუმელები ასე გამწარებით თამბაქოს.

— ახლაღა მივხვდი იმ თურქის სიტყვას, ვინც ეს წყეული თამბაქო ჩამოიტანა. შაითანსაც წაუღია იმისი თავი და ტანი! — თქვა ერთმა ავადმყოფმა.

— მივხვდიო, ამბობ?

— ჰო. მან თქვა: ვინც ეწევა, ძაღლი არ უკბენსო. მერედა იცით, რატომ არ უკბენს?

— აბა, აბა?!

— იმიტომ, რომ თამბაქოს მწეველი ჩემსავით არაქათგამოლეულია, წელში მოხრილი დადის და ჯოხს იშველიებს. აბა სად გაგონილა, რომ ძაღლს ჯოხიანი კაცისთვის ეკბინოს? ჰა?

— სწორია, ხომ იცი! — წამოიძახა მესამე ავადმყოფმა. — საინტერესო ამბავია. თურქმა ისიც თქვა, თამბაქოს მწეველის სახლს ქურდი არ წაეკარებაო. ეს რანაირადღა გავიგოთ?

— ძალზე უბრალოდ. ვინც ეწევა, მთელი ღამე ხველა ახრჩობს, ქურდს კი ჰგონია, სახლის პატრონს არა სძინავსო.

— ვახ, ვახ, ვახ! მართლაც ასეა, ჰა? — მეოთხე ავადმყოფი საწოლზე წამოჯდა. — მაშ თურქს გავუცუცურაკებივართ?

— ეგრე გამოდის.

— იმასაც ამბობდა, ვინც ეწევა, არასოდეს არ დაბერდებაო.

— იმიტომ, რომ ვინც ეწევა, სიბერემდე ვერც მიაღწევს.

— უყურე იმ ეშმაკის კერძს, როგორ დაატყუა ხალხი, ოღონდ კი თავისი საწამლავი გაესაღებინა! ვფიცავ, როგორც კი მოვრჩები, თამბაქოს წევას თავს მივანებებ!

— მალე რომ მორჩეთ, თამბაქოს წევას უნდა დაანებოთ თავი! — შემოილაპარაკა აიშათმა, — მეზობელ ოთახში ავადმყოფების ისტორიებს ავსებდა. — ფუ, როგორ აგიხრჩოლებიათ აქაურობა! მაინც რა სუნი დგას! ნუთუ წივას ეწევით?

— წივა არაა, მაგრამ რა ვქნათ, შემოგევლე, თუკი თამბაქო აღარა გვაქვს? ჰოდა, ვწევთ, ვისაც რა მოაფიქრდება; ოღონდ კი ბოლი ასდიოდეს...

— კაცს ეგონება, ოთახში ცეცხლი გაუჩაღებიათო! აბა რანაირად გიმკურნალოთ ამის მერე? — გაჯავრებულმა აიშათმა ფანჯარა გამოაღო. — საბანი დაიხურეთ, არ გაცივდეთ.

იდგა აიშათი და უყურებდა, როგორ ბოლქვა-ბოლქვა გადიოდა ბოლი ფანჯარაში, და დაუმატა:

— რუსები იტყვიან ხოლმე: ზედ ნაჯახი დაიკიდებაო!

— რაზე დაიკიდებაო?

— ბოლზე.

— ლურსმნები გამოელიათ? — ჩაიხითხითა შემოდგომის ფოთოლივით გაყვითლებულმა ბერიკაცმა. — რას არ მოიგონებენ — ბოლზე ნაჯახი დაიკიდებაო! ჩემს დღეში ვერ დავიჯერებ...

— ნუ დაიჯერებთ, მაგრამ კეთილი ინებეთ და იმკურნალეთ, — მკაცრად მიუგო აიშათმა, თერმომეტრს რომ დახედა. — სიცხე კიდევ გაქვთ.

— ექიმო, მითხარით, გეთაყვა, გამიგონია, რომ... იხვს თუ სიცხე გაუზომე, ფრთის ქვეშ ორმოცდახუთი გრადუსი აქვსო, მართალია?

— არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ თუ ათასი ოხრობის წევას არ მოეშვებით, თავს ვერ დავდებ, რომ მორჩებით...

— საინტერესო კია, თუ იხვი ეგეთი ცხელია, რამდენი შეიძლება ჰქონდეს სიცხე თოვლის კაცს, ჰა?

— არ ვიცი, არ გამიზომავს, — მიუგო აიშათმა და ახლა სხვა ავადმყოფს მიუჯდა. გაბეზრებული იყო ავადმყოფთა ლაყბობით, მაგრამ თავს იკავებდა: მასზე ბევრად უფროსები იყვნენ. ეგეც არ იყოს, საავადმყოფოში წოლაც ხომ მოსაბეზრებელია და რა ექნათ.

— ახალს რას ამბობენ ქაფთარზე, ექიმო? ჩემი ჯალაბობა შიშით გულგახეთქილია, მეხვეწებიან, შინ მალე დაბრუნდიო...

— როცა მორჩებით, დაბრუნდებით.

— იმასაც ამბობენ, ჩვენი ვეტერინარი... აგე ისიც! — სწორედ ამ დროს ჰამზათიც შემოვიდა პალატაში. — ჰეი, ჰამზათ, მართალია, თითქოს თოვლის კაცის შესწავლა და მასზე წიგნის დაწერა გადაგიწყვეტია? მერედა რანაირია ქაფთარი? გინახავს?

— ჯერ ერთი, ის ადამიანი კი არა, ცხოველია, — მიუგო ჰამზათმა, — მეორეც, იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ზღაპრები გიამბოთ და გაგართოთ. მოვედი ვიკითხო, როდის გამოგწერს ჩვენი მშვენიერი აიშათი, ძალიან მჭირდები.

— დაახლოებით ერთი თვის მერე გამოვწერ, — მკაცრად უთხრა აიშათმა. — თუ, რა თქმა უნდა, კარგად იქნება.

— არ შეიძლება, მე ახლა მჭირდება.

— ვერა ხედავ, რასა ჰგავს?!

— რა მოხდა მერე, სიყვითლე აქვს! ბავშვების ავადმყოფობაა. ადექი, ჩაიცვი!

ჰამზათმა საბანი გადააძრო ბერიკაცს.

— არ გაბედოთ ადგომა! თქვენ კი, ჰამზათ, დაუყოვნებლივ წადით აქედან. ახლავე!

— აიშათ, ძვირფასო, გამიგე, ორმოცი წელია ფერმაში მუშაობს...

— არა, არა, არ შემიძლია!

— აიშათ!

— ჰამზათ!

— სხვათა შორის, ძალზე ლამაზი ხარ, როცა ჯავრობ!

ახლაღა მიხვდნენ ავადმყოფები, რომ ვეტერინარი სულაც არ მოსულა ბერიკაცის წასაყვანად. განაწყენებულმა ბერიკაცმა ისევ წაიხურა საბანი.

აიშათი ძალზე გაჯავრებული იყო საიმისოდ, რომ ქათინაურს გაეწითლებინა.

— ესეც შეამჩნიე?

— რა მშვენიერი რამა ხარ! ერთი მითხარი, აიშათ, რატომ არა გჯერა ჩემი გრძნობისა?

— რისაო, რისაო? — ჩაეკითხა მარჯვნივ მწოლი ავადმყოფი, ცოტათი ყურს რომ აკლდა.

— გრძნობისა-მეთქი.

— ეგ რაღაა? საჩუქარი თუ მოართვი, ყმაწვილო?

— დიახ.

— რა მოგირთმევია?

— რა და ჩემი გული...

— გირჩევნია ეგ შენი გული მკერდშივე ჩაიტოვო, თორემ უგულოდ დარჩები. წადი, წადი, დროს ნუ ჰკარგავ, დისერტაციას მიხედე, დაამტკიცე, რომ ქაფთარი ცხოველია.

— იქნებ ადამიანი გგონიათ? სასაცილოა!

— სასაცილო არაფერია! უქაროდ ლერწამიც არ ირხევა. ტყუილად კი არ ეძახიან თოვლის ადამიანს.

— რაში მენაღვლება, რას ეძახიან! ერთი პეპელაა, „ადმირალი“ ჰქვია, მას კი წყალზე ფრენისაც ეშინია.

— გამიგონე, ჰამზათ, მაცალე მუშაობა. წადი!

— კეთილი, კეთილი, წავალ. ხომ არ გამაცილებდი, აიშათ?

— არა.

— ეგრე უკმეხად რატომ მპასუხობ, ჩემო მწყერო?

— მიბრძანდით.

Г 4193

— წავალ. ნახვამდის, აიშათ.

— ძაან ჩავარდნიხარ გულში, ლამაზო, — უთხრა მოხუცმა, როცა ჰამზათი გავიდა.

— ნეტა ვის არ ჩავარდნია გულში! — ჩაერია მესამე.

— იცი, რას გეტყვით, ავადმყოფებო, გეყოფათ, დაისვენეთ! მართალს გეუბნებით: უდროოდ დაგიობლდებიან შვილები, თუ არ დამიჯერებთ.

— შენი გულისთვისა ვართ აქ, ლამაზო, თორემ რა ხანია შინ წავიდოდით. გულს უხარია, ამ ოთახში რომ ჟღურტულებ ხოლმე. მოგვენატრა სილამაზე, თუმცა ზოგჯერ კი გვრცხვენია.

— რატომღა გრცხვენიათ? — წამოწითლდა აიშათი.

— რა გითხრა, შვილო, გვრცხვენია, რომ ასეთი თმათეთრი მოხუცები ვართ... ალბათ ასევე რცხვენია ყინულის ნაჭერს, როცა ენძელას მეზობლად გდია. ჩვენ ხომ შენმა შემხედვარემ შევიტყვეთ, რაც ყოფილა სილამაზე.

— ნეტავ მას, ვინც შენს მხრებს შეეხება, — ამოიოხრა მეორემ და საბანი წაიხურა. — ვინმე ჯიგიტი თუ გყავს? ალბათ გეყოლება.

— არა, არ მყავს, ჩემო კარგებო.

— ერთიც ვნახოთ, ის თოვლის კაცი მზეჭაბუკი გამოდგა და მოგიტაცა, ისე როგორც ზღაპარში მოიტაცა მზეთუნახავი ზუბარი?

— გულს ნუ მიხეთქავთ! გეყოფათ, დაისვენეთ, — აიშათმა ფანჯარა ჩაკეტა, გავიდა და კარი გაიხურა.

— რა კეთილია, რა ლამაზი და საყვარელი, — თქვა მოხუცმა. — ორმოცი წელია ჩემს დედაკაცთან ვცხოვრობ და არ ვიცოდი, თუ ქალს ასეთი ლამაზი ფეხები და თეძოები ჰქონდა...

— ძუძუები? — თქვა იმ ბერიკაცმა, ცოტა ყურს რომ აკლდა.

— შენ სულ დაკარგე სირცხვილი! — გაიცინა ყველამ.

— ჰო, სიჭაბუკე რომ იყიდებოდეს, პირველსავე ბაზარში ვიყიდდი.

— რომ იყიდებოდეს, კი...

— მეგობრებო, ექიმი წავიდა, ჰაერიც გაიწმინდა. ხომ არ მოგვეწია, ჰა?

— მართლაც მოვწიოთ. ოღონდ შენი თამბაქო მოგვაწევინე, თორემ ამ ჩემს დომხალს თოფისწამლად თუ იხმარ კაცი ან ქაფთარს თუ დაუტენი ჩიბუხს. მოსწევ და მერე მთელი დღე ისე ხარ, თითქოს ყელში კატა გიზის და კუდს გიღიტინებს.

კრუსუნით და ხველებ-ხველებით გამოათრიეს ავადმყოფებმა ბალიშქვეშ შემალული ქისები.

— დაიცა! რა ამბავია? თითქოს წიწკანამ ფანჯარაზე ნისკარტი მოაკაკუნაო. ხველა შეიკავეს და დააყურადეს.

— აი, კიდევ! გესმით? ჰეი, პატივცემულო, ფანჯარასთან ახლოს ხარ, ნახე ერთი, რა ჩიტი მოფრენილა.

— ახლავე, — უთხრა ბერიკაცმა, წამოდგა და ფანჯრის მინას დააკვირდა. — რაო, რაო? — ჰკითხა ვიღაცას.

ფანჯარა რახუნით გაიღო და ყველამ გაიგონა აჩქარებული, შეშფოთებული ჩურჩული:

— პაპა... ვაიმე, პაპა... მამაჩემს უთხარი, შინ წამოვიდეს. ახლავე წამოვიდეს. დედაჩემს მარტოკა ყოფნა ეშინია, პატარებიც ღრიალებენ... ისე გვეშინია!.. ისე გვეშინია!

— რისა გეშინიათ, რა ვქნა?! — იკითხა გაკვირვებულმა მოხუცმა. ფანჯრის იქით კი კვლავ გაისმა აჩქარებული ჩურჩული:

— არ შეგიტყვიათ? ვაიმე! ქაფთარი გამოჩნდა! ყველამ ნახა შაითან-ულელტეხილზე. თვითონ თავმჯდომარე მუხთარმაც ნახა. **კლდეებზე დარბის დაოთხილი.** ყველამ ნახა, ყველამ.

როცა ორი საათის მერე აიშათი პალატაში შევიდა, შემოდგომის ფოთოლივით ჩაყვითლებული მოხუცის მეტი აღარავინ დახვდა.

— სხვები რაღა იქნენ? — მიიხედ-მოიხედა აიშათმა.

— მორჩნენ, — უგემურად წაილაპარაკა ბერიკაცმა. — მორჩნენ და წავიდნენ, რომ თავიანთი ოჯახები ქაფთარისაგან დაიცვან.

— რამ გაგაგიჟათ, რა ქაფთარი აგიტყდათ!

— ნუ ჯავრობ, შვილო. თურმე ყველას უნახავს ქაფთარი შაითან-ულელტეხილზე. მამაშენსა ჰკითხე, თუ არ გჯერა, — ერთხანს გაჩუმდა და მერე დაურთო მოხუცმა: — სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარმა რომ მითხრას, შენს მეზობელს ვირის კუდი აბიაო, აღარ შევამოწმებ, ისე დავუჯერებ!

— თქვენ რატომ არ მორჩით, პაპა? — დაღვრემით გაიღიმა აიშათმა.

— მე ვინ უნდა დავიცვა! ძაღლსაც ვერ მოვიგერიებ.

— არა, პაპა! თავს ნუ იმდაბლებთ, საქმე ისაა, რომ თქვენ ყველაზე ჭკვიანი ხართ ამ გადარეულ აულში, — დაბეჯითებით უთხრა აიშათმა. — აბა, ერთი სიცხე გაიზომეთ.

ბედის უკუღმართობა

რას იფიქრებდა სოფლის მესაფლავე, თუ ამდენი უბედურება დაატყდებოდა თავზე და ისე წაღმა-უკუღმა დაატრიალებდა მის ცხოვრებას, ვით შმაგი ნიაღვარი მთიელის დაჩვრეტილ ნავს? უმალ იმას უფრო წარმოიდგენდა, რაიცენტრიდან ჩამოსული აგენტი ან სოფსაბჭოს მდივანი ისკენდერი მუხთარის დავალებით მოვიდოდა და დაემუქრებოდა: აულიდან გაგასახლებთ, თუ ხელს არ მოჰკიდებ რაიმე სასარგებლო საქმეს, თუნდაც საზოგადო საპირფარეშოს აგებას, შუბურუმს რომ ასე ესაჭიროებაო. მაგრამ სიზმრადაც არ მოელანდებოდა, რომ დაემხობოდა მისი კეთილდღეობის დედაბოძი, რომლისაც ასე სწამდა! რომ სცოდნოდა, საით წაიქცეოდა, დააგებდა ქეჩის ნაჭერს, რათა არაფერი დაშავებოდა. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ვისაც ბედისა სწამს, ადვილად გადაეყრება ხოლმე ხათაბალას. სულ ახლახან ჰაჯი-ბექირზე ზედგამოჭრილი იყო მთიელთა ანდაზა: მეტს ნულარას ინატრებ, ემანდ ბედი არ გათვალოო! ჰქონდა სახლი, ჰყავდა ცოლი, ძროხა, დღეში სამჯერ გეახლებოდათ ცხელ კერძს. სხვა რაღა უნდა მთიელს? ახლა კი აღარც ერთი აქვს, აღარც მეორე ჰყავს და აღარც მესამე... აღარაფერი არ გააჩნია! ამაზე იტყვიან, ძაღლმა აიშვა და ჯაჭვიც თან წაიტანაო. ბოლო დღემდე გულს არ იტეხდა, ვერა და ვერ ერწმუნებინა; აგრე ეგონა, ყველაფერი სიზმრად ხდება, გულზე მაჯლაჯუნა მაწევს, ასეთი რამ ცხადში არ მოხდება, უნდა თავს ძალა დავატანო და გავიღვიძოო! მაგრამ ახლა კიდევ უფრო საშინელი უბედურება გამოუტყვრა და ყველა სხვა გასაჭირი დაავიწყა: მას კაცის მოკვლას აბრალებენ! გესმით, რას ნიშნავს,

როცა კაცის მოკვლას დაგაბრალებენ. თან ვერავითარი საბუთით, ვერავითარი დამოწმებით ვერ აიცილებ ბრალდებას, ვერ გააბათილებ სამხილს. ლამის შენ თვითონ მოაწერო ხელი განაჩენს! და მაინც უკიაფებს იმედის შუქი ჰაჯი-ბექირს. ერთი ჰკითხეთ, რისი იმედი გაქვს-თქო? პასუხად მხრებს აიჩეჩავს, ვერას გეტყვით, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით ამ ქვადქცეულ კაცს, შეამჩნევთ იდუმალი შუქის მქრქალ ციმციმს: ეს იმედი ციმციმებს, ის იმედი, ეშაფოტზე ასულსაც რომ თან მიჰყვება. ან იქნებ ადამიანს შემორჩენია და უბედურებათა მეხთატეხაში გაცოცხლებულა მიამიტი ბალღური რწმენა კაცის უკვდავებისა? ის იმედი, ბავშვები რომ მღერიან: „დაე მუდამ ვიყო მე!...“

ჰაჯი-ბექირის საქმეს იძიებენ. ჰაჯი-ბექირი დამწყვდეულია ცალკე საკანში, გისოსიანი სარკმელი რომ აქვს. აქ, რაიცენტრში, სოფსაბჭოს მდივანმა ისკენდერმა ჩამოიყვანა, ვისაც აულში „ქაღალდით გამოტენილ ძეხვს“ ეძახიან. აკი ერთხელ მიაკითხა კიდევაც ჰაჯი-ბექირმა, როცა ფოსტალიონმა მოუტანა ფოსტით გამოგზავნილი ფული (ერთხელ შორეულ აულში მცხოვრებ ყონაღს მიჰყიდა საფლავის ქვა და ახლა იმ ყონაღმა ფული გამოუგზავნა). ფოსტალიონმა საბუთი მოსთხოვა, ჰაჯი-ბექირს კი არა ჰქონდა. აბა ერთი სცადე მესაფლავე იყო, საფლავები თხარო, ჯიბიდან კი საბუთები არ ამოგიცვივდეს? ვინ იცის, რამდენი საბუთი ჩაუმარხავს ასე მიწაში. მომავალი დროის არქეოლოგები უთუოდ გაოგნებით გაშლიან ხელებს, როცა სხვადასხვა საფლავს გათხრიან და შიგ კი სულ ერთი და იმავე კაცის — ჰაჯი-ბექირის საბუთებს ნახავენ... სხვა გზა არ ჰქონდა მაშინ ჰაჯი-ბექირს და სოფსაბჭოს მიაკითხა.

— მიჩვენე პასპორტი ან მეტრიკა და მოგცემ ცნობას! — უთხრა ისკენდერმა.

— პასპორტი რომ მქონოდა, რაღაზე შეგაწუხებდი. მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ჰაჯი-ბექირი ვარ.

— ჰო, ვიცი.

— ჰოდა, დამიწერე.

— ვინძლო ბეჭედიც დავუსვა და ხელი მოვაწერო?

— მაშ.

— არა, ჯერ პასპორტი ან დაბადების მოწმობა მაჩვენე.

მაშინ მიხვდა პირველად ჰაჯი-ბექირი, თუ რა დიდი ძალა ყოფილა საბუთი ჩვენს განათლებულ საუკუნეში. თუ საბუთი გაქვს — კაცი ხარ, არა გაქვს და — ვინ იცის, ვინა ბრძანდები: იქნებ ინგლისის ჯაშუში ხარ, ან ანაშით მოვაჭრე სპარსელი. იქნებ სულაც იმიტომ დაეძებენ ასე გულდაგულ თოვლის კაცს, რომ შეამოწმონ, აქვს თუ არა პასპორტი ან რაიმე საბუთი, იმის დასტურად, სწორედ ეს გახლავთო ქაფთარი.

დიახ, ყველაფერს დაუფიქრდა, ყველაფერი განსაჯა, ყველაფერი სხვა თვალით დაინახა განცალკევებულ საკანში უნებური მოცალეობის ჟამს ჰაჯი-ბექირმა. დაინანა ფულიც, გაიძვერა შაჰნაზარს რომ მისცა და ახლა ძალიანაც გამოადგებოდა. მაგრამ რას იზამ, ნათქვამია: ძვალი თუ მგელმა მოიგდო ხახაში, დაუტოვე, ოღონდ ინატრე, ყელში მალე გაეჩხიროსო!

ძნელი და სახიფათო სავალი იყო ზვავებით ჩახერგილი გზა შუბურუმიდან. ალაგ-ალაგ ჰაჯი-ბექირი და სოფსაბჭოს მდივანი მუცლით მიხოხავდნენ და ხელებს იკაწრავდნენ. ჰაჯი-ბექირიც ერთგულად შველოდა ისკენდერს ლოდებზე გადაცოცებისას. მესაფლავეს გაქცევა რომ გაევლო გულში, საკმარისი იყო წაეკრა ხელი და უფსკრულში გადაეჩეხა ისკენდერი, ან სულაც მიეტოვებინა

და წასულიყო: სოფსაბჭოს მდივანს მხოლოდ ერთი ჟანგიანი ხანჯალი ჰქონდა, ქარქაშიდან რომ ვერც ამოაძრო, როცა გზაში კომბლების გამოთლა დასჭირდათ. შორიდან შემხედვარე იფიქრებდა, ჰაჯი-ბექირია ისკენდერის მცველიო. სოფსაბჭოს მდივანს კი შიშით გული უსკდებოდა, დამნაშავე გამექცევაო, და გუნებაში უკურთხებდა თავის თავს — რას მოვეხეტებოდი, რატომ რამე არ მოვიმიზეზე და ამის წამოყვანაზე უარი არ ვთქვიო! თავის მხრივ ჰაჯი-ბექირსაც გული ელეოდა, ემანდ თავის მოუქნელობით სოფსაბჭოს მდივანი ხეობაში არ გადაიჩეხოსო: ხელისუფლების წარმომადგენელს რომ რაიმე დამართნოდა, ისევ მას დააბრალებდნენ. იტყოდნენ, ერთი ხომ მოკლა ამ არაკაცმა, ნადირმა, ყაჩაღმა, ახლა მეორეც ზედ მიაყოლაო! განა ცოტაჯერ ყოფილა, ერთხელ რომ შეუწამებიათ კაცისთვის სიავე, მერე თუ რამე სიგლახე მომხდარა, ყველაფერი მისთვის მიუწერიათ, როგორც ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში შუბურუმელები: ყველა სიგლახე ფატიმასა სჭირსო!

ასე ვაი-ვაგლახით გადაიარეს შაითან-უღელტეხილი და დაუყვნენ ბულახის მთის ფერდობს, რომ ანაზდად ისკენდერს ქვაზე ფეხი აუცურდა, მოწყდა და თოვლის ზვავსა და ქვებთან ერთად გადაეშვა ხრამში. ყრუ კვნესა აღმოხდა მესაფლავეს და, როცა ძირს გადაიხედა, თავზარდაცემულმა იბღავლა კიდეც: იქ, ქვევით, გართხმულიყო საცოდავი ისკენდერის, შუბურუმის სოფსაბჭოს მდივნის სხეული.

— ო, ალაჰ! — წამოიძახა გულმწუხარე ჰაჯი-ბექირმა. — რას მიშვრები? ჩამოდი აქ, მითხარი, რა დამიშავებია და რას მერჩი! ხომ ხედავ, მეც მარტოკა ვარ და შენც. ჩამოდი! არ გინდა? რა თქმა უნდა, ამქვეყნიური საქმეების ჩუმ-ჩუმად მოკვარახჭინება უფრო იოლია, მაგრამ რატომ იქცევი ასე უსამართლოდ?... იქნება სიამეს გგვრის საწყალი კაცის ტანჯვა-ვაება? განა ვინმე დამიჯერებს? ყველანი იტყვიან, უფსკრულში განზრახ გადაჩეხაო. შენ მოწმედ არ გამომადგები, კარგად ვიცი. — ჰაჯი-ბექირმა ხელი ჩაიქნია და ხრამში დაეშვა. თურმე ისკენდერი ცოცხალი იყო, სუნთქავდა! ოჰ, რა გაიხარა მესაფლავემ! ტყუილად კი არ ამბობენ მთაში, როცა სიკეთეს გისურვებენ: მოსალოდნელი ჭირი სიხარულით შეგეცვალოსო.

— შენ... ცოცხალი ხარ?! — აღტაცებით ლუღლუღებდა სოფსაბჭოს მდივანთან დახრილი ჰაჯი-ბექირი. — მართლა ცოცხალი ხარ? ჰა?

— ცოცხალი ვარ, ოღონდ ფეხი ვერა მაქვს კარგად... — ამოიკვნესა ისკენდერმა. — აქა ხარ! უჰ! რა კარგია, რომ აქა ხარ!

— მაშ სად უნდა ვიყო?

— მეგონა, გაიქეცი. შიშით გული მისკდებოდა!

— გავიქეცი? — ჰაჯი-ბექირი გააკვირვა ამ აზრმა. თავშიც არ მოსვლია მსგავსი რამ.

— ჰაჯი-ბექირ, ძვირფასო, ნუ გაიქცევი! შემიბრალე, ცოლ-შვილის პატრონი ვარ, შენც იცი...

— გეყო სისულელის ლაპარაკი! წამოდი!

— ვერ ავდგები. რა ვქნა? არადა ვერც ვერავის დავუძახებ, თოვლის კაცის მეტი აქ ვინ იქნება.

ისკენდერმა წამოდგომა სცადა, მაგრამ მაშინვე დაეცა და სიმწრით იყვირა. ჰაჯი-ბექირმა არ იცოდა, რა ელონა. გაქცეულიყო, მიეტოვებინა ისკენდერი? ერთი საათის მერე მისგან ძვლებიღა დარჩებოდა — აქ ხომ მთის მგლები დაძრწიან.

ისკენდერს კი შინ ოჯახი, შვილები ჰყავს. ბოლოს და ბოლოს ცუდი არაფერი გაუკეთებია მესაფლავისათვის... თან ველარც მეორე ბრალდებას მოიშორებს, ეს კაციც შენ მოჰკალიო.

ჰაჯი-ბექირი მტკიცედ წამოდგა. ისკენდერმა ბეშმეთის კალთაში სტაცა ხელი.

— არ გაიქცე, გეხვეწები!

— წამოდი!

— არ შემიძლია! — შეემუდარა ისკენდერი. — იქნებ სჯობდეს შინ, აულში დავბრუნდეთ? მიშველე, ჩემს ოჯახში დამაბრუნე.

— არა, იქ უნდა ჩამიყვანო, სადაც გიბრძანეს. მე ხომ არ ვიცი, სად მივიდე და ვის მივაკითხო. არც დამიჯერებენ... მოდი, ზურგზე მომეკიდე!

ჰაჯი-ბექირმა რის ვაი-ვაგლახით ჩაათრია რაიცენტრში ისკენდერი, როგორც თავის კეთილ ზრახვათა ცოცხალი საბუთი. მართალია, ეს საბუთი კაი მძიმე იყო და კარგა ბლომა ოფლიც აღვრევინა მესაფლავეს, მაგრამ ტყუილად ხომ არ უთრევია ორმეტრიანი ქვის ძეგლები!

ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, რომ ჰაჯი-ბექირმა თვითონ მიჰგვარა თავისი თავი მილიციას და ჩაბარდა აღუშფოთველ, მშვიდ მართლმსაჯულებას. მადლიერმა სოფსაბჭოს მდივანმა უამბო გამომძიებელს, რაც რამ გზაში გადახდათ; ისიც არ დაუმალავს, მესაფლავეს გაქცევა შეეძლო, მაგრამ, როგორც ხედავთ, არ გაქცეულაო. ისკენდერს ახლა უნდოდა მოელბო მოსამართლის გული, მაგრამ მოსამართლემ არ ისურვა ანგარიში გაეწია, მისი აზრით, ამ დაგვიანებული მონანიებისა და ანაზდეული გულკეთილობისათვის: მის წინაშე მკვლელი იდგა! გულის აჩვილება აქ უადგილო იყო. ეს კია, რომ გამომძიებელს ჰაჯი-ბექირი აღარ დაუკითხავს — რაიონში სხვაც ბევრი იყო საქმე — წინასწარ და არცთუ მკაცრად გამოჰკითხა ზოგი რამ, ცალკე საკანში მოათავსა და წავიდა, ვინაიდან სამუშაო დღე დამთავრდა და გამომძიებელსაც ჰყავდა ოჯახი, მამასა და ქმარს რომ ელოდა.

ესეც არ იყოს, გამომძიებელს უყვარდა, რომ ბრალდებული ხანგრძლივ წინასწარ პატიმრობაში საკუთარ სიავკაცეზე დაფიქრებულიყო, ბევრი ეფიქრა და „მომწიფებულიყო, ვითარცა პამიდორი მზეზე“, — როგორც ამბობდა ხოლმე თავად. მას წესად არ ჰქონდა აჩქარება.

ჰოდა, ზის ახლა ჰაჯი-ბექირი ბნელ საკანში ჯირკზე და გისოსიდან გასცქერის მოციმციმე ვარსკვლავებს; სიცივისაგან იბუზება. მთაში ამგვარ შენობას არ ათბობენ, დამნაშავეების მიმართ ასეთი სინაზე ზედმეტად მიაჩნიათ. იქ ტყუილუბრალოდ თავს არავის ამოაყოფინებენო, — ამბობენ მთიელნი. კაციშვილი არ შემოსულა მასთან, არავის უკითხავს, ხომ არ გშიაო. სულიერ განცდებს მალე დაერთო ფიზიკური ტანჯვაც — ციოდა და კუჭი უწრიალებდა. არადა, რა ხანია შემჩნეულია, რომ კუჭიც ადამიანის სხეულის ნაწილია!

„ყოველმხრივ დავიღუპე! — ფიქრობდა სასოწარკვეთილი მესაფლავე. — ყველა ჩემკენ გამოიშვერს თითს: უმწეო, სუსტი ადამი ამან მოჰკლაო. აღარ მეცხოვრება შუბურუმში. მაგრამ რანაირად გავძლო უშუბურუმოდ, რა ვიქნები, თუ ჩემი სოფლელები არ მეყოლა გვერდით? ფარას ჩამორჩენილი ცხვარი. აჰ, ხევა, ხევა, ეს რა ჩაიდინე? მე ისევ მას ვადანაშაულებ, თითქოს მისი ბრალი იყოს. ნუთუ ხევა სამუდამოდ დავკარგე? ჰო, ჰაჯი-ბექირ, სამუდამოდ დაკარგე. ვერ შერიგებიხარ ამ ამბავს? კი, მაგრამ რა უნდა ჰქნა? ძალით ვერ დაიბრუნებ. ვირო! ვირო და ყეყეჩო! შაჰნაზარს დაუჯერე. მერედა, ვის მიათხოვე? ადამს!

ჩემზე უკეთესი მაინც ყოფილიყო — ასე არ დამწყდებოდა გული. რაებს ვფიქრობ? ეს ყოველივე სისულელეა, წვრილმანია, წყლის ჭავლია, გზის მტვერია იმასთან შედარებით, რაც აწ მელის. უთუოდ გამაციმბირებენ, თავს მიკრავენ ჩრდილოეთში, სადაც ისეთი ყინვა იცის თურმე, გაფრენილი ჩიტი ჰაერში იყინება... — ჰაჯი-ბექირს შეცივდა, ტახტზე ავიდა და ტანგაუხდელად მიწვა, თხელი საბანი წაიფარა. — რომ ვუამბო ვინმეს, არ დამიჯერებენ. რას მიჰქარავო, მეტყვიან. ჰო, სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო. რა დღეში ვარ? ნუთუ არაფერი მეშველება? თუ თავად არ შევიწუხე თავი, ჩემთვის სხვა ვინ შეწუხდება?“

იტყვიან, უბედური კაცი დარდითაა მდიდარიო. ამ მხრივ მთის აულებში ჰაჯი-ბექირზე უმდიდრესს ვერავის იპოვნიდით.

ბოლოს ჰაჯი-ბექირმა გადაწყვიტა, დავიძინებო, რომ დროებით მაინც დაევიწყებინა ყველაფერი. საქმეში ხარ?! ფიქრები შემოესია და ერთმანეთში ისე აირია, როგორც ბაზრობა დღეს ათასნაირი ძველმანით მოედანზე გამოსული ხალხი — აბა, იქ კარგი რა ჰყრია, ხალხი ვაჭრობს, დაობს და ჩხუბობს კიდეც...

ნაწილი მესამე

ცალთვალას ოჯროს გასაღები

ᲔᲑᲣᲠᲣᲛᲘᲡ ქოხების ქვის კედლებზე ახლაც შემორჩენილა, უთუოდ ოციან წლებში დაწერილი, სანახევროდ წაშლილი ლოზუნგები: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — თუმცა ერთადერთი პროლეტარი ამ აულში ოქტომბრის არხის მშენებლობიდან დაბრუნებული მჭედელი ალი-ხოჯა იყო, ვისთანაც მოჰყავდათ დასაჭედად ცხენები. მეორე ლოზუნგი დღემდე იუწყება: „გაუმარჯოს ქალებს, ვაშა!“. ჰო, მართლა, შუბურუმში ჩატარებულ პირველ არჩევნებზე ასეთი შემთხვევა მოხდა: არჩევნებზე მოვიდა ხოჯა-ალი, მას ბიულეტენი გადასცა სოფლის პროლეტარმა და აქტივისტმა ალი-ხოჯამ, მერე შავნარმაჩამოფარებულ კუთხეში შეიყვანა და უთხრა: აქ, მოფარებულში, დაფიქრდი, ვის დატოვებ და ვის წაშლიო. ხოჯა-ალი საშინლად შეურაცხყოფილი დარჩა. „ეჰეი, ალი-ხოჯა! — წამოიძახა ალშფოთებულმა. — შენ მე ლაჩარი ხომ არა გგონივარ, ხომ არ გგონია, ვინმესი მეშინია? მომგვარე ყველანი აქ და პირში ვეტყვი, ვის მივცემ ხმას და ვის ამოვშლი!“

ბინდბუნდი ჩამოწვა შუბურუმში. მთებიდან, თოვლის ფაფახი რომ ჩამოეფხატათ, დაჰბერა ძვარ-რბილში გამჭოლმა ქარმა და ფერდობებიდან ჩამოფერთხა დღისით მოსული მშრალი თოვლი, ახლა საფანტივით რომ მოჰქროდა. თბილად გამოწყობილი შუბურუმელები — ზოგს ქურქი ეცვა, ზოგსაც ტყაპუჭი — აულის სხვადასხვა უბნიდან მიემართებოდნენ მეჩეთისკენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი უბნის ხალხს — ხოლო ასეთი უბანი აქ ხუთი იყო — თავისი მეტსახელი ჰქონდა. ერთი უბნის ხალხს ერქვა „ბანზე ბალახის მთიბავნი“, მე-

ორეს — „კარტოფილის ღივა“, მესამეს — „მეჭინჭრეები“, მეოთხეს — „ეკლები“, მეხუთეს — „მენივრეები“.

უცხო კაცს ეგონებოდა, სალოცავად მიიჩქარიან, რათა ზენაარსა და ყოვლისშემძლე ალაჰს გამოსთხოვონ შვება ან განკურნებაო. მაგრამ ლოცვაზე კი არადა, აულის მკვიდრთა საგანგებო კრებაზე მიიჩქაროდნენ, რათა ემსჯელათ თოვლის კაცის თაობაზე. ეს რამდენიმე დღე იყო, აულის საზღვრებს აღარავინ გასცდენია; ყოველ საღამოს ისმოდა ქაფთარის ყვირილი, მინარეთიდან მუეძინის რიხიან დაძახილს რომ წააგავდა და „აუ!“ — ამ ამონაკვესით მთავრდებოდა.

ოცდაათი წელი იქნება, რაც აღარ ისმის მუეძინის ხმა შუბურუმის მინარეთიდან, სწორედ მას მერე, რაც სული განუტევა შუბურუმის უკანასკნელმა ყადმა, რელიგიურმა მსაჯულმა, მონაცვლე კი არ დატოვა. ახლა ყინვასა და ქარში მეჩეთის ვეება შენობაში ტარდება ხოლმე კრებები და ლექციები, აქვე აჩვენებენ კინოფილმებს.

ალი-ხოჯას მუდამ ეღიმება ხოლმე, როცა მეჩეთის ზღურბლზე გადააბიჯებს. არ იკითხავთ, რატომ ეღიმება ალი-ხოჯას? ოციან წლებში ის ხელმძღვანელობდა შუბურუმში უღმერთოთა კავშირს. პარასკევ დღეს ახალგაზრდა კადნიერმა ათეისტმა გული მოიცა და შებედა ლომის ბუნაგში ანუ მეჩეთში და მლოცველებს შესთავაზა, უღმერთონი გახდითო. ყველაფერს მოელოდა, ოღონდ იმას კი არა, რაც მოხდა: უცებ ყველამ, მოყოლებული კულტის მსახურით, მოიწადინა უღმერთოთა კავშირში შესვლა, შესატანი გადასახადიც იქვე გადაიხადეს და ალი-ხოჯა გაქაფეს კიდევაც, იმდენი საწევრო წიგნაკი შეავსებინეს. მთლად გაოგნებულმა ალი-ხოჯამ ბოლოს იკითხა:

— ერთი მიბრძანეთ, რანაირად გავიგო თქვენი საქციელი?

— როგორც გინდა, ისე გაიგე, ოღონდ მუსლიმანები მუდამაც წინააღმდეგნი იყვნენ ღმერთისა, ალაჰის რისხვაც დასტეხია თავს!

მაშინღა გაახსენდა ალი-ხოჯას, რომ ყურანში ალაჰი არსად არაა მოხსენიებული ღმერთად: ალაჰიო, ნათქვამია, და მორჩა! და მიხვდა, რა ყეყეჩურად მოტყუვდა.

იმ საღამოს მერმე, რაც შაითან-ულელტეხილთან გზის გასაწმენდად მომუშავე შუბურუმელებმა შავი ქაფთარი დაინახეს, დიულთი-დაღას მარადიული მყინვარებისკენ რომ მიემართებოდა, აულში შიშის ზარმა და შფოთმა დაისადგურა. მითქმა-მოთქმა და ათასნაირი ჭორი, ერთიმეორეზე სულ უფრო საზარელი, ქოხიდან ქოხში გადადიოდა და, როგორც მთით მომსკდარი თოვლის გუნდა, იზრდებოდა და დიდდებოდა; უკვე წინასწარმეტყველებდნენ მეორე მოსვლას, რომლის მაცნედაც თითქოსდა მოევლინათ კიდევაც ქაფთარი. ცხადია, ახლა ვერავითარი ძალა ვეღარ აიძულებდა ცრუმორწმუნე შუბურუმელს გასცლოდა აულის საზღვრებს. საგზაო სამუშაოები მიატოვეს. ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთული მანქანები კარგა ხანს ამაოდ იდგნენ და ელოდნენ გზის გაწმენდას და ბოლოს უკან გაბრუნდნენ: გაზაფხულამდე ხომ არ იყურყუტებდნენ ულელტეხილს გადალმა!

ამ შიშის ზარის დროს ბევრმა მოიწადინა სამუდამოდ მიეტოვებინა შუბურუმი, მიუხედავად იმისა, რომ სოფსაბჭომ ეს სასტიკად აკრძალა. ზოგი ჩუმადაც კი გაიქცა მთის სახიფათო ბილიკებით და საოჯახო ბარგი-ბარხანა სახედრებსა და ცხენებს აჰკიდა. გაქცეულთა შორის ისინიც ერივნენ, ვინც ადრე

არაფრის გულისთვის არ თანხმდებოდა გადასახლებასა და მამა-პაპათა საფლავების მიტოვებას.

სიცივე დაიჭირა, საწვავი კი შემოელიათ. ჯერ კიდევ შემოდგომით მომზადებული შეშა ხეობებში ეწყო, მაგრამ ახლა აბა ვინ გაბედავდა იქ ჩასვლას? აგერ უკვე ორი დღე იყო სკოლებში მეცადინეობა შეწყდა — ღუმელებს ველარ ახურებდნენ.

სასწრაფოდ უნდა ელონათ რამე, უნდა ემოქმედათ! ჩამსულამ გადაწყვიტა ხალხი შეეკრიბა, რათა გულახდილად, გულითადად მოლაპარაკებოდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა და რანაირად ეთქვა. ერთი ცხადი იყო, უნდა გაექარწყლებინა ადამიანებისთვის შიში. იქნებ სჯობდა ეთქვა, რომ ქაფთარი ზღაპრული ურჩხული კი არა, ერთი უვნებელი არსებაა, ცხოველი თუ ნადირი, აი როგორც მთის დათვი. შეიძლებოდა ჰამზათი დაემოწმებინა, ერთ-ორ სიტყვას ისიც შეაწევდა... მოკლედ, უნდოდა ეთქვა: ისე არ წვიმს, როგორც ჰქუხსო...

მეჩეთისკენ მიმავალმა ჩამსულამ სოფსაბჭოს თავმჯდომარეს შეუარა. მუხთარი წინა ოთახში იჯდა და, მსუყე ხინკლით დანაყრებული, ახლა ჩაის შეექცეოდა. მისი ცოლი რა ხანია მეზობლის ქალებთან ერთად კრებაზე წასულიყო, ხოლო ქალიშვილი აიშათი მეორე ოთახში ტახტზე წამოწოლილიყო და ძილის წინ რაღაც სამედიცინო წიგნს კითხულობდა. მუხთარს გაუხარდა ჩამსულას მოსვლა, სკამი მიუჩოჩა.

— დაჯექი, დრო კიდევ გვაქვს, — უთხრა მუხთარმა, თან კედლის ძველ საათს ახედა.

— მიკვირს, რა არხეინად ხარ! — მიუგო ჩამსულამ.

— მე ვარ არხეინად? ჰა-ჰა-ჰა!

— დიახ, შენ. მე შენ გეკითხები, თავმჯდომარევ, რა ამბავია ჩვენს თავს, ჰა? თავმჯდომარე ხარ თუ არა ხარ?

— ვარ, მაგრამ რა შემიძლია? თითქოს ყველაფერი მოგვარდა, ხალხი თავგამოდებით შეესია სამუშაოს, ერთ დღეში ორი მოსახვევი მოვაკრიალეთ და — ბედი არ უნდა ყველაფერს! — სწორედ მაშინ გამოჩნდა ის თოვლის შაითანი და „სალამ-ალეიქუმ!“ გადმოგვძახა. დასწყევლოს ალაჰმა!

— ვინა ვართ, დალახვროს ეშმაკმა, ვაჟკაცები ვართ თუ არა? — აღშფოთდა ჩამსულა. — ფაფახი ხომ გვხურავს თავზე.

— ჰო, ბარემ არ მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ ჩ ე მ ი თვალით ვნახე და გავიგონე.

— ჯადოა! მოგეჩვენა.

— მოჩვენებით ერთს ან ორს თუ მოეჩვენებოდა, ყველას ხომ არ მოეჩვენებოდა.

— მაინც ვერ დავიჯერებ, — ახლა კი დაჯდა სკამზე ჩამსულა.

— შვილო, ჩაი მოართვი ჩამსულას, — გასძახა მუხთარმა.

აიშათი თავისი ოთახიდან გამოვიდა და სტუმარს მაგარი ჩაი დაუსხა.

— ნუ ყვირი, ჩამსულა. მოდი დავსხდეთ და მოვისაზროთ, რა ვუთხრათ ხალხს...

— ვუთხრათ, რომ ქაფთარი არ არსებობს.

— მაგრამ თუკი არსებობს! ეს ხომ ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მე და შენ ამ მაგიდას ვუსხედვართ, — მიუგო მუხთარმა.

— ამბობენ, ძალიან წააგავსო ადამიანს, — ჩაერია აიშათი. — შესაზარი სახე

აქვს, ბანჯგვლიანი ყურები, სულ ერთიანად ბეწვითაა დაფარულიო. მართალია, მამა?

— არ ვიცი... მე მისთვის ხელი არ ჩამომირთმევია! — მიუგო მუხთარმა. — წადი, შენს საქმეს მიჰხედე. უშენოდაც გულშემოყრილი ვარ.

— არა, მე თუ მკითხავ, ხალხი გაგიჟდა! — წამოხტა ჩამსულა. — აბა, წავედი. ნუ დაიგვიანებთ.

— ჩაი დაგელია.

— არ მინდა, მადლობელი ვარ! — და ჩამსულა წავიდა.

— ისეა გაგულისებული, გეგონება, თოვლის კაცი მე მოვიგონე, — წყენით თქვა მარტოდ დარჩენილმა მუხთარმა.

ჩამსულა წავიდა და კარს რაჯაბი მოადგა. კოლმეურნეობის საწყობის გამგე, ცალთვალას რომ ეძახდნენ, ჩვეულებისამებრ შეზარხოშებული გახლდათ. მდუმარედ მივიდა მუხთართან, მდუმარედ ჩამოართვა ხელი, ხრიგინ-ხრიგინით გამოსწია სკამი და დაჯდა, ერთადერთი თვალი კი დაჟინებით მიაშტერა სოფსაბჭოს თავმჯდომარეს.

— გადაკრულში ხარ? — ჰკითხა მუხთარმა.

— ჰო.

— გულის მოსაცემად დალიე?

— ვინძლო ეგრეც იყოს. ქაფთარი სახუმარო საქმე არაა, თავმჯდომარევ, მისგან ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი. ერთიც ვნახოთ და კოლმეურნეობის საწყობსაც მოაკითხა. ხომ შესაძლოა?

— იქ რა ესაქმება?

— მე რა ვიცი! ალაჰმა უწყის, რა არ შეუძლია ჩაიდინოს... საწყობში. მაგრამ ახლა მაგაზე არ მოვსულვარ. შენ ეს მითხარი, ჩემი მეგობარი ხარ თუ არა?

— დავუშვათ, ვარ, მერე?

— „დავუშვათ“ კი არა, პირდაპირ მითხარი: ხარ თუ არა?

— ვარ კიდევაც და არცა ვარ.

— ოჰ, რარიგ მეჯავრება ისეთი ადამიანი, ვისაც თავისი გული ხურჯინად გაუხდია.

— შენ გინდა გითხრა, ვარ-მეთქი? ძალით გინდა ამომგლიჯო ეგ სიტყვა?

— რად უნდა ამოგგლიჯო? აი ჩვენმა პარტკომმა ჩამსულამ — ეს წუთია ახლა შევეჩეხე — პირდაპირ მითხრა: არა ვარო, და სწორიცაა! ვაჟკაცმა პირდაპირ უნდა თქვას თავისი სათქმელი, — რაჯაბმა თითები გაატკაცუნა. — მართალს ვამბობ?

— ჩამსულა ნამდვილი ვაჟკაცია. რომ მითხრას, უკან კუდი გაბია და შუბლზე გრძელი ყურები ამოგსვლიაო, შემიძლია აი ამ ბეჭდით დავუმოწმო, — წარმოთქვა მუხთარმა და ჯიბიდან ქისა ამოიღო, ხოლო ქისიდან მრგვალი გერბიანი ბეჭედი ამოათრია.

— რა კაცი ხარ, აბა რატომ უნდა დაარტყა ბეჭედი რაღაც უბრალო ქაღალდს? აფსუსია... ერთი აქტი მაქვს...

— რაო, ვირთხებმა ისევ შესანსლეს ბრინჯა?

— არა, ახლა უარესი მოხდა. მე და შენ, ძვირფასო თავმჯდომარევ, თუმცა შორეული, მაგრამ მაინც ნათესავები ვართ, — რაჯაბმა ბეჭდისკენ წაიღო ხელი, მაგრამ მუხთარმა ისევ ქისაში ჩადო და ჯიბეში ჩაიბრუნა.

— ნათესავები არა, ის არ გინდა?! წამო, წამო, ხალხი გველოდება.

მუხთარმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ რაჯაბმა შეაჩერა.

— დაჯექი, ძვირფასო თავმჯდომარევ! კეთილი კაცი ხარ, კეთილ კაცთან კი ჯდომა საამოა. — და რაჯაბმა ბოთლი დააძრო. — ჯერ კიდევ ზაფხულში ჩამომიტანა ყონაღმა. მიყვარს ეს ოხერი! ჯერ მარტო იარლიყი ნახე — კლდეზე გადმომდგარი შავი ჯიხვი. ემბლემაა!

— მალე ემბლემად მყინვარის მწვანე თაღქვეშ გამოხატულ ქაფთარს მოიგონებთ! — გაცეცხლდა მუხთარი. — გეყო, ნუ მაიმუნობ. მაგას ის გიჯობს, ერთი მაგარი ჩაი დალიო.

— ჩაი რა ბედენაა, ჩაი, შემოგევლე, კონიაკი ხომ არაა, ბევრს ვერ დალევ. ეს კი... — რაჯაბმა ბოთლს აკოცა და ზევით ასწია. — ეს კი ოქროს გასაღებია, რაც რამ დედამიწის ზურგზე საკეტი და სამალავია, ყველას გააღებს.

— კოლმეურნეობის საწყობსაც? შენ ჭკუით იყავ!

— არა, მუხთარ, ცდები.

— შეინახე ეგ შენი ემბლემა და წავიდეთ.

— ეჰ, რა მიუხვედრელი კაცი ხარ, — თავი გაიქნია რაჯაბმა. — მოდი, დავლიოთ! მე ხომ არაფერსა გთხოვ, შენ კი იმწამსვე ცუდს გაივლებ ხოლმე გუნებაში. არა, ძვირფასო თავმჯდომარევ, მე შენი მეგობარი ვარ.

— ნათქვამია, ვინც ნისიად სვამს, ორჯერ მეტად თვრებაო. შენც იცი!

— არ ვიცი. მერედა ცუდია?

— ცუდია, ჯერ ღვინო ათრობს, მერე კი იმ ამბების მოგონება, სიმთვრალეში რაც ჩაიდინა.

— მერე რა, ჩაის მაინც არ დავლევ! — რაჯაბმა ბოთლი ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

— ჩვენ მივდივართ, შვილო! შენ არ წამოხვალ?..

— დღეს დავიღალე, — უთხრა მეორე ოთახიდან გამოსულმა აიშათმა.

— მარტოკა შინ დარჩენისა არ გეშინია, აიშათ? — გაუკვირდა რაჯაბს.

— რისი უნდა მეშინოდეს? იმედი მაქვს, თოვლის ადამიანი არ მეწვევა, — გაელიმა აიშათს.

— ვინ იცის, ხალხნი ვართ! კარგად ჩაკეტე კარი და არსად გახვიდე, აიშათ, — თითი დაუქნია რაჯაბმა. — თურმე დაუმთავრებელ აბანოსთან უნახავთ ქაფთარი.

— რწყილებმა თუ შეაწუხეს და დაბანა მოუნდა, — ჩაიცინა მუხთარმა.

— განა მარტო აბანოსთან ნახეს — ხშირად უნახავთ ადამის ქოხთანაც, სადაც ხევა ცხოვრობს.

— წამო, წამო! — ხელი წაჰკრა ცალთვალას მუხთარმა.

თოვლის კაცის ოინები

დაღესტანში შორს გავარდა ქაფთარის ამბავი, ზოგს დამცინავ ღიმილს და მხიარულ სიცილს ჰგვრიდა, ზოგს შეშფოთებასა და ცრუმორწმუნე შიშს, ზოგსაც — სათავგადასავლო შემთხვევათა მოყვარულთ — გული წყდებოდა, რომ ქაფთარი მათი აულის ახლომახლო კი არა, სადღაც გადაკარგულში — „ზეცის მკვიდრთა“ აულში გამოჩნდა. შუბურუმში თოვლის კაცის გამოჩენის ცნობა მარტო ადგილობრივ გაზეთებში კი არა, ცენტრალურ გაზეთშიაც დაიბეჭდა. ამოძრავდა

სწავლულ-მკვლევართა სამყაროც, ზოოლოგები და ბიოლოგები, ისტორიკოსები და არქეოლოგები. დაინტერესდნენ ლიტერატორებიც. ისინიც კი, ვინც ამ ცოტა ხნის უკან სკეპტიკურად იყო განწყობილი, ახლა ისწრაფოდნენ თავიანთი აზრის გამოთქმას. გაზეთებში დაიბეჭდა ერთმანეთის საპირისპირო წერილები. ბევრნი მხარს უჭერდნენ ჰამზათს, ვინც კარგა მოზრდილ წერილში საკმაოდ დამასაბუთებლად ამტკიცებდა, რომ ეს ადამიანი კი არაა, ცხოველია, აქვს კუდი, დიახ, დიახ, იქ, სადაც წააწყდნენ თოვლზე იდუმალ კვალს, აშკარად გამოირჩეოდა კუდის ნაკვალევი! მაგრამ სხვები კვლავ ირწმუნებოდნენ, ნეანდერტალის ტიპის ადამიანიაო. ჰოდა, რათა გარკვეულიყვნენ დავა-კამათისა და მითქმა-მოთქმის ამ ორომტრიალში, სწავლულთა სამყარომ გადაწყვიტა ექსპედიცია გაეგზავნათ შუბურუმში. გადაწყვეტით კი გადაწყდა, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს თავი ვერ მოება. ჩვეულებისამებრ ხომ მეცნიერებს არ უყვართ აჩქარება. გამოტეხით რომ ითქვას, ამ დროს მთებსა და მყინვარებში წასვლისა და რისკის გაწევის მსურველიც ცოტა გახლდათ, თანაც შუბურუმის გზა ჯერაც არ იყო გაწმენდილი: ბიჭი ხარ და ააღწიე იქამდე! მაგრამ ვიდრე სწავლულთა სამყარო ბჭობდა და საზრისობდა, მომავალი ექსპედიცია როგორ მოვაწყოთო, — ამოძრავდა, ამღელვარდა, აზუზუნდა ჟურნალისტთა სამყარო. განსაკუთრებით გულმაგარი გამოდგა ადგილობრივ გაზეთის ახალგაზრდა კორესპონდენტი, ჯერ უცოლო — და ამიტომაც მარჯვე და საზრისიანი — ყასუმი, ვისაც უნივერსიტეტი ეს-ეს იყო დაემთავრებინა. დიახ, სწორედ ის, ვინაც სამ სვეტზე დაბეჭდა მწვავე და ცინცხალი ფელეტონი მდინარე სულაკზე მოპარპაშე ბრაკონიერებზე, ნაკრძალ მდინარეებში თევზს რომ იჭერენ. ჰოდა, ეს ყასუმი ერთ საღამოსაც ზედ წაეჩეხა თავის სამ გმირს, არცთუ მთლად კეთილად რომ იყვნენ განწყობილნი, მაგრამ ყასუმმა მოახერხა და ამ მუშტი-კრივში გაიმარჯვა, თუმცაღა ცოტაოდენ თვითონაც დაშავდა კია. დიახ, ეს სწორედ ის ყასუმი გახლდათ, დაუდეგარი ყასუმი, ვისაც ქალაქში „ნომერი პირველი რაზმელი“ უწოდეს, ვინც მზად იყო თავი შეერგო ყოველგვარ ქარცეცხლში, ვისაც ყველგან ნახავდით, ოღონდაც იოლად ვერ მოიხელთებდით რედაქციაში და ვისაც მილიციის უფროსზე არანაკლები სახელი ჰქონდა გავარდნილი მოქალაქეებში. განა შეეძლო ასეთ კაცს გულმშვიდად ყოფილიყო, როცა შესაძლებლობა ეძლეოდა მთელ ქვეყანაზე გაეთქვა სახელი, პირველს ჩაეწერა თოვლის ადამიანის ნალაპარაკები, გადაეღო მისი სურათი და, რაც დედამიწის ზურგზე მოსახლეა, ყველასთვის ეჩვენებინა. ყასუმი ისე აჩქარდა, რედაქციისთვისაც კი არ უცნობებია, თუ საით მიეშურებოდა, მაინცდამაინც არც უნდოდა ეს ამბავი ყველას შეეტყო. ყასუმს თავისი ხერხი ჰქონდა: ცოტა ილაქლაქე, საქმე კი მეტი გააკეთეო! დაწერს წერილს და ფოტოსურათებთან ერთად მაგიდაზე დაუდებს რედაქტორს — მორჩა და გათავდა! ხოლო მისი სახელი თავისთავად ყველას პირზე დაეკერება, როგორც კი გაზეთებში დაიბეჭდება მისი ნარკვევი.

ყასუმი თბილად გამოეწყო: ციტრუსოვან სამხრეთში ხომ არ მიემგზავრებოდა, — დიულთი-დაღას მარადიული თოვლისკენ ედო გზა. გზა კარგად იცოდა: მისი მშობლებიც იქაურები იყვნენ და თვითონაც ბევრჯერ სწვევია შუბურუმს სარედაქციო საქმეების გამო. ერთხელ რედაქტორმა დაავალა შეემოწმებინა შუბურუმიდან მოსული ერთი წერილი. რამდენჯერ უცინებია თანამშრომლები ამ შემთხვევაზე. მაშინ შუბურუმის გოდეკანზე შეხვდა ყარა-ხართუმს და უთხრა:

— სწორედ შენთან მოვდიოდი.

— ჩემთან? — გაუკვირდა ყარა-ხართუმს. მასთან ხომ თავის დღეში არავინ ჩამოსულა ქალაქიდან.

— დიახ, რედაქციაში წერილი შემოვიდა შენზე.

— წერილი?

— დიახ.

— გესმით, ხალხო? ჩემზე წერილი გაუგზავნიათ რედაქციაში. რა ხალხია! განა ისეთი რა ვქენი, რომ ჩემზე მიეწერათ? ალბათ იმას გწერენ, ახალგაზრდა ქალი რომ შევირთე, ჰა? არა, ერთი მითხარი, ვის არ უყვარს ახალგაზრდა ქალი? თუგინდ ამ ჩვენს ალი-ხოჯას ჰკითხე, შეირთავდა თუ არა ჩვენს ლამაზ აიშათს, ცოლობაზე რომ დათანხმდებოდა, ჰა?

— შევირთავდი, მაშ რას ვიზამდი?! — წამოიძახა ალი-ხოჯამ.

— მე კი ხანშიშესულ ქვრივსაც არ დავიწუნებდი, — ნაღვლიანად ჩაურთო მაშინ კუზიანმა დალაქმა.

— გესმის, მეგაზეთევ, ხალხი რას ამბობს? ჰა?

— კი, მაგრამ მაგაზე არ მოუწერიათ.

— მაშ რა მოგწერეს? საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებსო? მე ხომ მონადირე ვარ, მიწის ჩიჩქნისა არაფერი ვიცი.

— არა, არც ეგ მოუწერიათ.

— ჰოო, ახლა ვხვდები! უთუოდ იმას გწერენ, ტყე რომ გავჩეხე, როცა სახლს ვამთავრებდი, ხომ? აბა ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ უბრალო რამეზე რედაქციას მისწერდნენ? არა, შენ ის მითხარი, ვინ მოგწერათ ეგ შარიანი საჩივარი?

— არა, არა, არც ეგ მოუწერიათ, ძვირფასო ყარა-ხართუმ! — უთხრა მაშინ ყასუმმა.

— მაშ სხვა რაზე უნდა მოეწერათ, ვერაფრით ვერ გავიხსენე.

— დაიცა, — ჩაერია ალი-ხოჯა, — იქნება ის მისწერეს, მთის კაკბის ნაცვლად მეზობლის დედალს რომ ესროლე?

— ეგ ხომ შემთხვევის ამბავია! — მიუგო ყარა-ხართუმმა. — თუმცა ეშმაკმა იცის მათი თავი და ტანი. ჩვენს განათლებულ საუკუნეში, ქაღალდის საუკუნეში, ყველაფერია მოსალოდნელი; ქაღალდი ყველაფერს აიტანს. მაშ ქათამზე მოგწერეს, ხომ?

— არა, — უთხრა ყასუმმა, — ქათამზე არ მოუწერიათ. ამბობენ, იმ კვირას სამი მგელი მოჰკლაო. მართალია?

— ჰო. მერე რა, ურიგო საქმეა? სამი მგელი მოვკალი. ცუდი რა არის? რა ხალხია, რა ხალხი! რაც უფრო მეტს სწავლობენ, მით უფრო სულელდებიან. ყველა ნასწავლი გახდა. მერე რაღა იქნება? წინათ ხალხი სასიყვარულო სიტყვებსაც კი ვერ პოულობდა. ახლა კი, ა, ბატონო, წერე ქაღალდზე, გადაეცი ბარათები ქალიშვილს. ფუჰ! წახდა ქვეყანა, აქაოდა, ქაღალდი არ წითლდებაო! დიახ, სამი მგელი მოვკალი და ტყავი ჩავაბარე, სადაც წესია, საზღაურიც მივიღე — იმდენი, რამდენიც მეკუთვნოდა, და არც ერთი კაპიკი ზედმეტი, გაიგე?

— დიახ, გავიგე! — მიუგო ყასუმმა და გაეცინა.

— რა გაცინებს?

— არაფერი, ისე გამეცინა.

აი მაშინ გაიცნო ყასუმმა კოლმეურნეობის მონადირე ყარა-ხართუმი, ვისზეც გაზეთში დაწერა რამდენიმე კეთილი სიტყვა, — დახეთ, საზოგადო საქონელს სამი მტერი მოაშორაო.

ყასუმმა გზად შემხვედრი მანქანებით ააღწია უღელტეხილამდე, მერე კი ფეხით იარა. კარგი დღე არ დაადგა კორესპონდენტს: მთის ბილიკები და გზები თოვლს დაეფარა, ზოგან ოთხზე მოუხდა გავლა, ზოგან — ხოხვით. კიდევ კარგი, ალპინისტის ნალიანი ფეხსაცმელი ეცვა. კურდღლის ბეწვის ყურებიანი ქუდი და დათვის ქურქი საიმედოდ იფარავდა სიცივისაგან. რაც უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა ყასუმი, მით უფრო მძვინვარებდა ყინვა. უბეში კორესპონდენტს დამალული ჰქონდა საიმედო მეგობარი — ფოტოაპარატი „ფედი“. ამ აპარატით უნდა გადაეღო თოვლის ადამიანი.

როცა ჩამავალი მზე მთის მწვერვალებს შეეხო, ყასუმი უკვე შაითან-უღელტეხილზე იყო. მცირე ხნით სული მოითქვა სწორედ იმ ქარვასლასავით შენობაში, სადაც ჩვეულებრივ გზის მუშები ისვენებდნენ ხოლმე. ჩამოღამდა, როცა ყასუმმა შუბურუმის მბეჟუტავ სინათლეებს მოჰკრა თვალი.

უწინარეს ყოვლისა, ღამის გასათევი უნდა ეშოვნა. ყასუმმა გვერდით ჩაუარა აულის განაპირას, გზის პირზე ახალგათხრილ სამარეს, ზედ ქვის ძეგლი რომ იყო აღმართული, და პირველსავე ქოხს მიუკაკუნა. არავინ გაეხმიანა. მიუკაკუნა მეორეს — იქაც მდუმარება სუფევდა. ვერც მესამე ქოხში გააგონა ვინმეს. „რა ამბავია?! — შეშინდა ყასუმი. — ნუთუ ხალხმა ერთბაშად მიატოვა აული? ნუთუ არავინ გამიღებს კარს? მაგრამ თუკი ყველანი აიყარნენ, კარი რატომღა ჩაურაზავთ?“ შეშფოთებული ყასუმი ნელა მიაბიჯებდა ვიწრო შუკებში...

განა შეეძლო აიშათს არ ეწამა მამისა, ვისაც აგერ ოცი წელია შუბურუმელები ანდობენ სოფსაბჭოს ხელმძღვანელობას? მამამ კი თავისი თვალით ნახა ქაფთარი, მართალია, შორიდან, მაგრამ მაინც ხომ ნახა. მთიელები ამბობენ: რასაც თვალით იხილავ — ნამდვილია, რასაც ყურს მოკრავ — ტყუილიო. ახალგაზრდა ქალი ერთბაშად შიშმა აიტანა. აიშათი სწრაფად წამოხტა ტახტიდან და კარი ჩარაზა. კარს გამოშორებული არ იყო, რომ ვიღაცამ ნელა დააკაკუნა. აიშათმა მყის თვალი მოავლო ოთახს და მამისეული ხანჯალი ჩამოიღო კედლიდან. კაკუნი განმეორდა, კარს უკან გაისმა ჩუმი ხმა:

— გამიღე, მე ვარ.

— ვინ შენ?

— მე ვარ, ჰამზათი.

— არა, არა, ეგ შენი ხმა არ არის.

— მაშ ვისია?

— თუ მართლა ჰამზათი, ხარ, მითხარი...

— რა გითხრა?

— მითხარი... მითხარი, პიროუტყვს ემართება თუ არა ჰიპერტონია?

— არა.

— მართლა შენა ხარ, ჰამზათ?

— ჰო, მე ვარ. გამიღე.

— რა გინდა, რას აკაკუნებ? ხომ იცი, რომ მარტოკა ვარ?

— სხვა არც არავინ მესაჭიროება. მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა.

— მითხარი, გისმენ.

— გამიღე-მეთქი, აიშათ.

— არა, მარტოკა ვარ.

— რაღაც ძალიან, ძალიან დიდი ამბავი უნდა გითხრა.

აიშათს სულმა წასძლია. ჰოი, რამდენი ქალი დაუღუპავს ცნობისმოყვარეობას და კვლავაც რამდენს დაღუპავს!

ჰამზათი შემოვიდა, კარი მიხურა და ქალიშვილი შეათვალიერა. უცნაური ეჩვენა აიშათს მისი გამოხედვა.

— აბა, რისი თქმა გინდოდა? — ჰკითხა მან და ოთახის სიღრმისკენ დაიწია.

— ეგ ხანჯალი რად გინდა?

— რა შენი საქმეა...

— არა, ისე...

— ჩქარა მითხარი! სადაცაა ხალხი დაბრუნდება. რას იფიქრებენ, მარტო რომ გვნახონ!

— კარგა ხანია ვეძებდი შემთხვევას, რომ შენთან მარტო დავრჩენილიყავ, აიშათ...

— რა გინდა?

— მიყვარხარ, აიშათ, — წარმოთქვა ჰამზათმა და ქალს მიუახლოვდა.

— არა, არა, ეგ არ მითხრა.

— გეუბნები და კვლავაც გეტყვი. კმარა! დიდხანს ვითმინე.

ჰამზათმა ქალიშვილს მოხვევნა დაუპირა, მაგრამ აიშათმა ხანჯალი გულზე მიაბჯინა.

— არ გაბედო, ჰამზათ! ჭკუას მოუხმე! გასწი, ახლავე გამეცალე!

— არა, აიშათ, არ წავალ.

— სადაცაა მამაჩემი დაბრუნდება.

— დაბრუნდეს. დაე ყველამ იცოდეს, რომ ჩემი ხარ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი!

— მე რომ არ მიყვარხარ.

— არა უშავს, შემიყვარებ! — და ჰამზათმა მარჯვედ დასტაცა ხელი ქალიშვილის ხელს, გადაუგრიხა და ხანჯალი გააგდებინა.

— არამზადა, გარეწარო, პირუტყვო! ხომ არ გაგიჟდი, რას სჩადიხარ? გამეცალე! წადი! ძალით თავს ვერ შემაყვარებ.

— შეგიყვარდები!

— მხეცო! მიშველეთ!

სწორედ ამ დროს შემოაღო კარი თოვლით დაფიფქულმა ყასუმმა. მან კიდევ რამდენიმე სახლს მიუკაკუნა, მაგრამ ვერსად ვერავის გააგონა, აქ კი ლაპარაკი შეესმა და შემოვიდა.

— გიცან შენ, სასწაულების მხარევ! — წამოიძახა ყასუმმა.

ახლა როცა მხსნელი მოევლინა, აიშათს უცებ გული შეუწუხდა და ჰამზათს ხელებზე გადაესვენა. ჰამზათი დაფრთხა, მიტკლისფერი დაედო პირსახეზე.

— აიშათ, აიშათ! რა მოგივიდა? — ლუღლუღებდა დაბნეული ჰამზათი.

— ჰეი, რა ამბავია? — ყასუმმა ქურქი და ქუდი კუთხეში მიაგდო, რათა ხელი არ შეშლოდა, თუ მოძალადესთან შებმა მოუხდებოდა.

— რომელი ხარ? — თქვა ჰამზათმა. — მომეშველე, ტახტზე დავაწვინოთ, ცუდად შეიქნა.

— მოჰკალი? — მრისხანედ ჩაეკითხა ყასუმი და მიუახლოვდა. ჰამზათმა ახლალა დაინახა უცხო ადამიანი, კარგად შეკერილი ქალაქური კოსტუმი რომ

ეცვა. შიშით ტუჩები აუთრთოლდა: ცხადია, მუხთართან ბარიდან ამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი!

— ეგრე ნუ მელაპარაკები! — მიუგო ჰამზათმა.

— მაშ ხანჯალი რაღას დაგიძვრია?

— ხანჯალი? — ჰამზათმა მიიხედა და იატაკზე დაგდებული ხანჯალი დაინახა.

— ჰო! ხანჯალი.

— მოდი, ერთი მომეხმარე, ტახტზე დავაწვინოთ. ხათაბალაა, სადაცაა მამამისიც დაბრუნდება.

ყასუმი მიეშველა.

— თითქმის უსულოდაა. რა უქენი?

— მე... არაფერი. სიმართლეს გეუბნები... — ჰამზათმა კარისკენ დაიხია, მაგრამ ყასუმმა შეაჩერა.

— არა, ძმობილო, ეგრე არ გამოვა! დარჩი და სამსჯავროს დაელოდე.

— არ მომიკლავს. მხოლოდ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი!

— მას უყვარხარ?

— ა-არ ვიცი...

— მაშასადამე, დანაშაული ჩაგიდენია ეჭვიანობის ნიადაგზე. შე ვირისთავო, განა არ იცი, რომ სიტყვას „მიყვარხარ“ სათუთად უნდა მოეკიდო? მე თუ მკითხავ, არც უნდა თქვა ეგ სიტყვა: სიყვარულს უსიტყვოდაც უნდა მიგიხვდნენ!

— აბა რა ვიცოდი, თუ ასე შეწუხდებოდა? მე ახლა... მე...

ჰამზათი ისე უცბად გაშპა, ყასუმმა ველარ მოასწრო მისი შეჩერება.

კორესპონდენტი შუა ოთახში იდგა, საგონებელს მისცემოდა. ახლა რომ ვინმე შემოვიდეს, ხომ იფიქრებს, ყასუმია დამნაშავეო, არადა უპატრონოდ ხომ კერ მიატოვებს ქალიშვილს!

ყასუმი მიუახლოვდა ქალს. ხომ ისედაც ლამაზი იყო აიშათი, მაგრამ ახლა, გულწასული და ფერმიხდილი, უფრო ნაზი და მშვენიერი ჩანდა. მისი სილამაზით გაოგნებულმა ყასუმმა ქალს მაჯაზე მოჰკიდა ხელი და თანაბარი, წყნარი მაჯისცემა იგრძნო.

— სცემს! სცემს, როგორც ოქრომჭედლის პაწია ჩაქუჩი, — გაიხარა ყასუმმა. — არა, საიდან გაჩნდა აქ ასეთი მშვენება? თოვლში მოსული იაა.

მან მონახა წყლიანი თუნგი, პირში წყალი ჩაიგუბა და აიშათს მიასხურა. ასე ნამავდა ხოლმე თავის პერანგსაც გასაუთოებლად.

აიშათმა თვალი გაახილა. ქალი გაოცდა, მერე წამოიწია.

— ვინა ხარ?

— დაწყნარდი. იყუჩე!

ყასუმმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ქალიშვილმა უკან დაიხია.

— არ მომეკარო, უცნობო.

— სადაური უცნობი მე ვარ! რამდენჯერ შეგხვედრივარ. დიდი ხანია უკვე გიცნობ. წყნარად იწექი.

— არ შეიძლება მიცნობდე, იმიტომ რომ მე არ გიცნობ.

— მერე რა! მაგალითად, ქალაქში გნახე, აქაც, ამას წინათ რომ ჩამოვედი... კიდევ სიზმრად. რა განსხვავებაა?

— ქალაქში? აქ საიდანღა გაჩნდი?

— ჩამოვედი.
— წადით, წადით აქედან.
— მადლიერებაც ამას ჰქვია! გიხსენით და...
— ვისგან მიხსენი?
— იმ არამზადისგან.
— რა იქნა?
— სამწუხაროდ, გაიქცა.
— თქვენც წადით. არ მინდა, უცნობთან რომ მომისწრონ.
— არ წავალ! წასასვლელიც არსადა მაქვს.
ყასუმი სკამზე ჩამოჯდა.
— მაშ მე წავალ! — მიუგო აიშათმა და თხელი კაბის ამარა კარისკენ გა-ემართა.
— კარგი, კარგი, წავალ! — წამოდგა ყასუმი. — იფ-იფ, რა სტუმართმოყვარე ყოფილან აქაურები!
დათვის ქურქი ჩაიცვა, ყურებიანი ქუდი ჩამოიფხატა და გავიდა. გარეთ გა-სულს მოესმა, როგორ გადარაზეს შიგნიდან კარი.
მეჩეთში კი ეს რამდენიმე საათი გააფთრებული დავა-კამათი იყო. ამჯერად შუბურუმელებს არაფრის გაგონება არ უნდოდათ, ყველა ერთხმად გაჰყვიროდა: დაუყოვნებლივ, ახლავე ბარში გადავსახლდეთო, აღარ შეგვიძლია ასეთ შიშში ყოფნა, როცა ქაფთარები ფანჯრებთან დადიან და ადამიანებს თავს ესხმიანო. რო-გორ თუ „ვის დაესხნენ?“ მაშ ცალთვალა რაჯაბი ადამიანი არ ყოფილა, ჰა? იმ წყეული ქაფთარის გამო ხალხს აღარც თამბაქო აქვს, საცაა შაქარიც გამო-ელევათ და ნავთიც... არა, ბატონო, კმარა! ახლა მათ მამა-პაპათა წმინდა სამარ-ხებიც აღარ ენაღვლებათ.
— სად უნდა გადასახლდეთ? — ხელები გაშალა ჩამსულამ.
— აი იმ სოფელში, შემოდგომაზე რომ გვეუბნებოდით.
— კაი დროისაა, — მიუგო მუხთარმა. — იქ უკვე სხვები დასახლდნენ.
— იქ ნუ იქნება, სადმე სხვაგან იყოს...
— როგორ უნდა გადასახლდეთ .ცარიელ ადგილას, სადაც არც ბინებია, არც სახელდახელო ღუმელები და სითბო. უფიქრდებით განა? თანაც ამ ზამთარში და ყინვაში. ბავშვები გყავთ, მოხუცები.
— სულ ერთია! — გაიძახოდა ხალხი. — არ გვინდა ამ ალაჰისგან დაწყევლილ კლდეებში დარჩენა!
— მანამდე რამდენჯერ თქვით უარი? — ჩაერია ჩამსულა. — უნდა გადავსახ-ლდეთ, სწორია. მაგრამ ჰაიჰარად გადასახლება არ შეიძლება. თქვენ კი გაჰყვი-რით: ხვალვეო! გრცხვენოდეთ, ჭკვიანი ხალხი ხართ. აბა სად უნდა წახვიდეთ? კარგად დაფიქრდით, ხომ დაგვცინეს: ქაფთარს გამოექცნენო! თავი მოგვეჭ-რება!
კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გასტანდა დავა, მეჩეთში რომ არ შემოვარდნი-ლიყო აქოშინებული და ფერმიხდილი რაჯაბი.
— უბედურებაა, უბედურებაა, თავმჯდომარევ! — იღრიალა მან, როგორც კი სული მოითქვა.
— რა უბედურება?!
— აკი გეუბნებოდით! აკი გაფრთხილებდით! აკი ვგრძნობდი! მაგრამ ვინ მა-თხოვა ყური.

— რა მოხდა, ადამიანო? ხეირიანად თქვი! — ჩამსულამ მკერდში ხელი ჩაავლო რაჯაბს და შეანჯღრია.

— ახლა გინდა მითქვამს, გინდა არა, როცა ყველაფერი დაიღუპა. აკი გაფრთხილებდით! განა ერთხელ და ორჯერ გამიფრთხილებიხართ!

— ნუ ლაყბობ! თქვი, რა ამბავია?

— აკი გაფრთხილებდით...

— ჰო, კარგი კარგი, ვთქვათ, გვეუბნებოდი.

— „ვთქვათ" კი არა, ნამდვილად.

— სული ნუ ამოგვართვი...

— ის აქაა, — რაჯაბმა გასასვლელისკენ გაიშვირა ხელი.

— ვინ?

— ვინ და ის შაითანი ქაფთარი!

— სადაა?

— ცეცხლი წაუკიდა ჩემს კანტორას. როგორც კი თვალი მოვკარი წითელ მამალს...

— რა მამალს?!

— რასა და ცეცხლს, კვამლს, მაშინვე გულ-მუცელი ამეწვა. მივრბივარ, ვხედავ, ჩაცუცქულა ჩემი საბუთებისგან აგიზგიზებულ კოცონთან — იქაა ბარათები, უწყისები, სიები, — თბება და ხარხარებს. რა მეშველება ახლა, ჰა? აქტია საჭირო! აქტი უნდა შევადგინოთ!

— დასწყევლოს ღმერთმა! ეს რა ხდება! — დაიძახა ჩამსულამ და გარეთ გავარდა. არც მუხთარი ჩამორჩა. მათ მიჰყვა ყველა, ვინც კი ვაჟკაცის სახელის ღირსი იყო შუბურუმში. მთით მომსკდარი ნაკადივით გაქანდა ხალხი კოლმეურნეობის საწყობისკენ, ყვიროდნენ, იგინებოდნენ, მზად იყვნენ ცარიელი ხელებით შეეპყროთ თოვლის ადამიანი, გაეკოჭათ, ჯაჭვით დაებათ.

თუმცა ყველა როდი იყო გაცეცხლებული, — ზოგი ჩამოეცალა ხალხის მდინარეს და შინისკენ გაუხვია: რა ძალა მადგას, ამ საქმეში რომ გავერიო. ვინ იცის, რა მოხდება ან თავდასაცავად რას იზამს ის უხილავი არსება, მყინვარებში ცხოვრება რომ შეუძლია. არა, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

საწყობთან დამწვრის სუნი იდგა, ჩალეწილ ფანჯრებიდან კვამლი ბოლქვებად გამოდიოდა, ხოლო შიგნით, ცეცხლმოდებულ საბუთებზე ვიღაც ბუქნაობდა.

— აგე, აგე ქაფთარი! — იღრიალა რაჯაბმა. — დაიჭირეთ! ეგ თავს იქცევს და ერთი მე მკითხეთ?! საბუთები დაიწვა!

ხალხმა უნებურად უკან დაიხია, წამით ჩამსულაც კი შეკრთა და შეყოყმანდა. მაგრამ ამ დროს შემოესმათ იმისი ხმა, ვინც ცეცხლის ჩაქრობას ლამობდა.

— ჰეი, ხალხო! რაღას უყურებთ? ჩქარა წყალი! თქვენი ქონება იწვის!

დიახ, ეს ყასუმი გახლდათ. შუკაში მოდიოდა, როცა ცეცხლი აბრიალდა. ერთი შეხედვით კაცს მართლა ქაფთარი ეგონებოდა — მჭვარტლს სულ ერთიანად გაემურა, ქურქი აბურძგვნოდა, ქუდის ყურები უფრიალებდა.

რა იცინეს, როცა თვალდახელშუა ქაფთარი კორესპონდენტ ყასუმად იქცა; ყასუმს ხომ ყველა იცნობდა! იცინეს, იცინეს, სულ ცრემლები ჰყარეს.

— ესეც შენი ქაფთარი! — იცინოდა ჩამსულა. — არადა მართლა ჰგავს!

— აი ის შენი ქაფთარი, — უთხრა მუხთარმა ცალთვალას. — მაინც ვინ წაუკიდა ცეცხლი კანტორას?

— ქაფთარმა.

— მერე სადაა?

— მამიჩემის წვერებს ვფიცავ, ჩემი თვალით ვნახე. ეტყობა... გაიქცა.

— გაიქცა? — დაცინვით გაიმეორა მუხთარმა.

ერთობლივად შეესივნენ კანტორას და ხანძარი ჩააქრეს.

ამ ამბავზე შუბურუმელებმა ბევრი იცინეს და მაინც, შინისკენ მიმავალნი, ყველანი დაბნეულნი და გულგატეხილნი იყვნენ. ყველას მობზერდა ამ ბოლო დღეების მითქმა-მოთქმა, შიშის ზარი, დაძაბულობა, — არა, ნამდვილად ურიგო არ იქნება, რაც შეიძლება მალე გაეცალონ ამ დაწყევლილ ადგილებს.

ხოჯა-ალი და მისი ბებერი ჯაკი ვირი

ის ღამე ძალზე შფოთიანი ღამე იყო შუბურუმელებისთვის.

ხოჯა-ალი კარგა ხანს ტრიალებდა ლოგინში თავისი ძვალტყავა დედაბრის გვერდით, ვისთანაც აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს. არასოდეს არ სჩვენებია ლოგინი ასეთი ხმელი. ჩაფიქრებული ისვამდა წვერზე ხელს. ბოლოს იდაყვი წაჰკრა ბებია აიბალას და გაუზიარა ის ფიქრი, აგერ ამდენი ხანი რომ არ აძინებდა.

— დედაკაცო! ჰეი, დედაკაცო! გამგზავრება გადავწყვიტე.

ხოჯა-ალი ძველი ყაიდის კაცი გახლავთ, სინაზეს დაჩვეული არაა, ცოლს არ დაეთათბირება. თვითონ გადაწყვეტს რაიმეს და ეს გადაწყვეტილება ოჯახისთვის კანონად მიაჩნია.

— ამ შუაღამისას რა დროს წასვლაა? — უცბად ვერ გამოერკვა ნამძინარევი ბებია აიბალა.

— ახლა კი არა, ხვალ.

— საით აპირებ? ხეობაში მიდიხარ შეშის ამოსატანად? სწორი ხარ, ნეტავი რას ვიყინებით, — მთქნარებით უთხრა ცოლმა.

— შენი დღე და მოსწრება მიუხვედრელი იყავ და არც სიბერეში მოგმატებია ჭკუა. გაიგე, გადავწყვიტე სულ, სამუდამოდ მივატოვო აული. მეზობლები რა ხანია გაემგზავრნენ, ჩვენ კი რატომღაც ვყრივართ ამ მიყრუებულ ადგილას...

— აკი შენ თვითონ გაიძახოდი, ნუ წავალთო. რა სიტყვებით დალანძღე ყველა, ვინც წასვლა დააპირა!

— ახლა კი წასვლა გადავწყვიტე. შენ რაო, იქნებ წინააღმდეგი ხარ?

— მოგცლია ერთი შენც, დაიძინე. ეტყობა, გაწყინა შვილიშვილის გამოწერილმა წამალმა. დაიძინე და მეც მაცალე ძილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ აქამდე ბებია აიბალა სულ ერთთავად ჩასჩიჩინებდა ქმარს: გონს მოდი, ბერიკაცო, ჩვენც წავიდეთო. ხოჯა-ალის კი **არაფრის** გაგონება არ სურდა. ცოლი რომ მორჩილად დათანხმებოდა, იქნებ ახლაც გადაეფიქრებინა; მაგრამ რაკი ცოლი შეესიტყვა, ხოჯა-ალი თავისას არ დაიშლის. ასეთი ხასიათი აქვს, არაფრის გულისთვის არ დაეთანხმება სხვის აზრს.

— ჰეი, გესმის, დედაკაცო, ასე გადავწყვიტე, მორჩა და გათავდა! — ხოჯა-ალი ისე გაცეცხლდა, წამოჯდა კიდეც საწოლზე.

— დიდი ამბავი მომხდარა, გადაწყვიტა! შენ გარდა კიდევ არის ხალხი, შენი შვილიშვილი, შენი ქალიშვილი, სიძე, მე. ჩვენ კი ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

— რას ბრძანებ, შენ არ გადაგიწყვეტია?!

— ჰო.

— ჰეი, არ გაბედო ხმის ამაღლება, სანამ სული მიდგას! შენ გეუბნები.

— ორმოცდათი წელია ხმა არ ამიმაღლებია. მეყოფა! თავი მომაბეზრა შენმა სისულელეებმა. დაიძინე-მეთქი, გეუბნები.

— აჰ, ძილი გნებავს! აბა ადექი ახლავე და ჩაალაგე შენი სკივრი. — ახლა კი მართლა გაცეცხლდა ხოჯა-ალი, წამოხტა და ცოლს საბანი გადააძრო.

— გადაირიე თუ რა მოგივიდა?

— იქნებ გადავირიე. ადექი, თორემ, მოგეცა ლხენა, აგიჭრელებ რბილ ადგილს ძველებურად.

— მაგისი რა მოგახსენო, რბილი ადგილი აღარ გახლავს, — მიუგო ბებია აიბალამ. — მარტო ძვლებიღა შემრჩა შენს ხელში!

— იქნება ნანობ კიდეც, ჰა?

— მაშ რა გგონია, ისეთი საქმრო დავკარგე. შევარდენი ყვავ-ყვანჩალას ვანაცვალე.

— მაშ შენთვის ალი-ხოჯა შევარდენი ყოფილა და მე კიდევ ყვავ-ყვანჩალა, ხომ?

— ნუ დამჩხავი! დამაცა გავიხსენო.

— გაიხსენო? ნეტავი რას იხსენებ, დედაბერო? აბა ერთი ბრძანე?!

— ჩემი სიცოცხლის ყველაზე ნეტარ საათს, მერე მთელი სიცოცხლე რომ მესიზმრებოდა — ტყის პირას ალი-ხოჯა რომ მკოცნიდა.

— რაო-ო?! აბა გაიმეორე! გკოცნიდა?

— ჰო. შენამდე.

— მაშ მისი კოცნა გირჩევნია ჩემთან გატარებულ მთელ სიცოცხლეს?

— მირჩევნია.

— მამა გიცხონდა! გინდა გამაბრაზო, რომ მეც ის სიტყვები გითხრა, რაც ჰაჯი-ბექირმა თქვა. ვერ მოგართვეს! მაგრამ იმ გაწრიპულ ალი-ხოჯას კი ვაჩვენებ, როგორ უნდა ჰკოცნოს ჩემს ცოლს.

— მაშინ შენი ცოლი არ ვიყავი.

— ჰაი, შე უკბილო კახპავ!

— ნუ ღრიალებ, წვერცანცარავ!

— მე შენ გაჩვენებ წვერცანცარას! მე შენ გაჩვენებ სეირს! ამ კავზე ქამარი ეკიდა, რა იქნა?

— ეკიდა ორმოცი წლის უკან.

— ადე, ბარგი ჩაალაგე!

— წაბრძანდი, მე აქ ვრჩები, — უთხრა ბებია აიბალამ და საბანი წაიხურა.

— ვფიცავ, არ დარჩები! გინდა ალი-ხოჯასთან ერთად გაიხსენო ტყის პირი, ხომ? ვერ მოგართვეს, ჩემთან წამოხვალ. ცალ ფეხსაცმელს წამოიცვამ ორივე ფეხზე და წამოხვალ! — ხოჯა-ალიმ ხელი დაავლო ცოლს, რომ ლოგინიდან წამოეგდო, მაგრამ წაიქცა.

— ეჰ, ჯანი გამოგლევია, ბერიკაცო.

— მე შენ გიჩვენებ ჯანს!

— კარგი, მე თვითონ ავდგები, რაკი ეგრეა, — და ბებია აიბალა წამოდგა. — შენი თავმჯდომარე სიძე გიშვებს?

— ეგლა მაკლია, იმას შევეკითხო.

— უჰ, რა ცივა. შეშაც აღარა გვაქვს. ღმერთმანი, მართალი ხარ: სჯობს იქ გავემგზავროთ, სადაც უფრო თბილა.

— ხომ ხედავ! მე ხომ გადავწყვიტე.

— სწორადაც გადაწყვიტე: რა ხანია მინდოდა სადმე სხვაგან მეცხოვრა. რაკი მივდივართ, წავიდეთ. ჩაალაგე ბარგი!

ბებია აიბალა დატრიალდა, გამოათრია ხის ძველი სკივრები, ხარბუკული ბოქლომები რომ ედო. ხოჯა-ალი შეფიქრიანდა. დაიცა, რას დაპროწიალდა და ალაგებს ბარგს, გეგონება, დღემუდამ ამას ნატრობდაო? ხომ არ გააცუცურაკა დედაბერმა?! არა, ამას კი ვერ დაუშვებს, რომ ცოლმა გაასულელოს!

— საქონელს რა ვუყოთ? — ჰკითხა მან.

— ვინმეს მივყიდოთ ან ქალიშვილს დავუტოვოთ, — უდარდელად მიუგო ცოლმა.

— სახლიც გავერანდება მოუვლელობით.

— გავერანდეს რა!

— ჰო, შენ რა გენაღვლება, ოღონდ კი წახვიდე! — იყვირა ხოჯა-ალიმ. — არა, მე ვერ გამასულელებ! ოჯახს არ მივატოვებ. ჩააქრე შუქი და დაიძინე.

— ვაჰჰაბაი, ვაჰჰაბაი! რა კაცია, ჰა? — ხელები გაასავსავა ბებია აიბალამ. — ხომ შეირცხვინე ფაფახი, ვაჟკაცი თავისი სიტყვის პატრონი უნდა იყოს.

— სიტყვა მე ვთქვი და მევე გადავთქვი. მორჩა! ვხედავ, როგორც გაიხარე. ძაღლს ძვალს რომ გაუწოდებ, ხელსაც წაგაჭამს.

ბებია აიბალამ სკივრში იპოვნა ის კაბა, ამ ორმოცდაათი წლის უკან რომ ეცვა და გულზე ვერცხლისფულებიანი შიბი ეკიდა. ველარ მოითმინა, ჩაიცვა, წელში გაიმართა და ღიმილით უთხრა:

— შემომხედე!

— საქორწინო კაბაც რომ ჩაიცვა, ჩემს სიტყვას აღარ გადავთქვამ!

— გახსოვს, ეს კაბა რომ მეცვა, რას ვაგიჟებდი შუბურუმელ ბიჭებს?

— მაგაში კი მარჯვე იყავი. მელიის კუდივით იკვანწებოდი, თვალებს ატრიალებდი, ძუძუებს გამობრექდი და ვითომ უცაბედად ზედ ხელებს ჩამოისვამდი. ოჰ, რა ტუტუცი იყავი! რა გაცინებს?

ბებია აიბალა მოგონებებს ულიმოდა.

— ეს კაბა მეცვა, — თქვა ჩურჩულით, — ტყის პირას რომ ვიყავი...

— ალი-ხოჯა რომ გკოცნიდა? ხომ?!

ბებია აიბალამ თავი დაუქნია.

— ჰო. როგორ შემომხვია თავისი ტორები, — ჩაიფხუკუნა და სახელო აიფარა სახეზე.

— ჰეი, დედაკაცო! კიდევ ერთი სიტყვა და შენთვის საფლავის გათხრა მომიწევს, — იღრიალა ხოჯა-ალიმ და წამოხტა. — არ მსურს მაგ წყეული კაბის ცქერა!

და ისე მოჰქაჩა შიბს, რომ ვერცხლის ფულები წკრიალით მოეფინა მთელ ოთახს.

— ახლავე წავალთ! — ყვიროდა მოხუცი. — მეც არა ვთქვი, რაშია საქმე, მაშინ უფრო გემრიელ ხინკალს რომ ამზადებს, როცა სტუმრად ალი-ხოჯა მოდისმეთქი. ერთი დღეც არ დავრჩები აულში, სადაც ის ძაღლისშვილი ცხოვრობს!

— მიდი ერთი, პირში უთხარი!

— ვეტყვი კიდევაც! მეშინია თუ? ჩაალაგე!

— არა, კმარა მაიმუნობა.

— რა ამბავში ხარ? დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?

— მარტოკა წაბრძანდი. დამაცა, გაგიხსენებ, რანაირად უნდა მიფანტ-მომიფანტო ჩემი მოგონებები, — ამბობდა ბებია აიბალა, თან დაბნეულ ფულებს აგროვებდა.

— ამევსო მოთმინების ფიალა! არა, შენ მას ვეღარ იხილავ. ჩაალაგე.

ხოჯა-ალი თვითონ ჩურთავდა ტანსაცმელს სკივრში, ჩემოდნებში. მალე ბებია აიბალაც წაეხმარა, ბოხჩები გამოკრეს... ამასობაში იჭიატა კიდეც, ეზოში ძროხა აბღავლდა.

დაღვრემით შეავლო თვალი ხოჯა-ალიმ თავის ავლა-დიდებას.

— სულ ესაა ყველაფერი?

— რა ყველაფერი?

— არ ვიცოდი, ასე ღარიბად თუ ვცხოვრობდით! სიცოცხლე კი ხელში ჩაგველია.

— ახლა შეამჩნიე? — მწარედ ჩაეცინა ბებია აიბალას.

— ავეჯიც არაფერი გვქონია. კეთილი, წამოდი სოფსაბჭოში. საპალნის ცხენი მაინც თხოვე.

— აკი ამბობდი, სიძეს არ მივაკითხავო.

— მარტო ჩემი სიძე ხომ არაა საბჭოთა ხელისუფლება. სხვებიც არიან ღირსეული ადამიანები. წამოდი.

— მე რატომღა წამოვიდე?

— შენ ქალი ხარ. ცოტას წაუტირებ და ხათრს გაგიწევენ. ახლა მამაკაცები აღარაფრად მიაჩნიათ, ქალმა კი ერთი ცრემლი რომ გადმოაგდოს, ყველაფერს შეუსრულებენ. გვიან მივხვდი, რომ ქალებისაა ახლა ხელისუფლება. წამოდი.

ჭიშკარს რომ მიადგნენ, ხოჯა-ალი შეყოვნდა: არ უნდოდა სოფსაბჭოში იმ გზით წასულიყო, ალი-ხოჯას ქოხთან რომ გადიოდა.

— აქეთ წამოდი, — უთხრა ხოჯა-ალიმ და საპირისპირო მხარეს წავიდა.

— სოფსაბჭოს მანდ რა უნდა!

— შენ არავინ გეკითხება, მომყევი, მე უკეთ ვიცი, საითაა სოფსაბჭო.

— ის ალთასაა, ეს კი ბალთას! სულ ეგრე იცის ხოლმე! — წაიბურტყუნა ბებია აიბალამ, მაგრამ მაინც მიჰყვა ქმარს.

ის-ის იყო ჩავიდნენ სოფსაბჭოს მოედანზე, სადაც ძველად შუბურუმელები კალოს შლიდნენ, ახლა კი საქორწინო ლხინს მართავენ ხოლმე, რომ გზად ალი-ხოჯა შემოხვდათ. ალი-ხოჯას მოჰქონდა წერაქვი და ერთი ტომარა კარტოფილი, წყაროს შორიახლოს თოვლქვეშ, ორმოში რომ ჰქონოდა შენახული.

ხოჯა-ალი განზე გახტა, თითქოს თოვლის ავაზა შეფეთებოდეს.

— უკვე ამდგარხართ? — გაუკვირდა ალი-ხოჯას.

— რა ჭკვიანური კითხვა იცი! — გაგულისებით მიუგო ხოჯა-ალიმ. — მაშ აქ რანაირად ვიქნებოდით?

— ეგეც მართალია. რამ გაგაჯავრა? რა მოუვიდა შენს ქმარს? — ჰკითხა ალი-ხოჯამ ბებია აიბალას.

— აულიდან გაქცევას აპირებს.

— რას ამბობ! — გაშტერდა ალი-ხოჯა. — ჭეშმარიტად ყველაფერი გადატრიალდა ამქვეყნად. თუმცა რაღა გამაკვირვებს, როცა ჩემი თვალით ვნახე, უკრუხოდ წიწილებს რომ ჩეკავდნენ. ახლა ხომ შენცა ნახავ, ხოჯა-ალი.

— იქნებ გგონია, იმ შენი წიწილების გულისთვის ვტოვებ აულს?

— მაშ რისთვის?

— შენი გულისთვის, შე მამაძაღლო!

— ეს უკვე სხვა ამბავია. ტომარა უნდა ჩამოვიღო. — და ალი-ხოჯამ გზისპირა ქვაზე ჩამოსდო ტომარა. — შენ ის მითხარი, წერაქვი მოგცე თუ ყოველი შემთხვევისთვის მე დავიტოვო?

— ნუ იცინი! გზა მომეცი! — განზე გასწია იგი ხოჯა-ალიმ და გზა განაგრძო.

— ნამდვილად ვირის რძე დაგილევინებია, აიბალა! — წაილაპარაკა ალი-ხოჯამ.

— ტყის პირი გავახსენე, — წასჩურჩულა ბებია აიბალამ, როცა გვერდით ჩაუარა.

— ჰა-ჰა-ჰა! ნაკვერჩხალი ჩაგიყრია უბეში და ეგ არის! — გადაიხარხარა ალი-ხოჯამ. — მეც არა ვთქვი, წვერი რად უცანცარებს-მეთქი!

ეს ხარხარი ხოჯა-ალისთვის ალესილ დანაზე უარესი იყო; თითქმის სირბილით დაბრუნდა თავის დედაბერთან, მკლავში ჩაავლო ხელი და ისე წააჩანჩალა, როგორც თოკგამობმული თხა. ასე ხელჩაკიდებული მიათრია სოფსაბჭომდე. იქ თვითონ კიბესთან დარჩა, ცოლს კი უბრძანა შესულიყო და ხვეწნა მუდარით როგორმე დაეცანცლა წყვილი საპალნე ცხენი.

სოფსაბჭოში კი ცხარედ დაობდნენ მუხთარი და აიშათი. ცოტა მოშორებით მერხზე ყასუმი იჯდა და ჩარევა ვერ გაებედნა; რატომღაც თავის ქერქში ვერ იყო.

აიშათი ღელავდა, შინ გაპარული ავადმყოფები მოენახულებინა: ისინი უარესად გამხდარიყვნენ, მაგრამ სამივეს მაინც სასტიკი უარი განეცხადებინა, საავადმყოფოში არ დავბრუნდებითო. „ცოლ-შვილს ვერ მივატოვებთ!“ — პასუხობდნენ თურმე ექიმის ყოველნაირ დარიგებასა და მუქარაზეც კი. ახლა აიშათი მოითხოვდა, რომ სოფსაბჭოს ძალა ეხმარა და ავადმყოფები იძულებით დაებრუნებინა. მუხთარი კი მხოლოდ ხელებს ასავსავებდა და ეუბნებოდა:

— მე რა შემიძლია, აბა, რა შემიძლია? მითხარი, რითი უნდა დავაშინო, რომ დაბრუნდნენ? ხალხი თავზარდაცემულია. მათ ქაფთარისა ეშინიათ და არა მუხთარისა. არ მიჯერებენ, ეგეც არ იყოს, სოფსაბჭოს უმაგისოდაც ბევრი საქმე აქვს.

— უნდა დააბრუნო, — არ ეშვებოდა აიშათი. — ქოხი ვერ გაუთბიათ, სიცივეში კი ავადმყოფები შეიძლება დაიხოცონ.

— თუკი სიკვდილი მოსდომებიათ, მე რა შემიძლია? ახლა ჯოხითაც ვერ გამორეკავ შინიდან.

— შენ ხომ თავმჯდომარე ხარ! დააჯერე...

— სხვას რას ვაკეთებ?! კმარა. შენ თვითონ მოუარე მაგ საქმეს. მე არაფერი შემიძლია...

— მაშინ ის მოაგვარე, რომ იმ სამს მაინც ჰქონდეს შეშა.

— რანაირად? შეშა ხეობაშია — არავის არ უნდა მოზიდვა. ადექი და შენ თვითონ ამოიტანე.

— შენ სულ მაგას გაიძახი... მე არ მევალება შეშის ამოზიდვა.

— მე კი მევალება თოვლის კაცთან ბრძოლა? ჰა?

— ჰო, გევალება, რაკი გამოგვეცხადა! — აიშათმა შეხედა ყასუმს, რატომღაც შერცხვა, გავიდა და კარი გაიჯახუნა.

— აჰ, შაითან! — წამოიძახა გაგულისებულმა მუხთარმა. — როდის მოვუღებთ ბოლოს ამ ვაი-უშველებელს? ისღა მაკლია, ახლა მაგისი საზრუნავიც მე ვიკისრო.

— კადნიერი კი ყოფილა! — უთხრა ყასუმმა და ახლოს გადმოჯდა. — ვინ არის?

— ჩვენი სოფლის ექიმია.

— ექიმია?

— რა გაგიკვირდა?

— დიპლომიანია?

— რა თქმა უნდა.

— ქალაქში სწავლობდა? — უფრო მეტი გაკვირვება დაეტყო ყასუმს.

— მაშ სად უნდა ესწავლა? იქნებ გგონია, აქ, ამ სიმაღლეზე, სამედიცინო ინსტიტუტი გვაქვს?

— არა მგონია, მაგრამ... მაინც ლამაზი ვიღაც კია, თუმცა...

— რა „თუმცა“?

— უცნაური ვინმეა, — თქვა ყასუმმა; რა იცოდა, აიშათის მამას თუ ელაპარაკებოდა.

— უცნაური რითია?

— ჰო... გუშინ სახლიდან გამომაგდო: არ მინდა, უცნობ კაცთან მარტოკას მომისწრონო.

— განა მართალი არ იყო?

— არ ვიცი. მაგრამ სტუმრის გაგდება სად გაგონილა! ერთი ეს მიბრძანეთ, თავმჯდომარევ, გათხოვილია?

— ვინ?

— აი ის, ახლა რომ წავიდა, სოფლის ექიმი.

— მაინც რატომ დაგაინტერესა აიშათმა? — ჰკითხა ბოლოს მუხთარმა.

ყასუმმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ოთახში ბებია აიბალა შემოვიდა.

მოხუცი ნათესაურად ახლოს მიუჯდა მუხთარს, მოიკითხა, როგორა ხარ, თავს როგორ გრძნობო; მოუბოდიშა, საქმის ხალხს უბრალო რამისთვის გაწუხებთო, და საპალნის ცხენი სთხოვა (ორი ცხენის თხოვნა ველარ გაუბედა). „რად გინდა?“ — გაუკვირდა მუხთარს, ხოლო როცა შეიტყო, ხოჯა-ალის აულიდან გაქცევა გადაუწყვეტიაო, სულ ცოფები ჰყარა. ვერ გასჭრა ვერც ხვეწნა-მუდარამ, ვერც ცრემლმა!

— ჰეი, სიდედრო! — ბრაზით უთხრა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ. — ჩემს სიმამრს უთხარი, ფარა მუდამ ყოჩს მისდევს-თქო; მას თუ გადასახლება უნდა, მთელი აული უკან გაჰყვება, ოღონდ ახლა კი არა, ზაფხულში. მაშინ მეც მივესალმები, სწორად გადაგიწყვეტია-მეთქი. ეს არის ჩემი სიტყვა. მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს.

ხელი რომ არ შეეშალა, ყასუმი სოფსაბჭოდან გამოვიდა, აულში გაიარ-გამოიარა. სოფლის საავადმყოფოსთან კვლავ შეხვდა შეფიქრიანებული აიშათი და, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა არ დაუყოვნა.

— ვაი-ვაი-ვაი, რა მკაცრი თავმჯდომარე გყოლიათ!

— შენ მაგისი რა გაგეგება? — მიუგო აიშათმა.

— მგონი, არ მიწყენინებია შენთვის, ქალიშვილო, აგრე აგდებულად რატომ მელაპარაკები? მაპატიე, წუხელ თუ შეგაშინე.

— მე მშიშარა არა ვარ, — პირი მიიბრუნა აიშათმა, რადგან იგრძნო, რომ წითლდებოდა... უნებურად კი წამოსცდა: — რა ვქნა ახლა მე?!

— რა და ძალიან შეეხვეწე სოფსაბჭოს თავმჯდომარეს.

— არაფერი გამოვა.

— რატომ?

— ვიცი მისი ხასიათი.

— ჰო, მართლაც მაგარი ვიღაცაა, — აიტაცა სიტყვა ყასუმმა. — ვირი არ იქნება ეგრე ჯიუტი.

— რაებს ამბობ? — გაშტერდა აიშათი.

— აკი ჩემი თვალით ვნახე. შენნაირი ქალიშვილი მივიდა სათხოვნელად, მაგან კი...

— ეგ მამაჩემია.

— რაო? — დაიბნა ყასუმი. — როგორ თუ მამაშენია? სეირი თუ გინდა, ეს არის! მე კი შენზე რაღაც-რაღაცეები ვკითხე.

— ჩემზე?

— მაშ.

— რატომ?

— ისე, ცნობისმოყვარე ადამიანი გახლავარ.

— ჰო, მაგას ხელად შეგატყობს კაცი, — გაეღიმა აიშათს.

— მაშასადამე, გავბედავ და გთხოვ, ქალიშვილო, შენს სახლამდე მიმაცილო.

— სადა?! — გაუკვირდა აიშათს.

— თქვენს სახლამდე. მამაშენმა მითხრა: სასტუმრო არა გვაქვს, ჩემსას იცხოვრეო. ესე იგი თქვენსას.

— შენ თვითონ სთხოვე?

— არა, არ მიყვარს სხვისი შეწუხება, მაგრამ...

— გასაგებია. ნეტა შუბურუმში რატომღა ჩამობრძანდი?

— რატომ? თოლვის ადამიანის საპოვნელად.

— მერე რა ჰქენი, იპოვნე?

— ჯერჯერობით თოვლის ხალხს ვხედავ, ქაფთარს კი ვერა.

— ვერაფერი ქათინაურია! იცი, რას გეტყვი? მე არ მცალია, ავადმყოფები მყავს. ახლა ქვემოთკენ წადი, მარცხნივ გაუხვევ, თაღქვეშ, მერე მარჯვნივ — იქაა ჩვენი სახლი.

და აიშათი წავიდა.

— ფრთხილად, ყმაწვილო, ემანდ არ დაბრმავდე, განა შეიძლება დიდხანს უცქირო მზეს?! — უთხრა ბებია აიბალამ ყასუმს, უძრავად რომ იდგა და მიმავალ აიშათს გაჰყურებდა.

— მაგას რაზე მეუბნები, ბებილო? — ჩაიცინა ყასუმმა.

— აჰ, ვერა ხვდები, განა? სასაცილო ხარ, ყმაწვილო! ტყუილად ნუ გაირჯები, საქმრო ჰყავს.

— ვისა?

— ჩემს შვილიშვილს, ვისაც შენ ისე უჭვრეტ, როგორც კუბაჩელი — ოქროს.

ხი-ხი, — გაიცინა ბებიამ. — წამოუცვამს ნადირის ტყავი და ჰგონია, უკვე დაიპყრო ქალიშვილის გული. ეჰ, ყმაწვილო, ყმაწვილო, შენ რომ იცოდე, რანაირ სიძეს ველით...

— მაინც რანაირს?

— დაჯექი, აქ ჩამოჯექი ჩემ გვერდით ქვაზე, ნუ გეშინია, სიბერემ მაქცია საფრთხობელად, თორემ კეთილი ვარ. აი ეგრე... ეს ამბავი ძალზე მალე მოხდება. აგრე შაითან-უღელტეხილის მხრიდან მოვა კოხტა ჯიგიტი, შავ ბედაურზე ამხედრებული და ოქროსმასრიან ჩოხაში გამოწყობილი, მხარზე თეთრი ნაბადი და წითელი ყაბალახი ექნება მოგდებული.

— აი თურმე რა! — გაეღიმა ყასუმს. — მეც არა ვთქვი, რა ამბავია, აიშათი სულ გზას რომ გაჰყურებს-მეთქი.

— დიახ, დიახ, ყმაწვილო, იმ მხრიდან უნდა მოვიდეს. მოვა და იტყვის: მზეთუნახავ აიშათს მოვაკითხეო.

— ზღაპარია.

— თუნდაც ზღაპარი იყოს! აიშათი შენნაირების შესაფერი არ არის. ზღაპარი! — დაცინვით გაიმეორა აიბალამ. — ახლანდელ ახალგაზრდობას ოცნების შნოც აღარა გაქვთ. თუმცა რა უნდა გელაპარაკოთ! — ჩაიქნია მან გაძვალტყავებული ხელი.

ბებია აიბალამ წვრილად გადასცა თავის ბერიკაცს სიძესთან ნალაპარაკევი, მაგრამ ჭირვეულ ხოჯა-ალის გაგონებაც არაფრისა უნდოდა. აჰკიდა ერთადერთ გაქუცულ სახედარს ყველაფერი, რის ზიდვასაც ის შესძლებდა, და თავის დედაბერთან ერთად გაუყვა მთის ბილიკებს. ხოჯა-ალი მიდიოდა და ფიქრობდა, ქვემოთ ვინმეს ჩავაბარებ დედაკაცს, მე კი სახედრით ამოვბრუნდები და დანარჩენ ბარგს წამოვიღებ. მას ჯერ კიდევ ყურებში ედგა ალი-ხოჯას სიცილი. არა, აღარ ძალუძს იმ უტიფარის ცქერა და უკრუხოდ გამოჩეკილი წიწილების თაობაზე მისი მსჯელობის მოსმენა. ფუი! ურჩევნია თავისი სახედრიანად მთის უფსკრულში გადაიჩეხოს, ვიდრე ყოველდღე ალი-ხოჯას შეხვდეს და გაიხსენოს... დიახ, დიახ, გაიხსენოს ტყის პირი!

მაგრამ ამ ბოლო დროს ხოჯა-ალის რატომღაც არ უმართლებდა ბედი. თითქოს საავდრო ღრუბლები, ჰაჯი-ბექირს რომ მეხი დაატეხეს, მასაც ავს უქადდა. საღამოთი უკვე აულ მინ-მუბარაქს მიუახლოვდნენ. ხოჯა-ალის უხაროდა, დღით რომ ჩავიდა და უკვე იმის ფიქრში იყო, ღამე ვისთან გაეთია და ბარემ რამდენიმე დღით ბებია აიბალაც ჩაებარებინა, ვიდრე დანარჩენ ბარგს ჩამოზიდავდა.

ოჰ, რა ხშირად ვიცით ხოლმე ნაადრევი სიხარული, რა ხშირად ვტკბებით ხოლმე წინასწარ, თაფლით პირს ჩავიკოკლოზინებთო, და მის ნაცვლად ბოლოკს და პირშუშხას ვიგემებთ მხოლოდ, ერთმანეთს რომ არ ჩამოუვარდება სიმწარით!

უნდა მოგახსენოთ, რომ მთის აულებს ძველთაგან წესადა აქვთ: ერთ აულში მხოლოდ მამალი ვირები ჰყავდეთ, მეორე, მოშორებით მდებარე აულში კი მხოლოდ ჭაკები; ერთ აულში რომ ორივე გყავდეს, ეს იგივეა, გინდამც გვერდით გედგას თოფისწამლით სავსე კასრი, სადაც უკვე ჩაუგდიათ ანთებული პატრუქი. გამიჯნურებულ ვირს რა შეაჩერებს, სირცხვილ-ნამუსისა იმას რა გაეგება! რას იზამ, ასეთი უზნეო პირუტყვია, თუმცა მთიელის მეურნეობაში აუცილებელი კია.

არადა რამდენი ჩხუბი, დავა და, ასე გასინჯეთ, მტრობაც კი ჩამოვარდნილა ძველად აულებში მათი წყალობით!

თუ შუბურუმში ჭაკი ვირები ჰყავდათ, მინ-მუბარაქი მამალი ვირებით იყო სავსე. სალამო გახლდათ. ყოველი ქოხიდან კვამლი მიიკლაკნებოდა ცაში, თითქოს ბერიკაცებს გოდეკანზე შეუყრიათ თავი და თამბაქო ერთად გაუბოლებიათო; გზაზე მიბაკუნებდნენ ტყიდან მომავალი, შეშით დატვირთული მამალი ვირები; აულიდანაც გამოდიოდნენ ხის უნაგირზე ხორბლით სავსე ტომრებმოკიდებული მამალი ვირები — პატრონები ხეობაში მიერეკებოდნენ წისქვილზე, რათა ღამით დაეფქვათ ხორბალი. სახლებში ყველანი ვახშამს მისხდომოდნენ. მოხარშული კარტოფილისა და ახალგამომცხვარი პურის სუნი ტრიალებდა აულში.

უცებ ზედ აულის მისასვლელთან ხოჯა-ალის მამალი ვირის გახარებული ყროყინი შემოესმა. აგე, მეორემაც ხმა მისცა, მესამემაც! და ერთბაშად მთელი აული აყროყინდა. ახლაღა მიხვდა ბერიკაცი თავის შეცდომას და შეკრთა, მაგრამ გვიანღა იყო. ჭაკმა ერთბაშად ყური ცქვიტა და მიაყურადა. აწყვეტილი ქოფაკებივით მორბოდნენ ხოჯა-ალისკენ ყოველი მხრიდან ნაირ-ნაირი ფერის მამალი ვირები: ყორნისფერი თუ რუხი, მოწითალო თუ თეთრი, საპალნიანი თუ უსაპალნო, ერთი დაბორკილიც კი მოხტოდა, — და ყროყინებდნენ ზეციისკენ თავაღერილნი. მათი მოახლოება რომ იგრძნო, ჭაკმა ვირმაც დაიყროყინა, თითქოს რაც კი მინ-მუბარაქში მამალი ვირი იყო, ყველას უხმობსო. თან იმისთანა ხტუნვასა და ტლინკაობას მოჰყვა, თითქოს ფეხქვეშ მიწა ეძვრისო. და ბოლოს გადმოჰყარა კიდეც ბარგი; ბოღჩებში რაღაც გატყდა, გაისმა წკრიალი, დედაბერი ეცა ასაღებად, თან წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჭაკ ვირსაც და მის მყიდველსაც. გამწარებული ხოჯა-ალი მივარდა ჭაკ ვირს, ყურებში ხელი ჩაავლო და შეეცადა ერთ ადგილზე გაეჩერებინა.

— ეი, დედაკაცო, მოდი ჩქარა, ასე ჩასჭიდე ხელი ამ ოხერს!

— მაგას მოვერევი? — თქვა დედაბერმა და უძლური ხელები ფიჩორა ყურებში ჩაავლო სახედარს.

— ხელი არ გაუშვა! მე კი შევეცდები, ისინი მოვიგერიო... ამათი პატრონები სადღა არიან? რატომ არ გააჩერებენ? ეი, ჯამაათო, რას უყურებთ?! — გაჰყვიროდა ხოჯა-ალი, თუმცა კარგად ესმოდა, რომ ვნებით გახელებულ პირუტყვებს ველარავინ შეაჩერებდა.

მამალი ვირები მოცვივდნენ და დაბზრიალდნენ ჭაკი ვირის ირგვლივ, არად აგდებდნენ ბერიკაცის წიხლებს, ცემა-ტყეპას და გაჯავრებულ ყვირილს. მოულოდნელად ჭაკმა ვირმა ტლინკები ჰყარა და ხოჯა-ალი განზე ისროლა. ბერიკაცი პირქვე დაეცა. როცა წამოდგა, გვიანღა იყო. ბრაზით აცახცახებული ხოჯა-ალი მიტრიალდა და ცოლს უყვირა:

— ჰეი, უსირცხვილო დედაკაცო, ცხვირ-პირზე თავშლის აფარება დაგავიწყდა!

— ვის ავაფარო? — ვერ მიხვდა დედაბერი.

— შენ აიფარე, ბრიყვო!

— ამ ჭაკს რაღა ვუყო? ყურებზე ხელი შევუშვა?

— გაუშვი, შაითანმა წაიღოს მაგისი თავი! და მიტრიალდი, ნულარ უყურებ!

ამასობაში ხმაურზე, ყროყინსა და ყვირილზე ახლომახლო ქოხებიდან ხალხი მოცვივდა, მაგრამ ათი აულის ხალხიც რომ მოცვენილიყო, მაინც ვერას გახდებოდნენ. გამწარებულ ხოჯა-ალის მათი სიცილიღა ესმოდა და უცებ მოეჩ-

ვენა, ალი-ხოჯა ხარხარებსო. დამდუღრულივით წამოიჭრა. ბრაზით გახელებულს უცებ გაახსენდა ქამარში გაჩრილი ხანჯალი. მივარდა მამალ ვირებს, მიჰყარ-მოჰყარა და, უცხო აულის მცხოვრებლებს რომ არ წაჰკიდებოდა, თავის ვირს გაუპო თავი. პირუტყვსაც კი ვერ აპატიებდა ასეთ უზნეობას!

ასე დაკარგა ხოჯა-ალიმ თავისი ვირი აულ მინ-მუბარაქთან. ბედად ცარიელმა სატვირთო მანქანამ ჩამოიარა, ხოჯა-ალიმ თავისი ბოღჩები და სკივრები ზედ დაჰყარა, ძარაში გვერდით მოისვა ბებია აიბალა და გაემგზავრა, არც კი უკითხავს, საით მიდიოდა მანქანა — სულ ერთი იყო! ოღონდ კი აქაურობას გასცლოდა.

რაც ფხიზელს გუნებაში აქვს, ის მთვრალს პირზე აკერია

როგორც ყოველთვის, შვიდს რომ თხუთმეტი წუთი უკლდა, ზუსტად მაშინ გაისმა შუბურუმში თოვლის ადამიანის გამყივანი ყვირილი. მცხოვრებლებმა ჩვეულებრივად შეამოწმეს თავიანთი საათები.

სოფლის მაღაზიასთან იდგნენ მონადირე ყარა-ხართუმი, ვეტერინარი ჰამზათი და მაღაზიის გამგე ჩამსულა. მას უკან, რაც თოვლის კაცმა დასწვა საწყობის კანტორაში ფასიანი ქაღალდები, შემოსავლის განაწილების უწყისები და სხვა, საწყობის გამგე რაჯაბმა ცოტა არ იყოს არეულად დაიწყო ლაპარაკი, ერთი სიტყვით, თითქოს შეიშალა კაცი. ახლა ერთი საათითაც კი არ უნდოდა მოშორებოდა ხალხს და, თითქოს ბოდავსო, ერთთავად იმეორებდა: „მეგობრებო, ისე ჩასთვალეთ, გინდამც ცოცხლად ვიყო დამარხული. ყველაფერი დაიღუპა! დავიღუპე, ნაღდად ციხეში ჩამაყუდებენ! იქ მოვკვდები! მოვკვდები! ვერ ავიტან, ვერ გავუძლებ. დამიობლდებიან შვილები, დამიქვრივდება ცოლი“. ასე გოდებით ემუდარებოდა, არ მიმატოვოთ ამ მწუხარებაში, გვერდით ამომიდექით, როცა თავს ასეთი საშინელი უბედურება დამატყდაო. ყარა-ხართუმმა, ჰამზათმა და ჩამსულამ სცადეს თავიანთი საქმისთვის მიეხედათ, თავიანთი ოჯახებისთვის მიეკითხათ, მაგრამ რაჯაბი სახელოში აფრინდებოდა და ეუბნებოდა: მხეცებიც კი არ სტოვებენ უბედურებაში თავისიანს, თქვენ კი... ნუთუ იოტისოდენა თანაგრძნობაც აღარ გაქვთო? ყარა-ხართუმი და ჰამზათი ბოლოს დათანხმდნენ დარჩენას, მაგრამ ჩამსულა მაინც მიიწევდა შინისკენ, სადაც შვილები ელოდნენ.

— ნუთუ უბედურებაში მიმატოვებ? ნუთუ გული არა გაქვს? — კვნესოდა რაჯაბი.

— თავს ნუ იკლავ, — მხარზე ხელი დაჰკრა ჩამსულამ. — ყველაფერს გამოვიძიებთ, გავარკვევთ...

— არა, ყველაფერი დაიღუპა! შენც კი არ მითანაგრძნობ.

— კარგი ახლა, გეყოფა!

— შენ გინდა, რომ ცოლი დამიქვრივდეს.

— აბა რას ამბობ? არავისთვის არ მინდა ცუდი.

— მაშ რატომ მტოვებ? ჩამსულა, ძვირფასო, წამო ჩვენსას, ცოტათი მაინც ანუგეშე ჩემი საცოდავი ცოლი. გული მიკვდება, მის ცრემლებს რომ ვხედავ. ნუთუ არ შეგიძლიათ ჩემთან გაატაროთ ბოლო დღეები, სანამ ციხეში ჩამსვამდნენ.

— რაჯაბ, სისულელეს ნუ ამბობ! — მიუგო ყარა-ხართუმმა. — რა ციხეს გა-

იძახი, შენ ხომ არ დაგიწვავს საბუთები, — მონადირემ მკლავში ხელი გამოსდო ჩამსულას და რაჯაბის სახლისკენ წაიყვანა. ჩამსულამ გაძალიანება ვეღარ შესძლო.

როგორც კი საპატიო სტუმრებმა რაჯაბის ქოხში ამოჰყვეს თავი, მასპინძელი დატრიალდა, დააფაცურა ცოლი, მისახმარებლად მეზობლის ქალი მოჰგვარა, თვითონ კი ცხვარი წამოაქცია. რაჯაბი ისე ჩქარობდა, ცხვარს რომ ჰკლავდა, დაავიწყდა მისთვის ყიბლას [1] მხარეს მიებრუნებინა თავი. ორი საათიც არ გასულა, რომ ეზოში კოცონი აგიზგიზდა და ათუხთუხდა ვეება მეცხვარული ყაზანი, სადაც ნახევარი ცხვარი იხარშებოდა. კიდევ ერთი საათი გავიდა და ლანგარზე დახვავდა დაჭრილი ცხვრის ხორცი. ოთახს მოხარშული ცხვრის ხორცის, ნივრისა და შემწვარი კარტოფილის მადის აღმძვრელი სუნი მოეფინა. რაც მთავარია, რაჯაბს ისიც აღმოაჩნდა, ამისთანა პურისჭამისას კაცი პირს რომ გაისველებდა: დერბახული ღვინო. პირველი ჭიქა უხმოდ შესვეს, მეორე ჭიქით იმისი ხელები დალოცეს, ვინც ეს პურმარილი მოამზადა, ხოლო როცა მესამედ ასწიეს ჭიქა, მათ შემოუერთდნენ სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარი და კორესპონდენტი ყასუმი. ჭიქა რომ მიაწოდეს, მუხთარმა მხიარულად თქვა:

— ახლა შეგვიძლია გულარხეინად ვიყოთ: რაკი კორესპონდენტი ჩამოვიდა, ქაფთარი დაფრთხება. ამბობენ, როგორც კი ჟურნალისტები ან სწავლულები უახლოვდებიან, ქრებაო.

— წყეულიმც იყოს! — გაეხმიანა ჩამსულა. — თავი მოგვჭრა მთელ დუნიაზე.

— თავი კი არ მოგვჭრა, სახელი გაგვითქვა, — შეესიტყვა ჰამზათი. — აბა მანამდე ვის სმენოდა ჩვენი აულის არსებობა?

— დიახ, დიახ, ახლა კი ყველას შუბურუმი აკერია პირზე, — თქვა ყასუმმა. — თუ მხოლოდ ერთი ქაფთარი არაა, ამ ადგილს ნაკრძალად გამოაცხადებენ.

— მოდით, ჭამის დროს მაინც ნულარ ვახსენებთ ქაფთარს, — შეევედრა ყარა-ხართუმი, ორივე ხელით რომ ჩაებღუჯა დიდი, ძვლიანი ნაჭერი.

მუხთარის მოსვლამ უზომოდ გაახარა მასპინძელი. ახლა ყველა ჭიქას სადღეგრძელო მოსდევდა. ვინმე უცხოს რომ მოესმინა ეს სადღეგრძელოები, იტყოდა, რაც დედამიწის ზურგზე საუკეთესო ადამიანია, ყველა ცალთვალას ქოხში შეყრილაო. „თუკი ქვეყნად ვინმეა ვაჟკაცი, ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ჩამსულაა!“ — განაცხადა შეზარხოშებულმა ყარა-ხართუმმა. „დედა თუ შვილსა შობს, ჩვენი მუხთარისნაირი უნდა შობოს!“ — წარმოთქვა ჰამზათმა. ეშინოდა, აიშათი მამას უამბობს, რაც მოხდაო, და იმიტომ ეფოლორცებოდა, თან გუნებაში უხაროდა, ამ გადამთიელმა ყასუმმა რომ ვერ იცნო! ყასუმი კი სულ იმის ფიქრში იყო, ნეტავ ეს ყმაწვილი სად მინახავსო? მაგრამ განა ცოტა ადამიანს ხვდება ჟურნალისტი? ჰამზათი ვეტერინარია, ქალაქში უსწავლია. იქნებ იქ შეხვდა. ეგეც არ იყოს, მას მერე ჰამზათს თმა-წვერიც გაეზარდა: აულში ხომ დალაქი აღარა ჰყავდათ!

ყასუმის ჯერიც დადგა. ყასუმს უყვარდა სუფრის სადღეგრძელოები და ჟურნალისტთა შორის განთქმულიც გახლდათ, როგორც პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი სადღეგრძელოების ოსტატი. აქაც არ დაიბნა და ადღეგრძელა ამ სახლის ყოველი ქვა, მასპინძლის ყოველი თმის ღერი, ოჯახის ბარაქა, ასეთ

[1] ყიბლა — მუსლიმანთა წმინდა ქვა, მექასთან ჩამოვარდნილი მეტეორიტი.

ადამიანებთან ერთად სუფრასთან ჯდომის პატივი, ყველა და ყველაფერი, ერთი სიტყვით, წარმოთქვა „დერხაბ!“ — ეს ყველაზე მდიდარი სიტყვაა მთიელთა ლექსიკონში. სხვებმაც სიამოვნებით აუბეს მხარი. განსაკუთრებით ყარა-ხართუმს მოეწონა მისი სადღეგრძელო, მუდამ გაკვირვებას იყო, რა საზრისიანები არიან ეს ქალაქელები, სიტყვა არასოდეს შემოაკლდებათო!

— ამ ქალაქელების მოსმენას არაფერი სჯობს, — წამოიძახა ყარა-ხართუმმა. — ლაპარაკიც ისეთი იციან, თითქოს სხვა დედას უშობნიაო. სადა პოულობთ ეგეთ სიტყვებს?

— ხალხში, — გაეღიმა ნაამებ ყასუმს.

— რატომ ჩვენ ვერ გვიპოვნია? ჩვენც ხომ ხალხნი ვართ, ჩვენც ხომ ვცხოვრობთ, დალახვროს ეშმაკმა!

— ვცხოვრობთ კი არადა, — შეაწყვეტინა ჩამსულამ. — კაცმა არ იცის, რა ხდება აქა.

— ხალხს თავშესაქცევი აქამდე არაფერი ჰქონდა, ახლა კი აგერ თოვლის შაითანი გამოუჩნდა, — ჩაიბუზღუნა მუხთარმა.

— ნუ გადავუხვევთ! — ჩაერია ჰამზათი. — სადღეგრძელო ითქვა და დავლიოთ.

— დიახ, ჩვენი ძვირფასი რაჯაბის საკადრისი სადღეგრძელო იყო! დერხაბ! — ჭიქა ასწია ყარა-ხართუმმა — იცოცხლე, ჩვენო საუცხოო რაჯაბ! აფსუს, რომ დედაჩემი მამაშენის ცოლი არ იყო, მე და შენ ხომ ღვიძლი ძმები ვიქნებოდით.

ვიდრე თავის ჭიქას დასცლიდა, ყველა აქებდა და ადიდებდა ცალთვალა რაჯაბის დიდებულ ღირსებებს. ფხიზლები რომ ყოფილიყვნენ, უთუოდ გაუკვირდებოდათ, გაიცინებდნენ, უკანვე წაიღებდნენ თავიანთ სიტყვებს, მაგრამ ღვინო ადამიანს კეთილსა და გულუხვს ხდის. ნასვამი კაცი ყოვლისშემძლეა, მას შეუძლია ოქროს მთები აღუთქვას მეგობარს; მასავით მთვრალ მეგობარსაც სჯერა მისი და ალალი გულით უარს ამბობს ასეთ განძზე. რაჯაბი უსმენდა სტუმრებს და შერცხვა, გაწითლდა კიდეც.

— ბარაქალა, ბარაქალა, გმადლობთ! — თავს უკრავდა რაჯაბი ყველას. — ღმერთმა შეგარჩინოთ თავი მხრებზე, რათა თქვენმა შვილებმა გაიხარონ! მოხარული ვარ, თქვენთან ერთად რომ ვზივარ. რა მწარეა იმაზე ფიქრი, რომ იქნებ ეს უკანასკნელი სუფრაა ჩემს ცხოვრებაში...

— რას ამბობ? უკანასკნელი რატომაა? — აღშფოთდა ყარა-ხართუმი. — კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს სუფრასთან ერთად ჯდომა, სანამ სული გვიდგას და სანამ კოლმეურნეობის ფარას ცხვარი ეყოლება...

— ოღონდ უჩემოდ. ხომ არავინ დამიჯერებს, ყველანი მეტყვიან: ეგ განგებ ჩაიდინეო!

— არავინაც არ გეტყვის! ჩვენ აქ არა ვართ? — სიმთრვალეში ჩამსულაც კი გულუხვი შეიქნა. — რაც უნდა იყოს, პარტკომი ვარ! შენ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, რაჯაბ, რამ წაგახდინა? რა მოხდა, დაიწვა საბუთები, ქაღალდები! მაგისთვის წუწუნებ? მე სულ დავწვავდი, რაც ქვეყნად ქაღალდებია, მუხთარ, რას უყურებ, ანუგეშე! მაინც რა კაცია, რანაირად იკლავს თავს...

— მაშ რა ვქნა? ცოლ-შვილის პატრონი ვარ.

— ეგრე ნუ ამბობ, თორემ ატირებას აღარაფერი მიკლია! მე სარევიზიო კომისია ვარ, — მკერდზე ხელი მიიბრაგუნა ჰამზათმა. — ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ

არ წაგიკიდნია ცეცხლი! ანდა რად უნდა წაგეკიდა, შენი თავის მტერი ხომ არ იყავი. ასე არ არის, ჩამსულა?

— მართალი ხარ! სწორედ ეგრეა! შენ რას იტყვი, მუხთარ?

— სისულელეა, — თქვა ბოლოს მუხთარმაც. — შევადგენთ ერთ გრძელ, ძალზე გრძელ აქტს, მორჩა და გათავდა. ხოლო თოვლის ადამიანს თუ დავიჭერთ, პასუხს მას მოვკითხავთ.

— კარგი ნათქვამია! — წამოიძახა ყარა-ხართუმმა. — ეჰ, კარგი კაცი ხარ, რაჯაბ! თავი ცოცხალი რაღად გვინდა, თუ შენ ვერ გიხსნით?

— გიხსნით! — იყვირა ჰამზათმა და ჭიქა გაუშვირა: — დამისხი, რაჯაბ! დამისხი, გულუხვო კაცო!

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენჯერ ადღეგრძელეს რაჯაბი და ისეთი სიტყვებით შეამკეს, მასპინძელმა ცხვირსახოციც კი ამოიღო ცრემლის მოსაწმენდად. უცილობლად გამოდიოდა, რომ რაჯაბზე უფრო პატიოსანი და ერთგული კაცი ამქვეყნად არ არსებობს; რომ მეგობრებს შეუძლიათ ისე მიენდონ მას, როგორც საკუთარ თავს, ვინაიდან ალალი, წმინდა გულის კაცია.

— რა კარგები ხართ, მეგობრებო! — წამოიძახა ბოლოს გულაჩვილებულმა რაჯაბმა. — გეფიცებით, გულახდილად გეტყვით, თვითეული თქვენგანი ბევრჯერ გამილანძღავს და მიგინებია ზურგს უკან. ბრიყვი ვიყავი! არ ვიცოდი! მაგრამ ამიერიდან, აი ნახავთ, ღვიძლი ძმებივით მეყვარებით. თქვენს მეტი არავინ მინდა...

— აკი გეუბნებოდით, გულგახსნილი კაცია-მეთქი! — წამოიძახა ასეთი გულღიაობით გრძნობამორეულმა ყარა-ხართუმმა. — ჰო, რაჯაბ, ნამდვილი მეგობრის ცნობა იოლი როდია; ერთი ფუთი კი არა, ერთი ტონა მარილი უნდა შეჭამოთ ერთად.

კვლავ შესვეს თითო ჭიქა და, როგორც იტყვიან, კიდეც აუჭრელ-აუფერადდათ პირსახე — რაღა ფარშევანგის ბოლო და რაღა მოქეიფეთა პირისახე! ჩვეულებრივად მთიელები, მთლად გამტყვრალი მთვრალებიც რომ იყვნენ, ერთმანეთს საკოცნელად არ ეტანებიან, მაგრამ რაჯაბმა თავი ველარ შეიკავა, მივარდა და დაკოცნა ყველანი, თან ცხვირსახოცით იწმენდდა ბედნიერების ცრემლებს. მერე ჩარგო თავი ბალიშში და აქვითინდა, თან რაღაცას ამბობდა სლუკუნსლუკუნით. ყველანი მიესივნენ სანუგეშებლად. რაჯაბი მოუბრუნდა ამ საყვარელ, ძვირფას ადამიანებს, ხმიერად მოიხოცა ცხვირი და საცოდავად ამოილუღლუღა:

— ჩემო მეგობრებო, გული დამძიმებული მაქვს, ძალიან დამძიმებული...

და კვლავ აქვითინდა.

— კარგი, ძმაო! რა მოგივიდა...

— ეგ სადაურია, ძვირფასო...

— რომ იცოდეთ, როგორ დამძიმებული მაქვს გული! ვაი-ი-ი! — და ისევ ატირდა.

— კარგი, გეყო! სირცხვილია. ქალები გაიგონებენ! ვაჟკაცია და ცრემლს ღვრისო.

— არ შემიძლია... არ შემიძლია თავის შეკავება! ისე დამნაშავე ვარ, ისე დამნაშავე ვარ კეთილ, კარგ ადამიანებთან... ჩემს მეგობრებთან...

— აბა რაებს ამბობ? არაფერი დანაშაული შენ არა გაქვს. რა დაგემართა მართლა და მართლა!

— აღარ შემიძლია მეტი გაჩუმება, აღარ შემიძლია! უნდა გამოგიტყდეთ. მე... მე თვითონ დავწვი საბუთები!

— აბა, ნუ მიჰქარავ, — უკმაყოფილოდ გაიქნია თავი ყარა-ხართუმმა. — თუმცა შენგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგას მაინც ტყუილად სწამებ შენს თავს. ცოტა მეტი მოგსვლია ღვინო.

— არა, არა, არა! ახლა სიმართლეს გეუბნებით. დამიჯერეთ! თქვენ ისეთი კარგები, ისეთი კეთილები ხართ! როგორც იქნა მელირსა და ნამდვილი მეგობრები მყავს. თქვენ რაკი მყავხართ, აღარაფრის აღარ მეშინია — მარტოკა წავალ ქაფთართან და ყურით მოვათრევ აულში. ახლა კი შემეშვა გულზე! მადლობელი ვარ თქვენი, მეგობრებო, მადლობელი ვარ!

— არ დაუჯეროთ, არ დაუჯეროთ... მთვრალია და როშავს, მუდამ ეგრე იცის, როცა ზედმეტს დალევს! — აქოთქოთდა რაჯაბის ცოლი, ქმრის სიტყვებს რომ მოჰკრა ყური.

— დედაკაცო, ნუ ეჩრები მამაკაცების ლაპარაკში! — უთხრა ცალთვალამ და კარისკენ მიუთითა. ცოლი გავიდა.

— უნდა დავაწვინოთ, რაღას უყურებთ? — თქვა ჰამზათმა. — ხომ ხედავთ, რაებს ჩმახავს.

მუხთარმა და ჩამსულამ ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, დაეჯერებინათ თუ არა. და მაინც უჭირდათ დაეჯერებინათ, რომ ასეთ გულღია, ხელგაშლილ მასპინძელს შეეძლო ჩაედინა ეს დანაშაული, არ დანანებოდა თავისი ცოლშვილი. არა, მათ არ სურდათ ამის დაჯერება!

— ჰო, ჰო, რაჯაბმაც უნდა მოისვენოს და ჩვენი წასვლის დროცაა, — თქვა ჩამსულამ.

— არა, მე არ მეძინება! — რაჯაბი ხელიდან გაუსხლტა ყასუმსა და ჰამზათს. — თქვენთან ყოფნა მინდა. მინდა კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დავლიო. ვაივაი! როცა გატყუებდით, მაშინ სვამდით, მაქებდით, მეგობრები იყავით. ახლა კი, როცა სიმართლე გითხარით, ზურგს მაქცევთ და მტოვებთ? მე კი მეგონა, ნამდვილი მეგობრები ვიპოვნე-მეთქი! მოგენდეთ! რა უბადრუკები ყოფილხართ! — იყვირა საწყობის გამგემ.

— რაჯაბ, ძვირფასო, გეყოფა. აბა რა სიტყვებს ამბობ? ჩვენ ხომ შენი მეგობრები ვართ, — უყვავებდა ყარა-ხართუმი. — დალევაც აღარ გინდა, გეყოფა.

— არა, არ მეყოფა! — რაჯაბმა ღვინო დაისხა. — თუ მეგობრები ხართ, თქვენც დალიეთ. რას მომჩერებიხართ, ჰა? გიკვირთ? მე დავწვი, მე მოვსპე საბუთები, იმიტომ რომ დიდი დანაკლისი მქონდა. აბა, რას გაჩუმდით?

— შინ წასვლის დროა! — თქვა მუხთარმა და ჩაცმა დაიწყო.

ჩამსულამაც ჩაიცვა.

— რაო, გარბიხართ? იპურმარილეთ და ახლა გაგახსენდათ შინ წასვლა? — ავად ჩაიცინა ცალთვალამ. — წადით, ყველანი წადით!

— გონს მოდი, რაჯაბ, რას ამბობ?! ჯერ დაგვპატიჟე და ახლა გვაგდებ? — აღშფოთდა ყარა-ხართუმი.

— ჰო, არ გეამებათ ჩემთან ყოფნა, როცა სიმართლეს გეუბნებით. ჯანდაბას თქვენი თავი, მარტოკა დავლევ!

რაჯაბი ისევ მიუჯდა სუფრას და კიდევ ერთი ჭიქა დასცალა.

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა მან უცებ. — რა მეგობრები მყოლია! დასხე-

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი
ელენე ახვლედიანი



ჯვარი

0250956

დით, დასხედით! მინდოდა მენახა, შემემოწმებინა, რას იტყვიან, როცა ასეთ რამეს მოვუჩმახავ-მეთქი. არა, არა, არაფერიც არ დამიწვავს! რაში მჭირდებოდა? არხეინად დასხედით...

მაგრამ აღარავინ აღარ დამჯდარა, ყველამ ჩაიცვა და თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდნენ. რაჯაბმა ჭიშკრამდე მიაცილა გაოგნებული და შეურაცხყოფილი სტუმრები. ერთი უყურე, როგორ გაგვამასხრა, თუმცა ასეთი ოხრისგან ყველაფერს უნდა მოელოდეო, ფიქრობდა თვითეული, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამთ: განა ახლა არ იყო, ასე რომ აქეს და ადიდეს?!

მხოლოდ ყველასთვის უცხო ყასუმმა თქვა:

— შემზარავი კაცია! ან ეშმაკობს, ან ბრიყვია, უფრო კი უნდა ეშმაკობდეს. ზოგჯერ ხომ კარის რაზაც თავისით ჩაიკეტება.

ისევ მთის ხეობაში, ისევ შენს ნებაზე

იმედი მაქვს, მკითხველო, არასოდეს გაგითევიათ ღამე დაღესტნის ერთ-ერთი მთიანი რაიონის საპატიმროში. ჰოდა, ძალიანაც კარგი, — ისეთი ადგილი არ გახლავთ, რომ ღირდეს იქ ღამის გათევა.

ჰაჯი-ბექირი კი უკვე რამდენი დღეა იქ ცხოვრობს.

განა დიდი ხანია მას უკან, რაც გასცქეროდა დიულთი-დაღას თოვლიან ჩალმას და ღრუბლებს, რუხი ცხვრის ფარასავით რომ ჩამორეკილიყვნენ ხეობაში? განა დიდი ხანია მას უკან, რაც თავს დაჰყიოდნენ არწივები და მთის ლაღი ქარი უსტვენდა ყურებში? თვითონაც ქარივით ლაღი იყო: მოუნდებოდა და გაემგზავრებოდა თუნდაც წყნარ ოკეანეში, ან ტიან-შანის მთებში, ან სადაფისფერ თეთრ ზღვაზე, ანდა ზლატა პრაღაში ტურისტული საგზურით. ყველგან მიჰყიდდნენ საუკეთესო ბილეთს, მატარებლის გამყოლები დაუგებდნენ ლოგინს ვაგონის თაროზე, ოფიციანტი ქალები მოართმევდნენ ცხელ-ცხელ კერძებს.

ახლა კი მთელი ქვეყნიერება მოექცა ამ ქვის ორსართულიან ცარიელ შენობაში, სარკმელზე გისოსაფარებულ და მუხისკარიან გალიაში. ვერც ვერსად წახვალ აქედან. არავის ენაღვლები მშობლიურ შუბურუმში, აღარც ცოცხლებში სწერიხარ და აღარც მკვდრებში. თითქოს არასოდეს ყოფილა ქვეყნად სოფლის მესაფლავე ჰაჯი-ბექირი, თითქოს არასოდეს არავის დასჭირვებია მისი სამსახური, თითქოს ყველამ საუკუნოდ შეაჩვენა, ძალლივით გამოაგდეს აულიდან და ჩაკეტეს ამ ვიწრო, ბნელ გალიაში. დღეში სამჯერ შემოუტანენ ნახევარ **პურს** და ერთ ვედრო ცივ წყალს, სადილად ისეთი სალაფავი შემოაქვთ, ხევა რომ უმზადებდა ხოლმე ხბომოგებულ ძროხას. სკამად ჯირკი აქვს, ტახტზე ლეიბი, შიგ თივა კი არა, თითქოს ფიჩხი ჩაუყრიათო, საბანსაც ისეთი ნესტის სუნი ასდის, როგორც ქეციან ცხვარს ზაფხულში. აი რაღა დარჩა ჰაჯი-ბექირს ამ ქვეყნის ყველა სიამეთაგან. და ასე იქნება მრავალ წელს, — ბორბლებზე შემდგარი გალიები, გალიები ქვის სახლში, ეკლიანი მავთულით შემოწნული გალიები ცივსა და გაყინულ მხარეში...

ჯერ კიდევ ჰყავს ჰაჯი-ბექირს ხმის გამცემი — კურდღლის ოდენა ვირთხა, ღამით რომ უძვრება საწოლში და მესაფლავეც წყევლა-კრულვით წამოიჯრება

ხოლმე. მაგრამ ვირთხა გულმამაცია და ისე იქცევა, როგორც ნამდვილი სრულუფლებიანი დიასახლისი.

თავდაპირველად ჰაჯი-ბექირი შეშლილივით დასდევდა ვირთხას მოსაკლავად. მერე ლაპარაკი დაუწყო, თითქოს უნდოდა, რომ ისიც გამოლაპარაკებოდა. მაგრამ ვირთხა ვირთხაა, მისგან რას უნდა მოელოდე...

„ყველანი მოვკვდებით, — დაღვრემით ფიქრობდა ჰაჯი-ბექირი. — მაგრამ რატომ უნდა ავჩქარდე, რატომ უნდა ჩავძვრე ნაადრევად სამარეში, თუნდაც ამ სამარეს სარკმელი ჰქონდეს?“ — ოდესღაც მან დიდ უბედურებად მიიჩნია ქაფქაფა ხორცის ნახარშის ერთი ყლუპი: აკი ამიტომაც გააძევა ცოლი! ოჰ, ნეტავ ახლა მისცემდნენ იმ ხორცის ნახარშს! „უგუნური ვიყავი, — ეუბნებოდა ახლა ვირთხას (სხვას ვის ეტყოდა!), — გესმის, ნამდვილი ტუტუცი ვიყავი!“

მესაფლავე ისე გაიჯაგრა, მაკრატლითაც გაპარსავდით წვერს. ხშირ წვერში აშკარად გაერია ჭაღარა, რაც ადრე არ შეუმჩნევია. ამდენი უბედურება გადაიტანა და გაჭაღარავდებოდა, მაშ რა იქნებოდა!

ჰო, ეტყობა, ტყუილად როდი უთქვამთ, ვისაც ჯოჯოხეთი არ უნახავს, სამოთხისას ვერას გაიგებსო. ხოლო მესაფლავეს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ დაღესტნის სარაიონო საპატიმრო ჯოჯოხეთის, ქვესკნელის, აიდას, მიწისქვეშა სამეფოს მიწიური ფილიალი იყო.

უთუოდ ეჭვი აღარ ეპარებოდა რაიონის გამომძიებელსაც. მან ორჯერ გამოიძახა ჰაჯი-ბექირი დაკითხვაზე, მაგრამ მესაფლავე მუდამ ერთნაირად პასუხობდა: „არა, მე არ მომიკლავს, არა!“ — „კარგი, კარგი! — ეუბნებოდა ამაზე გამომძიებელი. — მაშ დაბრუნდი საკანში და იფიქრე, ბევრი იფიქრე შენს საქციელზე!“

რა წვრილმანად ეჩვენებოდა ჰაჯი-ბექირს თავისი ადრინდელი უბედურებანი ახლანდელთან შედარებით! ახლაღა მიხვდა, თურმე რას ნიშნავს თავისუფლება. თუნდაც უბედური იყო, თუნდაც მათხოვარი, თუნდაც მშიერ-მწყურვალი, ოღონდ კი თავისუფლება გქონდეს. „ხალხო, მაცალეთ სიცოცხლე! — კვნესოდა ჰაჯი-ბექირი. — არაფერი არ მინდა თქვენგან, მე დავკარგე ყველაფერი, დავკარგე ცოლი და სახლი — თანახმა ვარ, აღარაფერს არ მოვითხოვ, ოღონდ მაცოცხლეთ! ჰო, ჰო, ჰო, აქ შევიტყვე, რას ნიშნავს, როცა თავისუფალი ხარ, ადამიანთა შორის ცხოვრობ, თვალებში შეჰყურებ ადამიანებს, ელაპარაკები მათ, თუნდაც გულზე დარდი გაწვეს! აკი უთქვამთ: შენს ხალხთან ერთად თუ ხარ, ჭირიც კი ლხინად მოგეჩვენებაო. მაცოცხლეთ! მაგრამ რას ნიშნავს სიცოცხლე? განა მე ვცოცხლობდი აქამდე? მე ვარსებობდი, როგორც არსებობს ცხვარი, სახედარი, ყვავი, ხე. რა სიკეთე მიქნია ადამიანებისთვის, ჩემი სოფლელებისათვის, რა უნდა გაიხსენონ ჩემი? ნუთუ მართლაც არავითარი სიკეთე არ მიქნია? ჩემს თავს რა ვუქენი, რა ვნახე ქვეყნად წერაქვის, ნიჩბისა და პირდაღებული ორმოების მეტი, სადაც საუკუნო განსასვენებლად სდებენ მიცვალებულებს, არა, უკმაყოფილო ვარ ჩემი ცხოვრებისა! ცუდად ვცხოვრობდი! თურმე სიცოცხლე ძალზე დიდი და მძიმე მოვალეობაა ამქვეყნად!“

უცნაური ფიქრების ჯარი შემოესია ჰაჯი-ბექირს, სოფლის უბრალო მესაფლავეს, ვისაც წინათ არც ფიქრი უყვარდა, არც ფილოსოფოსობა. ახლა აღარ იცოდა, რომელ ერთს მოსჭიდებოდა ამ ფიქრებიდან. ის მხოლოდ ერთს გრძნობდა მთელი სხეულით, მთელი არსებით: უნდა გააღწიოს აქედან!

ჰაჯი-ბექირი ტახტზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ფიქრს მისცემო-

და, მაგრამ ფიქრი შვებას არა ჰგვრიდა. უნდა გული მოეცა და გაქცევა ეცადა. „მაგრამ რანაირად? მუხის კარს ვერ გავამტვრევ, დარაჯი შემაჩერებს... სარკმლის გისოსსაც ვერ მოვგლეჯ ცარიელი ხელებით. ერთიც ვნახოთ და კაკაბივით მიმახვრიტეს. განა ადვილია საპატიმროდან გაქცევა?“ და მაინც, სასოწარკვეთილი, მზად იყო ყველაფერი ჩაედინა. „არა, გავიქცევი, რადაც უნდა დამიჯდეს, გავიქცევი ამ წყეული გალიიდან, სადაც მე თვითონ მოვეხეტე ჩემი სიბრიყვით!“

ჰაჯი-ბექირი ტახტიდან წამოხტა და კარს მუშტები დაუშინა.

ბებერი, კოჭლი დარაჯი მოჩლახუნდა, კლიტემ გაიჩხრიალა და კარი გაიღო. დარაჯს სანადირო ორლულიანი თოფი ეჭირა ხელში. კარიბჭეზე გაჩერდა და ჰკითხა:

— ეს წყნარი სახლია, რას ხმაურობ? ყურთასმენაც კარგი მაქვს, თუმცა მოხუცი ვარ. რა დაგჭირვებია?

— უნდა გავიდე აქედან, — მრისხანედ უთხრა ჰაჯი-ბექირმა, მაგრამ უმალ გონს მოეგო და შესაბრალისად დაუმატა: — დილას აქეთ გარეთ არ გავსულვარ.

— რაკი ეგრეა, წამოდი!

დარაჯი გაუძღვა დერეფანში, თან თოფი წინ გადმოხრილი ეჭირა და ბუზღუნებდა:

— ნეტავი მალე მოგაშორებდნენ აქედან, დავწყნარდებით.

— თოფი დატენილი გაქვს? — თითქოსდა სხვათა შორის ჰკითხა ჰაჯი-ბექირმა.

— მგონი, დავტენე. რა იყო?

— რომ გავიქცე, მესვრი?

— სად უნდა გაიქცე? ხალხს მაინც ვერსად გაექცევი. ხოლო კაცისმკვლელი ხალხშიც ისე იქნება, გინდაც საპატიმროში მჯდარა.

— მე კაცისმკვლელი არა ვარ.

— მაშ აქ რაღა გინდა?

— არ ვიცი. სად უნდა გამაგზავნონ?

— სადაც საჭიროა.

— მაინც სადაა საჭირო?

— ეგ უფროსებმა იციან, მე სამაგისო კურსები არ დამიმთავრებია.

ამ ამბავმა კიდევ უფრო დააფრთხო მესაფლავე — გააგზავნიან სადმე, საიდანაც გზას ველარც გამოიგნებს. რაკი გაქცევა გადაწყვიტა, ბარემ ახლა გაიქცეს!

— ეჰ, რაც იყო, იყოს! — თქვა მან ხმამაღლა და მოწყდა ადგილს, მსუბუქად გადაევლო ქვის დაბალ ყორეს საპირფარეშოსთან და, ვიდრე მოხუცი დარაჯი თოფს აჩხაკუნებდა — ტყვია დანესტიანებოდა, თუ სულაც არ ედო — ჰაჯი-ბექირმა კისრისტეხით მიაშურა ტყის ფერდობს. სანამ მეციხოვნე ტელეფონთან მიჩლახუნდებოდა და ამ ამბავს აცნობებდა, სადაც ჯერ არს, პატიმარმა ტყეს შეაფარა თავი. მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა. „აჰა! — წამოიძახა გამომძიებელმა, როცა ეს ამბავი შეიტყო. — კიდევ გაიძახოდა ის არამზადა, მე არ მომიკლავსო! ხომ გასცა თავი. არა უშავს, მალე ჩაგვივარდება ხელში!“

ჰაჯი-ბექირი, თითქოს ეს სიტყვები გაიგონაო, აქოშინებული შეჩერდა შუბურუმის ხშირ ტყეში და ყელი მოიფხანა, რადგან მოშვებული წვერი ულიტინებდა. „მგონი, სისულელე ჩავიდინე, — თქვა მან ხრინწიანად, — ახლა ხომ ნადირივით დამიწყებენ დევნას და ალყაში მომიმწყვდევენ მგელივით. ეჰ, ჯანდაბას, თავისუფალი მაინცა ვარ!“

ჰაჯი-ბექირს ციოდა, შიოდა, დაიღალა, გასავათდა, მაგრამ მაინც თითქმის ბედნიერად გრძნობდა თავს: კვლავ თავისუფალი კაცი იყო და საითაც მოისურვებდა, იქით გასწევდა! მაგრამ ამ ფიქრმა მცირე ხნით მოჰგვარა ნუგეში. მალე ჩამობნელდა, მოკრიალებულ ცაზე ცივად აკიაფდნენ ვარსკვლავები, მანათობელ თოვლის ფიფქებს რომ ჰგავდნენ. ჰაჯი-ბექირს დაეუფლა მარტოობის შიში, შიში უმწეო ადამიანისა, ვინც შეიძლება გაიყინოს ამ სიცივეში და მშიერ, ღონიერ ნადირსაც გადაეყაროს. მესაფლავე უფრო და უფრო უჩქარებდა ფეხს, სწრაფად მირბოდა წინ, ხან ხეობაში ჩადიოდა, ხან გადასასვლელებზე ადიოდა, როგორც თოვლის ადამიანი, ქაფთარი, უგვარტომო და უთვისტომო. „ქაფთარი... იქნება ის ზღაპრული თოვლის ადამიანები სულაც ჩემნაირი მაწანწალები არიან,— ფიქრობდა ჰაჯი-ბექირი, — დაემალნენ ადამიანებს და თოვლში ცხოვრობენ. მაგრამ რასა სჭამენ ეს ქაფთარები? მარტო თოვლით დიდხანს ვერ გაიტან თავს. ნეტავი მათ ხომ არ დასტოვეს მთის გამოქვაბულებში ჯიხვის ძვლები? მაგრამ რანაირად იჭერენ თოვლის ადამიანები ამ ფრთხილ და ამაყ ცხოველებს, ამ მშვენიერ არსებებს, მარტოკა რომ არ შეუძლიათ გაძლება და მუდამ ოჯახებად ცხოვრობენ. ჰო, ყოველი კეთილშობილი არსება ოჯახად ცხოვრობს. რაც უფრო დიდია ოჯახი, მით უფრო თავდაჯერებულნი არიან ოჯახის წევრები, უფრო ადვილად იბრძვიან“.

ჰაჯი-ბექირი სწრაფად მიაბიჯებდა. თვითონვე უკვირდა, ამისთანა ფიქრები თავში საიდან მომდისო? მანამდე ხომ მიცვალებულებისა და საფლავის ქვების გარდა არაფერზე უფიქრია!

ნაწილი მეოთხე

ლიტონი სიტყვებით ფლავს ვერ მოხარშავ

ახლა წესადაა შემოღებული, ვისაც კი მოეპრიანება, ყველამ გააბიაბრუოს მეჩეთის მსახურნი, ადამიანს შიშსა და ცრურწმენას უნერგავენო, ამქვეყნიდან განდგომას და ბედის მორჩილებას უქადაგებენო. რა სიტყვებით არ განაქიქებენ ხოლმე მათ ლექტორები ლექციებზე, მწერლები — წიგნებში, ჟურნალისტები — გაზეთში. მაგრამ რა დააშავა ამ ერთმა მუჭა ხალხმა? ის ხომ არა, რომ ეს წმინდა თვითმარქვიები ტყავს აძრობენ მიამიტებსა და ბრიყვებს? მაგრამ თაგვი რომ თაგვია, ისიც ცდილობს იოლად მოიპოვოს პური თავისი არსობისა! მე თუ მკითხავთ, აქ ბრალი მიუძღვით არა იმდენად მეჩეთის „წმინდა“ მსახურთ (ამ სიტყვას ბრჭყალებში იმიტომ ვსვამ, რომ ისინიც ისეთივე წმინდანები არიან, როგორც მე და შენ, მკითხველო), რამდენადაც იმ მიამიტ ადამიანებს, მათ რომ ენდობიან და ხალისით ისმენენ ყოველგვარ ზღაპრებს შეიხსა და სასწაულებზე. აი, მაგალითად, იცით, რა დაემართა ხოჯა-ალის ჭაკ ვირს, აულ მინ-მუბარაქთან რომ მოჰკლა მან უზნეობისათვის? არა, საიქიოს კი არა, ამქვეყ-

ნად, დაღესტანში რა დაემართა? ეგრეც ვფიქრობდი, რომ არ გეცოდინებოდათ. ასეთი სასწაულები მხოლოდ ჩვენს მთებში ხდება, თუმცაღა იშვიათად. გამოჩნდა ერთი საზრიანი ყმაწვილი, სახელად სუფი-დაუდი, ვისზეც ამბობდნენ: ხელი არ უნდა ჩამოართვა, თუ ზედ ბეჭედი გიკეთია, — თვალის დახამხამებაში წაგაძრობსო! ჰოდა, ამ საზრიანმა კაცმა ჭაკი ვირი გზისპირა გორაკზე დამარხა და ზედ ჭოკი დაასო თეთრი ალმით, მერე იქვე თავისთვის მიწური ამოთხარა, ხელში ქარვის კრიალოსანი დაიჭირა, ჭაკი ვირი წმინდანად გამოაცხდა და განდეგილივით დაიწყო ცხოვრება.

ეს ამბავი ხოჯა-ალის რომ შეეტყო, უთუოდ სუფი-დაუდსაც იმავე ხანჯლით გაუპობდა თავს, მაგრამ ახალმოვლენილი შეიხის ბედზე ხოჯა-ალის თითქოს მიწამ პირი უყოო.

მალე მთელ იმ მიდამოს მოეფინა წმინდა საფლავის ამბავი და დაიძრნენ მორწმუნენი, რათა გამოეთხოვათ მისთვის მიწიერი თუ ზეციური სიკეთენი. სუფი-დაუდი ხელს არ უშლიდა, იჯდა შორიახლოს და კრიალოსანს მარცვლავდა, ფერხთით კი ულაგებდნენ სადაყს — შემოწირულებას. სუფი-დაუდმა მალე აიშენა აულში თლილი ქვის სახლი, ჩაიცვა, დაიხურა, გაეყარა ბებერ ცოლს და ახალგაზრდა შეირთო. ერთი სიტყვით, ისე მოიქცა, როგორც მოიქცეოდა მისი მრევლიც.

ერთიც ვნახოთ, ეს ამბავი უცებ გაზეთში არ დაბეჭდეს?! ვიღაც ახალგაზრდა სოფლკორმა აღშფოთებითა და მრისხანებით ამცნო მკითხველებს ყველაფერი. სუფი-დაუდმა რაღა ჰქნაო, იკითხავთ. ამბობენ, სუფი-დაუდს არც უარყვია, მხრები აუჩეჩავს მხოლოდ და უთქვამს: ნუთუ ადამიანისთვის მკვდარი ჭაკი ვირიც არ ემეტებათ? მძორია, მაგრამ მე ხომ მარჩენსო!

ახლა იკითხავთ, მლოცველებმა რაღა თქვესო. არა, მათ არ დაუჯერებიათ გაზეთში დაბეჭდილი არც ერთი სიტყვა, კიდევ უფრო მეტად ირწმუნეს, საფლავი წმინდააო, და განაცხადეს, სოფლკორმა საწყალ შეიხ სუფი-დაუდს ცილი დასწამაო.

რაღაი არიან ქვეყნად ბრიყვები და არიან აგრეთვე გაიძვერები, მათ რომ აბრიყვებენ, დაე თანაზიარად გაერთონ და შეიქციონ თავი, ვიდრე ჭკუას არ ისწავლიან. ამაზე შეგიძლიათ მომიგოთ, ეს საშიში სენია და შეიძლება სხვებსაც გადაედოსო. არა-მეთქი, გიპასუხებთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღ სხეულზე ამოსული მუწუკია, ორი თითის ფრჩხილით რომ შეიძლება გამოირწყას. მაგრამ იქნებ უღმერთოებსაც აქვთ იგივე დაუწერელი კანონი, როგორც მკალავებს: სპილენძის ჭურჭელს რომ ჰკალავს, ოსტატი შეუმჩნევლად ტოვებს ერთ პაწია მოუკალავ ადგილს, — მაშ ისეთ ჭურჭელს ხომ არ შექმნის, სამუდამოდ რომ ემსახუროს პატრონს? ასე რომ მოიქცეს, მკალავის შვილებს ხომ სამათხოვროდ გაუხდათ საქმე.

ჭაკი ვირის წმინდა საფლავის ამბავი რომ შეიტყვეს, შუბურუმელი თავკაცები გაცეცხლდნენ: ეს რანაირად მოხდაო, შუბურუმი ხომ ძველთაგანვე უფრო ახლოსაა ალაჰთან და უფრო ღვთისმოსავიც არისო! უკეთუ მინ-მუბარაქში ჭაკი ვირი გამოუცხადებიათ წმინდანად, ჩვენც ავდგეთ და წმინდანად გამოვაცხადოთ სოფლის დალაქი, უღმერთოთა კავშირისა და (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მაჰმადიანები მუდამ ღმერთის წინააღმდეგნი იყვნენ?) დოსააფის ძველი წევრი ადამი, ვინაც იმსხვერპლა იმ მხეცმა, მესაფლავე ჰაჯი-ბექირმა, ჯერაც ციხეში რომ

ჰყავთ; თუმცა, მომიტევეთ, სწორედ დღეს აცნობეს სოფსაბჭოს, ჰაჯი-ბექირი საპატიმროდან გაიქცაო.

მართლაც კარგად დაფიქრდით, განა რითია ჭაკი ვირის საფლავი ადამის საფლავზე უკეთესი? რაც არ უნდა იყოს, ადამი მაინც პირდაპირი შთამომავალია ჩვენი პირველი წინაპრისა ამ ცოდვილ მიწაზე! მაშ განა მართალნი არ არიან შუბურუმელები?

თითქოს ქარმა აიტაცაო, გავრცელდა ეს ხმა დიულთი-დაღას მყინვარებიდან შალბუზ-დაღამდე; მართლმორწმუნე შუბურუმელების გასახარელად ერთბაშად ჩაესვენა წმინდა ჭაკი ვირის მზე და მლოცველები ახლა შუბურუმს მოაწყდნენ. მორწმუნეთა შემოწირულებანი ბარაქად მოსკდა და აავსო ქოხი, სადაც ადამის ახალგაზრდა ქვრივი ცხოვრობდა. ხევამ არ ისურვა უარი ეთქვა, ეგეც არ იყოს, თვითონაც იწამა ადამის წმინდანობა: თუ ისეთი კარგი ადამიანი წმინდანი არ იყო, მაშ ვინღაა ამქვეყნად წმინდანიო!

მაგრამ შუბურუმში კიდევ უფრო იმატა შფოთმა და ფორიაქმა. მლოცველები და წმინდა საფლავი სიამაყესა და შუბურუმში დარჩენის სურვილს აღუძრავდა ხალხს, ხოლო ქაფთარის ყოველდღიური ღრიალი და მისი უცნაური ქცევა — ერთს ცხვრის ხორცი აწაპნეს ბანიდან, მეორეს პირდაპირ ეზოდან გაურეკეს ძროხა და დილით რქები და ჩლიქებიღა იპოვნეს, ხოლო მესამეს კინაღამ აკვნის ბავშვი მოჰპარეს — აიძულებდა მათ ბრძენი ხოჯა-ალისთვის მიებაძნათ.

სოფსაბჭოში თავი მოიყარეს აქტივისტებმა, — საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტათ, რა ელონათ; რაიონიდან უკვე მოდიოდა უსიამო ხმები — იქ უკმაყოფილონი არიანო შუბურუმელი აქტივისტების უმოქმედობით. ჩამსულა რაიკომში იხმეს და წინადადება მისცეს ბოლო მოეღო ყველა ამ უმსგავსობისთვის: აქ ქაფთარიო, იქ წმინდა საფლავიო, მლოცველებიო და ათასი სხვა ჯანდაბა. ჰო, მართლა, გზა უკვე გაწმინდეს, განა არ შეგიტყვიათ? ოღონდ შუბურუმელებმა კი არა, გზის მუშების საგანგებო პარტიამ, მახაჩკალიდან რომ გამოგზავნეს, როცა მოთმინება დაელიათ. როგორც იტყვიან ხოლმე, ლიტონი სიტყვებით ფლავს ვერ მოხარშავ, დადგა მოქმედების ჟამი! ამ თათბირს ესწრებოდა კორესპონდენტი ყასუმიც, ვინაც ახლა უფრო ხშირ-ხშირად იმეორებდა თავის საყვარელ გამოთქმას: „გიცან შენ, სასწაულების მხარევ!“ მას ძალზე შეუყვარდა გოდეკანზე ჯდომა და საუბარი ალი-ხოჯასთან, რომელიც ძალზე დადარდიანდა, ხოჯა-ალი რომ იქ ალარ იყო. თვითონ ყასუმიც, მას უკან, რაც მუხთარის სახლში ცხოვრობდა და ყოველდღე ხედავდა აიშათს, რატომღაც ძალზე გახდა და სულ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. აი, ახლაც ისეთი სასოწარკვეთილი გამბედაობით, თითქოს ბრძოლაში ებმისო, თქვა:

— გამოსავალი ერთია — მივაკვლიოთ იმ თოვლის ადამიანს, როგორც თქვენ უწოდებთ ქაფთარს, დავიჭიროთ ან მოვკლათ მაინც!

სამართლიანობა მაიძულებს დავუმატო, რომ ყასუმი ელოდა, სამეცნიერო ექსპედიცია მალე ჩამოვაო, და უნდოდა მეცნიერთათვის დაესწრო. სხვაგვარად მისი ჩამოსვლა შუბურუმში ჩვეულებრივი ამბავი გამოდგებოდა.

— მე მგონი, — დასძინა ყასუმმა, — შუბურუმში აღმოჩნდებიან მამაცი ადამიანები, ქაფთარის დასაჭერად რომ გამომყვებიან.

— სადაო?..

— იმ თოვლში? რას ამბობ!..

— იქ ძეხორციელს ჯერ არ დაუდგამს ფეხი.

— არა, სჯობს ყველანი ბარში გადავსახლდეთ, სულ ერთია, ნახევარი მაინც გაიქცა.

— სულ ტყუილად გავირჯებით! თოვლის ადამიანს რა ხანია დასდევენ პამირზე, მაგრამ ვერ დაიჭირეს!

— ნუთუ არ მოიძებნება მამაცი ადამიანი? — გაუკვირდა ყასუმს. — აი თუნდაც შენ, სოფლის მონადირე ყარა-ხართუმ?

— მე? — შეცბა ყარა-ხართუმი და მხრები აიჩეჩა. — მე, რაც უნდა იყოს, ცოლ-შვილი მყავს. რა თქმა უნდა, თუ უფროსები მიბრძანებენ...

— აქ ნებაყოფლობითი ამბავია, — თქვა მუხთარმა და უცებ იხუმრა: — ვფიცავ, თუ ჩემი ქალიშვილი არ მივცე ცოლად იმას, ვინც იმ თოვლის ეშმაკს დაიჭერს!

— ეჰ, ახალგაზრდებო, — ამოიოხრა ალი-ხოჯამ. — ეგეთი ქალის გულისთვის, მუხთარ... აფსუს, რომ ცოტა ბებერი ვარ მისთვის.

ყველას გაეცინა.

— სიტყვაზე დამიჭერიხარ, მუხთარ, — წამოხტა უცებ ჰამზათი. — ხალხია მოწმე.

— ერთი მაინც მოიძებნა! — გაუხარდა ყასუმს.

ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი და მუხთარმა ყურმილი აიღო. რაიონიდან რეკავდნენ. მუხთარი უსმენდა და თანდათან ელრუბლებოდა სახე. „დიახ... კეთილი... დიახ, როგორ დაგვატყუა ყველანი... ოჰ, ეგ არამზადა! კეთილი, კეთილი". ყველა დუმდა, მოლოდინი აღბეჭდოდათ სახეზე. ბოლოს მუხთარმა ყურმილი დასდო, ერთხანს გაჩუმდა და მერე თქვა, ჰაჯი-ბექირი გაქცეულა და ახლა რაიონი მოითხოვს, დავიჭიროთ გაქცეული, რადგან სადღაც შუბურუმის მიდამოებში უნდა იყოსო.

— აი მასზე სანადიროდ კი წავალ! — თქვა ყარა-ხართუმმა.

— იმას უშენოდაც მოვუვლით, — შეესიტყვა ჩამსულა. — შენ კი ყასუმს გაჰყევი, მონადირე კაცი ხარ, რამე რომ მოხდეს, თვალიც გიჭრის და თოფიც კარგი გაქვს.

— მაშ გადაწყვეტილია: ქაფთარი ან დავიჭიროთ ან არადა მოვკლათ! — დაასკვნა მუხთარმა. — კმარა! მთელი რესპუბლიკის სასაცილო გავხდით, ყველას ქაფთარები შეგვარქვეს. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაიღვიძოს ჩვენში ვაჟკაცობამ. ჰაჯი-ბექირს კი ვიპოვნით, სად წაგვივა! მაშ ასე! დროა აღდგეს შუბურუმში წესრიგი და სიმშვიდე!

ასეც გადაწყვიტეს. იმ დღეს პირველად მოედო აულს სასიკეთო, გამამხნევებელი ამბავი: როგორც იქნა გამოჩნდნენ მამაცი ადამიანები, ბოლოს რომ მოუღებენ ქაფთარს! იმ ქაფთარს, ვისი წყალობითაც თითქმის ნახევარმა შუბურუმმა მიატოვა აული, არ დაერიდნენ სახიფათო გზას და გაუყვნენ დათოვლილ ბილიკებს. წავიდნენ ისე, რომ ერთი საბუთიც კი არ წაუღიათ სოფსაბჭოდან: უკვე რა ხანი იყო, მუხთარს ცნობები აღარ გაეცა.

შინ მიმავალი ჰამზათი საავადმყოფოსთან აიშათს შეეჩეხა და მიუახლოვდა.

— კიდევაც ბედავ ჩემთან მოახლოებას? — აღშფოთდა აიშათი.

— დიახ, ვბედავ! იმიტომ რომ შენი გულისთვის სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებ, — მიუგო ჰამზათმა.

— თავს ნუ იწუხებ!

— ვფიცავ, დავიჭერ!

— ვის დაიჭერ?

— ვისა და იმ ცხოველს, ქაფთარს რომ ეძახიან. დავიჭერ და შენთან მოვათრევ.

— მე რა ჯანდაბად მინდა?

— იმად, რომ ჩემი ცოლი უნდა გახდე. მამაშენმა ეს წუთია ახლა პირობა მოგვცა.

— ეგ არ მოხდება, ქაფთარების ჯოგიც რომ მოიყვანო.

— ვნახოთ. მშვიდობით, აიშათ. თუ დავიღუპე, გახსოვდეს: „მას მე ვუყვარდი, მე შემომწირა...“

შემდეგ რა სიტყვები მოსდევდა, ჰამზათს აღარ ახსოვდა და წასვლა დააჩქარა. და მაინც დღეს გმირი ეგონა თავი. ისიც კი არ გახსენებია, რომ თუ ქაფთარს დაიჭერდა, ამით იქნებ ხაზი გადაესვა საკუთარი დისერტაციისათვის. მისი მტკიცების ძალა და სიახლე ხომ მეტწილად თოვლის ადამიანის ირგვლივ სარწმუნო ცნობების უქონლობას ემყარებოდა. სამაგიეროდ გული უგრძნობდა ჰამზათს, ის გადამთიელი ყასუმი გულგრილად არ უნდა ეკიდებოდესო აიშათს. ამიტომაც იყო, რომ გაათკეცებით მოედო გულზე ცეცხლი. უცნაური გრძნობაა ეჭვიანობა! ზოგჯერ ადამიანს საკუთარ თავს ავიწყებს და ისეთ რაიმეს ჩაადენინებს, რასაც სხვა დროს არამც და არამც არ მოიმოქმედებდა. აი ახლაც, წასვლისას, მუქარით დაურთო:

— მიფრთხილდი, აიშათ, თუ შენ ვინმესთან...

— წადი, წადი! შენი საბრძანებელი არაფერი მჭირს.

— კეთილი! — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ჰამზათმა და, როგორც იქნა, წავიდა.

როცა აიშათი შინ დაბრუნდა, ნახა, რომ ყასუმი თავის ზურგჩანთას ალაგებდა. გამოგიტყდებით და ქალი დაიბნა. აქამდე აიშათი თავს არიდებდა ყასუმს, გავლით თუ მიუგდებდა ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას. რამდენჯერ უგრძვნია ვაჟის დაჟინებული მზერა და მიმხვდარა, ყასუმს რომ ეწადა მისი შეჩერება, ტკბილი, ალერსიანი სიტყვების თქმა. სწორედ ამიტომაც ცდილობდა გასცლოდა. მაგრამ ახლა, როცა იგი წასასვლელად ემზადება... აი, წავა და ველარასოდეს დაელაპარაკება, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდება!

— მიემგზავრები? — ჰკითხა მან უნებური საყვედურით.

— მაშ შენ გეგონა, სამუდამოდ დავრჩებოდი ამ მიყრუებულ აულში? — დაღვრემით მიუგო ყასუმმა.

— არც მიფიქრია! — უკმეხად მიახალა აიშათმა.

— ძალიანაც კარგი! გამიკვირდებოდა კიდეც, რომ გეთქვა, დარჩიო.

— ვითომ რატომ უნდა მეთქვა?

— მე არ მითქვამს, უნდა გეთქვა-მეთქი.

— იქნებ ახლა მითხრა?

— არ გეტყვი! მე არც თავხედი ვარ და არც მოძალადე! — იფეთქა უცებ ყასუმმა.

ამ სიტყვებმა გაახსენა აიშათს ის ღამე, როცა ყასუმი პირველად შემოვიდა მათ ქოხში. ქალიშვილი გაწითლდა, რატომღაც შერცხვა იმ საზიზღარი სცენის მოწმისა.

ხმა აღარ ამოუღია, უჩუმრად გავიდა თავის ოთახში.

ყასუმი კი მწარედ ნანობდა, უკმეხად რომ მოექცა და ლაპარაკი შეაწყვეტინა. ვინ იცის, შეხვდებიან კი ოდესმე ერთმანეთს? ასეა ხოლმე ცხოვრებაში: როცა ზაფხულია, არ ვტკბებით მისი მადლით, ვბუზღუნებთ, ცხელაო ან გრილაო, ვუჩივით ქინქლებს, ჭიანჭველებს, მტვერს. დადგება ზამთარი და გულმხურვალედ ვოცნებობთ ზაფხულზე, ვნანობთ და თავბედს ვიწყევლით, იმდენი თბილი მზიანი დღე რატომ უქმად გავაცდინეთო.

როცა აიშათი კვლავ გამოვიდა ბანზე, ყასუმი იქ აღარ დახვდა. „ნუთუ ისე წავიდა, რომ არ გამომემშვიდობა?“ — გაიფიქრა აიშათმა და მწარედ ამოიოხრა.

— წავიდა, — უთხრა მან მამას სადილობისას.

— ვინ წავიდა?

— ჩვენი სტუმარი.

— მე გავუშვი, — უთხრა მუხთარმა.

— სტუმარი გააგდე? — გაკვირვებით შეხედა მამას აიშათმა.

— ვითომ რატომ უნდა გამეგდო? ნაღდი ვაჟკაცია, განათლებული, ჭკვიანი, ლამაზი; საიდუმლოდ გეტყვი, უცოლოა.

— მე რა მენაღვლება.

— იმას კი რატომღაც ძალიანაც ენაღვლება. შენი ამბავი გამომკითხა.

მუხთარი მალულად ადევნებდა თვალს შვილს.

— როდის?

— კარგა ხანია მას უკან. ნუ დარდობ, შვილო, კი არ გაემგზავრა, ქაფთარის დასაჭერად წავიდა. მე კი, ბავშვივით, ერთი სისულელე წამოვაყრანტალე, რასაც ახლა ვნანობ. ხალხს სიტყვა მივეცი, ჩემს ქალს ცოლად მივცემ-მეთქი იმას, ვინც...

— ეგ უკვე ვიცი, — უთხრა აიშათმა.

— ვინ გითხრა?

— ქვეყნად რა დაიმალება.

— რა თქმა უნდა, მართალი გულით არ მითქვამს, მაგრამ რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი მაინც არ უნდა თქვა კაცმა.

— ერთიც ვნახოთ და ალი-ხოჯამ დაიჭიროს, მაშინ? — გაეღიმა აიშათს.

— არა, შვილო, შენი ამბავი შენ იცი, შენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მე არ ვერევი.

— არცა გაქვს უფლება.

— უფლება კი მაქვს და აუცილებლად ჩავერევი კიდეც, თუ სწორი გზით არ ივლი ცხოვრებაში. არ დაგავიწყდეს, ნათქვამია, კოჭლ ადამიანს ჩრდილიც კოჭლი აქვსო!

მუხთარი ესაუბრებოდა თავის ქალიშვილს, გუნებაში კი გამწარებული იმას ფიქრობდა, ის წყეული მკვლელი, საპყრობილიდან გამოქცეული მესაფლავე სად ვიპოვნოო? ნეტავი მოვა თუ არა შუბურუმში? მთლად ცხვრისტვინა უნდა იყოს, რომ იქ მივიდეს, სადაც ჩასაფრებულნი ელიან. ერთიც ვნახოთ და ჰაჯი-ბექირი უფრო ჭკვიანი გამოდგა?

სიყვარული და ხინკალი

მთვარის შუქზე თეთრად აციალდა შუბურუმის ირგვლივ მდებარე მთებზე და ხეობებში დადებული თოვლი, პირველქმნილი, სპეტაკი, ქათქათა თოვლი. სპილენძის ტაშტივით მრგვალ, სავსე მთვარეზე მკაფიოდ მოსჩანს მწყემსის ლანდი, განუწყვეტლივ რომ უკრავს სალამურს; ამბობენ, ვარსკვლავები ცხვრებია, ლაჟვარდ მინდორს რომ მოჰფენიანო. სწორედ მათ ართობს მწყემსი კაშკაშა ღამეებში თავისი სალამურის რაკრაკითო. ამბობენ, თუ მიაყურადებ... არა! არაფერიც არ ისმის, ნამდვილი პირველყოფილი მდუმარებაა, თითქოს დედამიწაზე სულიერი არ ჭაჭანებდეს.

შაითან-უღელტეხილის გადაღმა გზაზე რაღაც მოძრაობს. ოჰო, ეს ხომ ადამიანია, ქურდულად რომ მოიპარება — ოღონდ აქედან ვერ გაარჩევ — ჩვეულებრივი მოკვდავია თუ თოვლის ადამიანი. აგერ იმ ბრტყელსახურავიანი სახლისკენ შეუხვია, ძველებურ ქარვასლას რომ წააგავს. გახსოვთ, იქ აპირებდნენ ღამის გათევას შუბურუმელები, როცა პირველად ნახეს ქაფთარი.

იქნებ მაინც არაა ადამიანი? აგე, ოთხზე დაეშვა და დათვს დაემსგავსა. მაგრამ დათვებს ახლა გულიანად სძინავთ ტყიან ხეობებში. იგი კი ახლა კვლავ ფეხზე წამოდგა. გარკვევით მოჩანს უკვე, რომ ბანჯგვლიანი ცხვრის ტყავის ფაფახი ჰხურავს, ქურთუკი ბეშმეთზე წამოუსხამს, თბილი დაბამბული შარვალი აცვია. და მაინც, ეტყობა, ძალზე გათოშილია...

ვაგლახ, სახლს უკვე სხვები დაპატრონებიან, მილიდან კვამლი ამოდის, პატარა, უმინო სარკმელში სუსტი ათინათი მოჩანს, ისმის ლაპარაკი. კაცი შეკრთა, დაფეთებულმა უკან დაიხია, გასაქცევად მოტრიალდა, მაგრამ, ეტყობა, რაღაც გაიგონა; თოვლი რომ არ აეჭრაჭუნებინა, ფეხაკრეფით მიეპარა სარკმელს და შიგ შეიხედა...

მხიარული ტკაცატკუცი გააქვს ცეცხლს რკინის ღუმელში. ზამთარში სველი შეშაც ხმელზე ნაკლებ არ იწვის, მეტადრე შქერის გაფისული ტოტები, ყინვამ რომ გამოსწურა სინესტე. ღუმელს მისჯდომია სამი კაცი, მეოთხე თივაზე მიწოლილა და სძინავს. ესენი ქაფთარის დასაჭერად წამოსული უშიშარი მონადირენი არიან: თივაზე ყარა-ხართუმს სძინავს, ღუმელს კი ყასუმი, ჰამზათი და ალი-ხოჯა მიფიცხებიან. მაინც არ მოუთმინა გულმა მოხუც პარტიზანს და ახალგაზრდებს გამოჰყვა. განა იმიტომ წამოვიდა ალი-ხოჯა, რომ თოვლის ადამიანის დაჭერა და თავმჯდომარის ქალიშვილის ცოლად შერთვა უნდოდა, — ძალზე მოიწყინა ხოჯა-ალის გამგზავრების მერე, გული ველარავისთან გადაეყოლებინა და გადაწყვიტა, ფათერაკები ეძებნა, ცოტა განძრეულიყო. მამაცმა მონადირეებმა მთელი დღე იხეტიალეს ტყე-ღრეში, გაწამდნენ, მოშივდათ და გადაწყვიტეს ამ ძველ სახლში გავთიათ ღამე. აქ, ცეცხლის ალის მოლიცლიცე შუქზე, ყასუმმა ერთბაშად იცნო ჰამზათი; დიახ, დიახ, გაახსენდა, აიშათის სახლში რომ ნახა! ახლაღა მიხვდა, რატომ წამოვიდა სანადიროდ ჰამზათი მუხთარის აღთქმის მერე, როცა ერთი წუთის წინ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ქაფთარის დაჭერა. „ალბათ ბიძაც იმიტომ წამოიყვანა, რომ ერთი ხმით მეტი ჰქონდეს, თუ დავა შეგვექმნა, — ფიქრობდა ყასუმი უგუნებოდ. — ნათქვამია, მელამ მოწმედ თავისი კუდი მოიყვანაო“.

— შენ რაღას წამოგვყევი, ბიძაჩემო? — ჰკითხა ჰამზათმა, თან ჩვრით წმენდ-

და სანადირო თოფის ლულას და საკეტს. — იქნებოდი ახლა შენთვის არხეინად საბანში ჩათბუნებული.

— ნუ გეშინია, — ჩაიცინა ალი-ხოჯამ, — გულში არ გამივლია შენთვის თავმჯდომარის ქალის წართმევა. კიდევაც რომ დავიჭირო თოვლის ეშმაკი, შენ გადმოგაბარებ. მომწყინდა აულში.

— აქ მხიარულად ხარ?

— სხვა თუ არაფერი, ვერთობი მაინცა, აული ხომ თითქმის გაუკაცრიელდა. დაიღუპა შუბურუმი! ძველებურად აღარასოდეს აჟრიამულდება. დრო აღგვის მიწის პირისგან.

— აულში ჯერ კიდევ ბევრია ხალხი!

— მალე ისინიც წავლენ, თბილ ამინდსაც კი აღარ დაელოდებიან. აღარც მე დავრჩები. დავიჭერთ ქაფთარს თუ არ დავიჭერთ, მაინც წავალ.

— არხეინად იყავ, დავიჭერთ! — ტრაბახით წამოიძახა ჰამზათმა.

— ვინმემ იქნებ კიდევაც დაიჭიროს. ეჰ, მე საცოდავი ცხენის ეჭიმბაში, ისიც ვერ მოახერხე, რომ აიშათის სახლში ფაფახი შეგეგდო. რა გულდედალი ახალგაზრდობა წამოვიდა ახლა! შენი ხნის რომ ვიყავი, სამი ქალიშვილი მაინც მყავდა მოტაცებული! — უთხრა ალი-ხოჯამ.

— წითელი პარტიზანი კი იყავით! — საყვედურით უთხრა ყასუმმა.

— დიახ, ვიყავი! — მიუგო ალი-ხოჯამ. — მაგრამ ქალიშვილების მოტაცება წითელი პარტიზანისთვის არავის აუკრძალავს. თქვენ რა გაგეგებათ? ომი თვალითაც არ გინახავთ. ჩვენი დრო ბობოქარი დრო იყო. მიდი და გაერკვიე! ვინ არ იყო მაშინ მთებში: თეთრებიო, მწვანეებიო, შავებიო, წითლებიო, მარტო ლურჯები და ყვითლები არა ყოფილან! თურქები გაჰყვიროდნენ, თქვენთვის თავისუფლება მოგვაქვსო! ამასვე იძახდნენ გერმანელებიც, ინგლისელებიც, თეთრი კაზაკებიც, მენშევიკებიც, ბოლშევიკებიც... მე ერთი უბრალო ღარიბ-ღატაკი კაცი ვიყავი, ქაღალდი მე არ ვიცოდი და ფანქარი, რა უნდა გამერკვია იმ ორომტრიალში! აულიდან იმ ფიქრით წავედი, რაკი ომია, ამ გაწამაწიაში რაიმეს გამოვრჩები, მაინც ყველა ტაციაობს და იგლიჯება-მეთქი. მახსოვს, აიას ხეობაში მთიელებმა შევუტიეთ თეთრებს, თეთრებმა მოჰკურცხლეს, ქვემეხები, ოთხთვალები, ყუთები მიატოვეს. ვეცი ერთ ზარბაზანს, ლულაზე რომ ჯერ კიდევ ასდიოდა კვამლი, წამოვაცვი იმ ლულაზე ჩემი ფაფახი და ვლრიალებ: „ეს ჩემია!“ — ყასუმს და ჰამზათს გაეცინათ. — ახლა მეც მეცინება, როცა ვიხსენებ. ფაცაფუცში ის კი აღარ ვიფიქრე, რა ოხრად მინდოდა ზარბაზანი? შუბურუმამდე მაინც ვერ ამოვათრევდი, ეგეც არ იყოს, შუბურუმის და, მაშასადამე, ჩემი სახლის ხელში ჩაგდება მაშინაც კი არავის მოუწადინებია... დიახ. სხვათა შორის, იმ ბრძოლაში თავში დამჯრეს და, ეტყობა, ისე გამისწორეს ტვინი, მხოლოდ მას მერმე მივხვდი, ვისაც უნდა გავყოლოდი.

— თეთრმა ტყვიამ გაგაწითლა, ბიძაჩემო? — ჩაიცინა ჰამზათმა.

— ჩემს ხალხს გავყევი! — მიუგო ალი-ხოჯამ. — დროს გავყევი, დრო კი ჩემს ხალხს ემსახურებოდა. ახლაც დრო თავისას შვრება: რაკი აული შუბურუმი განწირულია, მაშ ასეც ყოფილა საჭირო! ამას მიხვდა ჩემი გულითადი მეგობარი ხოჯა-ალიც, სამწუხაროდ, ახლა ჩვენთან ერთად რომ აღარაა... ნეტავი სად არის?

მოხუცი ჩაფიქრდა.

— ერთად რომ იყავით, ერთმანეთს ჭამდით, ახლა კი გენატრება. ვერაფერი გამიგია, უცნაური ხალხი ხართ ეს მოხუცები, — უთხრა ჰამზათმა.

— არაფერია, მაშინ გაიგებ, როცა იმ თოვლიან მწვერვალზე ახვალთ, ჩვენ რომ ავედით, — უთხრა ალი-ხოჯამ და თივაზე მიწვა. — ჰო, აიშათი ლამაზი გოგოა! ნეტავი ვის ერგება?

— მე მოვწყვეტ იმ ყვავილს, მე! — ცხარედ თქვა ჰამზათმა.

— ნახევარი წელია გარს უტრიალებ და რა გამოდის?

— არა უშავს, გამოვა.

— ეყვარები კი? — უცებ ჩაურთო ყასუმმა, თან ღუმელში შეშა შეასწორა.

— შენ არ გეკითხებიან! — იფეთქა ჰამზათმა. — სიყვარული რას მიქვია! იგი გულჩვილი ქალაქელების მოგონილია. მათ შეუძლიათ ლამაზ ქალზე ოცნებას დასჯერდნენ. მე კი პირველ ტკბობათა მომხრე გახლავართ!

— რა ველურობაა! — მიუგო ყასუმმა, თან ცდილობდა სიმშვიდე არ დაეკარგა. — თუმცა ეგრე იყოს, მე შევიტყვე, რაც მინდოდა.

— რა შეიტყვე?

— რომ აიშათი არ გიყვარს. ეს ჩემთვის საკმარისია.

— აბა, აბა, ახალგაზრდებო! მიდით, მიდით! — ახელებდა ალი-ხოჯა.

— მიყვარს თუ არ მიყვარს, მაინც ჩემი იქნება! მორჩა და გათავდა, — ჩაიცინა ჰამზათმა.

— თავდაჯერებაც ასეთი უნდა! მას თუ არ უყვარხარ?

— შევუყვარდები, როცა დაიწყებს ჩემთვის სადილად ნივრიანი ხინკლის კეთებას! მაგრამ გზაზე თუ გადამელობე, მიფრთხილდი, ყმაწვილო.

— ჰა, ჰა, ჰა! — გაეცინა ალი-ხოჯას. — ეს რა ახალგაზრდობაა, ნივრიანი ხინკალი და სიყვარული ერთად არ მოაქციეს?!

— გიცან შენ, მხარევ სასწაულების! — გაეცინა ყასუმსაც. — პირუტყვთან რომ გაქვს საქმე, შენც გაპირუტყვებულხარ, ჰამზათ.

— დამცინი?! შენ... მე... პირუტყვსაც მიწოდებ?! — იყვირა ჰამზათმა.

— ნეტავი რალას დავეძებთ სადღაც მთა-მთა ქაფთარს, როცა აულშიც უხვად გყოლიათ, ჰა?

— ჰეი, თავხედო, მე ხომ არ მიწოდებ ქაფთარს?

გაცეცხლებული ჰამზათი ზეზე წამოიჭრა.

— აბა-აბა, ძმისწულო, მიდი ერთი, აჩვენე სეირი! — იცინოდა ალი-ხოჯა.

— თუნდაც შენ გიწოდებდე! — თავი ველარ შეიკავა ყასუმმა.

— სწორია, მიდი, შენც მიდი, შეუჩხუკუნე! — გამხიარულდა ალი-ხოჯა.

— გავიდეთ, გარეთ გავიდეთ, იქ გაჩვენებ, ვინაა ჩვენში ქაფთარი! — ჰამზათმა თოფი აიღო. — გავიდეთ! რაო, დაფრთხი?

— არა, მე ჯერ არავის წინაშე არ ამომიძუებია კუდი, — მიუგო ყასუმმა. — მაგრამ არამზადებთან არა ვჩხუბობ.

— ადექი, თორემ ვფიცავ, აქვე გამოგფატრავ მაგ მუცელს!

— აბა-აბა, წყნარად! შენი ქადილის გამო ძილს არ დავუფრთხობ ყარახართუმს.

გააფთრებულმა ჰამზათმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ჩახმახი შეაყენა. ყასუმს თოფი არ ჰქონდა, მუხთარის ხანჯალი ეკიდა ქამარზე. ალი-ხოჯა წამოიწია. მოხუცი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ახალგაზრდებს. მან იცოდა, რომ ჰამზათი სროლას ვერ გაბედავდა, მაგრამ რას იზამდა ეს ქალაქე-

ლი? ყასუმს არ მიუხედავს ჰამზათის ყვირილზე, თუმცა ჩახმახის ჩხაკუნი კი გაიგონა. მან მხოლოდ ქარქაშს ჩასჭიდა მარცხენა ხელი, მარჯვენათი კი ოდნავ უჩინა პირი ხანჯალს. მერე არავისთვის არ მიუმართავს, ისე წარმოთქვა: „ერთიც ვნახოთ და გიმტყუნა, ჰა?“ ყასუმმა მშვიდად გაიმეორა ეს სიტყვები რამდენჯერმე, გაიმეორა მომნუსხველად და შემაგონებლად. ხომ ძალიან გაცეცხლებული იყო ჰამზათი, მაინც შესძრა ყასუმის სიმშვიდემ; მართლაცდა, ორლესული ხანჯალი ვის უმტყუნებს. ალი-ხოჯას ახლა ძალიან მოეწონა ეს უცნობი ქალაქელი ყმაწვილი: მასში იყო წინაპარ მთიელთა ვაჟკაცობა, კარგა ხანია რომ გამოფიტვოდათ, — მოხუცის აზრით, — კეთილმოწყობილი ცხოვრებით განებივრებულ ადამიანებს.

ჰამზათს ბრაზი ახრჩობდა. მან უცებ მიატრიალა ლულა სარკმლისკენ და, თითქოს იმაში დასარწმუნებლად, მართლა ხომ არ მიმტყუნებსო, ჩახმახს გამოჰკრა. გაისმა სროლა, ოთახი წამით განათდა, მაშინვე ფანჯრის მილმა გაისმა თავზარდაცემული ღრიალი.

ყველანი წამოცვივდნენ. წამოხტა ყარა-ხართუმიც, ნამძინარევზე უცბად ვერ გამოერკვა.

— რა მოხდა? — იყვირა მან. — ვინ ისროლა?

— ამ ყეყეჩმა ისროლა, — მიუგო ალი-ხოჯამ, — მაგრამ კაცმა არ იცის, ვის მოარტყა, ფანჯარასთან ვიღაც იდგა.

— ქაფთარი, ქაფთარი იყო! — წამოიძახა ჰამზათმა და გარეთ გაიჭრა. ყველანი უკან მიჰყვნენ.

— აქ ყოფილა, აი კვალი! — იყვირა ყარა-ხართუმმა. — არიქა, გამოვეკიდოთ!

— ნუთუ ქაფთარი იყო? — ყასუმს ყველაფერი დაავიწყდა. ირწმუნა, რომ თოვლის ადამიანი, ვისაც ამაოდ დაეძებდა მთელი დღე, სადღაც აქვე იყო.

— მე ალმოვაჩინე, პირველმა მე ალმოვაჩინე! — იყვირა ჰამზათმა ყოველი შემთხვევისათვის. — ფანჯარაში ჩრდილი შევნიშნე და ვესროლე! იქნებ დაჭრილია? ჰო, რა თქმა უნდა, დაჭრილია; აი სისხლიც...

ჰამზათმა თოვლზე დაჩენილ პატარა მუქ ლაქებზე მიუთითა.

ყველანი მიჰყვნენ კვალს. დროდადრო კვალი იკარგებოდა, მაგრამ ისევ და ისევ პოულობდნენ. ხოლო როცა ვეება კლდეს მოუხვიეს, კვალიც ალმა წავიდა. ამ დროს შორიახლოს რაღაც არსება დაინახეს, დაოთხილი რომ მიფორთხავდა და დროდადრო კლდეებს ეფარებოდა. მონადირეები ცხადია, დაედევნენ... ოჰ, რა ძნელი იყო ფერდობზე ასვლა! თოვლი მათ სიმძიმეს ვერ უძლებდა, იფუშებოდა, მონადირეები უკანვე ცურდებოდნენ, მაგრამ კრიჭაშეკრულნი, აქოშინებულნი და ოფლში გაწუწულნი, კვლავ მიძვრებოდნენ მაღლა და მაღლა... დევნის ჟინს აყოლილი ალი-ხოჯაც უკან მიჰყვა სხვებს, მაგრამ ფეხი დაუცდა, ქვებზე დაეცა და ერთბაშად დაცხრა. „ნეტავი მე რაღა მესაქმება იმ თოვლის ეშმაკთან? ჯანდაბას იმისი თავი და ტანი! მისდიონ, თუ ეხალისებათ, მე რატომ მოვიტეხო კისერი, შეყვარებული ხომ არა ვარ. დიდი ამბავი კი ჰგონიათ! ახლა ვის გააკვირვებ ქაფთარით? ცხოვრებაშიც ბევრია ქაფთარი“. და ალი-ხოჯა იქვე დარჩა.

ის სამნი კი მაინც აფორთხდნენ იმ კლდეზე, რომლის უკანაც გაუჩინარდა უცნობი არსება. მაგრამ იქით კვალიც ვერ ნახეს მისი, თითქოს მიწამ პირი უყოო... გულგატეხილები ჩასხდნენ თოვლში სულის მოსაბრუნებლად.

იმ არსებამ ჭკუით აჯობა მონადირეებს. სანამ ისინი ზევითკენ მიფორთხავ-დნენ, მან კლდეებს შემოუარა და ძირს ჩამოსრიალდა. ჩამოსრიალდა და აკი ზედ შეასკდა თოვლში ჩამჯდარ ალი-ხოჯას. მოხუცმა იფიქრა, მონადირეთაგანია ვიღაცაო, ხელი ჩაავლო და უთხრა:

— გეყოფათ მასხარაობა, ბავშვები ხომ არა ხართ!

იმ არსებამ გასხლტომა დააპირა, ვერ შესძლო და მაშინლა ამოიხრიალა:

— ალი-ხოჯა, შენა ხარ?

— მე ვარ, მაშ ვინ იქნება, ვერა მხედავ, შე ბრმა ნაწლავო? შენ ვინლა ხარ?

— მე ვარ, ჰაჯი-ბექირი.

— მე კი მეგონა, დათვი დამეცა-მეთქი. დაიცა, აქ რას შვრები? ვინმეს მარ-ხავ თუ რა ამბავია?

— არა, აბა, წავედი!

— წადი! — უთხრა ალი-ხოჯამ, — და ფეხებში ნულარ გამოგვედები. სახუ-მარო საქმეზე არ წამოვსულვართ.

— ვხედავ, ვხედავ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ჰაჯი-ბექირი სასწრაფოდ გაეცალა.

მაშინლა გახსენდა ალი-ხოჯას ყველაფერი: გაახსენდა, რომ ჰაჯი-ბექირი ციხიდან გამოიქცა, რომ დაეძებენ, რომ ისიც დასაჭერი იყო. მოხუცმა იყვირა, ამხანაგებს უხმო, ხოლო როცა ისინი ძირს ჩამოვიდნენ, ყველაფერი უამბო. მაგ-რამ მეტისმეტად გასავათებულნი იყვნენ, რათა ახლა კიდევ ვიღაც ჰატიმარს გამოსდევნებოდნენ. „სულ ერთია, შორს მაინც ვერსად წავა, ქაფთარი ხომ არაა!“ — გადაწყვიტეს და სახლში შებრუნდნენ ჩამქრალ ღუმელთან.

მეტყევის მიტოვებული ქოხი

იმ ძველ სახლთან ჰაჯი-ბექირმა ტკივილისაგან კი არ შეჰყვირა, უფრო იმისი შეეშინდა, ხომ არ მომკლესო. ახლა სისხლიან ყურზე ცხვირსახოცი მი-ედო და გულჯავრიანი იჯდა კარგა შორს იმ ადგილიდან, სადაც მონადირეები ღამეს ათევდნენ. კიდევ კარგი, ტყვია თავში არ მოხვდა, თორემ მისი სული უკვე რა ხანია სიკვდილის ანგელოზის აზრაილის ხურჯინში იქნებოდა!

„მოდი, მაინც შევიპარო აულში? იმ წყეული ადამის ქოხი ხომ სულ განაპირასაა და შიგ ხევა ცხოვრობს“, — გაიფიქრა მესაფლავემ და შუბურუმის გზას დაადგა. მაგრამ ვერც ადამის ქოხში შესვლა შესძლო ჰაჯი-ბექირმა: ეზოში კი არა, ქუ-ჩაშიაც იდგნენ საპალნის ცხენები და სახედრები, მათ პატრონებს კი ქოხში ეძინათ. ჰაჯი-ბექირს გაუკვირდა. აბა რა იცოდა, რომ ადამი წმინდანად შერა-ცხეს და დღე ისე არ გავა, მლოცველებმა არ მოაკითხონ აქაურობას.

სხვა რა გზა ჰქონდა, აული უნდა დაეტოვებინა. მაგრამ სადმე ხომ უნდა გაეთია ღამე, და განა ერთი ღამე! სარაიონო საპატიმროში ხომ არ დაბრუნდე-ბოდა. არა, ჰაჯი-ბექირი დარჩება ამ კლდე-ღრეში თუნდაც სულ მარტოდ-მარტო; თავისუფლება სჯობს პატიმრობას; სიცოცხლე სჯობს ცივ მიწაში ჩალ-პობას. უკვე მერამდენედ უწოდა თავის თავს ჰაჯი-ბექირმა უმეცარი, ყეყეჩი, დიდყურა ვირი. ვირია, მაშ რა, იმ ვიგინდარა შაჰნაზარს რომ დაუჯერა, თივის ტომარა, ტუტუცი, უტვინო; ის-ის იყო თავისი ღონიერი მუშტი უნდა ეთხლიშა შუბლში, რომ უცებ ერთი აზრი დაებადა: ხომ შეუძლია დროებით თავშესაფარი

ჰპოვოს ქვევით, ხეობაში, მეტყევის მიტოვებულ ქოხში, რაკი შაითან-ულელტეხილზე ვერ დაბინავდა! სხვა თუ არაფერი, სითბო მაინც ექნება, ქოხის გვერდით შუბურუმელები მუდამ აწყობდნენ ხოლმე შეშის საზამთრო მარაგს. ამ ბრწყინვალე აზრით გამხნევებული ჰაჯი-ბექირი ფრთხილად ჩაუყვა ხეობას, როგორც ხარი, საკუთარი კუდი რომ მიერეკება გასამხნევებლად. ტკიოდა დაჭრილი ყური, მაგრამ უფრო მტკივნეული იყო იმის ფიქრი, რომ ამიერიდან, თუკი ელირსა ადამიანთა შორის ცხოვრება, სამუდამოდ მიეკერება მეტსახელი „ცალყურა“. სისხლი აღარ სდიოდა, ზედ მიახმა, შესახვევიც არაფერი ჰქონდა. ცხვირსახოცი მიიფარა მხოლოდ და ზედ ფაფახი ჩამოიფხატა.

ეჰ, ჰაჯი-ბექირ, ჰაჯი-ბექირ, ყოჩაღო მესაფლავევ, რა დღეში ჩაიგდე თავი! არადა რა კარგად და მშვიდად გქონდა აწყობილი ცხოვრება! ყოფილიყავი შენთვის და გეცხოვრა უდარდელად. რა ჭირად მოგიმზადა იმ დღეს ცოლმა ხინკალი? უკეთ, რა ჭირად წარმოთქვი ის წყეული სიტყვები: „თალაქ-თალაქ, თალმი-თალაქ!“. ჯერ კიდევ სარაიონო საპატიმროში რამდენჯერ წამოუყვირია ეს სიტყვები, დაუყურადებია, რომ მიმხვდარიყო, ჩასწვდა მათ აზრს თუ არა, ბგერათა თანხმიანობას მაინც, მაგრამ მხოლოდ აბდაუბდა გამოდიოდა, — სიცარიელე, ლეიბის მტვერი. სამგზის წყეულიმც იყავ, ცრუპენტელა ოხერო, შაითანის შვილო, ეშმაკ იბლისის მეგობარო და კუდიანო მაიმუნო! რატომ აღარ მოიგონე, შე ქათამ-ინდაურის შვილო, ამ უაზრო სიტყვების სანაცვლოდ სხვა ისეთი სიტყვები, რისი მეოხებითაც შესაძლო იქნებოდა ყველაფერი იოლად აღდგენილიყო, როგორადაც დაინგრა? ხომ უნდა მოსდევდეს შხამს — ნექტარი, ცრემლს — სიცილი, ღამეს — დღე, მწუხარებას — სიხარული. მერედა რა სამუშაო ჰქონდა! ყველას ესაჭიროებოდა ჰაჯი-ბექირი, როგორც საკვამურს ბუხრისმწმენდელი, ყველა ანგარიშს უწევდა, აულში პატივს სცემდნენ, გოდეკანზე რომ მივიდოდა, ადგილსაც კი უთმობდნენ ხოლმე. ახლა კი „თალაქ-თალაქ, თალმი-თალაქის“ გულისთვის აღარც ცოლი ჰყავს, აღარც ქოხი აქვს, დარჩა ცარიელ-ტარიელი... ვინ არის ახლა ჰაჯი-ბექირი? უსახლკარო ძაღლი, ნადირი, მონადირეებს რომ გაურბის, დევნილი, დაკოდილი. და არც არავითარი იმედი აქვს იმისა, რომ ოდესმე უფლება ექნება ადამიანთა შორის ცხოვრების.

ნელა ეშვებოდა ჰაჯი-ბექირი გაუკვალავ დალმართზე, რადგან ყველაფერი თოვლს დაეფარა და შუბურუმელებს ველარ გაებედათ ამ ბოლო დროს ხეობაში ჩასვლა, ქაფთარი არ შეგვეფეთოსო. „წყეული იყოს ის თოვლის ეშმაკიც! — ფიქრობდა ჰაჯი-ბექირი, — ანაზდად დამეცა თავზე, როგორც დაეცა თურქეთის ფაშას ჰამადარას მთის აულის გუბდენის აღებისას ქალის საწმერთული; მეომარი ფაშა იმ საწმერთულში გაება, როგორც ბუზი ობობას ქსელში; მთიელები სიცილით დაწყდნენ. ამათ მეც ქაფთარი ვეგონე ახლა. ხომ შეეძლოთ ტახივით გავეგორებინე. მეტადრე იმ მოუსვენარ ყარა-ხართუმს, თოფით რომ დაეხეტება ყველგან. ერთი კიდევ რომ ესროლა, მოუწევდათ შუბურუმელებს თავიანთი მესაფლავის დასაფლავება. რა ხალხია, ჰა? როგორ უყვართ ყოველნაირი საიდუმლოებანი, იდუმალი, უცნობი რამ; ერთი სული აქვთ თხილივით გაკვნიტონ საიდუმლო, თუმცა ზოგჯერ თხილი ფშუტეა, ანდა შიგ მსუქანი, მაძღარი და სულელი მატლია ჩახვეული. რა საჭიროა ყველაფრის ცოდნა? ვის რაში ესაჭიროება, ჰა? არა, არ შეუძლია ხალხს მშვიდად ცხოვრება, არ სჯერდება იმას, რაც აქვს. მუდამ რაღაცას ისაკლისებენ, ხოლო რა აკლიათ — თვითონაც არ იციან“.

ჰაჯი-ბექირმა მდინარესა და ძველ წისქვილთან მისვლამდე გაუხვია მარ-

ჯვნივ, ზამთრის ღამის მდუმარებაში აღმართული დაჭირხლული ტყისკენ. კარგა ხანს იყიალა, ვიდრე მეტყევის მიტოვებულ ქოხს მიაგნებდა. აი, როგორც იქნა გამოჩნდა ქვის პატარა სახლი მთვარის შუქით ალაპლაპებულ ქათქათა თოვლზე. აგე იქვე აწყვია დაპობილი შეშა, აულმა რომ დაიმზადა ზამთრისთვის და თითქმის ხელუხლებელია. მშვიდად მიუახლოვდა სახლს ჰაჯი-ბექირი, დარწმუნებული იყო, ძეხორციელი არ იქნებოდა შიგ. მოსწია კარი, მაგრამ არ გაიღო: ჩაკეტილი ყოფილა! გულდაგულ დაათვალიერა კარი გარედან: არც ბოქლომი ედო, არც ურდული ეკეთა. მაშ შიგნიდან ჩაუკეტიათ! „ნუთუ აქაც დამასწრეს? — ჩუმად შეიცხადა ჰაჯი-ბექირმა. — იქნებ აქაც ქაფთარზე მონადირენი ათევენ ღამეს? სიფრთხილე მმართებს. უწინარეს ყოვლისა, ფანჯარასთან არ უნდა მივიდე!“

მაგრამ რა ექნა? თოვლში ხომ არ გაათევდა ღამეს ამ ყინვაში!

სასოწარკვეთილმა ჰაჯი-ბექირმა ერთბაშად კი არ მოჰქაჩა, ფრთხილად გამოსწია სახელური. გაუშალაშინებელი ფიცრებისგან ნაკეთებმა კარმა გაიჭრიალა, დაიკვნესა და სულ პაწია ღრიჭო გაჩნდა; ძლივს მოახერხა ხელის შეყოფა და ურდულის პოვნა. ფრთხილად შევიდა ჰაჯი-ბექირი, ფრთხილად მოხურა და ჩაკეტა კარი, უხმაუროდ შეაბიჯა შიგ და შეჩერდა, იქაურობა მოათვალიერა. სახლში სითბო იდგა. პატარა კერაზე ცეცხლი იღვენფებოდა. შემწვარი კარტოფილისა და აპოხტის სუნი ტრიალებდა ქოხში. ჰაჯი-ბექირმა კერიდან ფრთხილად აიღო მუგუზალი, ასწია და თვალი მოავლო იქაურობას. კედელთან მდგარ ფართო ტახტზე ნაბადწაფარებულ კაცს ეძინა; არც მძინარესთან, არც კართან, არც კერასთან არ ჩანდა თოფი. ჰაჯი-ბექირმა გაიხარა: ერთთან ლაპარაკი სულ სხვა საქმეა, ვიდრე სამ, თანაც შეიარაღებულ კაცთან! მძინარე აღარ შეუწუხებია, — შიმშილით გული ელეოდა, აქ კი ისეთი გემრიელი სუნი იდგა! ფანჯარასთან ნახევარი ცხვარი ეკიდა. ჰაჯი-ბექირმა მონახა დანა, მთლიანად ჩამოჭრა უკანა ფეხი და კერასთან ჩაცუცქდა. თან შეშას უკეთებდა და თან ხორცს წვავდა. შემწვრის სუნი დატრიალდა ოთახში. მძინარემ ცხვირი დააცემინა. „იძინე, იძინე, ხეირი ნუ მოგაკლოს ალაჰმა! — თქვა ჰაჯი-ბექირმა, თან თვალს ვერ აშორებდა ხორცს. — საჭმელს რომ გეახლები, მერე ვისაუბროთ, ჩემო კეთილო განდეგილო“. ველარ მოითმინა, სანამ მთელი ნაჭერი შეიწვებოდა, მიდგა და ნაჭერ-ნაჭერ დაუწყო ხორცს ჩამოთლა, ჭამდა და პირს აწკლაპუნებდა ხმამაღლა. მანამდე ღეჭა და აწკლაპუნა პირი, სანამ ცარიელი ძვალი არ შერჩა ხელში; მაგრამ ველარც ძვალს შეელია მესაფლავე, ჯერ გამოღრღნა და გამოწუწნა, მერე ერთხელ კიდევ დახედა, ხორცის ნაგლეჯი ხომ არსად შერჩაო. მაგრამ ხორცი აღარსად იყო. მესაფლავემ ამოიოხრა და ძვალი ცეცხლში შეუძახა.

ახლა, როცა კუჭიც გაიძღო და ძვალ-რბილიც გაითბო, ჰაჯი-ბექირს დაუბრუნდა თავისი ძალის შეგნება და თავდაჯერებულობა. მესაფლავე მივიდა ტახტთან და ჯანჯღარი დაუწყო მძინარეს:

— გაიღვიძე, მეგობარო, გაიღვიძე! ვილაპარაკოთ...

მძინარე ჯერ მხოლოდ ზმუოდა, წიხლს იქნევდა, მერე მეორე გვერდზე გადაბრუნება დააპირა, მაგრამ უცებ გამოფხიზლდა, ნაბადი გადაიძრო და ისეთი მაღალი და მჭახე ხმით იკითხა, რომ ჰაჯი-ბექირს ყურებმა წუილი დაუწყო:

— ჰეი, ვინ არის აქ?

— ეგრე ნუ ყვირი! — შეევედრა მესაფლავე. — ვინც არ უნდა ვიყო, ცოცხალი ადამიანი ვარ. ვილაპარაკოთ.

Стоял дуэлин „не
на 37-ом километре
(ныне на этом месте его
корпуснинские дом на пл. Ленина
Ленинград).

ბაზარი

— ჰაჯი-ბექირი ხარ?!

— ჰო, — ჰაჯი-ბექირი ცოტა არ იყოს დაიბნა: ნეტავი ვინმე უცნობი ყოფილიყო, ვისაც არ ეცოდინებოდა, ჰაჯი-ბექირი საპატიმროდან რომ გამოიქცა. — შენ ვიღა ხარ?

პასუხის ნაცვლად სახლის ბინადარი კარს ეცა; მაგრამ ჰაჯი-ბექირმა იმარჯვა, ხელი დასტაცა და, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, უცნობი კერასთან, შუქთან მიათრია; როგორც კი ჩახედა სახეში, მესაფლავეს ფერი ეცვალა, უკან დაიხია და იყვირა: „ტაბა, ტაბა, ალაჰ!“, თან ხელების ქნევით იგერიებდა მოჩვენებას. მაგრამ მოჩვენება არ ქრებოდა, იდგა მის წინ კერიის მოლიცლიცე შუქზე. ახლა თვითონ ჰაჯი-ბექირი გაქანდა კარისკენ, მაგრამ მოჩვენებამ გზა გადაუღობა.

— აკი ჩემთან ლაპარაკი გინდოდა, ჰაჯი-ბექირ! — გამაყრუებლად დასჭექა მან. — კეთილი, ვილაპარაკოთ.

— არა, არა, შეუძლებლია! შენ არა ხარ!

— მაშ ვინა ვარ?

— ვინა და აჩ-აჩრდილი...

— მე ვარ, ჰაჯი-ბექირ. ნუ გეშინია, მე თვითონ შემეშინდა, ახლაც კი ვკანკალებ.

— არა, არა, არა, შენ არა ხარ! ეგ შენი ხმა არ არის, ადამ! — ლუღლუღებდა მესაფლავე.

თავზარდაცემულ მესაფლავეს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ყბა ჩამოვარდნოდა.

— არა, ჰაჯი-ბექირ, მე ვარ.

— არა! შენ მოკვდი! მე თვითონ დაგმარხე!

— მკვდრები არ შეექცევიან აპოხტსა და კარტოფილს. ამბობენ, სამოთხეში, ალაჰთან, სულ სხვა საჭმელს გეახლებიანო, — მიუგო ადამმა, კერას მიუჯდა და შეშა შეასწორ-შემოასწორა. — გეტყობა, გიამა ხორცი.

ადამის მშვიდი ხმა რომ ესმოდა, მესაფლავე თანდათანობით გონს მოდიოდა, მაგრამ მაინც გაქვავებული იდგა და თვალს არ აშორებდა. თითქოს ჩამოჰგავს, ჩია ტანისაა, კუზიანი, მაგრამ ხმა, ხმა კი მისი არაა — მჭექარე, მაღალი, მბრძანებლური. განა ეს ადამის, სოფლის დალაქის ხმაა, ის ხომ სულ წრიპინებდა და წიოდა.

— ჩემს მოსაკლავად ხომ არ მოხვედი? — ჰკითხა ადამმა.

ჩემს მოსაკლავად ხომ არ მოხვედიო — ამ სიტყვებმა ისე იჭექა ოთახში, როგორც მეხმა. მოსაკლავადო? როგორ შეუძლია მოჰკლას ის, ვინაც ასე მოულოდნელად დაბრუნდა ალაჰის სამოთხის ბაღნარიდან და სასწაულებრივად აღადგინა მკვდრეთით მესაფლავე ჰაჯი-ბექირი? ამ საყვარელმა ადამმა გამწარებული, ლტოლვილი, ნადირივით დევნილი მკვლელი, მომავალი კატორღელი ჰაჯი-ბექირი კვლავ აქცია თავისუფალ, ლაღ ადამანად, ვის წინაშეც გადაშლილია მთელი ქვეყნიერება! ახლა მას შეუძლია გაემგზავროს თუნდაც ყირიმში, თუნდაც ლატვიაში, სადაც კი მოეგუნებება! ან იქნებ ნება დართონ და ისევ ძველ საქმიანობას დაუბრუნდეს...

— მართლა ადამი ხარ? — ჰკითხა ჰაჯი-ბექირმა. მღელვარებისგან ტუჩები აღარ ემორჩილებოდა.

— ჰო.

— აბა მიჩქმიტე, თუ მოჩვენება არა ხარ.

ადამი მიუახლოვდა, ქურთუკის ქვეშ შეუყო ხელი და მუცელზე უჩქმიტა.

— ვაი, მეტკინა! აბა, ერთხელ კიდევ მიჩქმიტე! — სიხარულით წამოიძახა ჰაჯი-ბექირმა. — მაშ მართლა შენა ყოფილხარ, ადამ, ჩემო ძვირფასო, ჩემო კუზიანო, საყვარელო ჩოლახავ! ცოცხალი ხარ!

ჰაჯი-ბექირმა გულში ჩაიკრა სოფლის დალაქი.

— ვაი, ნელა! — იყვირა ადამმა და ხელიდან გაუსხლტა.

— პა-პა-პა, ცოცხალია! პა-პა-პა! — ჰაჯი ბექირი ხან გაეცლებოდა და შორიდან შეჰხაროდა, ხან გულში იკრავდა, ხან კიდევ ცეკვით უვლიდა გარს აღტაცებული, იცინოდა, ხარხარებდა, სლუკუნებდა, ცრემლს იწმენდდა. — შენა ხარ, ადამ! რა თქმა უნდა, შენა ხარ! მაშ არ მომკვდარხარ? აკი დაგასაფლავეთ! ჩემი თვალით ვნახე შენი ძვლები და ფაფახი...

— რომელი ფაფახი?

— შენი რუხი ფაფახი, მთელი აული რომ იცნობს. ყარა-ხართუმმა იპოვნა მგლის ხეობაში...

— ოჰ, საცოდავი!

— ვინაა საცოდავი?

— მე ხომ შაჰნაზარს გავუცვალე ფაფახი. მაშ მგელს ჩავარნდია ის უბედური ხახაში!

— ახია იმ არამზადაზე! იმისაგანა მჭირს ყველა უბედურება. მაშ ადამი ხარ? რალა თქმა უნდა, ადამი ხარ, ჩემო საყვარელო, ძვირფასო კუზიანო, ჩემო მწამებელო და ჩემო მხსნელო! — და კვლავ დაუწყო ჰაჯი-ბექირმა ირგვლივ ცეკვა და ტაშის კვრა. როგორც ჩანს, მარტო დარდი არ შლის თურმე ჭკუაზე ადამიანს!

უცებ მესაფლავე შეჩერდა:

— შენ რალას იმალებოდი?

— რას ვიმალებოდი? ჯერ მეშინოდა, თანაც არ მინდოდა ის დამეკარგა, ვინც ასე მოულოდნელად ვიპოვე. მაგრამ, ცხადია, დიდხანს ვერ გავუძლებდი სიმარტოვეს, თუ რომ... ჰე-ჰე -ჰე, იცი რა, იმ ლამეს, შენ რომ გამოგექეცი და უფსკრულთან ფეხი ამიცდა, ვიღრიალე.

— განა შენ იღრიალე?

— ჰო, მე. თვითონაც ვერ დავიჯერე, რომ ჩემი ხმა იყო.

— მე კი მეგონა...

— შენ გეგონა, ქაფთარი ყვირისო? ჰე-ჰე-ჰე, რას გარბოდი! როგორ მოცოცხე! მე კი სასწაულით გადავრჩი. თუმცა კიდევაც რომ ჩავვარდნილიყავ, მაინც არაფერი დამიშავდებოდა. თურმე, ქვას ჩაბღაუჭებული, უფსკრულის პირას კი არ ვეკიდე, როგორც მეგონა, — სულ რალაც ორიოდ გოჯი ყოფილა მიწამდე. ჰე-ჰე-ჰე! ძაან კი გარბოდი!

— მაშ რას ვიზამდი! ეგეთი ღრიალი ვის არ გააქცევდა.

— ჰოდა, მაშინ მომაფიქრდა, დაცინვისათვის დიდსაც და პატარასაც სამაგიეროს გადავუხდი-მეთქი. მას უკან ვიქეცი შუბურუმისთვის ქაფთარად. ვაი, როგორ აფრთხობდა ჩემი ყვირილი ხალხს! ერთხელ მაინც შევძელი გამემასხრებინა ისინი, ვინც მე მამასხრებდა! და გემოზედაც გავამასხრე! ხომ ვაჩვენე ფეთება!.. ჰა, რას იტყვი, ჰაჯი-ბექირ?

— ვიტყვი, რომ გულქვა ყოფილხარ, შენ მოჰკალი, მოსპე აული, დაანგრიე

სახლები, ადამიანებს დაატოვებინე შუბურუმი. ვიტყვი, რომ შენა ხარ დამნაშავე ამ დაცარიელებისა.

— ჰო, მე ვარ. ეგრე იყოს! მიხარია, რომ შევძელი და ავყარე ჯიუტი შუბურუმელები ამ უნაყოფო ქვებიდან. კარგა ხანია შემეძლო დავბრუნებულიყავ აულში და მალულად აღარ მევლო ჩემი ქოხის ახლომახლო, სადაც ხევა ცხოვრობს. მაგრამ როცა ვნახე, ბოლოს და ბოლოს შემიძლია მივატოვებინო-მეთქი ხალხს ეს გამოფიტული, მწირი მთის მიწა, ამ უბადრუკ ქოხში დავრჩი. მე ის მინდა, ჰაჯი-ბექირ, რომ ჩემი თანასოფლელები ზღვის პირას ცხოვრობდნენ ბარაქიან მიწაზე, ახალი ცხოვრება ჰქონდეთ, მათთვისაც იყოს კინო, ტელევიზორი, სასადილო, თეატრი. მე თვითონაც მინდა ახლებურად ვიცხოვრო!

არა! ადამის მოსაზრებანი სულაც არ გახლდათ უბრალო და მარტივი, არ შეიძლებოდა არ ჩაფიქრებულიყო კაცი. მდუმარედ შესცქეროდა ჰაჯი-ბექირი; რამდენი ტანჯვა არგუნა მას ამ კაცმა, ვისაც განეზრახა იძულებით გაესახლებინა შუბურუმელები. მოჰკლას? მაგრამ ჰაჯი-ბექირის მთელი მომავალი ცხოვრების გასაღები ხომ ადამია. ადამი არის მისთვის თავისუფლება, ლაღი ცხოვრება ადამიანთა შორის, თავმომწონე, უმწიკვლო ცხოვრება...

— წამოდი! — უთხრა ჰაჯი-ბექირმა.

— სად?

— აულში წამომყევი, ხალხთან.

— არაფრის გულისთვის, სანამ ყველას არ გავრეკავ აულიდან. გესმის?

— ოჰ, ნუ ღრიალებ! გამაყრუე.

— კიდევ ერთი რამ: ხევა ჩემია! გაიგე?

— თუ დაგეთანხმე, წამოხვალ?

— მაშინ წამოვალ. არ მატყუებ?

— გულშიაც არ გამივლია.

— დაიფიცე!

— რა?

— საკუთარი სიცოცხლე!

— ჩემი ადრინდელი წყეული სიცოცხლე? ინებე.

— არა, დაიფიცე შენი მომავალი სიცოცხლე.

— ვფიცავ ყველა სიხარულს, რაც კი მელის ცხოვრებაში, — თქვა ჰაჯი-ბექირმა. თანდათან უფრო მეტი სითბო, სიხარული ეფინებოდა სულში: როგორც იქნა დასრულდა მისი ვაი-ვაგლახი, თითქოს სიზმარში იყო და ახლა გაიღვიძაო. მთავარია, რომ მის წინ ზის ცოცხალი და საღსალამათი ადამი, მისი ხსნა და შველა! რაც შეეხება ხევას — შაითანსაც წაუღია მისი თავი, მაინც არა სურს ჰაჯი-ბექირთან დაბრუნება. არა უშავს რა, ჰაჯი-ბექირისთვისაც მოიძებნება ან გასათხოვარი ქალი ან ქვრივი, შუბურუმში თუ არა, თუნდაც ახალ ადგილას, — ჰაჯი-ბექირსაც აღარ უნდა აულში დარჩენა ამდენი ფათერაკისა და თავის მოჭრის მერე. ამიტომაც დაშოშმინდა ჰაჯი-ბექირი, დაშოშმინდა და გამხიარულდა. ჰოდა, დასდეს ზავი, რომელსაც ისტორიაში პურბანჩაის ზავი შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან ასე ჰქვია იმ მდინარეს, ხეობაში რომ მიედინება და ძველი წისქვილის ბორბალს აბრუნებდა ოდესღაც...

ზავი განამტკიცეს კარგი ვახშმით. შეწვეს და მიირთვეს, რაც კი რამ ცხვრის ხორცი და კარტოფილი დარჩენოდა ადამს მეტყევის ძველ სახლში.

როგორ გასაკდა ცხვრის ბუშტი

აულ შუბურუმში მომხდარი ამბები, როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვნად და განსაცვიფრებლად ეჩვენათ, რომ სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხი სულ სხვადასხვა, ახლო თუ შორი ადგილებიდან მოაწყდა შუბურუმს, მოაწყდა იმდენი, წლების მანძილზე რაც ყონაღები მოსვლიათ, ისინიც კი ცოტანი გამოჩნდებოდნენ. ნაწილი ადამის წმინდა საფლავზე სალოცავად მოსულები იყვნენ, ნაწილი — ცნობისმოყვარე ტურისტები, ცაში გამოკიდული აულის ამბავი რომ შეეტყოთ. ჩამობრძანდა სწავლულთა და თოვლის ადამიანის მცოდნეთა კარგად ორგანიზებული და უხვად აღჭურვილი ექსპედიცია; ჩამოსულთა შორის იყვნენ რევიზორებიც, რომელთაც უნდა გამოერკვიათ, რა ზარალი მიაყენა თოვლის ადამიანმა კოლმეურნეობის საწყობს; იყვნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წარმომადგენლებიც, თუმცა მათ თოვლის ადამიანი კი არა, საპატიმროდან გამოქცეული მკვლელი უნდა დაეჭირათ... არასოდეს ყოფილა შუბურუმი ასე გამოცოცხლებული. ბავშვები გასავათებულნი იყვნენ: ყველგან უნდა მიესწროთ, ყველაფერი უნდა ენახათ, სოფსაბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის ფანჯრებში შეეჭყიტათ, ემსჯელათ მეცნიერთა ტანსაცმლის, სათვალის, მანქანების თაობაზე, გამოეთხოვათ მათთვის სამკერდე ნიშნები ან საკოლექციო მარკები, მიერბინათ წმინდა საფლავთან, თვალდაჭყეტილები მიჩერებოდნენ ფოტოაპარატებითა და ბინოკლებით აღჭურვილ ტურისტებს...

გეგონებოდათ, ჩამოსულები უფრო მეტნი არიან, ვიდრე აულის მკვიდრნიო. ჯერ წუხელვე ბევრმა მიატოვა შუბურუმი. ახლა ცარიელი შენობა ბევრი იყო და მუხთარი და ჩამსულა გულღიად ხვდებოდნენ ჩამოსულებს, არც ეკითხებოდნენ, ვინა ხართ და რაზე ჩამოსულხართო, პირდაპირ მიჰყავდათ ცარიელ სახლებში და ეუბნებოდნენ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მოეწყვეთ და იცხოვრეთ, რამდენ ხანსაც გენებოთ. დიდი ხანია გელით, იშვიათად თუ გვეწვევიან ხოლმე ასეთი საპატიო ადამიანები!“ რას იზამ, ასეთია მთიელთა სტუმართმოყვარეობის წესი. ხოლო ვინც თოვლის ადამიანის დასაჭერად იყო ჩამოსული, ჩამსულა და მუხთარი ეუბნებოდნენ: „იმედი გვაქვს, ბედი გაგიმართლებთ და დაიჭერთ იმ თოვლის შაითანს; აქ გახლავთ, ჩვენს მთებში ბინადრობს; იმ ქაფთარის გულისთვის დასტოვა ხალხმა ნაადრევად თავისი სახლ-კარი. თუმცა ოდესმე ეს მაინც უნდა მომხდარიყო, დროის ახალ ქროლვას ვერაფერი გაუმკლავდება. რაც არ უნდა დასანანი იყოს, მაინც მოგვიხდება მთების მიტოვება!“

ჩამსულა და მუხთარი საპატიო სტუმრებთან ერთად იდგნენ სოფსაბჭოსთან, როცა ყველას ყურადღება უცნაურმა პროცესიამ მიიპყრო: გულადი ვაჟკაცები, ქაფთარის დასაჭერად წასული პირველი მონადირეები დაბრუნებულიყვნენ, მოფრატუნობდნენ, ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. წინ ალი-ხოჯა მოდიოდა, თავი შეხვეული ჰქონდა და ცალი ფეხით კოჭლობდა; ყველაზე ყოჩაღად ის გამოიყურებოდა, ეგ კი არადა, ორი სანადირო თოფიც მოეგდო მხარზე. მაგრამ შუბურუმელებს ჯერ არასოდეს ენახათ იგი ასე დაღვრემილი. მას უკან მოსდევდნენ დაღლილ-დაქანცული, განაწამები, დაფლეთილ-ჩამოგლეჯილი, მშიერი და გათოშილი ყარა-ხართუმი და ყასუმი, სახელდახელოდ გაკეთებული საკაცით ცხვირპირდასისხლიანებული ჰამზათი რომ მოჰყავდათ. „ოჰო! — გაიფიქრა მუხთარმა. — კარგი დღე კი დაუყრია ქაფთარს!“

მაგრამ ქაფთარს ბრალი არა ჰქონდა.

იმავ ღამით, ჰაჯი-ბექირი რომ დასჭრეს, მონადირეებმა გაიგონეს, ვიღაცა რამდენჯერმე მოადგა სახლის კარს და თითქოს ზვერავდა იქაურობას. მონადირეები გარეთ გამოცვივდნენ: თოვლზე აშკარად მოჩანდა ნადირის კვალი! მიჰყვნენ ამ კვალს, სახლს შემოუარეს, ეგონათ, ქაფთარს დაინახავდნენ და ძუ მგელს კი წააწყდნენ, იგი გიზგიზა ავი თვალებით შემოსცქეროდათ და მზად იყო სცემოდა მსხვერპლს. იმ წელს ნადირისთვისაც მშიერი ზამთარი იდგა და ძუ მგელს ფერდები ხერხემალზე მიჰკვროდა. მაშინ კი... ნათქვამია, ყოველ ქვეყანაში არის ერთი ვერსი ცუდი გზა და ყოველ მამაცს აქვს ხოლმე წუთი სიმხდალისა... მაშინ კი უშიშარმა, მოუღლელმა მონადირემ ყარა-ხართუმმა ერთბაშად კურდღლის ხმით იწივლა და მოჰკურცხლა. ძუ მგელი დაედევნა, მეგობრებმა საშველად მიაშურეს; ამ ფორიაქსა და ბრძოლაში ალი-ხოჯა ხრამში ჩავარდა, თავი გაიტეხა და ფეხი იღრძო... ბოლოს ყასუმმა იმარჯვა და მუხთარის ხანჯლით განგმირა მგელი. მოკლული ნადირი გაატყავეს, დანარჩენი კი ყველაფერი გადაჰყარეს. მაგრამ ახლა ტყავის გამო შეექმნათ ცილობა. „ტყავი ჩემია! — გააფთრებით ყვიროდა ყარა-ხართუმი. — მე ძალიან კარგად ვიცნობ მაგ მგელს. სამი თვე მის კვალს დავდევდი!“ — „მაშ რატომლა გაექეცი?“ — აღშფოთდა ალი-ხოჯა. — „თქვენ გეგონათ, დავფრთხი? ჰა-ჰა-ჰა! მინდოდა განზე გამეტყუებინა. ხომ ვერ ვესროდი, როცა სამივენი ჯგროდ ედექით ირგვლივ!“ — „კმარა! — იყვირა ალი-ხოჯამ. — ტყავი ჩემია, ყველაზე მეტად მე დავზარალდი ამ წყეული ნადირობისას“.

ვიდრე ალი-ხოჯა და მონადირე ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ტყავს, ჰამზათი და ყასუმიც წალაპარაკდნენ აიშათის სიყვარულის გამო. ჰოდა, ამ გაცხარებული დავისას ისეთი სიყვარულით უშენდნენ ერთმანეთს მუშტებს ერთადერთ დაუფარავ ადგილზე — პირისახეზე, რომ იმავე ხრამიდან გადაცვივდნენ, საიდანაც ალი-ხოჯა გადავარდა, თუმცა ახალგაზრდები იყვნენ და ნაკლებ დაშავდნენ... მაგრამ რაღაი ჰამზათმა განაცხადა, განძრევა არ შეეძლიაო, ყასუმსა და ყარა-ხართუმს სხვა რა ჩარა ჰქონდათ, საკაცე გააკეთეს და იმით წამოიღეს; თუმცა, ვინ იცის, იქნებ ჰამზათმა სულაც შური იძია, ყასუმმა რომ დასჯაბნა, და თავი განზრახ ათრევინა? ეჭვიანობა და შურისგება რას არ ჩადენინებს კაცს, მით უმეტეს — შუბურუმელს!

როცა აულში შევიდნენ, ყოველი მხრიდან მოვარდა ხალხი, ეგონათ, გაკოჭილი ქაფთარი მოჰყავთო. მაგრამ ვეტერინარის დაბეგვილი სახე რომ დაინახეს, გულგაცრუებულებმა ზურგი აქციეს, თითქოსდა ჰამზათი ქაფთარის ფრჩხილადაც არ ღირდა! რა დღეს მოესწრნენ შუბურუმელები: ახლა თოვლის ადამიანი მათზე მეტად ფასობდა.

ქაფთარზე მონადირეებს ხელი მოეცარათო, — მოედო აულს ამბავი, და კიდევ რამდენიმე ოჯახი შეუდგა ბარგი-ბარხანის შეკვრას, რათა ამ წყეული მთებიდან კურთხეულ ბარში ჩასულიყვნენ, სადაც არც თოვლის ადამიანებია და მიწაც ხვავიანი და ბარაქიანია. ამჯერად მუხთარსა და ჩამსულას წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ იმათთვის, ვისაც უნდოდა უკვე მრავალთაგან მიტოვებული აულის მიტოვება. კარგა ხნის მოლაპარაკებისა და ხვეწნის შემდეგ შუბურუმელებს ნება დართეს გადასახლებულიყვნენ ჩიკა-სიზულ-მეერის მთების პლატოზე, სადაც აგებდნენ სულაკის ჩანჩქერთან ყველაზე უფრო დიდ ჰიდროელექტრო-

სადგურს — ჩირჩაის ჰიდროსადგურს — და სადაც უკვე გაშენდა ორ და სამსართულიანი სახლების დაბა.

მარტო ხევა ცხოვრობდა ადამის სახლში შეუშფოთებლად და აუღელვებლად, არსადაც არ აპირებდა გადასახლებას. ანკი რატომ უნდა ელელვა? ზამთრისთვის ყველაფერი მომარაგებული ჰქონდა: შინ დაშაშხული ხორცი და ფქვილით სავსე ტომრები ელაგა, ეზოში შეშის საყადლები, სარდაფში თივაწაფარებული კარტოფილი. როცა გაუთავდება, კიდევ მოუტანენ. სანაცვლოდ კი მხოლოდ უნდა უამბოს მოსულთ, თუ რა წმინდანი იყო მისი მეორე ქმარი, საყვარელი, ძვირფასი, სათაყვანებელი ადამი, ვინც ასე უდროოდ გაეცალა, — ეტყობა, ალაჰს უფრო ესაჭიროებოდა! ხევას არც მოსაწყენად სცალია: სულ მუდამ ხალხია, ათას რამეს ჰყვებიან, ახალ ამბებს ისმენს... დღეს ოთახებს ალაგებდა, ახალი მლოცველების დასახვედრად ემზადებოდა. ჰაჯი-ბექირი ახლა ხომ სულ აღარაფრად მიაჩნდა. „ადამთან შედარებით ნამდვილი ეშმა იყო! — ამბობდა იგი. — წყეულიმც იყოს, რომ ხელი აღმართა ადამზე! განა ისეთ ანგელოზზე კაცი ხელს აღმართავდა?!“

ხევა საყონაღოს ალაგებდა, როცა მის წინ ადამი წარსდგა.

თავდაპირველად ხევას ზედაც არ შეუხედავს, ჩვეულებისამებრ წარმოთქვა:

— მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო. ალაჰმა გისმინოთ!

— მე სტუმარი კი არა, შენი ქმარი ვარ, ხევა! განა ვერა მცნობ? — მიუგო ადამმა წყნარად, რომ ქალი არ დაეფეთებინა.

ხევამ შეხედა და ენა ჩაუვარდა. უნდოდა ეყვირა — ხმა აღარ ჰქონდა; პირზე ხელები აიფარა, მოჰყვა რაღაც ბუტბუტს: „ასთაღფირულლაჰ, ასთაღფირულლაჰ“. — ეტყობა, მლოცველებმა შეასწავლეს ზოგი რამ ყურანიდან. მერე ხელები მოიშორა, თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა კვლავ შეხედა მოღიმარე ადამს.

— სადაური სტუმარი ვარ? მე მასპინძელი ვარ, დედაკაცო!

— ვინა ხარ?!

— ადამი ვარ, კოჭლი, კუზიანი, ხმაწრიპინა ადამი, შენი ქმარი!

— არა, ეგ შენი ხმა არ არის!

— ჰო, მართალი ხარ, ხმა გამომეცვალა.

— რისთვის, რისთვის...

— რა „რისთვის“?

— რისთვის დაბრუნდი იქიდან? ვინ გიხმო?

— შენმა და შენი მლოცველების ლოცვა-ვედრებამ, ხევა.

— აკი მოკვდი! დავმარხეს!

— ეჰ, ხევა! ახლა მაინც ვერაფერს მივხდები. მაგას ისა სჯობს, მსუქანი მკერდის ნაჭერი შეარჩიო და ხინკალი გააკეთო, — უთხრა ადამმა და ტახტზე მოკალათდა — ბალიში მოხერხებულად ამოიდო თავქვეშ და ისე გაიშოტა, როგორც ნაჯაფი მთიბავი ნასადილევს. — ეჰ, რა სჯობია შინ ყოფნას! — თქვა მან ნეტარებით და მალე ისეთი ხვრინვა ამოუშვა, ბეჰემოტი გევონებოდა.

ხევას ეგონა, გავგიჟდიო. ფერმიხდილი ხან ერთ ადგილზე გაშეშდებოდა, ხან ოთახში დაბორიალობდა, აიღებდა რამეს და ისევ დასდებდა. ისიც იფიქრა, ხომ არ მძინავსო. ბანზე გაიჭრა, ირგვლივ მიმოიხედა — არა, არაფერი შეცვლილა ქვეყნად. ისევ ის თოვლით დაფარული მთები ჩანს, კლდეები, მიწა, კაშკა-

შებს მზე... ხელზე იჩქმიტა — და ტკივილისგან დაიკვნესა. ოთახში შებრუნდა: არა, მოჩვენება არ გამქრალა, ტახტზე იწვა და ისე ხვრინავდა, ჭურჭელიც კი წკრიალებდა. ჩუმად მივიდა ტახტთან, დაიხარა და დააცქერდა: ეჭვი არაა, ადამია! ფრთხილად შეეხო: თბილია, მკვრივი, ხორციანი და არა უხორცო. ისევ გავიდა და ისევ შემობრუნდა. მოჩვენება არ ქრებოდა და არა, ადამს ტახტზე ეძინა თბილ ოთახში! „იქნებ ცხვრის ხორცის ხინკალს რომ შესჭამს, მაშინ გაჰქრესო?“ — გაუელვა ამ უცნაურმა აზრმა ხევას; არა, მას ფიქრადაც კი არ შეეძლო გაევლო, რომ ადამი სამუდამოდ დაბრუნდა საიქიოდან. „საჩქაროდ უნდა გავუკეთო ხინკალი, რაკი მთხოვა!“ — გაიფიქრა ხევამ და ყველაზე მსუქანი ხორცი აარჩია: თავის სიცოცხლეში პირველად უნდა გამასპინძლებოდა წმინდანს!

საიქიოდან დაბრუნებული ადამი და ჰაჯი-ბექირი გვერდიგვერდ მოდიოდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ, თითქოს მათ შორის არასოდეს გაერბინოს არც შავსა და არც რუხ კატას. შუბურუმს აღმოსავლეთის მხრიდან მიადგნენ. აქ, აულს გარეთ, გზის გასაყართან, ადამმა დაინახა თლილი ქვის ოთხკუთხა შენობა, ხახვისთავის მაგვარი გუმბათი რომ ედგა, გუმბათის წვეროზე კი ბურთივით მრგვალი ქვა იდო. ამ შენობის ახლოს უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ზოგს პატარა ხალიჩაზე მოეკალათნა და ლოცულობდა, ზოგიც იჯდა და, მიუხედავად ყინვა-თოვლისა, კრიალოსანს მარცვლავდა.

— რა ამბავია, ახალი შეიხი გამოგეცხადათ? — გაუკვირდა ადამს.

— ალბათ, — გაეღიმა ჰაჯი-ბექირს. — გიხაროდეს.

— მე რა უნდა მიხაროდეს?!.

— ეგ ხომ შენი საფლავია.

— ჩემი საფლავი? რა თქმა უნდა, შენ იჩქარე ჩემთვის საფლავის გათხრა?

— შუბურუმში სხვა მესაფლავე არა ჰყავთ.

ადამმა უცებ ჩაიცინა:

— მლოცველებს რომ გამოვუცხადო, ცოცხალი ვარ-მეთქი, ჰა?

— არ დაგიჯერებენ.

— მგონი, მართალი ხარ. ისე გაუტაცნიათ თავიანთ საქმეს, რომ მათთვის ალბათ სულ ერთია, ახლა ვინ არის აქ დამარხული: შეიხი, შაჰნაზარი, მისი ცხენის ძვლები თუ ჩემი ფაფახი... თუმცა სასიამოვნო კია...

— რა გსიამოვნებს?

— საკუთარ საფლავთან რომ ვდგავარ და ხალხს შევცქერი, ვინც ალტაცებით სცემს თაყვანს ჩემს ხსოვნას. დარწმუნებული ვარ, მართლა რომ მოვკვდე, ასეთ პატივს არ მაღირსებენ.

— არა, არა, ალაჰის გულისთვის, არ მოკვდე! წესით კაცი ერთხელ უნდა მოკვდეს, ორჯერ სიკვდილი უკვე სასაცილოა!

— ჰმ, ჰო, მართალი ხარ.

— მეც ცოცხალი მესაჭიროები და არა მკვდარი. წამოდი! და აცალე ხალხს ილოცოს.

— მაინც უნდა ვუთხრა!

— არა, არა! ეგ მკრეხელობა, წმინდა ადამის საფლავის წაბილწვა იქნება.

— თუკი ჯერ ცოცხალი ვარ?!

— იცი, რას გეტყვი, მაგათი მუშტების წყალობით ემანდ მართლა არ მოკვდე.

— ნუთუ მკვდარი ვურჩევნივართ ცოცხალს?

— ასეთია ჩვენი სარწმუნოება: ცოცხალი კაცი ჭიანჭველაზე მეტად არ გვიღირს. აბა, წამო, წავიდეთ, მლოცველები უკვე ალმაცერად გვიყურებენ, ჰგონიათ, დავცინით.

— მაშ არ დავცინოთ? ხალხს მე, სოფლის დალაქი, ქაფთარი ვეგონე, ქაფთარების ჯოგი კი აქა ჰყოლიათ!

ადამს არ უნდოდა წასვლა, კიდევ აპირებდა საუბარს, მაგრამ ჰაჯი-ბექირმა ძალით მოაშორა დალაქი თავის საფლავს და აულისკენ წააჩიქჩიქა. თავისი სახლის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ადამი გაჯიქდა და უარი სტკიცა წაყოლაზე. ჰაჯი-ბექირი ემუდარებოდა, ჯერ სოფსაბჭოში გამოცხადდიო, მაგრამ დალაქი ულმობელი გამოდგა. „ვისაც ვჭირდები, თვითონ მომაკითხოს“, — ამაყად განუცხადა და წავიდა. ჰაჯი-ბექირსაც ეპატიჟებოდა, მაგრამ მან მხოლოდ თავი გააქნია — არ უნდოდა ხევას შეხვედროდა. განა ხევა არ იყო, კინაღამ რომ გააგლეჯინა იგი გააფთრებულ ბრბოს?!

მოედანზე ხალხს მოეყარა თავი. აიშათიც იქ დაფუსფუსებდა, იარებს უხვევდა ქაფთარზე მონადირეებს. ჰამზათი კინაღამ წამოხტა საკაციდან, როცა დაინახა, თუ რა მზრუნველობით და სინაზით შეუხვია ყასუმს პირისახე აიშათმა. იქნებ კიდევაც წამომხტარიყო და კორესპონდენტი მიებეთქა, რომ ამ დროს ჰაჯი-ბექირი არ გამოჩენილიყო.

მესაფლავეს მყის გარს შემოერტყნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი და გამოუცხადეს, კანონის ძალით დაპატიმრებული ხარო.

— რისთვის? — ხმამაღლა იკითხა მესაფლავემ.

— იმიტომ რომ დალაქი ადამი მოჰკალი! — მიუახლოვდა მუხთარი.

— თუკი არ მომიკლავს? — გაეღიმა ჰაჯი-ბექირს.

— საპატიმროდან რომ გამოიქეცი, შენ თვითონვე დაადასტურე შენი დანაშაული. შეიპყარით!

— არა, არა, დაიცათ! პა-პა-პა!.. ადამი ცოცხალია! — ზარზეიმით შეჰყვირა ჰაჯი-ბექირმა.

— როგორ თუ „ცოცხალია“? — ახმაურდნენ ირგვლივ. — განა ჩვენ თვითონ არ დავმარხეთ! რას გვასულელებ?! გაგიჟდა და ეგ არის!

ჰაჯი-ბექირი სიცილ-ხარხარით მოჰყვა ყველაფერს, — რომ ეს წუთია თვითონ მიიყვანა საღსალამათი ადამი მის სახლში, რომ ქაფთარი არ არსებობს და არც ყოფილა, ეს ადამი იყო, სამაგიეროს რომ მიუზღავდა ქილიკებსა და ონავრებს, რომ თოვლის ადამიანზე რაც ხმები დადიოდა, სულ ლაქლაქა და ჭორიკანა ხალხის მოგონილია... ყველანი პირდაღებულნი უსმენდნენ.

— მერედა ვინ ყვიროდა და ღრიალებდა? — ჰკითხა ვიღაცამ. — ადამს ხომ წვრილი, წრიპინა ხმა ჰქონდა.

— ხმა კი მართლაც გამოსცვლია, — მიუგო მესაფლავემ.

— ჰო, ყველაფერი შესაძლებელია, — ღრმააზროვნად შენიშნა ალი-ხოჯამ. — ჩემი თვალით მინახავს, უკრუხოდ რომ ჩეკენ წიწილებს!

და მაინც არავის არ უნდოდა დაეჯერებინა...

— ნეტავი მაგის ლათაიებს რა ყურს ვუგდებთ! წავიდეთ ადამთან! ეგ ცრუპენტელა კი მაგრად გათოკეთ, კიდევ არ გაიქცეს!

— ახლა აღარ გავიქცევი, ვერ მოგართვეს! — გადაიხარხარა ჰაჯი-ბექირმა.

ხმაურზე სახლიდან შეშინებული ხევა გამოვიდა:

— სძინავს, ჩუმად იყავით, გეთაყვა!

ის ბავშვობიდანვე შეეჩვია წმინდანებისადმი მოწიწებას.

— გაალვიძე! ახლავე! — იღრიალა ბრბომ.

და აი, ბანზე გამოვიდა უკმაყოფილოდ შუბლშეკრული, ნამძინარევი ადამი.

— ვახ, ვახ, ვახ! — იყვირა ხალხმა. — ცოცხალი ყოფილა! მართლაც ცოცხალი ყოფილა! ეს ადამია! დიახ, დიახ, ჩვენი ადამია!

— რა მოხდა? — იკითხა დალაქმა, მოაჯირთან გაჩერდა და ხელები უკან შემოიწყო. ჯერ არ განელებოდა სიხარული, აულს რომ აჯობა. — რაო, რაო, ხინკლის სუნი გეცათ, ჩ ე მ მ ა ხევამ რომ გააკეთა? მობრძანდით, გთხოვთ ხინკალზე დაგვეწვიოთ! ოღონდ ღვინის მოტანა არ დაგავიწყდეთ.

გაშეშებულნი, ჭკუადაბნეულნი, გაოგნებულნი, გაკვირვებისგან გაქვავებულნი იდგნენ შუბურუმელები ადამის სახლის წინ; არასოდეს გაეგონათ, რომ ადამს ასე მკაფიოდ, ვაჟკაცურად და გარკვევით ელაპარაკოს.

— დაიცათ, ყვირილზე რალას იტყვის, — გაახსენდა ვიღაცას. — აბა ერთი ქაფთარივით იყვიროს!

ადამს არ უნდოდა დაეყვირა. იფიქრა, ისევ მასხრად მიგდებენო, თავშესაქცევად მოითხოვენ, ქაფთარი წარმოვადგინოო... მაგრამ ჰაჯი-ბექირი მუხლებზე დაეცა და შეევედრა: „არ დამაღალატო, ძმობა გამიწიე! ამათ არ სჯერათ ჩემი, ჰგონიათ, ვატყუებ! მე ხომ არა გთხოვ, ის წყეული სიტყვები წარმოთქვი-მეთქი, მე რომ ასე გამაუბედურა“.

ბოლოს ადამი დაყაბულდა, ხელისგულები ყურებზე მიიჭირა, თავი ასწია, პირი დააღო — და გრგვინვასავით ღრიალმა გადაუარა შუბურუმს! კლდეებმა ხმა მისცეს, ნახმევი მთიდან მთას მოედო და გახმიანდა. ბავშვებმა დედების კალთაში ჩარგეს თავი და ატირდნენ; შეშინებული დედაკაცები ქმრებს მიეკვრნენ, დაგვიფარეთო.

ასე დარწმუნდა ყველა, ასე გასკდა თოვლის ადამიანის მითი, როგორც სკდება ხოლმე ცხვრის ბუშტი, როცა ზომაზე მეტად გაბერავენ.

კაცმა რომ თქვას, ყველაზე სასტიკად ვეტერინარ ჰამზათს გაუცრუვდა იმედები: აღარავინ იყო დასაჭერი ახლომახლო მთებში, ვინაიდან არ ყოფილა არავითარი ქაფთარი, მაშასადამე, ველარც ცით მოწყვეტილ ვარსკვლავს — აიშათს შეირთავდა და ველარც დისერტაციას დაწერდა! მაშასადამე, გაზეთში დაბეჭდილი მისი წერილი “ნამარხი ცხოველი, ვისაც უმართებულოდ თოვლის ადამიანს უწოდებენ“ ახლა საყოველთაო დაცინვისა და მასხრად აგდების მიზეზი შეიქნებოდა.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებმა შუბურუმიდან ჰაჯი-ბექირის ნაცვლად ცალთვალა რაჯაბი წაიყვანეს. რაკი ქაფთარი აღარ აღმოჩნდა, იგი იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო, საწყობში საბუთებს ცეცხლი მე წავუკიდეო.

ამბობენ, ადამმა რომ იყვირა, მის საკუთარ სახლსაც ყველას თვალწინ რამდენიმე ქვა ჩამოვარდაო. ჰოდა, ეს შეიქნა მიზეზი იმისა, რომ დაინგრა შუბურუმი, ეს მაღლა, ცაში გამოკიდული აული, ალაჰთან რომ უფრო ახლოს იყო, ვიდრე მშობლიური დაღესტნის მშვენიერ, ბარაქიან, აყვავებულ სურნელოვან მიწასთან.

ეპილოგი

არხეინად მიაჭახუნებს ჩემი ცხენი ნალებს კაჟსა და სიპზე, თავს აკანტურებს, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებულა და თავის ნაფიქრს თვითონვე კვერს უკრავსო. მაღალი ცივი მთებიდან მივყავარ თბილი ჩიკა-სიზულ-მეერის პლატოზე, თეთრი კირქვის, ოქროსფერი ტუფისა და წითელი აგურისგან ნაგებ ნორჩ ქალაქში, მშვიდი, მტკნარი. ხელოვნური ზღვის პირას რომ გაუშენებიათ, ძუნწ კარტოგრაფებს კი ჯერაც არ გადაუტანიათ რუკაზე.

აქ გაზაფხული ჰყვავის, ტკრციალებს და მღერის. როგორც მამა უსვამს ხოლმე ალერსით ხელს თავზე თავის ასულს, ისე ეალერსება მზე თავისი მხურვალე სხივებით ნაზ მიწას. ალერსიანად შრიალებს ფოთლები, გაჭიმულა კაკლის ხეთა დაჩრდილული ხეივნები, ალვის ხეთა მწკრივებს დაუმშვენებია ქუჩები, ბულვარებზე ჰყვავის თეთრი აკაციები, ფუსფუსებს ხალხი, დასრიალებენ მანქანები. ქალაქის ქუჩაში ალბათ უცნაურად გამოვიყურები ცხენზე ამხედრებული, გამვლელები თვალს მაყოლებენ. ნალების თქარათქური ქვაფენილზე ხმიანობს, შორ შესახვევებს სწვდება და სახლებსა და საქალაქო შენობათა ჭიშკრის შესასვლელებში გამოძახილით მეხმიანება.

შუბურუმელები აქაც არ ღალატობენ თავიანთ თავს: არ უნდათ დიდი სახლების ბინებში ცხოვრება და აყვავებულ ბაღჩებში ჩაფლულ პატარა სახლებს არჩევენ, სადაც ერთი ოჯახი დაეტევა. ყველა ეს სახლი სახელმწიფოს სესხითაა აშენებული და, მთიელების თქმით, „ასეთ სახლში სიკვდილი სირცხვილიცაა“.

შუბურუმელებმა განა ყურმოკვრით იციან, როგორ იშვა ეს ქალაქი, ეს ჰიდროსადგური, ეს წყალსაცავი, — მხოლოდ მოწმენი და გარეშე მეთვალყურენი კი არ ყოფილან: თვითონ აშენებდნენ სახლებსაც და ჰიდროსადგურსაც სულაკის კანიონში, ორას ორმოცი მეტრის სიმაღლე თაღიანი ბეტონის ჯებირი რომ აქვს. დღემდე უკვირთ შუბურუმელებს, დღე-ღამეში მხოლოდ შვიდ საათს რომ მუშაობენ. რათა უქმად არ ისხდნენ, მთელ თავისუფალ დროს ბაღჩაში ტრიალებენ; შუბურუმელებს უყვართ მიწა, იციან მისი ყადრი და აღტაცებით ამბობენ: აქ ისეთი მსუყე და მაძღარი მიწაა — თუ გინდა პურზე წაისვამ თაფლის ნაცვლადო! თანაც ეს ბაღჩები შუბურუმის მთებში გადათეთრებულ მათ მოედანტერასებზე პატარა როდია.

უნებურად მახსენდება მთიანი ქვეყნის უცნობი მომღერლის სიტყვები:

> როდესაც ნაღვლობ, მაშინ იმღერე გასაგონად —
> ყველას ესმოდეს, თუ რატომაც გიშფოთავს სული!
> ხოლო როს ხარობ — ხმადაბლა თქვი სიმღერა შენი,
> მაინც მოგისმენს მღელვარებით ყველა სულდგმული...

ალბათ დროა მეც უფრო ხმადაბლა ვიმღერო...ნეტა ისინი ვინ არიან, ჩემ წინ რომ მიდიან, მხიარულად მიბაასობენ და იცინიან, ჟღურტულებენ, ღუღუნებენ, ჭიკჭიკებენ, როგორც ბროწეულის ბუჩქზე შემომჯდარი ჩიტუნები? ვაჰ, ჩვენი ნაცნობები ყოფილან, — აიშათი და ყასუმი, ექიმი და კორესპონდენტი, ცოლი და ქმარი; ყასუმი აქ გადმოვიდა სამუშაოდ დედაქალაქის გაზეთის სპეცკორესპონდენტად. ჰამზათი რაღა იქნაო, იკითხავთ. საწყალმა აღარ ისურვა თავის ბედნიერ მეტოქესთან ყოველდღე შეხვედრა და შორეულ კოლმეურნეობაში მოეწყო სამუშაოდ. აიშათის მამა, შუბურუმში რომ „სოფსაბჭო მუხთარს“ ეძახ-

დნენ, ახლა ქალაქის აღმასკომში მსახურობს; ჩამსულა უნივერმაღში მზატანსაცმლის განყოფილების გამგეა: განა არა, იმიტომაც გამოწყობილან შუბურუმელები ახალთახალ მოდურ კოსტუმებში! ჰაჯი-ბექირს რა ბედი ეწიაო, გინდა გაიგოთ? სოფლის მესაფლავემ თავის ძველ ხელობას უღალატა და ახლა სახლებს უშენებს ადამიანებს, წინათ მკვდრებზე ზრუნავდა, ახლა ცოცხლებზე ზრუნავს... თავსაც გვარიანად გრძნობს. ოღონდ ჯერ ვერ უპოვნია ცხოვრების თანამგზავრი; როგორც მთიელები იტყვიან, ცალადაა, — არავინ ჰყავს, ვისთან ერთადაც შეეძლებოდა თხილი ეკნაწუნებინა. ვინ იცის, იქნებ გუნებაში ოცნებობს, ოდესმე ადამიც ქაფქაფა ხორცის ნახარშით დაიფუფქება და გაბრაზებული წამოიძახებსო იმ წყეულ სიტყვებს? მაგრამ ადამი ბრიყვი არ გახლავთ და თუმცა ბევრჯერ დაფუფქულა, — მისთანა აბდაუბდა მაინც არასოდეს უკადრებია ხევასთვის; კიდევ უფრო მეტი სიფრთხილისათვის თავისი ქორწინება მმაჩში ხელმოწერით განამტკიცა, ხოლო მოწმობას გულის ჯიბით დაატარებს — ასე უფრო გულმშვიდადაა. ღმერთმანი, ადამი რომ კარგა ხნის წევრი არ ყოფილიყო ულმერთოთა საზოგადოებისა, მაინც წმინდანს ვუწოდებდი, ისეთი მორჩილებით იტანს ქაფქაფა ხორცის ნახარშსაც და ოჯახური ცხოვრების სხვა უბედურებასაც! ხევაც უკვე შეეჩვია თავის ბედს და წმინდანთან ისე ცხოვრობს, როგორც ყოვლად ჩვეულებრივ მოკვდავთან.

ყარა-ხართუმი მონადირეთა მაღაზიაში გამყიდველად მოეწყო და მყიდველებს ათასნაირ ამბავს უყვება, რაც კი თავს გადახდენია, თანაც ყველაზე მეტად იმითაა განთქმული, რა ვაჟკაცურად მიაგნო საზარელი შავი ძუ მგლის კვალს და მოჰკლა. რას იზამ, მეთევზეებსა და მონადირეებს პირს ვერ აუკრავ, მათ ყოველთვის ემარჯვებოდათ ნაოცნებარის ნამდვილ ამბად გასაღება.

აი უკან დამრჩა ქალაქის შუაგული, იწყება „შუბურუმელთა პატარ-პატარა სახლები“. დროა ჩამოვქვეითდე და სადავით წავიყვანო ცხენი. ჩავუხვიე მოსახვევში, და რას ვხედავ: მოდის ალი-ხოჯა, ბამბუკის ანკესი და თევზით სავსე ჩანთა აუკიდია; ალი-ხოჯა აქვე, ხოჯა-ალის მეზობლად სახლობს. დიდი ხნის განშორების მერე შეხვდნენ ერთმანეთს და ორივემ ძალზე გაიხარა, თუმცა მაშინვე კინკლაობა დაიწყეს. ხოჯა-ალის ვერა და ვერ დაუვიწყნია ოდესღაც ტყისპირას მომხდარი ამბავი.

რა საუცხოო თევზი მოაქვს ალი-ხოჯას — მთის მდინარეთა ფრთხილი, სხარტი, ლამაზი, გემრიელი თევზი — კალმახი!

დაიცა, შინ რად არ მიდის და მეზობელთან რად შეუხვია? წატრაბახება ხომ არ განუზრახავს?

ღია ჭიშკართან მხიარულად ეგებება ბებია აიბალა, ხოჯა-ალის ცოლი. თვითონ ხოჯა-ალი ჩაცუცქულა და ჯუჯა ხეებს კირქვის ხსნარს უსვამს. მან უმალ შეამჩნია ცოლის გაბრწყინებული სახე და მყის მიხვდა, ვინც ეწვიათ. ამიტომაც ეკითხება ხმამაღლა და ბუზღუნით:

— რატომ მოსულხარ?

— სულ გამოჩერჩეტდა ბერიკაცი! — აღშფოთდა ბებია აიბალა, — განა სტუმარს ეკითხებიან, რატომ მოხვედიო?

— შენ არ გეკითხები.

— იმის სათქმელად მოვედი, — ეუბნება ალი-ხოჯა და უახლოვდება, — გინდა თუ არ გინდა, უნდა შეურიგდე იმ ამბავს, რომ ახლა მე და შენ ორივეს ზიარი დედაბერი გვყავს.

— რაო-ო?! — ფეხზე წამოიმართა ხოჯა-ალი. — ეგლა მაკლია...

— რამ აგადუღა? რა იმდენი სიცოცხლე ჩვენ დაგვრჩენია, რომ ერთი დედაბერი არ გვეყოს?

— რა წუნკალი ენა გაქვს. წადი! — ყვირის ხოჯა ალი და მეგობარს ჭიშკარში აგდებს. — წადი-მეთქი, სანამ მთელი ხარ!

— ჰეი, ჰეი, რას ჩადიხარ? მოიტა ჩემი თევზი! ხალხო, გამძარცვეს! — მხიარულად გაჰყვირის ალი-ხოჯა.

— რა თევზი? — ეკითხება ხოჯა-ალი და ისევ აღებს ჭიშკარს.

— თევზი მოვიტანე, აი, ამოდენა კალმახებია!

— რას ამბობ! მერე რა უყავი?

— დედაკაცმა შეიტანა. იქნებ გეგონა მე მეხვეოდა ჭიშკართან, სულ მაგ ჭკუაზე იყო, აი! მე კი არა, კალმახებიანი ჩანთა ჩაიკრა გულში.

— კალმახიო! ეგ კარგია! — უხარია ხოჯა-ალის. — ჩემს ღვინოს სწორედ ეგეთი საუზმე მოუხდება. შემოდი, შემოდი.

ალი-ხოჯაც სიცილით შედის ღია ჭიშკარში.

— მოეშვი საქმეს, წამოდი! — ეუბნება ხოჯა-ალის. — ახლა ჩვენი დედაბერი თევზს შეგვიწვავს.

— „ჩვენი“ კი არა, ჩემი!

— კარგი, კარგი, შენი კი არა, ჩვენი! წამოდი.

მოხუცები შედიან სახლში, სკამებს განზე სწევენ, იატაკზე ბალიშებს აწყობენ და ზედ სხდებიან: რა საჭიროა ეს ფუფუნება — ავეჯი?! რაც უნდა იყოს, იატაკზე როცა ზიხარ, ქვეშ მყარ ნიადაგს გრძნობ! სხდებიან, შეექცევიან დალოცვილ ღვინოს და საუბრობენ შუბურუმსა და იმ ტკბილ, ძველ დროებაზე.

გული არ მითმენს, ცხენს ხეზე ვაბამ და მეც ვუერთდები საყვარელ მოხუცებს, მუდამ რომ უხარიათ ხოლმე ახალი მოსაუბრის შემოსწრება.

ახლა, როცა ოხშივარი ასდის ნაზ დაღესტნურ კალმახს და წინ მიდგას გეჯუხური სურნელოვანი ღვინით სავსე ჭიქა, ძალაუნებურად ვჩუმდები. ოღონდ სადღეგრძელოს კი მაინც შევთავაზებ ჩემს საყვარელ შუბურუმელ ბერიკაცებს: დაე, ძვირფასებო, ცხოვრებაში იმაზე მეტი მწუხარება, დარდი და ვარამი არ შეგხვედროდეთ, რამდენი წვეთი ღვინოც ჩამრჩება ამ ფიალაში.

— დერხაბ!



რობერტ მუზილი

პორტუგალიელი ქალი

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა **თენგიზ პატარაიამ**

•

ზოგ სიგელში დელ კატენებად იწოდებოდნენ, ზოგში — ფონ კეტენებად; ჩრდილოეთიდან წამოსულნი ზედ სამხრეთის ზღურბლთან შეჩერდნენ, ხან გერმანელებად ასაღებდნენ თავიანთ თავს, ხან იტალიელებად, იმისდა მიხედვით, როდის რა დასჭირდებოდათ, მაგრამ საკუთარი გვარისა და გუჯაბის გარდა თავისიანად არავის სცნობდნენ.

ალპებში, იტალიისაკენ მიმავალი ფართო შარაგზის შორიახლოს, ტრენტოსა და ბრესანონეს შორის ერთი სალი კლდის თავზე იდგა იმათი ციხესიმაგრე; აქედან ხუთასიოდე ნაბიჯზე, ხრამში გადავარდნილი მთის პატარა მდინარე ისეთი ზათქითა და ღრიალით აწყდებოდა აქეთ-იქით, ეკლესიის ზარიც რომ ჩამოეკრათ ყურთან, იმასაც ვერ გაიგონებდი, თუკი სარკმელში გაჰყოფდი თავს. ამ ფარივით შემართულ ველურ ღრიალში ციხესთან აბა რას გააღწევდა ქვეყნის ამბავი. მზერა კი, მზერა უმალ აეკიდებოდა, აცეცდებოდა, გადაევლებოდა თავს ამ გამაყრუებელ ხმაურს და გაოგნებული წაბორიალდებოდა თვალსაწიერისაკენ.

უკმეხი, მაგრამ დაკვირვებული ხალხიაო, — ამბობდნენ, სარფიანი საქმე ერთიც არ გამოეპარებათო. რისხვის ჟამს კეტენები პირალესილი დანებივით დატრიალდებოდნენ, ვის არ გაიმეტებდნენ ასაკუწად. გაცეცხლებულებს პირისახე კი არ აელეწებოდათ, როგორც ჩვეულებრივად ემართება ადამიანს, არა, — განრისხებული კეტენი ერთიანად გაშავდებოდა ხოლმე; აი დალხინებული კი ბაჯაღლო ოქროსავით იწყებდა ბრწყინვას. ერთმანეთს იმითაც ჰგავდნენ, რომ ყოველ მათგანს, ყველა დროსა და საუკუნეში, ბედი იყო თუ უბე-

დობა, ნაადრევად გაერეოდა წაბლისფერ თმაში ჭაღარა და სამოც წელს მიტახებული სულს განუტევებდა; კაცმა რომ თქვას, არც სიმაღლით გამოირჩეოდნენ, ტან-ფეხიც ყველას ერთობ მოხდენილი ჰქონდა... ასე რომ გაგიკვირდებოდათ იმათი ზებუნებრივი ძალ-ღონე, ტანში რომ ვერ დატეულიყო და თვალ-ბუბლიდან ლამობდა გადმოხეთქვას. მაგრამ ამას დაშინებული მეზობლები და ყმები ამბობდნენ. ასე იყო თუ ისე, თავის საწადელს კეტენები მუდამ ისრულებდნენ, ტკბილი სიტყვით იქნებოდა თუ მუქარით, ზოგჯერ მოტყუებითაც. თუმცა დაუდეგარი მაინც არ ეთქმოდა ამათ ხანმოკლე ცხოვრებას და მოითავებდნენ თუ არა ქვეყნად თავის წილ საქმეს, კეტენების სიცოცხლეც გასრულდებოდა.

წესად ჰქონდათ, — არას დიდებით არ დაინათესავებდნენ მეზობლად დასახლებულ თავადებს; ცხრა მთას იქით მიდიოდნენ ქალის სათხოვნელად, ჩამოჰყავდათ მდიდარი ქალები, ოღონდ აქაურ მტერ-მოყვრობაში არაფერი ჰქონოდათ ანგარიშგასაწევი. ბატონ ფონ კეტენს ოცდაათი წელი უსრულდებოდა, როცა თორმეტიოდე წლის უკან ერთი მშვენიერი პორტუგალიელი ქალი ითხოვა. უცხო ქალაქში იქორწინეს და ყმაწვილი ქალი უკვე მოსალოგინებელი იყო, მოახლე გოგოებისა და ყმების თანხლებით, საპალნეაკიდებული ცხენებითა და ძაღლებით გარშემორტყმულნი რომ მოადგნენ თავიანთ სამფლობელოს. წამივით გაირბინა. პირველმა წელიწადმა. კეტენები რაინდობაში არავის დაუდებდნენ ტოლს, თუმცა მხოლოდ პირველ წელიწადს თუ გამოიდებდნენ თავს; რაკი ლამაზი შვილები უნდოდათ, ლამაზ ქალებს ირთავდნენ, ხოლო უცხო მხარეში თავი თუ არ გამოიჩინე, ისე ქალს ვინ გამოგატანს? ეგ არის, რომ თავადაც ვერ გეტყოდნენ, იმათი ჭეშმარიტი ბუნება როდის იჩენდა თავს: იმ პირველ წელიწადს თუ მერე. ამალას შიკრიკი შეეგება და ფონ კეტენს ფრიად საგულისხმო ამბავი მოუტანა. მოახლე გოგოების გადაჭრელებული სამოსი და ზეაღმართული ალმები ჯერაც ჩამოგავდა უზარმაზარ მოფარფატე პეპელას, ბატონ ფონ კეტენს კი უკვე შეცვლოდა გუნება. მერე მეუღლეს წაძოეწია და თავისი ცხენი იმისას გვერდში ამოუყენა. ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი, აჩქარება არაფერში წამადგებაო, მაგრამ რახანია პირისახე მოღრუბლვოდა. როცა გზის ერთ-ერთ მოსახვევთან მიწიდან უცებ ამოიზარდა ციხე-სიმაგრე, და სულ თხუთმეტიოდე წუთის სავალიღა დარჩათ, კეტენმა თავს ძალა დააატანა და სიჩუმე დაარღვია.

ცოლს უბრძანა, ცხენი მიაბრუნე და უკანვე გააჭენეო. ამალა შედგა. ქალი კაი ხანს ეხვეწა, გზა განვაგრძოთო, ბოლოს თითქოს დაიყოლია კიდეც მეუღლე; მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, სწორედ რომ თავს როგორ ვუშველო — ეს უნდა გეფიქრა.

ტრენტოს ეპისკოპოსები ქვეყნის ბატონ-პატრონებად ითვლებოდნენ და კანონიც იმათ მხარეზე იყო. კეტენებთან ძველისძველი შუღლი და მტრობა ჰქონდათ ერთი სავარგულის გამო. ხან სასამართლო არჩევდა ამათ დავას, ხანაც ნამდვილ ომს იწყებდნენ, მაგრამ როგორც არ უნდა შეტრიალებულიყო საქმე, ბოლოს მაინც კეტენები სთმობდნენ. ვერა და ვერ ამოიგდეს გულიდან იმ სავარგულზე ფიქრი, თუმცა აშკარა იყო, რომ ტყუილად კარგავდნენ დროს. მამა შვილს უანდერძებდა ხოლმე ამ საქმის მოგვარებას და ეს ანდერძი თაობიდან თაობაში ისე გადადიოდა, რომ კეტენებს არც თავგამოდება აკლდებოდათ და არც შეუპოვრობა.

ბედმა ამ კეტენს გაუღიმა. ლამის თავზარი დაეცა იმის გაფიქრებაზე, რა ბედვზე ჩამოვუსწარი, ცოტაც რომ შემგვიანებოდა, ამ ამბავს ხომ ავცდებოდი. თავადების ერთი ნაწილი ეპისკოპოსს აუჯანყდა. ტყვედ ჩავიგდოთო — გადაწყვიტეს; ხოლო ფონ კეტენს, როგორც კი მისი დაბრუნების ამბავი შეიტყვეს, მოთავეობა დაავალეს. დიდი დრო იყო გასული, რაც კეტენს აქეთ პირი არ ექნა და ამიტომ არ იცოდა, რამდენი კაცი ჰყავდა ეპისკოპოსს; ერთში კი ეჭვიც არ ეპარებოდა: საკმარისი იყო ერთხელ მოცარვოდათ ხელი, — ტრენტო უცებ ვერ ჩაეგდოთ ხელში, რომ აღარც მომხრეების იმედი უნდა ჰქონოდა და ვინ იცის, როგორ გათავდებოდა ყოველივე. მეუღლეს შეუტია, შენს გადამკიდეს ხომ შეიძლებოდა ეს ამბები გამომპარვოდაო. უყვარდა თავისი ლამაზი ცოლი და ამიტომაც მეტი აღარაფერი უთქვამს, ცხენს ოდნავ მოზიდა სადავე და მეუღლე წინ გაუშვა. ახლაც შორეული და იდუმალებით მოცული ეჩვენებოდა ქალი, ასეთივე იდუმალი და გამოუცნობი იყო მისთვის მეუღლის სამკაულები. ეს ისეთი რამ არის, შეიძლება ოქროცერცვას მარცვლებივით ერთიანად შემოგეჭყლიტოსო ძარღვებად ქცეულ ხელში, — ფიქრობდა თავისთვის და მეუღლის გვერდით მიაჭენებდა ცხენს. — მაინც რა უშფოთველნი და უდრტვინველნი არიანო — გაოცებას იყო. ამ ახალმა ამბავმა მთლად გაუფანტა ტკბილი ზმანებანი; აი ასევე გაფანტავს ხოლმე ზამთრისეულ ხილვებს ბალღივით უსუსური პირველივე მზიანი დღე. წინ იყო წლები, როცა ბედაური დღედაღამ შეკაზმული უნდა ჰყოლოდა და ქალისათვის, ან თუნდაც იმისი ბავშვისათვის ვეღარ მოიცლიდა.

ამასობაში ცხენები კეტენების კლდეს მიადგნენ. პორტუგალიელმა ქალმა უკვე ყოველივე იცოდა, მაგრამ მაინც დარჩენის სურვილი გამოთქვა. აუყვნენ ციცაბო ბილიკს. მთის კლდოვან მკერდზე ბალანივით დაგრეხილი თითოოროლა შიმელა ამოზრდილიყო. ტყე-ღრე ხან თავქვე ჩაქანდებოდა, ხან სულმოუთქმელად აირბენდა სადღაც ზევით და თუკი ზღვის ნარნარი ლივლივის ყურებას იყავი დაჩვეული, ბუნების ამ სიტლანქეს ალბათ ვერასოდეს იგუებდი. საკაზმივით ცხარე იყო ცივი ჰაერი და ესეც რომ არა, მაინც იმას იფიქრებდი, დაბზარულ, უცხო რამ სიმწვანით ამოვსებულ ქვაბში მივაჭენებო ცხენს. ტყეში შეგხვდებოდა ირემიც, დათვიც, მგელიც, გარეული ღორიც და ვინ იცის, შეიძლება მარტო რქასაც წაწყდომოდი სადმე. კიდევ უფრო ზევით არჩვი და არწივი ბინადრობდა, თვალჩაუწვდენელი ხევი და ხრამი ბუნაგად ეპატიჟებოდა ურჩხულს. ბოლო არ უჩანდა ხშირ ტყეს. მაღლა და მაღლა უკვე ნაბილიკარიც არსად ჩანდა, კვალი წაშლილიყო... აი, იქ კი, სადაც ტყეს უშველებელი მთები წამოსდგომოდნენ თავს — ავი სულების სამბრძანებლო იწყებოდა. დემონები აქ მიიმწყვდევდნენ ხოლმე ცეცხლსა და ღრუბელს; ქრისტიანი აქეთ ფეხს არ გადადგამდა, ხოლო თუკი ვინმეს მაინც წასძლევდა სული, ისეთი რამ გადახდებოდა — ძოახლე გოგოები ჩურჩულით თუ გაბედავდნენ ამაზე ლაპარაკს, იქვე ატუზული ყმები კი — კაცის ცხოვრება ხომ გაცილებით ხიფათიანია — ნიშნის მოგებით ჩაიღიმებდნენ მხოლოდ და ხმას არ ამოიღებდნენ: ამ ამბებისაგან რომელი ერთი იყო დაზღვეული? რა არ უთხრეს პორტუგალიელ ქალს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმან გააოცა — მაღალ მთებს მიღმა სულიერის ჭაჭანება არ ყოფილაო. აი ძალიანაც რომ მოინდომო, ცისარტყელას ხომ ვერც მიუახლოვდები, ვერც ზემოდან გადმოხედავ; ასე იყო აქაც: უზარმაზარი მთები კედლებივით აღმართულიყვნენ ერთიმეორის უკან.

ძთებს შორის მოქცეული ქვით ამოვსებული ღარტაფები პირსახოცებივით ეფინა. სახლისოდენა მაინც იქნებოდა ცაზე მიბნეული თვითეული ვარსკვლავი, იმ ქვაყრილში კი ერთი ქვაც არ ეგდო კაცის თავზე პატარა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო პირველქმნილი და ჯერ ხელუხლებელი სამყარო. კაცი ხშირად უამბობდა თავის მშობლიურ მხარეზე და პორტუგალიელი ქალიც იმას ფიქრობდა, ჩემი მეუღლის და მისი სამშობლოს ბუნება ერთიმეორეს ალბათ ძალიან ჰგავსო. ლილისფერი ზღვის ცქერით გაბეზრებულს ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა იმ მხარეს, მოზიდული მშვილდივით რომ იყო მოძართული. რამდენ იდუმალსა და გამოუცნობს ჰპირდებოდა ეს უცხო ქვეყანა, მაგრამ როცა აქაურობას პირისპირ შეეყარა, შემზარავი ეჩვენა მთებიც, ტყეღრეც და გაქცევა ინატრა. ციხე-სიმაგრე საქათმეებისაგან გეგონებოდა შეკოწიწებული. კლდეზე დახვავებული ქვები, ხავსმოდებული კედლები შიშის ზარს დაგცემდა კაცს. ყოველი ფეხის გადადგმაზე ნახავდი ფუტურო და დალტობილ კუნძებს, მიწის დასამუშავებელ და საომარ იარაღს, ფოლადის ჯაჭვებსა და საურმე მორებს. მაგრამ რაკი პორტუგალიელი ქალი აქ ჩამოიყვანეს, ისიც აქაური გახდა, ხოლო რასაც იგი საკუთარი თვალით ხედავდა, შეიძლება სულაც არ იყო შემზარავი, პირიქით, იქნებ ლამაზიც ეთქმოდა, აი ხომ ლამაზი ჰქონდათ ადათ-წესი? — ეს იყო, შეჩვეოდი უნდა, სხვა არაფერი.

როცა ცხენზე ამხედრებული ქალი აღმართს აუყვა, ფონ კეტენს აღარაფერი უთქვამს მისთვის. მადლობელი იყოო — ვერ იტყვი, რადგან მისი ნება მისსავე სურვილს ეწინააღმდეგებოდა; თავისი ხომ ვერ გაიტანა, თან გაჯიუტებაც ერიდებოდა და, გზააბნეული სულივით უმწეო, ახლა ხმაგაკმენდილი მიჰყვებოდა ცხენდაცხენ.

ორი დღის შემდეგ ბატონი ფონ კეტენი ისევ მოახტა ცხენს.

მოახტა და თერთმეტ წელიწადს არ ჩამოსულა უნაგირიდან. რაკი ჰაიჰარად მოემზადნენ, ტრენტოსთან მარცხი იწვნიეს. სად იყო ჯერ ნამდვილი ბრძოლები, თავადებმა კი მეომრების მესამედი უკვე დაჰკარგეს და, რაც მთავარია, გული აღარ ერჩოდათ ძველებურად. უკან დახევისას ფონ კეტენი დაიჭრა და ორი დღე და ღამე ვიღაც გლეხის ქოხში იშუშებდა ჭრილობას. როგორც კი ცხენზე ჯდომა შეიძლო, მონახა თანამზრახველები და შეთქმულებისათვის ხალხის დარაზმვას შეუდგა. დაგვიანებით ჩამოუსწრო რაინდების კაი ხნის წინ დაწყებულ ბჭობას და თავისი დაიჟინა: ბრძოლა უნდა გავაგრძელოთო. ყველას სათითაოდ აუხსნა, რა ელოდათ, თუკი ეპისკოპოსის საპასუხო დარტყმას მუშტად შეკრული არ დაუხვდებოდნენ. ზანტსა და ზოზინას სიტყვით შეუტია, წუწურაქს ფული დაადებინა, თავი მოუყარა მაშველ ძალებს, შეაიარაღა და თავადებმაც იგი აირჩიეს სარდლად. პირველ ხანებში იმდენი სისხლი სდიოდა ჭრილობიდან, დღეში ორჯერ იცვლიდა საფენს. პორტუგალიელი ქალი წუხდა, ფონ კეტენმა კი ხეირიანად არ იცოდა, ახსოვდა თუ არა თავისი მშვენიერი მეუღლე იმ დღეებში, როცა აღმა-დაღმა დააჭენებდა ცხენს და შინ მისვლა კვირეებით უგვიანდებოდა.

ხუთი დღე იყო გასული, რაც პორტუგალიელ ქალს დაჭრილი მეუღლის ამბავი აცნობეს. ქმარმა კი მხოლოდ ახლა მიაკითხა და თითქმის მთელი დღე მასთან დარჩა. ქალი არაფერს ეკითხებოდა, თვალს უგებდა მხოლოდ და ისე უცქერდა, ნასროლ ისარს რომ გამოადევნებ მზერას, — ხომ არ მომხვდებაო?

თავისი ხალხი უკლებლივ ყველა შემოიკრიბა ციხის დასაცავად. ბოლო

არ უჩანდა ფონ კეტენის განკარგულებებსა და ბრძანებებს. იდგა ერთი აურზაური, ხან რას გადასძახებდნენ ერთიმეორეს, ხან — რას! ჭიხვინებდნენ ცხენები, რკინასა და ქვას ჯახაჯუხი გაუდიოდა. ასე გაილია ის დღე. ღამით ისევ შეკაზმა ცხენი. ვიდრე წავიდოდა, ცოლს საალერსო სიტყვაც ბევრი უთხრა, ნაზადაც მოეპყრა, ისეთი რიდი გამოიჩინა, კეთილშობილი და სათაყვანებელი არსების მიმართ რომ იჩენენ. მაგრამ მზერა ჯიქური ჰქონდა მაინც, გეგონებოდა, თავზე მუზარადი აქვს ჩამოფხატული და ველს გაჰყურებსო. დამშვიდობებისას პორტუგალიელს ქალურმა სინაზემ წასძლია, ჭრილობას მაინც ჩამოგბანთ, თან საფენს გამოგიცვლითო, სთხოვა, მაგრამ კეტენმა ამის უფლება არ მისცა: რატომღაც უფრო ჩქარა გამოემშვიდობა, ვიდრე საჭირო იყო, წასვლისას გაუცინა და მაშინ ქალსაც მოერია სიცილი.

მოქიშპე უდრეკი აღმოჩნდა, როგორც ეს ანაფორიან დიდებულებს შეეფერებათ, მაგრამ იმავე დროს, — ალბათ ისევ იმ ქალური სამოსის წყალობა თუ იყო — იცოდნენ ახირებაც, მზაკვრობაც და თუკი დათმობაზე მიდგებოდა საქმე, — დათმობაც. გაჯიუტებულ მსხვერპლს თუ თავდაპირველად ვერაფრით დაიყაბულებდნენ მოკავშირეობაზე, ბოლოს აურაცხელი სიმდიდრითა და თვალუწვდენელი ძაძულებით მაინც მოახრევინებდნენ ქედს. გადამწყვეტ შეტაკებას ისევ ასეთი ბრძოლა ერჩივნათ. როცა მოწინააღმდეგე გამეტებით შეშოუტევდა, უცებ დაშოშმინდებოდნენ, მაგრამ მტრის პატარა მოდუნებაც კმაროდა, რომ ხელად საპასუხო იერიში მიეტანათ. ზოგჯერ რომელიმე სიმაგრეს დაეცემოდნენ და თუკი ალყაში მოქცეულებს ვერავინ შეეხიდებოდა დროზე, ციხეში სისხლის გუბეებს დააყენებდნენ. თუმცა ხდებოდა ასეც: შემოესეოდენ რომელიმე თავადის ციხე-კოშკს, შემოუდგებოდნენ ყველა მხრიდან, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. დიდი-დიდი იქაური გლეხისათვის პირუტყვი წაერთმიათ ან ორი-სამი ქათამი. კვირა — კვირას მისდევდა, ზამთარი — ზაფხულს, წელიწადი — წელიწადს. ებრძოდა ერთიმეორეს ორი ძალა, ერთი გააფთრებული იყო, მაგრამ სუსტი, აი, მეორე კი ტლანქიც იყო, დონდლოც, ჰგავდა რაღაც შემზარავ მძიმე სხეულს, და რაც დრო გადიოდა, ეს სხეულიც სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა.

ფონ კეტენს, ეტყობა, კარგად ესმოდა ეს და ყოველ ღონეს ხმაროობდა თავადების დასაშოშმინებლად. იმისი შიში ჰქონდა, ნაუცბათევ იერიშში უკანასკნელი ძალებიც არ დაჰკარგვოდათ. უცდიდა იმ დღეს, როცა სხვაგვარად შეტრიალდებოდა საქმე, უცდიდა შეუძლებელს, შემთხვევას. ამ დღეს ელოდა ძაძაძისიც, პაპამისიც, ხოლო თუ რაიმეს ძალზე დიდხანს ელოდები, ვინ იცის, იქნებ მოხდეს კიდეც მოუხდენელი. ასე ელოდა თერთმეტი წელიწადი. თერთმეტი წელი დააჭენებდა ცხენს აღმა-დაღმა, ხან თავადებს წააქეზებდა, ხან მეომრებს, ოღონდაც არ მიმქრალიყო ამბოხების ცეცხლი. მტერს თავგანწირვით შეებმებოდა, სიმხდალე არავინ დამწამოსო და თანამოსაგრე რომ ბრძოლის ჟიხით აენთო, უსასტიკეს შეტაკებებსაც არ აარიდებდა თავს, თუმცა ეპისკოპოსისა არ იყოს, ესეც გაურბოდა გადამწყვეტ ბრძოლას. რამდენჯერ დაჭრილა, მაგრამ სულ ორჯერ თუ იყო შინ, ისიც დილით მოსული საღამომდეც არ გაჩერებულა. იარებმა და მომთაბარე ცხოვრებამ თავისი ჰქნეს: ქერქად გადაუქცეს კანი, მაგრამ დიდი ხნით შინ დარჩენა მაინც არ უნდოდა; სულ იმისი ''ძი''ში ჰქონდა, დაღლილს უქმად ყოფნა არ მომინდესო და ყველა ეს წელი ბრძოლის ველზე გაატარა. ადგილზე ბორგავდნენ დაბმული ცხენები, ისმოდა

კაცების ხორხოცი, ენთო ჩირაღდნები, ტყის სიმწვანეში ოქროსფერი ბუღი ასდიოდა კოცონს. დაისურნელებდა ნაწვიმარზე, გაიგონებდი გინებას, ტრაბახს, დაჭრილ მეომარს ძაღლი გალოკავდა, წამოიხდიდა კაბას ვინმე დედაკაცი, ხმას ვერ იღებდნენ დამფრთხალი გლეხები. თვითონ ბატონ ფონ კეტენს მოხდენილობითა და ნატიფი იერით ადვილად გამოარჩევდი სხვებში; წაბლისფერ თმაში ჭაღარა გამორეოდა, მაგრამ ასაკს მაინც ვერ დაედაღა მისი პირისახე. თუ ვინმე გაეხუმრებოდა, უშნო და ულაზათო ხუმრობას ასეთივე ხუმრობით უპასუხებდა — კაციც იმიტომ ერქვა და მეომარიც, თუმცა თვალებში დაატყობდი, სულ სხვას ფიქრობდა ამ დროს. მწყემსის მსგავსად ხან აქ გამოჩნდებოდა, ხან იქ, ხელად თავზე წამოადგებოდა ურჩსა და ჩხუბისთავს, მაგრამ ერთხელაც არ აუწევდა ხმას, — ძლივს გაიგონებდი მოკლე-მოკლე ბრძანებებს. შიში ჰქონდათ მისი. როცა განრისხდებოდა, ბრაზი მოერიაო, — ამას კი არ იფიქრებდი, არა, გეგონებოდა, თვითონ არისო ხორცშესხმული რისხვა და პირისახეც უმალ გადაუშავდებოდა. ორთაბრძოლაში ყველაფერს ივიწყებდა; უცებ გადაიქცეოდა სიკვდილის მთესველ ცეცხლად, შეიპყრობდა როკვის ჟინი და ველარ იოკებდა სისხლის წყურვილს. რას სჩადიოდა, თვითონაც აღარ უწყოდა, მაგრამ მაინც სწორად იქცეოდა მუდამ. ამიტომ აღმერთებდნენ მეომრები; ლეგენდაც გაჩნდა; ამბობდნენ: ეპისკოპოსის სიძულვილმა ეშმაკისათვის სული მიაყიდვინაო და მშვენიერ გრძნეულს ახლა მალულად აკითხავსო თავის ციხე-სიმაგრეში.

ბოლოს ფონ კეტენის ყურამდეც მიაღწია ამ ლეგენდამ; არ გაბრაზებულა, პირიქით, გაეცინა კიდეც და სიხარულისაგან პირისახე ოქროსფრად გაუბრწყინდა. საღამო ხანს, კოცონს ან ბუხარს მიფიცხებულს, როცა გარდასულ დღეს გახეშეშებული ტყავის მსგავსად კვლავ გაუჯდებოდა სილბო, — ფიქრი მოეძალებოდა ხოლმე. ტრენტოს ეპისკოპოსი ყოველ ღამე გაქათქათებულ ლოგინში წვებოდა, გარს ნასწავლი ხალხი — სასულიერო პირები ეხვია, პირადი მხატვარიც ჰყავდა... კეტენი კი ამ დროს მგელივით დაძუნძულებდა გარე-გარე; რომ მოენდომებინა, მასაც ექნებოდა ყოველივე ეს. მართალია, ციხე-სიმაგრეში მოძღვარიც გაიჩინა, კალმოსანიც მოაყვანინა — წიგნებს წაგვიკითხავსო, ჰყავდა მოახლე გოგოც, საგანგებოდ ჩამოყვანილი მზარეულიც... ოთახები ძვირფასი ქსოვილებით მოართვევინა. სასახლეში სტუმრობაც ხშირი იყო: ხან ვინმე სწავლულს გაუწევდნენ მასპინძლობას, ხან მოგზაურს, მაგრამ ასეთი უდარდელი ცხოვრება თვითონ არ მოინდომა. ის ერთი წელიწადი იყო მხოლოდ, ჯერ უცხო მხარეში, მერე კი გზაში, — გალაღებული რომ მოდიოდა და ანგარიშმიუცემლად ლაპარაკობდა ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებოდა; არც ხუმრობა ელეოდა, არც საალერსო სიტყვა; ბოლოს და ბოლოს, თუკი ყოველივე თვალადსა და რიგიანს აბადია სული, — ფოლადი იქნება, კარგი ღვინო, ცხენი თუ შადრევნის სხივი, — სული ხომ კეტენებსაც უნდა ჰქონოდათ; მაგრამ მისი მიწა-წყალი შორს იყო მაშინ, ფონ კეტენის ნამდვილი ბუნება კი ისე მიყუჟულიყო სადღაც, სანთლითაც რომ გეძებნა, მაინც ვერ მიაგნებდი. ხანდახან ახლაც წამოსცდებოდა რამე იმის მსგავსი, მაგრამ ეს მხოლოდ იმ მცირე ხნის განმავლობაში ხდებოდა, ვიდრე სულს მოიბრუნებდნენ ცხენები და ოფლი შეაშრებოდათ; ღამით მოსული დილაზე ისევ გაუდგებოდა გზას, ან არადა მოვიდოდა გამთენიის ხანს და საღამოს წირვამდე დარჩებოდა. როცა კი მოაკითხავდა ქალს, ისეთივე

ნაცნობი ჩანდა, ისეთივე ახლობელი, როგორც გულზე ჩამოკიდებული ძველისძველი თილისმა; გაიცინებ, — ისიც იცინის, დადიხარ — დაგყვება, ხელს თუ შეახებ, თითებით იგრძნობ; მაგრამ ერთხელაც ხელისგულზე მოიქცევ, დააკვირდები და, ხედავ, ხმას არ იღებს, თვალსაც გარიდებს თითქოს. კეტენს რომ ერთხელ მაინც მოეცადა ცოტა მეტი ხნით, როგორიც სინამდვილეში იყო — ისეთი გახდებოდა. თავად არასოდეს უთქვამს, აი ასეთი ვარ და არა ისეთიო. ამის მაგიერ, იმ პირველ წელიწადს ნადირობის ამბებს უყვებოდა ქალს, რაც თავს გადახდა, იმას ეტყოდა ხოლმე, რას არ გაანდობდა, და პორტუგალიელ ქალსაც არასოდეს უკითხავს, ახალგაზრდებმა რომ იციან ხოლმე: — ამაზე და ამაზე რა აზრისა ხართო. არც ის უთქვამს, როცა წლები მოძემატება, ასეთი და ასეთი მინდა გავხდეო. ნახა თუ არა კეტენი, მაშინვე გახალისდა, ვარდივით უჩუმრად გადაეშალა თვალწინ და იდუმალი ცხოვრების ძომლოდინემ ეკლესიის კიბეზე ისე შედგა ფეხი, ადამიანი ლოდზე რომ შედგება: ასე უკეთ მოვახტებიო ცხენს და სანუკვარ მხარესაც უფრო მალე ვიხილავო. თავისი ორი ბავშვი ფონ კეტენს არც ჰყავდა ხეირიანად ნანახი, მაგრამ ‘ორეულ მამას ორთავე ეთაყვანებოდა; დაიბადნენ თუ არა, პაწია ყურები იმთავითვე გამოჭედილი ჰქონდათ იმისი დიდებით. უცნაურზე უცნაური მოგონება დარჩა იმ საღამოსი, სიცოცხლე რომ დაულოცა უმცროს ბავშვს. როცა კეტენი საწოლ ოთახში ‘ევიდა, პორტუგალიელ ქალს ყვავილებიანი, ნაცრისფერი კაბა ეცვა, თმა დაეწნა, ხელში უცნაური ნახატებით აჭრელებული წიგნი ეკავა; ათვალიერებდა ნახატებს და ფურცლის სიყვითლეზე კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა ქალის ისედაც ლამაზი ცხვირი. შავი ნაწნავიც, კაბაზე დაყრილი ნაცრისფერი ყვავილებიც, უცნაური ნახატებიც, — კაცს ცალ-ცალკე შეგეჩხირებოდა თვალ‘ში და მისნობასაც ალბათ მიტომ ჰგავდა ყოველივე. ქალი მშვიდად იჯდა თავის მდიდრულ სამოსელში, მოსასხამს ნაკადულებივით ჩამოსდიოდა ნაკეცები, უმალ შადრევნის სხივი გაგახსენდებოდა, ნაკეცებად ქცეული ჭავლი და ჭავლი ამოფეთქავდა საიდანღაც, გაიღვრებოდა ტანზე, ისევ ჩაბრუნდებოდა უკან; და განა შეიძლება ასეთი ჭავლი, ან ასეთი სხივი სხვაგვარად ახსნა, თუ არ მისნობით ან სულაც სასწაულით. თუმცა მისნობითაც ვერ ახსნი, ეს სხივი სრულად თუ არ ამოვიდა მისივე მარონინებელი, ლივლივა არსებიდან. ქალის გულში ჩაკვრა რომ მოგდომებოდა, გაფრთხილდებოდი, — რამე მაგიურ წინააღმდეგობას არ წავაწყდეო; არაფერი მომხდარა ამის მსგავსი; მაგრამ განა სინაზე უფრო აუტანელი არ არის? ფეხაკრეფით შემოსულს ქალმა ისეთი ‘ზერა დაახვედრა, ნაცნობ სამოსს რომ იცნობ, — აი ადრე კაი ხანს რომ ატარე ტანზე, მერე კი თვალიც არსად შეგივლია. რაღაცნაირად გეუცხოება ხოლმე ასეთი სამოსი, როცა სამკლავეებში წაუყოფ ხელებს.

ამ ამბებთან შედარებით ან ომი რაა, ან სისხლის ღვრა, ცხოვრებაში ყველაფერი ერთი მეორეს მოსდევს, ერთი საქმე მეორე საქმეს იწვევს ხოლმე. ეპისკოპოსს თავისი ოქროს იმედი აქვს, მთავარსარდალს — აჯანყებული რაინდებისა. რა უნდა ბრძანების გაგება? აქ ყველაფერი დღესავით ნათელია; რომ ‘ოინდომო, ხელსაც შეავლებ, არც შუბის სროლაა ძნელი საქმე. ვთქვათ, აბჯარი შემოეხსნა მტერს, დავკრავ ერთს და გათავდა. ამის გაკეთება ისევე იოლია, კაცს რომ თითით ანიშნო რაიმე ნივთზე, თან უთხრა: აი, ამას ეს ჰქვიაო... სულ სხვაა ის, მეორე — მთვარესავით უცხოა. ბატონ ფონ კეტენს ეს მეორე იდუმალი სიყვარულით უყვარდა. მის გულს ვერც წესი და რიგი აამებდა, ვერც

ხვავი და ბარაქა, მართალია, წლების მანძილზე იბრძოდა სხვისი სიკეთის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ გამარჯვება კი არ სწყუროდა, უბრალოდ, გაუჯიუტდა სული და ამოვარდნას ლამობდა. კეტენების ძლევამოსილება ტყვიასავით ჰქონდა "ძუბლ"ში ჩაჭედილი და ყველა მისი ნამოქმედარიც აქედან იღებდა სათავეს. დილაობით, მოახტებოდა თუ არა ცხენს, ფონ კეტენის სიხარულსა და ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა: ხომ იბრძოდა ჯერაც, თან არავის არაფერი დაუთმო. ეს იყო სული მისი სულისა; მაგრამ როცა საღამო ხანს უნაგირიდან ჩამოვიდოდა, არცთუ იშვიათად აემღვრეოდა გონება — ასე იცის, ნანახი და განცდილი თავს რომ მოგაბეზრებს. ამ დროს რომ გენახა კეტენი, უთუოდ იმას იფიქრებდი, რას არ შვრება, ოღონდაც თავისთავად ლამაზი არ დარჩეს, მაინცდამაინც ძალა უნდა დაატანოს და ლამაზი ისე გახდესო. მისთვისაც რომ გეკითხა, რა ხდება, რა ამბავიაო, ვერ გაგცემდა პასუხს. ეპისკოპოსს, იმ მუზმუზელას, გაუჭირდებოდა და ხელად ღმერთს შეევედრებოდა, არიქა, მიშველეო: ბატონ ფონ კეტენს კი მხოლოდ ის შეეძლო, რომ აყვავებულ მდელოებზე ეჭენებინა ცხენი, მუხლისთავებთან ეგრძნო იმისი ჯიუტი ბუნება და ერთგულებაც, ყოველთვის ასე დეზის კვრით მოეთვინიერებინა. მაგრამ გულისგულში მაინც ერთგვარ სიხარულს გრძნობდა, სიამოვნებდა ის ამბავი, რომ შეეძლო ასეც ეცხოვრა, ეთესა სიკვდილი და იმ მეორეზე ფიქრი ახლოს არ გაეკარებინა. დააცქერდებოდა თუ არა ცეცხლს, უკუგდებული ის ფიქრები უმალ ცეცხლისაკენ გაცოცდებოდნენ, მიცოცავდნენ დაუსრულებლად, და მხოლოდ მაშინ განშორდებოდნენ სრულიად, პირს თუ სხვა მხარეს იბრუნებდა. ასეა ხოლმე სიზმრებისაგან გატანჯული ადამიანიც: წამოიწევა, გვერდს იცვლის და სიზმარიც ქრება. კეტენის ყველა ფიქრი ეპისკოპოსს უტრიალებდა გარშემო, გრძნობდა, განგების ხელთ უნდა იყოსო ყოველივე.

პორტუგალიელი ქალი კი, როცა ნახატებიან წიგნებს შეელეოდა, დაიბარებდა ხანში შესულ ყმაგლეხს, მოურავად რომ ედგათ ციხე-სიმაგრეში და ტყისაკენ გაიყოლებდა. ხელგაშლილი დაუხვდებოდა ხოლმე ტყე, მაგრამ სულს ხელად გადამალავდა სადღაც; ქალი უვალ ადგილებში იკაფავდა გზას, აახოხდებოდა ლოდებს, ჩაუდგებოდა რაიმე კვალს და ნადირსაც წააწყდებოდა სადმე, მაგრამ შიშის, გამოვლილი საფრთხისა და ასრულებულ ცნობისწადილზე ფიქრის მეტი იქიდან არაფერი წამოუღია. გამოშორდებოდა თუ არა ტყეს, იმ ფიქრებს რაც კი რამ საზარი ჰქონდა, უმალ ჩამოეცლებოდა; საფრთხილოც აღარ იყო ის მწვანე ხატი აქაური ბუნებისა, ქალი აქ ჩამოსვლამდეც რომ იცნობდა მონათხრობით; როგორც კი ნებაზე მიუშვებდა და ზურგს უკან დაიგულებდა, — შემჭიდროვდებოდა ტყე. ციხე-სიმაგრეში რაღაცნაირი უხალისო წესრიგი ჰქონდა. მისი შვილებიდან (იყვნენ კი მისი შვილები?) — არც ერთს არ ენახა ზღვა. ქალი ხანდახან ახალგაზრდა მგლებს ადარებდა ხოლმე შვილებს. ერთ დღეს მგლის ლეკვი მოუყვანეს. ესეც გამოზარდა. იქაური ძაღლები და მგელი უჩუმრად ითმენდნენ ერთმანეთს. არც ჯიბრში ედგნენ, შეწუხებითაც არ აწუხებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ როცა მგელი ეზოზე გადმოივლიდა. ძაღლები ზეზე წამოდგებოდნენ და თვალს გააყოლებდნენ. არც დაუყეფდნენ. არც შეუღრენდნენ, იდგნენ და უყურებდნენ მხოლოდ. მგელსაც რომ გაპარვოდა ამათკენ თვალი, ვითომც არაფერიაო, ისე გააგრძელებდა გზას და ნაბიჯსაც არ შეანელებდა. იშვიათად თუ მოცილდებოდა თავის მბრძანებელს; არც დაყვავებას ითხოვდა, არც ალერსს; მოელვარე თვალებს ხშირად მიაპყრობდა

ხოლმე ქალბატონს, ეს იყო — თქმით ვერაფერს ეუბნებოდა. პორტუგალიელ ქალსაც უყვარდა თავისი მგელი, რადგან დაკუნთული ტანიც, წაბლისფერი ბალანიც, ველური და უდრეკი მზერაც ბატონ ფონ კეტენს აგონებდა.

ბოლოს დადგა კიდეც ის წუთი, წლების განმავლობაში რომ შენატროდა კეტენი; ეპისკოპოსი ლოგინად ჩავარდა და მოკვდა. სამღვდელოება უწინამძღოლოდ დარჩა. რისი გაყიდვაც შეეძლო, ფონ კეტენმა ყველაფერი გაყიდა, მამულები დააგირავა და აღებული ფულით საკუთარი მცირერიცხოვანი ჯარი შეაიარაღა; ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება. სამღვდელოება ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ან უნდა ეომა ახალშეიარაღებული ჯარის წინააღმდეგ, ახლავე დაეწყო ბრძოლა, სანამ ახალ ეპისკოპოსს აირჩევდნენ, ან არადა დაეთმო, და სასულიერო საბჭომაც ეს გზა აირჩია. სხვანაირად არც იქნებოდა, ბოლო ხანებში ხომ უკვე კეტენი გახდა ყოვლისშემძლე მბრძანებელი, ახლაც იმუქრებოდა კარსმომდგარი და ბოლოს ჩაიგდო კიდეც ხელში იმ სიკეთის მეტი წილი, ეპარქიამ რომ სუსტი და ჯაბანი ხალხის ხარჯზე მიიგო.

ასე მოელო ბოლო იმას, აგერ მეოთხე თაობაშიც კედელივით რომ იყო აღმართული, ჩვეულებრივი ოთახის კედელივით, რომელსაც დილაობით, საუზმობის დროს, კიდევაც ამჩნევ, კიდევაც არა. ხელის ერთი მოსმით გაქრა ეს კედელი; აქამდე ყოველივე ისე მიყვებოდა ერთიმეორეს, როგორც კეტენების სიცოცხლეში ხდებოდა ხოლმე და თუკი ამ კეტენს კიდევ დარჩა რაიმე გასაკეთებელი, მართვა-გამგეობაღა იყო, — ხელოსნისა და არა ბატონიშვილის საკადრისი საქმე.

შინისაკენ მიაგელვებდა ცხენს, როცა რაღაც მწერმა უკბინა.

თვალის დახამხამებაში შეუსივდა ხელი და ტან-ფეხიც უცებ მოუსავდა. ერთ გახრეკილ სოფელთან სამიკიტნო ეგულებოდა, იქ შეუხვია და როცა გაზინზლულ მაგიდას მიუჯდა, თვლემა მოერია. იქვე, იმ ჭუჭყში მიდო თავი. საღამოს პირზე გამოღვიძებულს შეამცივნა, მაგრამ მაინც შესძლებდა გზის გაგრძელებას, რაიმე გადაუდებელი საქმე რომ ჰქონოდა; ეს იყო, აღარსად ეჩქარებოდა და ღამეც აქ გაათია. დილით, როცა წასვლა დააპირა, თავი ვერ შეიმაგრა და მისუსტებული იქვე ჩაიკეცა. დარუმბებული მხარ-მკლავი აბჯარში ველარ ეტეოდა. სცადა შეეხსნა, მაგრამ ისეთმა ციებამ აიტანა უცებ, ტანზე ყველა კუნთი აუთამაშდა. ერთი ხელი მეორესთან ველარ მიიტანა. სანახევროდ შეხსნილ აბჯარს ისეთი ჟღარუნი გაუდიოდა, სახურავს აგლეჯილმა საწვიმარმა ლარმა რომ იცის ქარში. გრძნობდა რა სანახავიც იქნებოდა და სიმწრის სიცილი აუტყდა; მუხლშიც სულ წაერთვა ძალა და იდგა ბავშვივით უსუსური. მერე შიკრიკები აფრინა. ერთს მეუღლესთან უნდა მიეტანა მისი ამბავი, სხვებს ექიმბაშისა და ვინმე კარგი მკურნალის მოყვანა დაავალა.

პირველად ექიმბაში გაჩნდა ადგილზე. დასიებულზე ჯერ ბალახეული და ცხელი საფენები დაადო, მერე გავკვეთავო, — უთხრა, იქნება ჩირქის გამოდენამ გიშველოთო. შინ მისვლამდე ერთი სული ჰქონდა და კეტენმა ყველაფრის ნება დართო. ძველ იარებს სულ მალე ერთი იმდენი დაემატა. ძალზე უცნაური ჩანდა სატკივარი. ვერაფერს უხერხებდა და ბალახეულის არტახებში კიდევ ორ დღე-ღამეს იწვა. მერე თავი შეაშარტვინა და ბრძანა, შინ წამიყვანეთო. სამ დღეს მოუნდნენ გზას; მართალია, წამლობამ სულ გამოაცალა ძალ-ღონე, მაგრამ, ეტყობა, სენიც მოთოკა. ციხე-სიმაგრეს რომ მიაღწიეს, ციებისაგან გათანგულს არაფრის თავი არ ჰქონდა, თუმცა ჩირქის დენა შეწყვეტოდა უკვე.

კვირა კვირას ენაცვლებოდა, სიცხე კი აალებული ველივით იყო, — არა და არ დაცხრა. თანდათან ინქლებოდა თავისსავე სიმხურვალეში, მაგრამ ბალღამიც ამასთან ერთად იშრიტებოდა და ორთქლდებოდა. საქვეყნოდ ცნობილი ექიმი ვერაფერს გახდა და ახლა მხოლოდ პორტუგალიელი ქალი არ კარგავდა იმედს: რაიმე იდუმალ ნიშანს ხან კარს მიახატავდა, ხან საწოლის თავს. და აი, ერთ დღეს, როცა ბატონი ფონ კეტენი მთლად დაილია და დაიფერფლა, სიცხეც უცებ დაეცა.

უცნაური კი ჩანდა ის სატკივარი, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, მაგრამ დროდადრო ისიც მოეჩვენებოდა ხოლმე, თითქოს სხვა ვინმეს ჰქონდა ეს ტკივილები და თვითონ მხოლოდ შორიდან უცქეროდა ყველაფერს. ბევრი ეძინა, მაგრამ თვალს რომ გაახელდა, არც მაშინ იყო ამ ქვეყნისა. როცა ცნობიერება დაუბრუნდა, იგრძნო, მისი აღარ იყო ეს უნიათო, ბავშვის მკერდივით თბილი სხეული, იცოდა, არც ნაზი სუნთქვით შეტოკებული სული იყო მისი. გადადებული ვარო, — ფიქრობდა, და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იმას უცდიდა, იქნებ ერთი გამოხედვა კიდევ გამოვიხედოო თვალში. ვერასოდეს ვერ მოიფიქრებდა, ასეთი უწყინარი თუ იყო სიკვდილი; თავისი არსების ნაწილი რა ხანია უკვე გაისტუმრა იმ ქვეყანას, მაგრამ სული მისი ისე იყო გაბნეული, მგზავრები რომ დაიშლებიან ხოლმე: ზოგი აქეთ წამოვა, ზოგიც იქით; კეტენის ძვლები ჯერაც საწოლში იდო, საწოლიც აქვე იდგა, მეუღლეც ჩამოუჯდებოდა სასთუმალთან და ცნობისწადილი იყო თუ რა, დროდადრო თვითონაც დააკვირდებოდა ხოლმე ქალის დაფიქრებულ პირისახეს, დააკვირდებოდა კი, მაგრამ მაშინაც შორს ეჩვენებოდა ყოველივე სათუთი და საყვარელი. ბატონი ფონ კეტენი და მისი მთვარეთღამეული ჯადოქარი ორთავენი ფრთხილად ამოვიდნენ მისი სხეულიდან და უხმოდ გაშორდნენ სულს: ორთავეს ხედავდა ჯერ, იცოდა, რამდენიმე ნახტომი და წამოეწეოდა კიდეც, მაგრამ ერთის გარკვევა უჭირდა, ვერ გაეგო — დაეწია და იმათთან იყო უკვე თუ მხოლოდ ფიქრობდა ამას. თუმცა ყოველივე უფლის ხელს ეპყრა, სარწეველასავით რბილ, ვეება კეთილ ხელს, ყველაფერს რომ ისე აწონ-დაწონიდა, არავის გადაყვებოდა თან. უთუოდ უფლის ხელი იქნებოდა. ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, და ახლა იცდიდა მხოლოდ. აღარ პასუხობდა ზემოდან დანათლულ ღიმილსა და ტკბილ სიტყვას.

ბოლოს ის დღე დადგა, როცა მიხვდა, ძალ-ღონე თუ არ მოვიკრიბე, სიცოცხლე უნდა დავთმოო. ეს დღე იყო სწორედ, სიცხემ რომ დაუკლო.

ოდნავ მოიკეთა თუ არა, გარეთ გამიყვანეთო — მოითხოვა; ყოველდღე მიყავდათ იმ ამწვანებულ ადგილთან, ზედ კლდის შვერილზე ფარდაგივით რომ იყო მიფენილი. ბანდებში გამოხვეული იწვა მზეზე, ეძინა, ან ეღვიძა და ამ ორიდან ზუსტად არც იცოდა, რომელს რომელი ერქვა.

ერთხელ გამოიღვიძა და თავზე წამომდგარ მგელს შეაფეთა მზერა. სულგანაბული უყურებდა იმის მორანდულ თვალებს და განძრევასაც ვერ ბედავდა. არ იცოდა, რამდენ ხანს გასტანა ასე. მერე უცებ მეუღლე დაინახა: ქალს მგლის თავი ჩაედო კალთაში. კეტენმა ისევ მილულა თვალი, ვითომ არც გაეხილოს, მაგრამ როცა მოგვიანებით საწოლში გადააწვინეს, მშვილდ-ისარი მოითხოვა. ისე იყო მისუსტებული, ლარი ვერ მოზიდა. გაოცებულმა მსახური იხმო, მიაწოდა მშვილდ-ისარი და უბრძანა: მგელი. ერთხანს იყოყმანა მსახურმა, მაგრამ კეტენს, ბავშვმა რომ იცის, ისე მოუვიდა გული და საღამოთი მგლის ტყავი

უკვე ეზოში ეკიდა. როცა პორტუგალიელმა ქალმაც ნახა ტყავი და მსახურებმაც უთხრეს მგლის მოკვლის მიზეზი, — ძარღვებში სისხლი გაეყინა. მეუღლის საწოლს მიუახლოვდა. კედელივით თეთრი ფონ კეტენი ლოგინში იწვა და როცა ქალმა დახედა, პორტუგალიელს თვალი თვალში გაუყარა. ქალსაც რატომღაც გაეცინა და კეტენს უთხრა: იმ ტყავისაგან თავსაბურს შევაკერინებ და ღამღამობით სისხლს გამოგწოვო.

მერე შინაური მღვდელიც დაითხოვა. ოდესღაც უთქვამს ამას, ღმერთს ნუ სცოდავ, ეპისკოპოსთან რა ხელი გაქვსო. ბოლო ხანებში კი დღე არ გავიდოდა, რომ ზიარების ასაღებად არ მოსულიყო; თუმცა მღვდელი ასე უცებ ვერ მოიცილა თავიდან: საქმეში პორტუგალიელი ქალი ჩაერია, — ვიდრე სხვა დასაყუდარს ნახავდეს, დარჩესო — სთხოვა. ფონ კეტენმა დაუთმო. თავს ჯერაც სუსტად გრძნობდა და მზეში, მწვანეზე, საათობით ეძინა. ერთხელაც, გამოფხიზლებულზე, მეუღლის სიყრმის მეგობარი დაინახა; რაინდი გვერდში ედგა ქალს. ისიც პორტუგალიელი ქალის სამშობლოდან იყო ჩამოსული და აქ, ჩრდილოეთში, მეუღლე და ჩამოსული სტუმარი ერთმანეთს ჰგავდნენ კიდეც. ისეთი სალამი უთხრა სტუმარმა, ზრდილ რაინდს რომ მოეთხოვებოდა. კეტენი კი ამ დროს ძაღლივით იყო ბალახზე გაწოლილი და საკუთარი თავის რცხვენოდა.

ისე, იქნებ სტუმარი უკვე მეორედ იყო აქ ამოსული, კეტენმა კი პირველად ნახა; ხანდახან ახლაც იწვა ხოლმე ცნობაწართმეული. გავიდა რამდენიმე დღე და კეტენმა უცებ შეამჩნია, რომ ბეწვის რბილი ქუდი, — აქამდე კარგად რომ ჰქონდა მორგებული, ახლა — დაიხურავდა თუ არა, ყურებამდე ჩამოეფხატებოდა. ამ სამეულის მეტი სხვა არავინ იყო იქ, როცა ქალს ერთხელ აღმოხდა: „ღმერთო ჩემო, თავი დაგპატარავებია!“ კეტენმა პირველად ის გაიფიქრა, ზედმეტად თუ დავამოკლებინეო თმა, თუმცა ვერ გაიხსენა, როდის უნდა ექნა ეს; ხელი ზევით ააცოცა, მაგრამ თმა ზომაზე მეტად ჩამოზრდოდა. ახლაღა მოაგონდა, რაც ავად გახდა, არ შეუკრეჭია თმა. მერე იფიქრა, გაიწელებოდაო. მაგრამ რას გაიწელებოდა სულ ერთი-ორჯერ ნახმარი და მერე ზანდუკში გადანახული ქუდი? სხვა რა უნდა ექნა, ხუმრობაში გაატარა მეუღლის ნათქვამი; ამდენი წელი გარეთ ვიყავი გავარდნილი, სწავლული და ჭკვიანი კაცი მე არ მინახავს და თავი დამიპატარავდებოდა, აბა, რას იზამდაო. გრძნობდა, უხეიროო რომ გამოუვიდა ხუმრობა, იმასაც ფიქრობდა, რა უნდა მოხდეს ისეთი, ადამიანს თავის ქალა რომ დაუპატარავდესო? კაცს შეიძლება ძალაც გამოგელიოს მკლავში, მაღალი სიცხეები თუ მოგცა, ყბა ყბაში გაგივარდეს... მაგრამ სად გაგონილა ადამიანს თავის ქალა დაპატარავებოდეს? ხანდახან ვითომ თმაზე გადაისვაო ხელი, ისე შეივლებდა თავზე თითებს, მერე ოფლს მოიმიზეზებდა — შეიმშრალებდა შუბლს, ან არადა სადმე მოფარებულ ადგილს მონახავდა და ორივე ხელს თავზე იტაცებდა, გაატარ-გამოატარებდა კეფაზე, შუბლზე... ეჭვიც არ იყო: დაპატარავებოდა თავი, ხოლო თუკი თავის ქალას ფიქრი რომ ფიქრია — ისიც შეახებდა თავის საცეცებს, ქალა ისე შემოადნებოდა, ისე დაელეოდა, რომ ორი ერთმანეთს მიკრული თხელზე-თხელი მონათალიღა შერჩებოდა ხელში.

ადამიანი იქნება ყოველთვის ვერ ჩასწვდე ნათქვამის აზრს, მაგრამ რასაც ვერ გაიგებ, განა ტვირთად ზიდავ კაცი ყველაფერს? ხანდახან გუმანითაც ვერ მიხვდები რაზეა ლაპარაკი. მით უმეტეს, თუ თავს მოიმძინარებ და მოსაუბრე-

ებისაკენ თვალდახუჭული წაიწვდენ კისერს. უცხო ენა, ერთ დროს რომ იცოდა, რა ხანია გადაავიწყდა. ერთხელ იყო მხოლოდ, რაღაცას მოკრა ყური და თავიდან ბოლომდე ყველაფერი გაიგო: „შენ იმას ვერ აკეთებ, რაც გინდა, და აკეთებ იმას, რაც არ გინდა“. ეს ფრაზა ისე იყო ნათქვამი, ხუმრობას არ ჰგავდა, უფრო იმას იფიქრებდი, ერთი მეორეს აძალებსო რაღაცას; როგორ უნდა აეხსნა ნათქვამი? ერთ დღეს სარკმელზე გადაიხარა და მდინარის ღრიალს მისცა თავი. თამაშივით გამოუვიდა და მას აქეთ ხშირად ირთობდა ასე თავს: წყლის ხმაური თივასავით აბურდულიყო, გაგაყრუებდა კაცს, შეგიგუბებდა ყურებს; მოგვიანებით, როცა ამ სიყრუეს თავს დააღწევდა, საიდანღაც, ძალზე შორიდან ჩაესმებოდა ხოლმე მეუღლისა და იმ კაცის საუბარი. ისე საუბრობდნენ, იფიქრებდი, სულმა სული მონახა და გაილაღაო. მერე თვალთვალიც კი დაუწყო: ერთ საღამოს, ბნელოდა უკვე, ესენი კი ეზოში დასეირნობდნენ. როცა გაჩირაღდნებულ პარმაღს ჩაუარეს, ამათი ჩრდილები ხის ვარჯთან აიწვართა, მაგრამ იქ, ფოთლებში, თითქოსდა თავისთავად მოხდა — ორივე ერთ ჩრდილად გაიდღაბნა.

ფონ კეტენი სხვა დროს ცეცხლითა და მახვილით გამოდევნიდა ტანიდან ბალღამს, ან სულაც — ღვინით ამოშუშხავდა. მაგრამ ახლა სხვა იყო — მღვდელი და კალმოსანი ისე თქვლეფდნენ ყველაფერს, ტუჩზე გადმოსდიოდათ ღვინოცა და საჭმელიც. სტუმარი რაინდიც სიცილით აძალებდა ხოლმე, აბა ეს ერთიც დამილიეთო და ორთავე ისე დაეხარბებოდა სასმელს, ძაღლი რომ ეცემა გადაგდებულ ძვალს. თვითონ ფონ კეტენს ყელში არ გადასდიოდა ღვინო, მაღალფარდოვან ყბედობაში გაჯიბრებული ეს ორი უბირი რომ სვამდა ასე ბეჯითად. საუბრობდნენ ათასწლოვან სასუფეველზე, მეცნიერებასა და ქალებზე. ხან გერმახული ისმოდა, ხან საეკლესიო ლათინური. ვიღაც მგზავრი ჰუმანისტი ამ ლათაიებს დროდადრო პორტუგალიელ სტუმარს უთარგმნიდა; სწავლულს ფეხი ეღრძო გზაში და ახლა ციხე-სიმაგრეში იშუშებდა სატკივარს. „კურდღლის დანახვა და ცხენიდან ამისი გადმოვარდნა ერთი ყოფილა“, — თქვა ერთხელ კალმოსანმა. „ჰო, ურჩხულს მიამსგავსებდაო“, — უხალისოდ ჩაურთო ფონ კეტენმა. „ცხენსაც რომ ასე ეგონა! — ჩაიხვიხვინა შინაურმა მღვდელმა, — თორემ იმნაირადაა გაწვრთნილი, რას გაიმეტებდა პატრონს. ჩემი დაკვირვებით, პატივცემულ სწავლულსა და მის ცხენს ჩვენს პატრონზე ერთი ცხენის ძალით მეტი ჭკუა უნდა ჰქონდეს.“ უყურებდნენ მთვრალები ფონ კეტენს და სიცილს აყრიდნენ. კეტენმაც გადახედა ამათ, მიუახლოვდა მღვდელს და სილა გააწნა. ჩვილი, მრგვალი პირისახე ჯერ წამოუჭარხლდა მღვდელს, მერე გაუფითრდა, მაგრამ სკამიდან არ წამოწეულა. სტუმარი რაინდი კი წამოდგა, ჩაიღიმა და პორტუგალიელი ქალის საძებნელად გასწია. „რატომ ადგილზევე არ ჩაქოლეთ?“ — წაისისინა კურდღელთ-ჰუმანისტმა, როცა მარტონი დარჩნენ. „რატომ და ორ ხარს ერთად წააქცევს — უპასუხა მღვდელმა, — გარდა ამისა ქრისტე ღმერთი ზუსტად ამისთანა დროს დაგამშვიდებს და განუგეშებს.“ ასე უთხრა, მაგრამ ბატონი ფონ კეტენი ჯერ კიდევ ძალზე სუსტად გრძნობდა თავს, სიცოცხლესაც ნელ-ნელა უბრუნდებოდა; ცოტა კი მოიკეთა, მაგრამ ფეხზე დგომა მაინც უჭირდა.

სტუმრის წასვლას არ იქნა და არ დაადგა საშველი, ქალიც ისე ირჯებოდა, ვითომ ვერ ხვდებოდა მეუღლის გადაკრულ ნათქვამს. თერთმეტი წელიწადი ელოდებოდა მეუღლის დაბრუნებას, თერთმეტი წელი იყო კეტენი დიდებისა

და ფანტაზიის ტყვე, ახლა კი საკუთარი სახლ-კარის შემოვლას უნდებოდა და ჯახგატეხილი ერთობ უფერულად გამოიყურებოდა ახალგაზრდა სტუმრის გვერდით. პორტუგალიელ ქალს მაინცდამაინც ბევრი არ უფიქრია ამაზე, მაგრამ აქაურობამ, ყოველი ფეხის გადადგმაზე რაღაც არნახულსა და გაუგონარს რომ ჰპირდებოდა, ცოტა არ იყოს მოღალა კიდეც. აქაოდა ქმარმა ერთიორჯერ წარბი შეიკრაო, ამის გამო სულაც არ აპირებდა შელეოდა სიყრმის მეგობარს, სამშობლოს სუნთქვა რომ ჩამოჰყოლოდა თან, იქაური ფიქრები რომ აუშალა და ბევრჯერ გულიანად გააცინა კიდეც. საძრახისს ამაში ვერაფერს ხედავდა; მხოლოდ ის თუ იყო, რომ ბოლო ხანებში თითქოს ქცევა აუძჩატდა ცოტა, მაგრამ ასეთი უფრო მოსწონდა თავისი თავი და იმასაც გრძნობდა, რომ ახლა ხანდახან კვლავ ძველებურად ეშხიანი და მომხიბვლელი იყო. აი, კეტენს კი ერთმა დედაბერმა ასე უმკითხავა: მხოლოდ მაშინ გამოჯახსაღდებით, ერთ რამეს თუ შეიძლებთო. — მაგრამ როცა კეტენი ჩააცივდა, მითხარი, რა არის ასეთი, რა უნდა შევიძლოო, — მკითხავი გაჩუმდა, თავის არიდება სცადა, ბოლოს კი უთხრა: თვითონაც არ ვიცი, ამდენს ველარ ვხვდებიო.

ცხადია, ისეთი კაცისათვის, ვინაც წლებისა და წლების მანძილზე თვითონ იყო მტრისათვის დაუპატიჟებელი სტუმარი, — ღვთისაობა სტუმრისა ან რამე წმიდათაწმიდა წესი არ უნდა ყოფილიყო შეუვალი ზღუდე; მაგრამ ამჯერად, ავადმყოფსა და ღონემიხდილს, ერთგვარად ეამაყებოდა კიდეც თავისი უმწეობა; ეს იმას ჰგავდა, ბავშვი რომ თვალებს დახუჭავს და ჰგონია, ვერავინ მხედავსო. ბურანში მყოფს მეუღლის პირისახე გაცილებით ნაზი ეჩვენებოდა, ისეთივე ნაზი, უწინ რომ იყო, და თავისი გადამეტებული სიყვარულით რომ აკვირვებდა კიდეც. დარწმუნებით ვერაფრით იტყოდა, კარგ გუნებაზე იყო თუ არა; ასე გრძნობდა იმ დღეებშიც, როცა სიკვდილის პირას მისული გატრუნული იწვა ლოგინში. ახლაც უჭირდა განძრევა. ჩვილზე ჩვილი ეხატებოდა მეუღლის მორანდული თვალები, ჩახედავდა თუ არა, საკუთარ თავსაც უმალ დაინახავდა, იქვე, სულ ახლოს, მაგრამ ამის მიღმა ველარ ატანდა კეტეხის მზერა. ასე ფიქრობდა, რაღაცა სასწაული უნდა მოხდესო, რადგან სხვა არაფერი ისეთი არ ხდებოდა, ხოლო თუკი განგება დუმილს აირჩევს, რომც გაუძალიანდე, მაინც ვერაფერს ათქმევინებ. ასეთ დროს მიაყურადო უნდა — რა იქნება, როგორ იქნება.

ერთ დღეს, როცა ამალის თანხლებით ქალმა ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალი გზა ამოათავა, ზედ კარიბჭესთან პატარა კატა შეამჩნია. ისე იცდიდა, თითქოს გალავანზე გადაძრომა კატას აზრადაც არ მოსვლია და ადამიანის შვილივით კარის გაღებას ელოდა. მისალმების ნიშნად ზურგი აზნიქა და მისი აქ ყოფნით გაკვირვებულ უზარმაზარ სულიერთ კაბის კალთებსა და ჩექმებზე მიელაქუცა. "ძეუ"შვეს ციხე-სიმაგრე"ში, ისე დახვდნენ, სტუმარს რომ მიიღებ, მეორე დღეს ისიც იფიქრეს, იქნება სულაც ბავშვი ავიყვანეთო? ალბათ ასე იყო, რადგან კატას არც სხვენზე აძრომის სურვილი ეტყობოდა, არც სარდაფისაკენ გაუპაოებია თვალი; რაც ციხე-სიმაგრეში შემოუშვეს, მას მერე წუთითაც არ მოსცილებია ადამიანებს. ამასთანავე ცინდალს რაღაც ასეთი თვისება ძოჰყვა, დიდი და პატარა ყველა ფეხქვეშ გაეგო. ეს უკვე მართლაც გასაკვირი იყო, მით უფრო, რომ ციხე-სიმაგრეში ბევრი ჰყავდათ სხვა, ამ ცინდალზე კეთილშობილი ცხოველიც და ასეც რომ არ ყოფილიყო, მოცლილი ხომ არაა ადამიანი, სად სცალია კატებთან სათამაშოდ? ამ ამბავს უნებლიეთ იმით ახსნიდი, რაკი ძალ-

ზე პატარაა, სულ ერთი ციდა, ალბათ იმიტომ ეთამაშებაო ყველა. თვითონ არავის გააღიზიანებდა თავისი ლაქუცით და სხვა კატებთან შედარებით დინჯიც მოგეჩვენებოდა, ნაღვლიანიც. შეკრებილთ ისე ართობდა, გეგონებოდა, იცის, რასაც მოელიანო მისგან, დაუძახებდი თუ არა, კალთაშიც ხელად ჩაგიწვებოდა და, საერთოდ, ცდილობდა შეწყობოდა ადამიანებს. ასე კი იყო, მაგრამ ძაინც იმას იფიქრებდი, უგულოდ აკეთებსო ყველაფერს; და სწორედ ეს, რაც აკლდა ამ ცინდალს, სხვა კატებისათვის კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი საქმეა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი მეორე არსივით, რაღაც არარსებული არსი, შეიძლება წმინდანობის შარავანდედიც. ეგ არის, ვერავინ გაბედა ამის ხმამაღლა თქმა. პორტუგალიელი ქალი ნაზად მიუალერსებდა პატარა სულდგმულს, ჩაიწვენდა კალთაში და ცინდალიც თავის პაწია თათებს ბავშვივით მოუთათუნებდა მოლაციცე ხელს. ახალგაზრდა რაინდიც სიცილით დაიხრებოდა ხოლმე მისკენ, თითქმის პირისახესაც მიადებდა ქალის კალთას და ეს უთავბოლო თამაში ბატონ ფონ კეტენს თავის სანახევროდ დაძლეულ ავადმყოფობას აგონებდა. ასე ეჩვენებოდა, სიკვდილი მთელი თავისი სათნოებით ახლა ცხოველის სხეულში გადასახლდაო. ის კი არა, მთლად მიეტოვებინოს, ნაწილი გადასახლდაო მხოლოდ, სხვა — სადღაც მათ შორის იყო გაკიდული. ერთხელ მსახურმა თქვა: მალე ამ ცინდალს ქეცი გაუჩნდება.

ბატონ ფონ კეტენს გაუკვირდა: თვითონ როგორ ვერ შევამჩნიეო; მსახურმა ისევ თქვა: აქაურობას დროზე უნდა მოვაცილოთო.

ამასობაში ცინდალს ზღაპრების წიგნში ამოკითხული სახელი შეარქვეს. კიდევ უფრო ნაზი და მორჩილი გახდა ბოლო ხანს. ახლა უკვე იმასაც შეამჩნევდი, ავად რომ იყო. სულ უფრო ხშირ-ხშირად მოიბუზებოდა ვინმეს კალთაში და ამქვეყნიურ ფუსფუსს ყურადღებას აღარ აქცევდა; პაწია ბრჭყალებს რაღაც უნიათო შიშით ჩაასობდა კალთას და იწვა ასე. დროდადრო სათითაოდ ათვალიერებდა ახლოს მყოფთ. ხან გაფითრებულ კეტენს დააკვირდებოდა, ხან პორტუგალიელ რაინდს. სტუმარი სულ ახლოს დაიხრებოდა ხოლმე და ისე უყურებდა ცინდალს, მაგრამ ვინ იცის, იქნება რაინდი იმ ადგილს აშტერდებოდა, ცინდალი სადაც ჰყავდა ქალს და სუნთქვაც რომ ყველაზე მეტად ეტყობოდა. მიკნავებული იწვა ქალის კალთაში და ისეთი თვალებით უცქერდა ყველას, თითქოს წინდაწინ ითხოვდაო პატიებას, საზიზღარი სანახავი ვიქნები და მომიტევეთო. ბოლოს მარტვილობის ჟამმაც მოაწია.

ერთ ღამეს გული აერია და დილამდე აღებინა; დილით კი, გაოგნებული, ფეხზე ვეღარ იდგა. გეგონებოდა, თავ-პირი დაუბეგვესო. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ვიღაცას სულაც სიყვარულით მოუვიდა, აჭამა ზომაზე მეტი და ცინდალის ტანჯვასაც ეს მიზეზი ჰქონდა? ასე იყო თუ ისე, საწოლ ოთახში ვეღარ გააჩერეს და მსახურებთან მიუჩინეს ადგილი. ორი დღე არც იყო გასული, მსახურებმა ბუზღუნი დაიწყეს, — შეწუხდნენ ალბათ და ცინდალი შეიძლება ღამით გარეთაც გააგდეს. მერე კუჭიც აეშალა. — ყველაფერი მოსალოდნელი იყო აწი. მართლაც საზიზღარი სანახავი გახდა, თუმცა ერთხელაც რომ შეგევლო თვალი, უთუოდ ის აზრი შეგიჩნდებოდა, ეს ტანჯვა — გამოცდა არის, ძნელზე ძნელი გამოცდა, ჭიდილი არისო იდუმალი წმინდანობისა საზიზღარ სიბინძურესთან. ბოლოს გაიგეს, ვისიც იყო ცინდალი, — მდინარის პირას დასახლებულ ვიღაც გლეხს გამოპარვოდა სახლიდან. რა ვქნათ, რა მოვუხერხოთო, ფიქრობდნენ, და ბოლოს ისევ პატრონს მივუყვანოთო — გადაწყვიტეს. ამის

ძსგავს ამბავს რომ შეიტყობ კაცი, ხელად იმას იტყვი, ცინდალი თავიდან მოიშორესო. მართლაცდა, ვის რაში ეპიტნავება ქვეყნის ყბაში ჩავარდნა და თავის გამასხარავება? მაგრამ რაც არ უნდა გეთქვა, ერთი რამ უტყუარი ჩანდა: სინდისმა სამივე შეაწუხა და ვისაც ცინდლის წაყვანა დაავალეს, იმ ყმას რძეც გაატანეს, ხორციც, და რაკი გლეხების ამბავიც იცოდნენ, — რომელი ერთი გაიმეტებსო ცხოველს გარეთ გასაგდებად, — მსახურს ფულიც მისცეს, ამ ფულის ხათრით ეგებ უკეთაც მიგვიხედოსო. ამის გაგონებაზე შინაყმები მაინც უკმაყოფილოდ გააქნევდნენ ხოლმე თავს.

მოგვიანებით ის მსახური ყვებოდა: წამოვედი და რას ვხედავ, — უკან გამოძდევნებია. კაი ხნის მერე შევამჩნიე და გლეხთან ხელმეორედ ჩავედიო. ამ ამბის მერე ორი დღეც არ იყო გასული, ცინდალი კი ისევ გამოჩნდა ეზოში. ძაღლები გზას უთმობდნენ, მსახურებმა გარეთ გაგდება ვერ გაუბედეს, — ვაითუ მერე გაგვიჯავრდნენო, ხოლო როცა ცინდალი ბატონებმაც ნახეს, თქმით არაფერი უთქვამთ, მაგრამ ცხადი გახდა, აწი ვეღარავინ დააკარებდა ხელს და არც ციხე-სიმაგრეში სიკვდილს აუკრძალავდა ვინმე. იმ ორ დღეში მთლად ძილეული, თუმცა გულისამრევი ტანჯვა, ეტყობა, გამოვლილი ჰქონდა უკვე. ძვალი და ტყავიღა იყო. კიდევ ორი დღე გავიდა და თავიდან დაიწყო ყოველივე: ელოლიავებოდნენ, თავს ევლებოდნენ; როცა ძაფზე გამობმულ ქაღალდს ცხვირთან აუთამაშებდა ვინმე, მიმქრალი ღიმილის სანაცვლოდ უხალისოდ გაიქნევდა ხოლმე თათს; ხანდახან წაბარბაცდებოდა კიდეც სისუსტისაგან, თუმცა ჯერჯეროობით მაინც იმაგრებდა თავს. ერთ დღეს კი წაიქცა. ადამიანის ასე ტანჯვა-წვალებით სიკვდილი მაინცდამაინც არ გაგიკვირდება, მაგრამ ცხოველსაც თუ ასეთი ტანჯვა მოუწევს, სხვას რას იფიქრებ — ადამიანად გარდაისახებაო! თითქმის მოწიწებითაც უცქერდნენ ცინდალს; ამ სამეულიდან არც ერთს არ აკვიატებია სხვა აზრი გარდა იმისა, რომ სწორედ მისი ხვედრი იყო, ბოლოს ცინდალს რომ დაებედა. ეგონათ, სულს ღაფავსო, მაგრამ მესამე დღეს ცინდალს ისევ დააწყებინა ღებინება, ამას სხვა სიბინძურეც დაემატა. მსახური იქვე იდგა, მართალია, ვერ გაბედა რაიმე ეთქვა, მაგრამ რა თქმა უნდოდა ამას, ისედაც შუბლზე ეწერა ყველაფერი: — ჩაიქოლოს და საქმეც მოთავდებაო. პორტუგალიელმა რაინდმა თავი დახარა, თითქოს ცდუნებას გაარიდა თვალი, მერე მეგობარ ქალს უთხრა: სხვა არაფერი ეშველება ამ საქმეს, უნდა ჩაიქოლოს; ეს ისე თქვა, გეგონებოდა, საკუთარ თავს გამოუტანაო განაჩენი. უცებ დათქმულივით ბატონ ფონ კეტენისაკენ იბრუნეს პირი. კედელივით თეთრი კეტენი ფეხზე წამოდგა, წავიდა სადღაც, და პორტუგალიელმა ქალმაც მსახური იხმო: — შენთვის მომინდვიაო, — უთხრა.

მსახურმა თან წაიყვანა ავადმყოფი. მეორე დღეს ცინდალი აღარსად გამოჩენილა, არავის უკითხავს, სად გადაიკარგაო. იცოდნენ, რაც მოხდა. ისეთ გუნებაზე იყვნენ, თითქოს რაიმე ენით უთქმელი დანაშაული ჩაედინოთ; რაღაცა დააკლდათ თვალში. მხოლოდ ბავშვები იყვნენ, არაფრად რომ არ ჩააგდეს ეს ამბავი და არც გაკვირვებიათ, მსახურმა რომ საიდანღაც მოთრეული ბინძური და არაფრის მაქნისი კატა ჩაქოლა. აი ძაღლები კი, ეზოს ბოლოში, მზით განათებულ ერთ ადგილს დაუნოსავდნენ ხოლმე, აეშლებოდათ ბალანი და ქეშად დაიწყებდნენ აქეთ-იქით ცქერას. ერთხელ პორტუგალიელი ქალი და ბატონი ფონ კეტენი სწორედ ამ ადგილთან შეეფეთნენ ერთმანეთს. უყურებდნენ

ძაღლებს და ხმას ვერ იღებდნენ. ალბათ ეს თუ იყო განგების ნიშანი, მაგრამ ამის მეტს ვერაფერს გაუგებდი. დუმილის ტყვეობაში კაი ხანს იყო ორივე.

დაღამებამდე თუ არ წავიდა, მოვკლავო, — ფიქრობდა ფონ კეტენი. მაგრამ დადგა საღამო და არაფერი მომხდარა. ვახშმობის დროც გადავიდა. კეტენი წარბშეკრული იჯდა, პატარა სიცხისაგან ტანი შეჰხურვოდა. მერე ეზოში გავიდა, — შუბლს გავიგრილებო; ვერაფრით ვერ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. რაც თავი ახსოვდა, არასოდეს გასჭირვებია ეს, თამაშივით ეადვილებოდა მუდამ. ცხენის შეკაზმვა იყო, აბჯრის ასხმა თუ მახვილის ამოღება, — უამისოდ რას წარმოიდგენდა თავს, მაგრამ სიცოცხლის იმ ჟღერას ველარ უძლებდა ყური; ვიღაც გადამთიელი რომ ხელს გაიქნევს თავისთვის, ასე ესახებოდა ახლა ბრძოლა, დანის ერთი გაელვებაც უსაშველოდ დიდ გზად ეჩვენებოდა, ისე გრძელ გზად, რომ ვიდრე დაკრავდი, იქნება ჩამოგხმობოდა კიდეც ხელი. თან სატკივარიც ისეთი ჰქონდა, მსგავსი არაფერი ახსოვდა. გრძხობდა, საკუთარ თავს თვითონვე თუ არ გამოჰგლეჯდა სენს, ველარაფერი მოარჩენდა. ომსა და ავადმყოფობაზე ფიქრს, დრო დადგა, სხვა ფიქრიც მიემატა: ჯერ კიდევ ბავშვობაში ნატრობდა ხოლმე — კლდეს პიტალო მხრიდან მოსდგომოდა და ციხე-სიმაგრეში აქედან ამძვრალიყო; ეს შემოჩენილი ფიქრი უაზრობაც იყო, თუ გნებავთ, თვითმკვლელობაც, მაგრამ რა ექნა? — იდუმალ ნაკარნახევად ენიშნა, როგორც განკითხვა ან მოსალოდნელი სასწაული. კეტენისათვის კი არა, იმ ციხდალისათვის იყო ეს გზა ზედგამოჭრილი. იმიერიდან ასე თუ დაბრუნდებოდა მხოლოდ; ამის გაფიქრებაზე გაეცინა კეტენს, ეგ რა აზრები მომდისო თავში. მიიხედ-მოიხედა და ის ადგილი უცებ ვერც იცნო: კაი დიდზე ჩაჰყოლოდა ციხე-სიმაგრიდან წამოსულ ღორღიან გზას.

ქვევით ჩასულმა მდინარისაკენ გაუხვია; ჯერ ღვარს რომ შუა-შუა ატარებდნენ, იმ ქვებზე გადაიარა, მერე ჯაგნარში შედგა ფეხი და კლდე-კედელსაც აუყვა. თუ სადმე ხელის მოსაჭიდი ადგილი იყო, ან ნაპრალივით რამე, — მთვარის შუქზე ჩამუქებული ჩანდა. უცებ ქვა გამოეცალა ფეხქვეშ, მოწყდა და ძდიხარისაკენ ჩაქანდა; კეტენს ჯერ ძარღვები დაეჭიმა, მერე მკერდში იგრძნო ყრუ ტკივილი. მიაყურადა; დიდი დრო გავიდა, ქვა ვიდრე წყალზე გაადენდა ზღართანს. კედლის მესამედი ამოეთავებინა, — მხოლოდ ახლა მოეგო გონს, გამოფხიზლდა თითქოს, მიხვდა, რაც გააკეთა: უკან ცოცხალი თავით ველარ ჩახვიდოდი, მაღლა კიდევ ეშმაკი თუ აძვრებოდა. ხელის ფათურით ეძებდა ჩასაბღაუჭებელს და როცა მიაგნებდა, სიცოცხლეც ღვედებივით თითებზე გადმოეკიდებოდა; შუბლზე ოფლი მოადგა, ტანიც გაუხურდა, ქვის ძაფებად ექცა ნერვები, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სიკვდილთან ამ ჭიდილში ჯანი და მხნეობა სულ უფრო და უფრო ემატებოდა. და დაუჯერებელიც შესძლო; ზემოთ ერთი შვერილიღა დარჩა, გვერდს აუვლიდა და სარკმელსაც მიაწვდენდა ხელს. სხვა ალბათ არც მოხერხდებოდა, მაინც იმ სარკმელთან უნდა მიმძვრალიყო ბოლოს. არაფერი ჩანდა, მაგრამ გუმანით იცოდა, სად იქნებოდა სარკმელი; როგორც იქნა მიაღწია, ტანი აზიდა და ფეხები ოთახის მხარეს გადაყო. ძალასთან ერთად ის ველური მზერაც უცებ დაუბრუნდა. სული მოითქვა. თეძოებთან ჩამოშვერილი დაშნა არ დაჰკარგვია. ბნელს თვალი შეაჩვია, — ცარიელი მოეჩვენა ლოგინი. მაგრამ შეიცადა მაინც, ერთხანს კიდევ იჯდა სარკმლის რაფაზე. ამასობაში სულ გაეფანტა ეჭვი: ოთახში მართლაც არავინ იყო და ამ ღამეს ლოგინშიც არავინ ჩაწოლილა.

ფეხაკრეფით გაიარა სხვა ოთახები, ტალანები, კარიც ყველგან ჩუმად შეაღო და მეუღლის საძინებელ ოთახს მიადგა. სტუმრად ჩამოსული ვინმე უცხო კაცი, გამყოლი თუ არ ეყოლებოდა, თავისით ვერაფრით გამოაგნებდა აქამდე. კეტენმა ყური მიუგდო, დაიცადა, მაგრამ ჩურჩულის მსგავსი ვერაფერი გაიგო-ხა. მერე ოთახში შეიპარა; პორტუგალიელ ქალს მშვიდად ეძინა; კეტენმა ჩაბ-ნელებული კუთხეებისაკენ გააპარა თვალი, კედლებთანაც ააფათურა ხელები და როცა ვერავინ იპოვნა, ოთახიდან გასვლისას ლამის სიხარულის ყიჟინა დასცა: მთელი ეს დრო ეჭვით იყო გათანგული. მერე ისევ გაუყვა ტალანებს. ფილაქანს ფეხქვეშ ღრჭიალი გაუდიოდა, გეგონებოდა, კეტენის სიხარულს ასე ეხმიანებაო. ეზოში გავიდა. ვიღაცამ გამოსძახა, მანდ რომელი ხარო. კეტენმა სტუმარი მოიკითხა. მთვარის ამოსვლისთანავე გაემგზავრაო, — უპასუხა ყმამ. ბატონი ფონ კეტენი მერქანშემოფლეთილ ნამორზე ჩამოჯდა და მეციხოვნეებს კიდეც გაუკვირდათ, იმდენ ხანს იჯდა ერთ ადგილზე. უცებ ასეთი აზრი აეკვი-ატა: — აი, ახლა რომ შევიდე პორტუგალიელი ქალის ოთახში, ცარიელი და-მიხვდებაო საწოლი. მიბრუნდა ისევ, კარზე მიაბრახუნა და ოთახში შევიდა; ახალგაზრდა ქალი ანაზდეულად ზეზე წამოხტა, გეგონებოდა, სიზმარშივე ელოდებოდაო კეტენის გამოჩენას, და უყურებდა ახლა ჩაცმულ-დახურულს, საიდანღაც დაბრუნებულს. ქალი არაფერს ეკითხებოდა და ვეღარც კეტენი იღებდა ხმას. კაცი სარკმელს მიუახლოვდა, მძიმე ფარდა აარიდა და მის ად-გილზე ის მეორე ფარდაც უცებ გაჩნდა — მდინარის ღრიალი. აი, ამ ფარდის აქეთ იბადებოდნენ და კვდებოდნენ კეტენები.

ღმერთი თუ კაცად გარდაისახა, კატად გადაქცევასაც შესძლებსო, — თქვა პორტუგალიელმა ქალმა. კეტენსაც ქალისათვის პირზე უნდა აეფარებინა ხელი, ჩუ, ღმერთმა არ გვიწყინოსო, მაგრამ ორივემ იცოდა, — ბგერა რომ ბგერაა, ამ კედლებიდან ისიც ვერ გააღწევდა გარეთ.

გოლოსიტყვაობა

მეტად ძნელია იმის პირდაპირი თქმა, რაც მწერალმა არ მოისურვა პირდაპირ ეთქვა და ესოდენ ოსტატურად დატარა პოეტური ხატების მიღმა. ლევ ტოლსტოი წერდა, მე რომ მდო-მოდა თავისი სიტყვებით გადმომეცა ის, რისი გამოსახვაც განვიზრახე „ანა კარენინათი“, რომა-ნის დაწერა ახლიდან მომიხდებოდაო. ამიტომაც თუ მხოლოდ ორიოდე ძაფის ამოძრობას მოახერხებს კრიტიკოსი მშვენიერი ნაქარგიდან და მკითხველს მხატვრული ხატების იდუმალე-ბით მოცულ სამყაროში გაუკვლევს გზას, ესეც საკმარისია.

„პორტუგალიელ ქალში“, ისევე როგორც ტრიპტიხის დანარჩენ ორ ნაწილში („ტონკა“, „გრიჯია“), მუზილი ფსიქიკის იმ შეუცნობელ სფეროებში ცდილობს შეღწევას, ადამიანის გაცნობიერებულ არსებობას რომ ემიჯნება უსასრულო ღამესავით, თვლემს, ვითარცა ცხო-ველი, ვითარცა მხეცი და თვალს რომ გაახელს, მისი ცნობიერების შიშსა და შეძრწუნებას იწვევს. მწერალი ცდილობს თავი დააღწიოს გონებასა და ცნობიერებას, ასე უმწეოდ, ასე ეულად რომ ამყოფებს მას კაცობრიობის მომწესრიგებელი ძალების წინაშე — ისტორიისა და სახელმწიფოს, პოლიტიკისა და საზოგადოების, რელიგიისა და ხელოვნების წინაშე — და „შეერთებისაკენ“, მე და შენს შორის არსებული ზღვარის გადალახვისაკენ ისწრაფვის. ხოლო

ეს „შეერთება“ (Vereinigung), მუზილის აზრით, ძალუძს მხოლოდ სიყვარულს, მხოლოდ დაუოკებელ ვნებას, ადამიანის სულის წყვდიადიდან რომ ამოხეთქს, თან გამოიტანს არაცნობიერ ძალებს, პირველყოფილ წადილს, მხეცურ ჟინს, ინსტინქტსა და გზნებას და წალეკვით ემუქრება მრავალი საუკუნის მანძილზე ეთიკური თუ სოციალური დოგმებისაგან შექმნილ ნიღაბს პიროვნებისა, რაიც მას გარე სამყაროსკენ მოუქცევია და ვერ იცილებს ვერც ერთი წამით.

ფსიქიკის სიღრმისეულ სფეროში მოგზაურობის მიზანს „პორტუგალიელ ქალში“ მთა და ამ მთაზე აღმართული ფონ კეტენთა ციხე-კოშკი წარმოადგენს. იგია სიმბოლო გმირი ქალის თვითობისა, მისი შინაგანი სამყაროს გაცნობიერებულ და გაუცნობიერებულ მხარეებს რომ აერთებს. ფსიქოლოგებისათვის ცნობილია, რომ ადამიანის ფსიქიკის ყველა ელემენტთა ერთიანობას, თვითობას რომ უწოდებენ ისინი, ზღაპარსა და მითოსში, ხილვასა და სიზმარში სწორედ მიუდგომელი მთა და ამაღლებული კოშკი განასახიერებს ხოლმე. პორტუგალიელ ქალსაც არაერთხელ ზმანებია ის ცისარტყელას საბჯენივით მიუღწეველი, მრავალი გალავნით შემოვლებული სამყარო, თავის არსებაში რომ ატარებდა. სიზმრებში იგი ყოველთვის მიუდგომელ სასახლედ ეცხადებოდა ხოლმე, სადაც „აბა რას გააღწევდა ქვეყნის ამბავი“. თვით ფონ კეტენი ქალის სულის ანარეკლი და მისი თვითობის გაპიროვნებაა. ფსიქიკის საპირისპირო მხარეთა ერთიანობაზე აქ ისიც მეტყველებს, რომ ავტორი თავადს ხან გერმანული და ხანაც რომანული სახელით მოიხსენიებს ხოლმე. ხოლო რომანული, ნიცშედან მოყოლებული ვიდრე დღემდე, ხომ ადამიანის შიდა სამყაროს ცნობიერ მხარეს განასახიერებს, მაშინ როდესაც გერმანული სახელი ფსიქიკის ბნელსა და დიონისურ მხარეზე მიანიშნებს. სწორედ ამ დიონისურის იდუმალება აჯადოებს „მშვილდივით მოზიდულ“ ქალს, მთლიანად იმორჩილებს მის ფიქრსა და გრძნობებს და უარს ათქმევინებს ცივილიზებულ სამშობლოში დაბრუნდეს. ამიტომაცაა ასე რიგად ხაზგასმული კეტენის მგლური ბუნება, პირველყოფილი ველური აღტყინება, ძალა და სიშმაგე. გარეგნობაც მგლისა აქვს ფონ კეტენს — წაბლისფერი თმა, მგლის ბეწვს რომ მოგაგონებს, ძლიერი თავ-კისერი, საიდანაც მიედინება თითქოს მთელ სხეულში ეს ულმობელი ძალა, გაყინული მზერა, შიშის ზარს რომ სცემს გარშემო მყოფთ, მთელი ის უტყვი დიდებულება. ავტორიც არაერთხელ მგელს ადარებს ზვიად თავადს. ჯერ თითქოს გაკვრით შენიშნავს, პროტუგალიელ ქალს მისი ლტოლვის სამყაროში — კეტენთა სამფლობელოში სხვა მხეცებთან ერთად მგელიც ეგულებოდაო. ამის შემდეგ უკვე თვით ფონ კეტენზე იტყვის, თავადი, როგორც მგელი, ისე დაძრწოდა და გარს უვლიდაო ეპისკოპოსს. ხოლო კიდევ ორი გვერდის შემდეგ მგლისა და თავადის იგივეობა აღარავითარ ეჭვს აღარ იწვევს: პორტუგალიელი ქალი მგლის ლეკვს მოიშინაურებს, მუდამ თან რომ დასდევს მას. უბირი მკითხველისთვისაც კი ნათელი ხდება, რომ მგელი ფონ კეტენის ან უფრო სწორედ, მისი სულის არაცნობიერი მხარის ორეულია, რასაც მისდა შეუგნებლად ასე ეტრფის შორიდან მოსული ქალბატონი. ჯერ კიდევ კ. გ. იუნგი შენიშნავდა, რომ ცხოველი, როგორც სრულიად გაუცნობიერებელი არსება, ოდითგანვე იმ ფსიქიურ სფეროთა სიმბოლო იყო, ადამიანის გრძნობად-სქესობრივი ცხოვრების წყვდიადით რომ არის დაფარული. მგელი სწორედ იმიტომ იზიდავს უძლეველი ძალით პორტუგალიელ ქალს, რომ იგი მისი ფსიქიკის ყველაზე უფრო იდუმალ არსს ეხმიანება. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს არსი გრძნობად-სქესობრივ სფეროს განეკუთვნება და ანიმუსს (animus) უწოდებენ მას, რაც სხვა არაფერია, თუ არა საპირისპირო სქესის ხატი ადამიანის ფსიქიკაში. მგელი ამრიგად პორტუგალიელი ქალის ანიმუსის შესატყვისია და შესაბამისად მისი გაუცნობიერებელი ლტოლვის საგანიც. სწორედ ამიტომაა, რომ მუზილისეული „შეერთება“ (მე და შენს შორის ზღვარის გადალახვა) დიონისური საწყისის, მგლური ბუნებისა და პირველყოფილი ინსტინქტების აღზევებას გულისხმობს.

მეორეს მხრივ „პორტუგალიელ ქალში“ მუზილი ფრიდრიხ ნიცშესაც ეხმიანება. ცნობილია, რომ ნიცშე პლატონის მეტაფიზიკასთან ერთად ქრისტიანობას მიიჩნევდა ევროპელი ადამიანის დაუძლურების, მისი ცხოველმყოფელი, შემოქმედი ძალის მოდუნების, სასიცოცხლო ენერგიის დაშრეტის მთავარ მიზეზად. ქრისტიანობას სდებდა იგი ბრალს, რომ მან ადამიანის სულის დიონისური საწყისი უგულებელჰყო, მისი ვიტალური ძალები მიჩქმალა და ადამიანის სხეული ეშმაკის სამყოფელად გამოაცხადა. ამ თვალსაზრისით შემთხვევითი არაა, რომ თავადი კეტენი სწორედ ქრისტიანული ეკლესიის მორჭმულ მსახურს ებრძვის. შემთხვევითი არაა არც მთხრობელის შენიშვნა, რომ „ქრისტიანი ფეხს არ დაადგამდა“ კეტენთა სამფლობელოში, ვინაიდან იქ „ავი სულების საბრძანებლო იწყებოდა“. მრავლისმთქმელია ფონ კეტენის ლაშქარში დარხეული ხმაც: „ეპისკოპოსის სიძულვილმა ბატონს ეშმაკისათვის სული მიაყიდვინა“.

ეშმაკთან შედარება კიდევ ერთხელ მეორდება ნაწარმოების დასასრულ, სადაც ნათქვამია, ციცაბო კედელზე მხოლოდ ეშმაკი თუ აძვრებოდა, და ეს ეშმაკი ფონ კეტენი გახლდათ. „აბა ვინ არის მგელი, თუ არა ეშმაკი“, ამბობს ნეტარი ავგუსტინე. დიდი დრო დასჭირდა ქრისტიანობას, რათა განედევნა ეშმაკი, დაეთრგუნა ხორცი, დაეჯაბნა მხეცი ადამიანებში, მოეთვინიერებინა მგელი და მოდარაჯე ძაღლად ექცია იგი [1]. გრძელი გზის დასასრულს მოძლიერდა გონება, დაიხვეწა ადამიანის ინტელექტი, მაგრამ დაუძლურდა მისი ხორცი, გაუცხოვდა სული, განმარტოვდა არსება მისი, ნელ-ნელა დაშრეტა იწყო სასიცოცხლო ძალებმა, რაც სასოწარკვეთას ჰგვრიდა ნიცშეს, და ისიც პათეტიკურ დითირამბებში განადიდებდა განრინებულ მხარეს ადამიანისა — „ველურ ინსტინქტებს“, „ცხოველურ ავხორცობასა“ და „კატის სილაღეს“. თავადი კეტენიც ადამიანის გზას დაადგა კინაღამ. როგორც კი დამთავრდა ომიანობა, ბოლო მოეღო ძალადობას, დასრულდა მგლის თავნება თარეში ღია ცის ქვეშ და ფონ კეტენს მხოლოდღა თავისი სამფლობელოს მშვიდობიანი მართვა-გამგეობა ელის მომავალში, მაშინვე შეიპყრო მძიმე სენმა, დაასუსტა, ძალა გამოაცალა და ადამიანურსა და ჰუმანურ არსებობას აზიარა. თავი დაუპატარავდა თავად ფონ კეტენს, ის მგლის ძალოვანი თავი, მთელ სხეულს რომ აწვდიდა თითქოს საზრდოს, მზერა შეუსუსტდა და მთელი ტანიც თოთო ბავშვივით უმწეო გაუხდა, მოუდუნდა. ავადმყოფობამ თითქოს ყველა ბოროტი წვენი დაუშრიტა და აუორთქლა, სირბილე შესძინა, სისუსტე მიანიჭა და სინდისი გაუღვიძა. ახლა ეს „ჰუმანისტი“ კეტენია, სულგრძელად რომ ითმენს ჩამოსული სტუმრის არშიყობას თავის მეუღლესთან; ეს ადამიანი კეტენია, რომ აკვლევინებს მგელს და განუკურნებელ სულიერ ჭრილობას აყენებს შორი ქვეყნიდან მოყვანილ ქალბატონს, ვინაიდან მგელი ხომ ამ ქალბატონის სულის იდუმალი წიაღის, მისი ანიმუსის განსახიერებაა. „ძარღვებში სისხლი გაეყინება“ პორტუგალიელ ქალს, მოკლულ მხეცს რომ დაინახავს, საღამო ჟამს კი თავადის სარეცელთან მივა და სიცილით ეტყვის, მგლის ქურქისაგან თავსაბურს შევაკერინებ და სისხლს ამოგწოვო [2].

თუ მგელი პორტუგალიელი ქალის ანიმუსია, კატა ფონ კეტენის ანიმაა (anima), ე. ი. მისი სულის წიაღში დაფარული ქალის ხატი, ანუ ქალური ელემენტი მამაკაცში, მის ქვეცნობიერ ცხოვრებას რომ განაპირობებს. ამ მოსაზრებას ფსიქოლოგთა დაკვირვებაც ადასტურებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ანიმა ხშირად სწორედ კატის სიმბოლოთი გამოისახება. კატა ფონ კეტენის განვითარებას იმეორებს. როცა საცოდავი ცხოველი დასნეულდება და ფეხებს ვეღარ მიათრევს, მთხრობელი ირონიულად შენიშნავს, ისე ჩანდა, თითქოს ადამიანად გახდომა განეზრახოს საბრალოს. ნიცშესეულ ირონიას მოკლებული არაა მეორე შენიშვნაც მთხრობელისა: პატარა ფისოს მხეცური არსი წმინდა შარავანდივით ადგაო თავს. ხოლო რაც უფრო ილევა ეს შარავანდი მით უფრო იმატებს ამ საოცარი ფერისცვალებით გამოწვეული სიბინძურე. კატა ისევე მოსწყდა თავის მიწიერ ცხოველურ არსს, პირველყოფილ ინსტინქტებს (როგორც გვახსოვს, პირველივე გამოჩენისთანავე იგი კი არ გადაევლება გალავანს, როგორც მის ბუნებას შეჰფერის, არამედ ქვემოდან მომავალ ბატონებს უცდის, რომ ჭიშკარი გაუღონ და ადამიანთა გზით შეიყვანონ სასახლეში), როგორც თავადი კეტენი, მას შემდეგ რაც დასნეულდა და მგელი მოაკვლევინა. ვინაიდან მგელი ხომ მისი არსების ძირი და ფუძე იყო, არაცნობიერის ოკეანესთან რომ აკავშირებდა მას. ამიტომაც ბუნებრივად გვეჩვენება ის ამბავი, რომ ჯადოსნურად მომღიმარი ქალბატონი თავაზიან და მოკრძალებულ თანამემამულესთან იწყებს კეკლუცობას. თუმცა ერთი ფრაზა, რაიც სნეული ფონ კეტენის ყურს აღწევს, აქაც უჩვენებს მკითხველს, რომ პორტუგალიელი ქალის შეუცნობელი სული და ვნება სულ სხვა რამისკენ მიილტვის: „შენ იმას არ აკეთებ, რაც გინდა“, ეუბნება პორტუგალიელი რაინდი ქალს,

---

[1] მგლისა და ძაღლის დაპირისპირება, რაც ერთობ დამახასიათებელია როგორც ადრე ქრისტიანული, ასევე შუა საუკუნეების საეკლესიო მწერლობისა და ხელოვნებისათვის, თავს იჩენს მუზილის მოთხრობაშიც. თავდაპირველად ეს მოთვინიერებული მგლისა და სასახლის ძაღლების დაპირისპირებაა, ხოლო შემდეგ თვით ფონ კეტენზეც გადაინაცვლებს. შეიძლება ითქვას, რომ გმირის ცნობიერსა და არაცნობიერს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ძაღლსა და მგელს შორის. ამიტომაა, რომ მას შემდეგ, რაც თავადი აკვლევინებს მგელს, ე. ი. არაცნობიერ მხარეს თავისი არსებისა, მწერალი მას ძაღლს ადარებს: „კეტენი კი ამ დროს ძაღლივით იყო ბალახზე გაწოლილი და საკუთარი თავისა რცხვენოდა“.

[2] აღსანიშნავია, რომ მგლის მიერ სისხლის ამოწოვის მოტივი უძველეს ხატს ეფუძნება და ევროპისა და მცირე აზიის მითოლოგიაშიც დასტურდება.

„და აკეთებ იმას, რაც არ გინდა“. ცხადია, რომ ამ სიტყვებში ქალბატონის არაცნობიერი, მისი სულის გრძნეული მხარე იგულისხმება. სწორედ ეს არაცნობიერია, რომ გრძნეულ ნიშნებს გამოასახვინებს „მთვარეთღამეულ ჯადოქარს“, მისი მომაკვდავი მგლის — ფონ კეტენის — საწოლის თავსა და საძინებელი ოთახის კარზე. „მთვარეთღამეული ჯადოქარი“-მეთქი, ვთქვი და რაწამს მუზილის ეს ეპითეტი ვიხმარე, ახალი სიმბოლოც გამოჩნდა — მთვარე. ღამის მნათობი ქალური საწყისის სიმბოლო იყო ოდითგანვე. მოთხრობაშიც ის ფონ კეტენის ფსიქიკის დიონისურ მხარეს, მისი სულის სიღრმისეულ ფენებსა და მხეცურ საწყისს განასახიერებს. არაცხობიერი ისეთივე შორი და მიუღწეველია ცნობიერებისათვის, როგორც მთვარე. ამიტომაა, რომ ავტორი გმირის არაცნობიერის დახასიათებისას სწორედ მთვარის სიმბოლოს მიმართავს. „ხოლო ის სხვა იყო უცხო, ვითარცა მთვარე. ეს სხვა უყვარდა ფარულად ბატონ ფონ კეტენს“. მთვარე უნათებს გზას კლდის ფრიალო კედელზე აცოცებულ ფონ კეტენს. მოგვიანებით, ციხე-კოშკის ეზოში გამოსული, უცხო რაინდის ამბავს იკითხავს და პასუხად მიიღებს, გაემგზავრაო, „როგორც კი მთვარე ამოვიდა“. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო — რაკი მთვარე ამოვიდა, მგელი გამოცოცხლდა და ძალა მოიკრიბა, ბოლო მოეღო კატის კაცადხდომას, გამოიღვიძეს მიძინებულმა ვნებებმა და „შეერთებას“ გზა გაეხსნა, შორეული ქვეყნის რაინდს აღარ დაედგომებოდა კეტენთა ციხე-კოშკში.

„თუ ღმერთს შეეძლო ადამიანის სახით მოვლენოდა ქვეყანას, იგი შეიძლება კატის სახითაც მოევლინოს მას“, ამბობს პორტუგალიელი ქალი და ამით იმ შეუცნობელი არსის ღვთაებრიობაზე მიანიშნებს, მანამდე ეშმაკის საკუთრებად რომ იყო მიჩნეული. ღვთის სახელის შებღალვისათვის ფონ კეტენს ცოლისთვის ხელი უნდა აეფარებინა პირზე, მაგრამ ორივემ იცოდა, რომ ეს არაცნობიერის ხმა იყო და ვერ გააღწევდა ცნობიერების სქელ კედელში.

რეზო ყარალაშვილი

□

ჰრანტ მათევოსიანი

ავისტო

მოთხრობა

სომხურიდან თარგმნა **ზეზვა მედულაშვილმა**

ანდრო ურემს აკეთებს. ღერძს რომ მორჩება, ახლა ულელი უნდა მოტუსოს. სატაბიკე ნახვრეტების ამოღება წუთის საქმეა, მაგრამ ჯერ ჭლებიც აკლია. ეს ოჯახაშენებულები ისე ამუშავებენ, გეგონება, ანდრომ დაღლა არ იცოდეს. არადა, კაცმა რომ თქვას, მასაც ასე ურჩევნია: შრომადღე შრომადღეა და სხვებივით მზისგულზე მუშაობას ისევ ესა სჯობია. საღამოზე სოფელში გავა, ხარსა სთხოვს სანასარს — მთაში შეშა გაუთავდებოდათ უკვე. წავა, ძროხებს დახედავს, აშხენსაც კარგი მაწონი ექნება, მაწვნითაც ჩაიკოკლოზინებს ყელს.

ეს კარგი, მაგრამ ურმის უბე ანდროს არ მოეწონა. ჯერ მაშინაც არ მოუვიდა თვალში, როცა სჭრიდა. თავხედან ღერძამდის არა უშავს, სწორიც იყო, კარგად გამოყვანილიც, ლამაზიც კი, მაგრამ ღერძის ქვემოთ, რაც არ თალა და ასწორა, მაინც უშნოდ დარჩა გამრუდებული. ჯაჭვი უნდა მოსდოს, დაქანჩოს და ეგრე დაქანჩული დააგდოს ერთი-ორი დღე.

ხანდახან თავისი აშხენიც კი ისე მოსწონს, გეგონება, სხვისი ცოლი იყოს. შენ ჯეილი გოგო დაუძახე, თუნდა სხვისი ცოლი და, აშხენი ამ ბოლო დროს თანდათან უტკბება. არც კი იცი, სად მალავს იმ გრძელ ენას და მოგჩერებია ნელი ცეცხლივით. აი, ეგრე ამოვალთ შენი ენის ოხტში, აი! აშხენი მთიდან ჩამოვიდა, თვითონ კი სოფლიდან ავიდა ჟოლიან მდელოზე თივის ასაბულულავებლად. აშხენი ადრე ჩამოსულიყო, დილაბნელზე ძროხები დაეწველა, რძე გადაეწურა და ჩამოსულიყო. ანდრო რომ მივიდა, ცოტაოდენი თივა უკვე დაკვირტული დაუხვდა. ხედავს, ხის ძირში ერთი ქალი წამოწოლილა. ერთი

პირობა იფიქრა, იმ სულგანათლებულ ჰამოს დედაკაციაო — სირუშა, მერე კი თავის თავზე გაეცინა: აბა, სირუშას აქ რა უნდოდა?! ისე... სირუშა რომ ყოფილიყო, უფრო კარგი იქნებოდა. მაგრამ აშხენი იყო, ამას უკვე წყალი არ გაუვიდოდა. ძროხები დილაადრიან დაუწველია, რძე გაუწურავს და ჩამოსულა. მინდვრიანზე ცხელოდა, აშხენი ცოტა გაოფლილიყო. ანდრომ დახედა აწითლებულ სახეზე და, რაღა თქმა უნდა, თვალებზეც — აშხენს ეძინა, ხოლო მძინარე, ღმერთი-რჯული, სულ არ ჰგავდა თავის თავს, გეგონებოდა, ვინმე სხვა არისო. თეძო მაღალი ჰქონდა იმ ნათელდამდგარი ჰამოს სირუშასავით. ანდრომ ბალახის ღერი შეუღიტინა კისერში და გაიცინა. ქალმა არ გაიღვიძა, „უქნარა დლაღუნაო“, წაიბურტყუნა მხოლოდ და მძინარევე მოეხვია კისერზე კაცს. ვააჰ, კაცო, თითქოსდა ეძინა, ძილში იღიმებოდა კიდეც და მაინც არ გაუღვიძია ბოლომდის. მერეც თვალებღია იწვა და სადილობამდის ცას შეჰყურებდა. ხოლო, როცა უსიტყვოდ წამოდგა და გაიმართა, ისევ ის თეძოგამხმარი აშხენი იყო, ისევ ის ძველი კაპარჩხინა.

— სხვებმა თავისი დააბულულავეს, წაიღეს, შინ დაიზვინეს, ახლა სხვასა ჰპარავენ, კოლექტივსა ჰპარავენ, ამას კიდევ ვირის ყურში სძინავს... ახლაც ვითომ საქმეზე ამობრძანდა... წვიმა არ არის, მზე არ არის, ზამთარი არ არის ამისთვის; დაიზანტება, დაიზლაზნება, დაიფლახვნება!.. რა გათლილ ლოდს ეძებს, აგრემც იმ ლოდს ამოუწვეს ქვეშა!..

ჯერ კი უნდოდა ფიწლის ტარი ეცხუნებინა ზურგზე, მაგრამ შეებრალა. ბოლოს და ბოლოს, ის საწყალი თან მუშაობდა, თან ლაპარაკობდა. ანჩხლი კი არ არის, ჩვეულება აქვს ეგეთი — ლაპარაკობს. თუ ანჩხლიც არის, თავის ადგილზეა ანჩხლი. რას იზამ, ძნელია ცხოვრება, ანდრო კი მართლაც უგერგილოა. აგერ, გიქორი, მაგალითად, თავის დროზე თავმჯდომარეც იყო, ბრიგადირიც, საწყობის გამგეც, ფერმის გამგეც, ერთ ხანს გამყიდველადაც მუშაობდა. ერთი ადგილიდან ააძრობენ, სხვა ადგილს მიეკრობა. არა უშავს, იფიქრებ კაცი, შემთხვევაა, შეცდომა ვის არ მოსვლიაო, დღეს თუ შესცდა, ხვალ გამოასწორებსო. იტყვი, აი, დანიშნეს გამგედ და ხვალ მაინც მოხსნიანო და მართლაც ხსნიან. ხსნიან, მაგრამ ახლა მაღაზიას მიეწებება. არც მანდ შერჩებაო, ამბობ, და არცა რჩება. ამ არშერჩება-არშერჩებაში გაიხედავ, გიქორიც უკვე სამოცი წლისაა, კარგ პენსიასაც გაჰკვაჭავს და ცხოვრებაც უკანა აქვს მოტოვებული. ასე აცალე-აცალეთი, შეცდა-შეცდათი თუ ცოტა-ცოტაობით გიქორმა კაი სახრავი ადგილები იცვალა და დუმაც გვარიანადა სთალა თავისთვის. ის დუმასა სთლიდა, შენ ღერძი თალე და, ჯერ დაიცაო, ილაპარაკე. როცა დაქორწიხდნენ და თვისთავზე აშხენი წაეჩხუბა, მაშინვე გადაწყვიტა, ამასთან ცხოვრება არ იქნება, უნდა გავაგდოო და აი, დღემდის აგდებს. ამ ზამთარსაც ძალიან გააბრაზა, მსუბუქად შემოჰკრა და თავისიანებთან გააგდო. აშხენმა შალი ძოიხვია და კალთების ქნევით გავიდა. გავიდა, მაგრამ საღამოთი ისევ მობრუნდა სიძესა და უფროს გოგოსთან ერთად, თან შვილიშვილებიც აეტატებიხა. „პა-პა!“ და მთელი ხერხემლის აყოლებაზე კეფამდე ასდევდა სიამოვნების ის ჟრუანტელი, ძველი, მკვრივი აშხენისგან რომ ახსოვდა თაფლობის თვეში; ისიც ახსოვდა, მერე და მერე როგორ თანდათანობით მცირდებოდა ეს სიამოვნება, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ სიცოცხლე ჯერ წინ იყო და ქალებიც ბევრნი იყვნენ ამ ქვეყანაზე. „პა-პი-ლო!..“ ზახრუმა!

ერევანში, მე-400 პოლკში მსახურობდნენ, კონცერტზე წაიყვანეს ერთხელ.

„ირემ-ირემ-ირემივით დაა-დიხარ...“, მღეროდა ანსამბლი. წინა რიგში, მზეძოკიდებული გოგოები ისხდნენ, ალბათ არარატის ველის მახლობელი სოფლებიდან ჩამოსულნი, წითელბაფთებიან ნაწნავებს აქნევდნენ და წამდაუწუმ უკან იყურებოდნენ. მარტინმა... იჯევანელი ბიჭი იყო, ფართო ყვრიმალებიანი, ქერჩითან დაილუპა. საწყალი მარტინი... სერჟანტი იყო, გვარად სააკიანი... საწყალი მარტინ სააკიანი... იმ მარტინმა უთხრა: ანდრე, მოდი, ავეტორღიალოთ, ჭორფლიახი — მე და ის მეორე — შენაო. მან შეხედა მეორეს და თან მოეწონა, თან ძერცხვა. ისეთი მაღალი მკერდი ჰქონდა! მარტინს სამხედრო ტანსაცმელი გაძოჭრილივით ედგა ტანზე, საპარადო ქამარი მჭიდროდ და კოხტად შემოეჭირა. ანდროს ქამარი კი ბრეზენტისა იყო, ჩექმებიც ფლახვი ეცვა, ფეხები შიგ მიდიმოდიოდა. უთხრა: არა, მარტინ, საქმეზე ვარ წასასვლელიო. გზიდან გადაუხვია და გადაწყვიტა, ზემდეგს ჩექმების თაობაზე წასჩხუბებოდა და საოფიცრო ქამარიც ეშოვა. მარტინი გვიან საღამოს დაღლილი დაბრუნდა და წარამარა იღიმებოდა. ტკბილად, ტკბი-ლად უჟუჟუნებდა თვალები და ღიღინებდა: „ირემ-ირემ-ირემ-ივით და-დი-ხარ...“ მოუბრუნდა და: „ვირო, შე ვირო შენა, რატომ არ წამოხვედი!“ შენ რომ წახვედი, ვითომ რა გააკეთეო, მიუგდო მან გაბრაზებით. ის კი კვლავ ღიღინებდა და მერე პირქვე მწოლიარემ წყლიანი თვალებით გადმოხედა: — ვიირო!..

საწყალი სააკიანი მარტინი!.. განიერი პირისახე ჰქონდა, სქელი წარბები! რომ იცინოდა, თითქოს ტირისო, ისეთი ბიჭი... მძიმედ, გაშხვართულად, ფეხიფეხგადადებული იწვა საკაცეზე და თითქოს მსუბუქად ტიროდა კვლავ.

უმცროსი ძმის ეზოში ბებერმა ბასარამ დაიყეფა. იმავე წამს ლობიოს კვლებზე, გომიდან გადმოყრილი ძველი ნეხვის გროვაზე და ბებერი ვაშლის ხის თავზე ჩამოეკიდა ბებიას განგაში.

— ძერაძერაძერა, ჰუი!..

კრიალა ზეცა დედაბერს უკვე ბუნდად ეჩვენება და მთელ იმ ზეცაზე ტრიალებენ ძერები, ყველანი ერთად, რაც კი ბებიას უნახავს თავის დღეში, როცა ზეცა მისთვისაც კრიალა იყო.

— ჰუი, ჰუი!..

მისი ფიქრით ყოველ წუთს საცაა წვიმა წამოუშენს და მოთიბულ ბალახს გააფუჭებს ან ბატები მოუჭამენ ლობიოს; ეს ძალლიც ხომ დაბერდა — დაადებს თავს, წავა და სადმე მინდორში გადაილრძვება; ძერა წიწილას მოიტაცებს, ან რძლები წაეჩხუბებიან მის შვილებს; ამიტომ ჟამდაჟამ დაიხმიანებს:

— საისა, ბატო, თქვე უპატრონოებო, თქვენა! — გოგო, ეგ ბალახი დაბულულავეთ! გოგო, ის თივა დასდგით? — აი, ენა გაგიხმეთ, ენა, რომ თქვენ დამიჭამეთ ბალღები! — ბასარ!..

ბებერი ქოფაკი ზლაზვნით უახლოვდება და მოხუცებულს შესციცინებს.

— აქა ხარ, ბასარ?..

ხმებოდა გაფენილი ჩირები. ბებერი ქოფაკი უცდიდა, აბა, დედაბერი რას ძეტყვისო. სკები გაცხარებულნი შრომობდნენ, საფუტკრეზე მძიმე და გახურებული ზუზუნი ჩამომდგარიყო. უფროსი შვილის ეზოში ცულის ჩაკუნი მიწყდა. საღლაც სიახლოვეს გოგომ გადაიკისკისა მხიარულად.

— ჰაი, შე პირშავო, შენა! მანიშაკ! — გასძახა დედაბერმა, — გოგო მანუშ, მთიდან ჩამოხვედი?..

მაგრამ პასუხი არ გაუციათ, მხოლოდ შორს ისევ გადაიკისკისა ვიღაცამ. ვინმე გოგოცუნასი კი არა, ქალის სიცილი იყო.

— ანდრანიკ! — დაიძახა დედაბერმა, — ანდრანიკ!..

— ჰეი, რა არის, დედი?..

— გენაცვალე, შვილო, რატომ მიჩუმდი?..

ისევ გაიცინეს და დედაბერს ამჯერად უკვე აღარ მოეწონა ეს.

— ანდრანიკ!.. ეგ ვინ იცინის?

— მე რა ვი, ვინ იცინის, დედი.

— ჰაჯან?..

— არ ვიცი, არა!

— ანდრანიკ!

— ჰაეე!

— ცხენს გადაუნაცვლე?

— ჰო!

საფუტკრეში გაბმული ზუზუნი იდგა, ხოლო ხევის გზით მდინარისკენ ჩაიარეს სააკის მოაგარაკე მდგმურებმა. მათში ერთმა ქალმა კვლავ ყრუდ და მხურვალედ გაიცინა. ოთხნი იყვნენ: ორი გოგო, თითქმის უმწიფარი ბავშვები, ერთიც ზონზროხა ახალგაზრდა ქალი, აქლემის ნაბიჯებით — თუ იყო და რაც იყო, ის იყო... მეოთხე კი — გოგოების დედა.

ამბობენ, ერთი დედოფალი სპარსეთში თუ, რა ვიცი, სადღაც, ჯარისკაცებს რიგებად ჩამოამწკრივებდა და მათ შუა აივლ-ჩაივლიდა. თუ ვინმე მოეწონებოდა, წაიყვანდა და ღამე თავისთან ანარჩუნებდა. მერე კი თავს აჭრევინებდა, რომ ამბავი არ გავრცელებულიყო. მაშ, ის უნამუსო ისა!.. ვინმე, ცოტა უფრო გამოქექილი ჯეილი, წაჰყვებოდა, ღამე ლამაზად ისიამოვნებდა, მერე კი ერთ ხვრელს გამოთხრიდა სადმე და მოუსვამდა, ან ფანჯრიდან გადახტებოდა — ხომ უნდა ყოფილიყო სადმე ფანჯარა...

— ანდრანიკ!

— რა გინდა, დედი?

— მგონი, ფუტკარმა იყარა.

ანდრომ ყური მიუგდო, სკების ზუზუნი გაძლიერებულიყო, ცას შეხედა და თქვა:

— სიცხისაგან არი, სიცხისაგან, მზე იკბინება.

ცუდი არ იქნებოდა, თუ მდინარის პირას ჩავიდოდა და ცხენს გადაუნაცვლებდა. მთელი დღეა ერთ ადგილას აბია საწყალი ალხო; შეიძლება თოკდახვეულიც იყოს. ამბობენ, ის ზონზროხა ქმარგაშვებულიაო. იმასაც ამბობენ, დირექტორმა სიტყვა ჩაუკრა და არც ის არის წინააღმდეგი ერთი წლით აქ დარჩეს და იმუშაოსო. ეჰ, რუბენ, არ გირჩევნია, შენს ბაგაზე ება? სხვას შენს ცოლზე უჭირავს თვალი, შენ კიდევ — სხვისაზე.

ანდრომ ცული ჩრდილში მოისროლა, მუხლები ჩამოიბერტყა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ხევში ჩავიდა. ცხენს თოკის მისაწვდენზე ირგვლივ სულ ძოეპარსა ბალახი, პირდაპირ გაეშალაშინებინა მიწა, ახლა იმ მოტიტვლებული წრის შუაგულში იდგა მზის ქვეშ და მუცელზე თავს იტყაპუნებდა.

— ეგ რა ყოფაში ხარ? — გაიღიმა ანდრომ. „შევცდი, რაკი მუშაცხენად ვაქციე, უნდა დამეკოდნა კიდეც, არადა ცოდოა, ჯოგში უნდა გავუშვა“. — ხვალვე მთაში წაგიყვან!

ანდრომ ცხენი მდინარეს ააყოლა, ხევზე გადასვლისას წყალში ჩავარდა, გაიღიმა და როცა მეორეგან უნდა გადაეჭრა ხევი, წყლის სუსტ ჩქრიალში კვლავ მოესმა წელანდელი სიცილი. ანდრო ცხენს გაუჯავრდა, თავჩაღუნულმა, თვალებზე ქუდჩამოფხატულმა ქალებს ახლორე ჩაუარა და მიესალმა. დედამ, ნაპირზე რომ იჯდა და წყალში ფეხები ჩაეკიდა, თავაზიანად დაუბრუნა სალამი. გოგოები კი — შავგვრემანები, წვრილ-თხელნი, ლენტივით ვიწრო წითელ ტრუსებში ამოწვართულნი, სიპზე იდგნენ და იცინოდნენ. ო, რა ყრუდ და ძხურვალედ იცინოდა ერთი გოგოთაგანი! ხოლო ის „ზონზროხა“ სად იყო და რას აკეთებდა, ანდრომ ვერ დაინახა. ცოტა გულს დააკლდა, ის დუნდრუცა რომ ვერ იხილა.

— ჰაა, უპატრონო!... — ანდრო ცხენს მიუბრუნდა გასარტყმელად და მაშინლა შეამჩნია: ზონზროხა თითქმის დედიშობილა იწვა პირაღმა, სათვალე ეკეთა, ხელები თავქვეშ ამოედო და ცალი ფეხი მოეხარა... ანდრომ ხელში აკრეფილი თოკი ცხენს თავში დაუშინა. ცხენი უკან-უკან წავიდა, რაღაცაზე შიიჩხრიკა და გავით წამოსკუპდა, მერე ერთბაშად წამოხტა და ისევ წაფორხილდა, თან განუწყვეტლივ თავს იქნევდა. მერე დაწყნარდა, დადგა და ამოიქშინა. საცოდავი ერთ წუთში გაოფლიანებულიყო და ანდრომ როგორღაც შეწყალებით ჩაილაპარაკა:

— საწყალი ბებერი, საწყალი პირუტყვი!..

გოგონებმა ისევ გადაიკისკისეს, ხოლო ის, მეორე, ლოდზე იყო დაზვავებული — მძიმედ, რბილად, გაუნძრევლად, მთლიანად გამოფენილი. პალოს რომ ასობდა, ანდრომ კვლავ თვალი ჰკიდა, ზონზროხა უკვე გვერდზე გადაბრუნებულიყო. სქელი, სქელი ფეხები ჰქონდა, ვიწრო ტრუსი ეცვა წითელი ფერისა, აზღუდიც ვიწრო ჰქონდა და წითელი. ანდროს გაეცინა:

— ვითომ მაგდენის ჩაცმა რაღა იყო?!

ზემოთ ამოსულმა ერთხელ კიდევ გადაიხედა, ხეობას თვალი გადაჰკრა და უცებ მამა გაახსენდა, ლოდის ძირას მიმჯდარი საქალამნე კოპს რომ ხევდა, ხოლო დედა მატყლსა რეცხავდა და თეთრი, გამხდარი ფეხები მოუჩანდა. თავისი თავიც გაახსენდა: იმავე ლოდზე იჯდა და მდინარის ჩხრიალთან ხმაშეწყობილად მღეროდა. და უცებ, თუმცა სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ მაინც წარმოიდგინა: მამამისი დანასა და ტყავს თავს ანებებს და ლოდზე იმ ვიწროტრუსიან ქალს უყურებს. ვააი!.. ერთ წამს ანდრომ კინალამ წაიფხუკუნა კიდეც, მაგრამ ხელადვე ნაღველი შემოაწვა საქალამნე ტყავთან მოჩალიჩე ძამილოს გამო, მისი თეთრი თმა-წვერის გამო, მამის მუნჯი საფლავისა და სასაფლაოს მდუმარე სიმწვანის გამო, იმის გამოც, რომ ის შავტუხა ქალიშვილები ისე თხელ-მორჩად ამოზრდოდნენ იმ გასიპულ ლოდს.

მამამ ცულის ტარი გაუთალა. თვითონ უტარო ცული ეჭირა, გომიდან გამოყრილი ნეხვის ძველ, შავ ბორცვზე იდგა და ფეხით გოგრას ეთამაშებოდა. ძაძა სკების შუა იჯდა, ფუტკრის ზუზუნს აყურადებდა, და უცებ ანდრომ თქვა:

— მამი, ჩემს ცულს ტარი არა აქვს, ე!..

— ჰაჯან?.. — თეთრი თმა-წვერიდან პირღიად გამოიხედა მოხუცებულმა.

იგი მძიმე-მძიმედ მიუახლოვდა, იდაყვები სკას ჩამოაყრდნო და მამას გაულიმა.

— ჩემს ცულს ტარი არა აქვს, უტაროდ რა ვქნა?

— ახლავე გავუგდებ, გენაცვალე.

ნელა-ნელა, გურგურითა და რუდუნებით, ნება-ნება თალა და თალა ტარი, მინითა და ტილოთი ხეხა, ხელისგული უსვა, მერე ისევ პირღიად შეხედა შვილს და დაიტრაბახა კიდეც: — გავაკეთე!

— ბებერი იფანი იყო, შენი ტოლი რომ ვიყავ, მაშინ მოვჭერი, — და შეხედა, ანდრანიკი რას იტყვისო, რადგან, უეჭველია, თავის ნათქვამში რაღაც აზრსა სდებდა. იქნება იყო კიდეც ამ სიტყვებში რაიმე აზრი, ან შეიძლებოდა სულაც არ ყოფილიყო: აიღე-დაიღე, იფნის ტარი იყო, ვითომ რა ქვეყანა დაიქცა, თუ დიდი ხნის წინათ იყო მოჭრილი.

— მინახავს კიდეც, საიდანაც ეს მოვჭერი, ის ხე აღარ არის... — და ისევ პირღიად მიაჩერდა შვილს.

მერე წამოდგა, საპირფარეშოსკენ წავიდა. ვიწრო ბილიკი დაკარგა, საბძელს წააწყდა და დაკუზულმა დაიწყო შარვლის ღილების ძებნა.

— ვახ, მამი, ვახ!.. — ამოიოხრა ანდრომ და წელში გასწორდა.

ამ საწყალმა მჭედელმა იცოდა: „ვახ, დედიჯან, ვახ!“ ცული რომ მიუტანა გამოსაპირავად, როგორც კი დახედა, მაშინვე მიხვდა, ტარი მამის გაგდებული იყო. — „ზრუნვა წინაპრების წესია, ანდრანიკ. ეგ იმიტომ, რომ ბევრი რამ დაგვიკარგავს. ეჰ, ხვალე-ხვალზეგ მეც აღარ ვიქნები. იცოდე, მეც მამაშენივით კარგი ვიყავი, ანდრანიკ. ეჰ! — დაუმატა ნაღვლიანი ღიმილით, — ჩვენი ძველების ადათი იყო ისიც, რომ კარგნი და მისაბაძნი ყოფილიყვნენ“. შენც ნათელი გედგეს, მჭედელო!

— ანდრანიკ!..

— ჰეი!

— რატომ არ მუშაობ?

— შენ რა, ჩემი თავმჯდომარე ხარ, დედი?

— ჰაჯან?

— ვმუშაობ, ვმუშაობ.

— ჰო, გენაცვალე!

მზესუმზირები თავებს მდუმარედ მიაყოლებდნენ მზეს, პამიდვრის კვალში მიწა წყალს იწოვდა, მსხლის ხეს მსხალი ჩამოეწვეთა, თაფლის ქურდი კელას ბოხმა ზუზუნმა გახაზა სკების შეწყობილი ზუნი, ბილიკის მოსახვევში დირექტორის ცოლი მარგო გამოვიდა და წყნარად გაშრიალდა წყაროსაკენ, ხელში ვედროები ეჭირა. სქელი ხალათის კალთები მუხლს ხან უფარავდა, ხან უშიშვლებდა, კიდევ და კიდევ — ხან უფარავდა, ხან უშიშვლებდა. ხალათი შეიკეცა, დაიხარა და წყალი ამოიღო წყაროდან. დოინჯი შემოიყარა, ამოიქშინა, ხალათის ზემოდან მოისინჯა, დაჭიმა და ისევ გაუშვა ქვეშითა რეზინი. ცოტა ხანი იდგა ასე, მერე კვლავ გაგანივრდა, მოიხარა, ისევ გასწორდა და როცა ვედროებით ხელში შემობრუნდა, ცაცხვის ქვეშ ანდროსაც მოჰკრა თვალი.

— გამარჯობათ, პატივცემულო მარგო.

— გამარჯობა, ანდრო.

— როგორ ბრძანდებით, პატივცემულო მარგო.

— გმადლობთ, ანდრო.

— პატივცემული რუბენი ხომ კარგად არის?

— პატივცემული რუბენი, რა უშავს, კარგად არის, — უპასუხა დირექტორის ცოლმა, თან სარჭი კბილით ეჭირა და თმას კისერთან იბღუჯავებდა.

— აბა... — ცოტა **დაფიქრდა** და ისე უთხრა ანდრომ, — მაშ, რატომ გამოდიხართ წყალზე?

— რატომ, ვითომ რა მოხდება?

— ცხელა, რა ვიცი. გულიც ვერა აქვს კარგადო, ამბობენ.

— ძერაძერაძერა, ჰუი!

— კაცო, — გაიცინა ანდრომ, — ეს დედაკაცი ქარხანაა-რაღა, კიროვაკანის ქიმიური ქარხანა. პატივცემულო მარგო, ამ ქარხანაზე მომაგონდა: იმ ძალლის ლეკვებს რას უშვრებით?

დირექტორის ცოლი ვერ მიუხვდა.

— საქოს ბიჭსა და თქვენი მარტიროსის ბიჭს.

— რისთვის?

— არ იცით? — გაიცინა ანდრომ, — იმ გაფუჭებულებს... მართლა არ გაგიგიათ, პატივცემულო მარგო?

ქალმა ხალათის ღილი შეიბნია, როგორღაც ყეყეჩური თუ ვერმიმხვდომი გამომეტყველებით შეხედა ანდროს და ანდრომ შეამჩნია, რომ ქალს პირში საღეჭი რეზინი ედო, ღეჭავდა. წყნარად, უხმაუროდ, ბაგეგაპობილად ღეჭავდა და თაფლისფერი თვალებით შემოსცქეროდა ანდროს.

— მთის გზაზე, იმ მიწაში ჩასაყრელ წვინტლიანებს, — მოღუშული უყვებოდა ანდრო, — მჭედლის შვილიშვილი დაუჭერიათ და ურიგო საქმის ჩადენა ძოუწადინებიათ. ჯერ თურმე უნდოდათ ვაშლით მიეტყუებინათ, ვაშლს დაჰპირებიან, მერე კი ძალით ტანსაცმელი შემოუხევიათ იმ გაფუჭებულებს.

— უყურე შენ მაგათ! — თქვა დირექტორის ცოლმა.

— რომელ კლასში არიან? — შეეკითხა ანდრო.

ქალმა ვედროები აიღო და წავიდა, — მერვეში.

— ახლა მაგათ რას უპირებთ, პატივცემულო მარგო?

— ანდრანიკ!

— რა ვიცი, — თქვა ქალმა, — ჯერ რუბენს არ გაუგია.

— ანდრანიკ!

— რა გინდა, დედი?

— ვის ელაპარაკები?

— ჩვენს მარგოს.

— ჰაჯან?

— ეე! — გაბრაზდა ანდრო, — ნეტა რაში გჭირდება? რუბენას მარგოს.

— ჰო, გენაცვალე.

— აბა, შენ იცი, ოქმში შეიტანე! — ჩაიბურტყუნა ანდრომ.

სქელი ხალათი ღელავდა მუხლების სახრელთან და მუხლებზემოთ სხეულიც ღელავდა. მათი სახლი გრილია, მწვანე და მძიმე ფარდებით ჩამობნელებული, იატაკზე ხალიჩები და დათვის ტყავები უგიათ, მაცივარიც უდგათ და აგვისტოს მელა რუბენი დივანზე გადაზღლართული გაზეთებს კითხულობს.

— შენ სადაური მასწავლებელი ხარ, — თქვა ანდრომ და გადაწვა იქვე, სადაც იჯდა, — აბა, თქვენ რა მასწავლებლები ხართ, — თქვა ისევ, წამოჯდა და ძერე წამოდგა კიდეც, — აგიღიათ დიპლომი და დასცემიხართ სოფელს. — მწარედ ჩაფიქრებულმა ჭალს დაუწყო თლა, — ძროხასა ჰყოლიოლობთ, ცხვარიცა გყავთ, ჯამაგირსაც იღებთ. დათვსა ჰკლავთ და ჯარიმას არ იხდით. ევპატორიაში დადიხართ. „გულის სისუსტე მჭირს ეს ოხერი, დაწეული მაქვს“. მოდი, მე აგიწიო მაღლა და ისე აგიწიო, სულაც ძვრა ველარა ქნას!

— ანდრანიკ!..

ანდრო სკას სახურავსა ხდიდა. ჩარჩოებს ტილო რბილად, მაგრამ მჭიდროდ მიკრობოდა და აძრობისას თაფლი ფუტკრიანად ეგლიჯებოდა. ერთი ფუტკარი ხელის გულზე ააცოცდა, იღლიამდის ავიდა და იქ დაიწყო ტრიალი. ანდრომ სახრჩოლებელი გაუქნია, იღლიიდან გამოვარდა და ახლა შუბლზე ეცა.

— მაგ ბებერმა ჭკუა ხომ არ დაკარგა ნეტავი?

ზემოთა მცირე ტყიდან ბალახაკიდებული ვირი გამოვიდა და ბილიკს ქანაობით ჩამოუყვა.

ჩარჩოები მძიმე ჩანდა, სავსე უჯრედებში ცხელი თაფლი ბრწყინავდა, მაგრამ ჯერ დაბეჭდილი არ იყო. ორ დღეში მაგასაც მოამთავრებენ და მერე უკვე თაფლის გამოღებაც შეიძლება. ერთი-ორი ქვემოთა ჩარჩოც უნდა გამოიღოს და მათ ნაცვლად ცარიელები ჩადოს, მალე გაავსებენ. თუ ამინდები არ დაუდგა, ქვემოთა ჩარჩოებს უკანვე ჩაუდგამს. საძილე ძაღვი მწარედ აეწვა, ერთი ფუტკარი კიდევ თმაში გაებლანდა, მერე ყურქვეშ გაუბზუილა და დაიკარგა.

— ანდრანიკ!..

— რა გინდა, დედაკაცო! — **გაჯავრდა ანდრო.** საძილე ძაღვზე ცეცხლი ეკიდებოდა, კისერმაც ტკივილი დაუწყო.

ბალახის ბულულმა ვირთან ერთად ბილიკიდან გადმოუხვია, ანდროანთკენ ჩამომავალი ბილიკით წამოვიდა. ვირის პატრონი კი ჯერ არ ჩანდა, ან ვინმე მოხუცი უნდა ყოფილიყო ანდა ბავშვი. „სტეფანე კარგად ინახავს თავს, ათი წელია — ავადა ვარ, ავადა ვარო, და იმის ძროხას თივა ყოველთვის თავზე საყრელი აქვს“. ანდრომ ჩარჩო უკანვე ჩადგა. გვერდითი, დაზიანებული ჩარჩო, სკამზე მიაყუდა, მერე მისთვის შუაში გამოძებნა ადგილი, იქ ჩააყენა და როცა ტილოს აფენდა, ხელის გულზე ფუტკარმა უკბინა. ანდრომ გაიღიმა. ამ სკიდან ათი-თხუთმეტი კილო მაინც გამოიწურება, იქნებ ერთი ფუთიც. წლეულს კარგი წელიწადი გამოვიდა. სკას სახურავი დაახურა და ხელის გულიდან ნესტრის გამოღებას შეუდგა, მაგრამ ვერა და ვერ მოჰკიდა თითის წვერები. „კაცი ნამდვილად ავად არის და უეჭველად უნდა მოკვდეს, რომ მაშინ დავიჯეროთ? ერთი ძროხის სამყოფი თივა რა არის, კაცმა ერთი კარგად გამოიძინოს და მიადგეს — ერთ დღეში გათიბავს“. ბალახის ბულულმა ლობეს ჩაუარა, გომის უკან, მსხალთან, ანდროს სახლისკენ შემოუხვია და აქ ანდრომ დაინახა, რომ ეს ვირი არ იყო.

— ანდრანიკ!..

— ჰეი!

— ეგ ვის მოაქვს ბალახი?

— მარიამს.

— უთხარ, თავს რაზე იკლავ, რატომ ცოტას არ აიკიდებ-თქო!

— ეგე, ხომ ეუბნები უკვე.

მარიამმაც მოალწია, აკიდებული ხეს წააწყდა და დაბარბაცდა. მერე ბოძს მიეყრდნო დასასვენებლად და ეგეც არ გამოუვიდა, კარგად ვერ მიუდგა ხოლა. ძაშინ ისევე აკიდებული ჩაჯდა მიწაზე და ჩამქრალი ღიმილი მოსწყდა მის ტუჩებს.

— ვაჰ, როდის ჩამობრძანდი, ქალაქელო ქალბატონო?

— რომ დამინახე მოვდიოდი, თაფლს იმიტომ იღებ?

— დაგინახე, თორემ მეც ახლა მინისტრი დამინახავს! — უთხრა ანდრომ. — კეთილი იყოს შენი მობრძანება! „ძმაო ანდრანიკ, შეშა გამითავდა, შენი ჭირიმე“. მოსალოცი საქმე მაქვს!..

მან მხრებზე თოკები გაისწორა და თქვა:

— მინისტრზე ნაკლები რითა ვარ?

— პირიქით, — გაიცინა ანდრომ, — ემაგ ტვირთით მეტიცა ხარ!

— აგრემც დაიწვას ესა, სულ ჩამომაწყვიტა მხრები!

— ცოტა მოშვებულად ვერ შეჰკარი?

— მთიბავებმა შეკრეს.

— გოგო, მთიდან მოგაქვს? — გაუკვირდა ანდროს.

— მაშ, ახლა სოფელში ბალახს რა უნდა?

— ყოჩაღ შენ! როდის ჩამოხვედი?

— გუშინ.

— ყველი იყიდებოდა?

— ყრია, რამდენიც გინდა.

— რამდენი დღე იყავი?

— ოთხი.

— გეტყობა.

— გავლამაზდი?

— ძალიან!

— შენი ცოლივით მაინც ვერა, არა?

— ის შენთან სად მოვა! შენ თვალი უფრო გიჭრის, ერთი ეს ნესტარი ამომაცალე.

— ეს ბუღასავით გაგასივებს.

— გააჩნია, ხან მისივდება, ხან — არა.

— დაიღუნე, დაიღუნე ცოტა, ღრმად არის, არა ჩანს.

— სიძისა კმაყოფილი ხარ?

— ერთი უბრალო მუშა ბიჭია, რაღა!

— უმცროსს როდის ათხოვებ?

ნესტარი არ გამოდიოდა. თითები გაუხეშებული ჰქონდა და თოკებიც უშლიდნენ. მძიმე და ძვალმსხვილი ანდრო ჩოქზე დაცემულიყო და ვეება თავი მიეშვირა მისთვის; ქვა იყო თუ ფიცრის ნაჭერი, მუხლქვეშ რაღაც ედებოდა მაგრად.

— შე ოჯახაშენებულო, — იწყინა მარიამმა, — ეს დარდუბალა ყულფები მაინც მომაშორე კისრიდან.

— თუ მაგდენი გესმის, შენ მოიხსენ, რაღა!

მარიამი ყულფებიდან ამოძვრა, გაიმართა. ხმელი და კერკეტი კაბაგადაცმულ ჭიგოსა ჰგავდა.

— მეცხრე წლეულს დაამთავრა, მთხოვნელი ჰყავს და ვაძლევ, ანდრო.

— შენლა რჩები მარტო, რაღა.

— ეე, მისდღეში მარტო არა ვარ?!

— გოგო, — გაიცინა ანდრომ, — მოდი, შენც გათხოვდი და მორჩი საქმეს.

— დამცინე, შენ დამცინე!..

ანდრომ უკანასკნელი ჭალიც გაუკეთა და ახლა, როცა ურემი ურემსა

ჰგავდა, ნახა, რომ მეურმეების ლანძღვას მაინც ვერ ასცდებოდა. ღერძსუკანა ნაწილი ძალიან განიერი იყო, როგორც არ უნდა დაედოთ, თავმსუბუქი მოვიდოდა და ხარებს ყელში წაუჭერდა.

— კარგი, წადი, სანამ გახურებული ხარ, — უთხრა ანდრომ.

— ძაან ურემი გაგიკეთებია!

— ტვინი ნუ წაიღე, — წაუბუხუნა ანდრომ, — აიკიდე და მოუსვი ახლა!

მაგრამ ანდრომ რომ გომიდან ჯაჭვი გამოიტანა, ის ისევ იქ იდგა. სველი კაბა წელზე შემოტმასნოდა, თეძო-გვერდი არ ეტყობოდა, კაცის ფეხსაცმელი ეცვა დიდი ზომისა, ძუძუები — ჩამჭკნარი, ჩაამჭკნარი და ლიფიც არ უჩანდა ‘ბიგნით. ანდრო, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა ხოლმე საწყალს: ვასილის სიკვდილი დაუმალა, დასჭირვებია და — ცხენი უთხოვებია, თუ მოუცლია, ბალახიც გაუთიბავს, უთხოვნელად შეშაც მიუზიდავს სახლში, მაგრამ მარიამი რაც იყო, ისევ ისეთი დარჩა.

მარიამმა წყალი დალია და დანარჩენი ანდროს მიასხა სახეზე. — დამცინე, დამცინე... — თან მწიკვით ბეჭებზე მიკრულ კაბას იშორებდა. მერე კაბა გადაიწია და ძხარი გაისუფთავა. — დავითენთე, მაგისი აკიდების ხალისი აღარა მაქვს, — მივიდა და იქვე ურემზე ჩამოჯდა.

— გამიტეხავ, ადექი, გოგო... — ანდრომ ხელისგულები შემოჰკრა ერთმანეთს, — რომ იცოდე, დღეს რა ვნახე, რა ვნახე! დაბლა, ხევში თეთრი კამეჩი ვნახე. დაიცა... თუ მაინცდამაინც გინდა მომეხმარო, ძალაყინი მომაწოდე. ბრმა ხომ არა ხარ, ეგე, ფეხებში გიგდია! — ძალაყინი ჯაჭვში გაუყარა, რამდენიმეჯერ ხრჭიალ-ჭრიალით დაატრიალა და წვერი მიწაზე მიაბჯენინა. — ახლა თოკი ძომიტანე, თავლაშია. მსხვილი, ბენტერ! ყოჩაღ! კამეჩი და რა კამეჩი — ერთი ძარიფათიანი თერძი იმისგან სამ მარიამს გამოსჭრიდა და დანარჩენისაგან კიდევ ერთ აშხენსაც გამოიყვანდა.

— კარგად მაინც შეათვალიერე?

— გოგო...

— გოგო-ბროგო აგიტყდეთ თქვენა, ცოლები მივიწყებული გყავთ და კამეჩებს დასდევთ! — წამოპილპილდა მარიამი.

ანდრო დაიბნა, როგორღაც სინანული შეეპარა. აი, მარიამი, — გოგო გაათხოვა, თითქოს შვილიშვილის პატრონიც არის, მაგრამ ჯერ ორმოცი წლისა კია.

— მარიამ!

— რაო?

— რამდენი წლისა ხარ, მარიამ?

— თექვსმეტისა, — მიუგო მარიამმა, — ჯერ ჯეილი გოგო ვარ.

— ორმოცისა ხარ?

— ოცდათექვსმეტისა. ოცდათექვსმეტი წლისა ვარ, ანდრო.

— არა, შენმა მზემ, თოთხმეტისა!

— ვირისთავო, — ნაღვლიანად თქვა მარიამმა, — ეხ, შე ვირისთავო, შენა!

— ეგ ძველია, შენ ახალი თქვი! — გაიცინა ანდრომ.

— ოცისა ვიყავი, რომ წავიდა, შე მართლა ვირის გოგრავ!

— მარიამ.

— რას მიბრძანებ.

— რამდენი წელია უქმროდა ხარ?

მარიამმა ჯერ მსხალს, მერე სკებს მოატარა თვალი, მერე ანდროს შეხედა.

— იცინი, არა?

ანდრო ფეხით ცულს ეთამაშებოდა.

— მარიამ... მარიამ, უკაცოდ ძალიან ძნელია, არა? ძნელია? შეშა-ბალახზე არ გეკითხები, ისე, უვაჟკაცოდ ძალიან ძნელია?

მარიამს გამშრალი ტუჩები ოდნავ გაელო და პირდაპირ შესცქეროდა.

— მარიამ... მარიამ, მაგ ხნის განმავლობაში, არ კი გეწყინოს, კაცთან თუ ყოფილხარ?

გამხმარი და გახუხული მარიამი მდუმარედ მისჩერებოდა მსხალს.

— მარიამ... — უთხრა ანდრომ, — მარიამ, ძროხა რა ჯანდაბად გინდა, რატომ ინახავ, მარიამ? გაყიდე და გათხოვდი. სიძე-ქალთან წადი, მათთან იცხოვრე, თავს რატომ იტანჯავ, მარიამ? ადამიანს ერთი სიცოცხლე ეძლევა, სულელო. აბა, რა შენი საქმეა ძროხის ყოლა, მარიამ. მარიამ, — თავი ჩაღუნა ანდრომ, — ბალახი ზურგით აღარ მიიტანო, თავს ნუ იკლავ, მარიამ..

და რადგანაც იგი ხმელი როკივით მსუბუქი იყო, რაკი ტახტის ფიცრები მისი სიმძიმისგან ერთი ბეწოთიც კი არ გაღუნულან, ანდროს მოაგონდა მარიამის ტვირთი და ის უხეში თოკები; და რაკი უკანდახევა აღარ შეიძლებოდა, ანდრომ ისიც გაიფიქრა, სიცოცხლე ძალიან მოკლეაო; და კიდევ იმიტომ, რომ ქალს ჩამომხმარი მკერდი ჰქონდა, ანდრომ შეაგინა ხევში წამოგდებულ ზონზროხას. იმიტომაც კიდევ, რომ თოკებისაგან ქალს მხრები ჰქონდა ჩაჭრილ-ჩაშავებული, ანდროს კევის მღეჭელი ქალბატონი მარგო გაახსენდა. და იმის გამოც, რომ იგი მოკლული ფრინველივით მოშვებული იყო და თვალთაგან ცრემლი ჩამოსდიოდა, ანდროს შეეცოდა საწყალი. ანდრომ შეიბრალა და შეიყვარა იგი, რადგან უქმაგო იყო, კანკალებდა, მხურვალებისაგან იდაგებოდა და იბუგებოდა, თონესავით პრიალებდა უბედური.

თეთრ ფანჯარას აწყდებოდა და გარეთ გასვლას ცდილობდა ფუტკარი. კედლიდან იყურებოდნენ ჰალსტუხიანი ანდრო, ტუჩებშეღებილი აშხენი და ხალიჩის ირემი. მერე ოთახის ბინდში გაკრთა დასადგმელი საათის ყვითელი ფეხი; კარქვეშა საკიდზე აშხენის უჯრედებიანი შალი ეკიდა; შორს სადღაც დაიყივლა მამალმა და აქვე, ფანჯრის დაბლიდან მეორე მამალმა გასცა პასუხი: ყი-ყლი-ყო!

— ძერაძერაძერა, ჰუი!..

— აშხენი მომკლავს.

თოკის ჩანაჭერები უჩანდა; შავი, შავი კისერი ჰქონდა, თეთრი სხეული და თეთრზე — უხეში ტვირთის ნალურჯალები.

— გოგო, ცოტა რბილი ბალახი არ იყო? — გაუჯავრდა ანდრო.

— გოგო, — გაუწყრა ანდრო, — ამ გაგანია ზაფხულში ასეთ სქელ რაღაცეებს ვინ იცვამს.

— ვიწროა, თხელი, წითელი, — დაფიქრდა ანდრო, — კიროვაკანში რომ წავალ, გიყიდი.

— მართალი მითხარ, — გაიცინა ანდრომ, — მე ვჯობდი თუ სააკი?

— გოგო, შე კახპავ, შენა, — გაბრაზდა ანდრო, — სააკი ვინ ოხერი იყო, რომ უარს არ ეუბნებოდი?

— მეორედ, — ბრძანა ანდრომ, — ყური აღარ მოვკრა! სანამ მე ვარ!

— გვიან გავიგე, — შეწუხდა ანდრო, — აფსუს, რომ გვიან გავიგე. შენა

ხარ დამნაშავე, — გაიღიმა ანდრომ, — მოსულიყავი და გეთქვა. ბალახზე ხომ გითქვამს? ცხენზეც გითქვამს; მოსულიყავი და გეთქვა, რაღა! რუსეთში ეგრე არ არის?

— დამცინი, — სევდიანად გაიღიმა მარიამმა, — ყველანი ერთმანეთსა ჰგავხართ. იმდენი შემაღონა და ყელში ამომიყვანა, მეც სირცხვილ-ნამუსს ხელი ავუქნიე. მერე დამდგარიყო და სახალხოდ ეყბედნა; იმისი ის ჯორი კიდევ მომივარდა, თმებში მეცა და მუშტი დამაყარა. ჩემი მოწიფული ქალიშვილებისა მაინც შერცხვენოდათ. ფუი, აგრემც მიწა დავაყარე ვასილის იმ მიწადაყრილ თავს, რომ მე ამ ცეცხლში ჩამაგდო და თვითონ არის არხეინად, სადაც არის.

— გეყოფა, — უთხრა ანდრომ, — მორჩი ახლა!

ანდრო სახლიდან გამოვიდა. მსხლის ქვეშ მელა გიქორი იჯდა და თავს ისე იჭერდა, ვითომც აქამდის ჯერ არ შეემჩნია ანდრო. „ძაღლი უნდა ვიყოლიო“, გაიფიქრა ანდრომ და მაშინვე მოაგონდა, რომ ძაღლი კი ჰყავს, მაგრამ მთაშია.

— გეძინა, ანდრე?

— ჰო, — უთხრა ანდრომ, — მეძინა. ეს ჩვენი მარიამი მოვიდა და გამაღვიძა, — და ანდრომ დაამთქნარა. მერე შეეკითხა: — რამე გინდა?

— მსხალი უკვე შემოგსვლია.

— ჰო, — უთხრა ანდრომ, — მოწყვიტე, გემო გაუსინჯე.

— კბილიღა შემრჩა რომ?! შენი კარგად მუშაობს, ანდრე, — ფუტკარი უქო გიქორმა, — ჩემი ფუტკრის ნახევარი მთაში არ დადგა. ერთი კარგი ოჯახი იყო, შარშან — არაფერი და, წლეულს ორჯერ იყარა. გაგიჟდა ერთი სიტყვით. არაყს გამოხდი ალბათ, ანდრე?

— ვნახოთ.

— ეს ამოდენა ხილი ტყუილად არ გააფუჭო, გამოხადე, აფსუსია. ანდრე! — ჯიქურ შეხედა გიქორმა, — შენთან სათხოვარი მაქვს. არ იტყვი, რა მინდა?

— „ჩემმა ფუტკარმა იყარა, სკა არ ამაქვს... ან გაკეთებული გექნება. ან დღეს-ხვალ ერთი გამიკეთე; შელონებული ვარ მაგათ ხელში.“ — რატომ, — ანაზდად შეეკითხა ანდრო, — განა რამდენი წლისა ხარ, რომ კბილები აღარა გაქვს?

— სამოცდაშვიდისა.

— ვაჰ! — გაიცინა ანდრომ და იწყინა კიდეც, — მე რა, საპენსიო კომისია ვარ, რომ მატყუებ?

სახლიდან ჩუმად გამოვიდა მარიამი და ხელებგადაჭდობილი ჩუმადვე დადგა სვეტთან.

რა ორივენი ერთად იხილა ერთ აივანზე და ანდროს შავი თმა-წვერიც მოხვდა თვალში, გიქორმა დაასკვნა, ამათ დიდი ხნიდანვე ექნებოდათ ერთმანეთთან საქმეო. „მარტოხელა ქალია, უჭირს უმისოდ გაძლება“. ისიც გაიფიქრა, ალბათ შარშანწინდელ ზამთარს ის შეშა ანდრომ მიუტანაო. ხმელი, კარგი შეშა იყო, მთის გზაზე რომ ძირგამხმარი ხეები იდგა, იმისი. თვითონ გიქორს უნდოდა მოსაჭრელად, მაგრამ მანამდე მომჭრელს უკვე მოეჭრა.

— ოთხმოცდაათ წელში ვარ დაბადებული, ათი — იქიდან, ორმოცდაჩვიდ-

ძეტი — აქედან, ესეც შენი სამოცდაშვიდი. შენი ბალღობა დღევანდელივით მახსოვს.

— გეხუმრები, გეხუმრები, — გაიცინა ანდრომ, — არ გეწყინოს!

— გინდაც არ მეხუმრებოდე, შენგან რატომ უნდა მეწყინოს.

მარიამმა უჩუმრად ჩაუარა ანდროს, გიქორს, ერთი წამით შედგა თავისი გუდურის გვერდით, მერე მხრები გაუყარა და უცებ ჩაჯდა, ჩაიჩოქა. გვერდით რომ ჩაუარა, ანდრომ კვლავ შეამჩნია, რომ ქალს ერთი ბეწო თეძო-ბარკალი არ ეტყობოდა. ახლა იგი თავის ტვირთქვეშ იყო მიყუჩებული და ძალას იკრებდა წამოსადგომად.

— დაიცა, მოვალ, მოგეხმარები, გოგო, — თქვა გიქორმა და ნაბიჯი მოინაცვლა.

ის არ პასუხობდა; მერე ცალი ხელი და მუხლი მოსწყვიტა მიწას, დაიძაბა, თვალები გადმოყარა და ნელ-ნელა წამოდგა. ჯერ კიდევ მეორე ხელი არ მოეწყვიტა მიწისთვის, რომ ანდროს თვალში ეცა მისი შავი პირისახე და დაბერილი კისერი.

— ჰუუ, ჯერ მაგარი ხარ! — წამოდგა თუ არა იგი, უთხრა ანდრომ.

წამოდგა, შეიბერტყა, შებარბაცდა, ტვირთი გაისწორა ზურგზე და სანამ ᲐᲔᲛᲝᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ანდრომ კვლავ დაინახა მისი ჩამქრალი ღიმილი. მისი სიტყვა კი უკვე ბილიკიდან მოესმა, მსხლის ხეს რომ ჩაუდიოდა.

— მაგარი ვარ, მაშა!

უზარმაზარი გუდურა მსხლის ტოტებს წამოედო. იგი გადაიხარა, ცოტას გაწყდა არ წაიქცა. მერე უკან-უკან დაიწია და ისევ წინ გაიჭრა. ტოტები აეშვნენ და მწიფე მსხალი ჩამოცვივდა.

— შეიძლება მსხალი ავიღო? — და უკვე იხრებოდა თუ ცუცქდებოდა ტვირთიანად.

— ეი, ბეტლუმო! — დაუყვირა ანდრომ, — აგერ, პირში გივარდება, მაღლა მოკრიფე, რაღა!

მან როგორღაც დაცვენილებიც მოკრიფა, ტოტიდანაც ჩამოწყვიტა რამდენიმე. ეგ კი არა, გაიცინა კიდეც.

— ძალიან კარგი ქალია, — თქვა მელა გიქორმა, — ჯეილი, მაგარი დედაკაცია.

გიქორს ცხენი უნდოდა. ყაზახში რამდენიმე ფუთი, ბევრი კი არა, ერთი ხუთი ფუთი ხორბალი აქვს წასაღები. ცხენი თვითონაც ჰყავს, მაგრამ დიდი არსაითი რამეა. გზები არ ვარგა, არადა ღამით უნდა იაროს. ღონით, ვერაფერს იტყვი, ღონიერია, მაგრამ ბენტერაა და ფრთხენელა. იმდღესაც დედაბერი გადმოუგდო. იმ გზებზე ხომ არ ივლება, — იქნებ გიქორიც სადმე გადაჩეხოს და დაამტვრიოს. ტვირთი კი სალაპარაკოდაც არა ღირს, ხუთი ფუთია, რაღა, აიღე-დაიღე — ექვსი ფუთი. ცხენს რომ არ დაუცხეს, ღამით ივლის, იქ, მთელ დღეს, ლამაზად, ქერზე ეყოლება და ისევ ღამიანად მოვა, რომ ცხენი არ დაისიცხოს.

აშხენი ყველაზე ადრე მორჩა წველას, რძეც ჩააბარა. ყველაზე მეტი რძე მან ჩააბარა. ძროხები დაასუფთავა, დააბზინა, მიესიყვარულა და მიეგურგურა. სახბორე გამოხვეტა, გამოგავა, გააკრიალა. ყველაზე სუფთა სახბორე მისი გამოვიდა. ხბორები — დამრგვალებული, ცელქი ხბორები — მეხბორეს ჩააბარა

და თავისი კარავიც მიალაგ-მოალაგა, მოასუფთავა და მოალამაზა. პირი ჯერ მაგარი საპნით დაიბანა, მერე — სურნელოვანით, დაივარცხნა და თავსაფარი მოიხვია (სხვები — თუ ივარცხნიან, თავსაფარს აღარ იხვევენ, თუ თავსაფარს იხვევენ — აღარ ივარცხნიან, ის კი სხვებს არა ჰგავს და შიგნი-გარეთ სუფთაა), თითზე ოქროს ბეჭედი გაიკეთა (ქალს ხომ უნდა ეტყობოდეს ოჯახის პატრონია თუ არა), მაჯაზე ოქროს საათი შეიბა და ასეთი პეწენიკა, ასეთი მოწინავე, ასეთი პატიოსანი, ასეთი პირმართალი, ასეთი ლამაზი მიადგა ფერმის გამგე ლევონს.

და ასე მორჩილმა, მოკრძალებულმა, ასე ნაზმა, ასეთმა სომეხმა და ასეთმა სოფლელმა ქალმა პირველმა კი არ დაილაპარაკა, არამედ, ვითარც უფროსის პატივისმცემელს შეშვენის, მოიცადა, რომ ჯერ ძია ლევონი შეჰკითხოდა:

— რაო, აშხენ?

— ძია ლევონ... — და ასე კდემამოსილმა, ქალაქელ კახპათა და სოფლელ ჭორიკანათაგან ასე ცა-დედამიწასავით დაშორებულმა, მეტისმეტი სიმორცხვით სათქმელს თავი ვეღარ მოაბა, რადგან ძია ლევონი თვითონვე უნდა მიხვედრილიყო, თუ რა უნდოდა მოწინავე მწველავ აშხენს.

— სადმე მიხვალ, აშხენ?

აშხენმა თავი დაუქნია.

— თუ საღამოს წველას მოუსწრებ, რაღას მეკითხები, შენი დასვენების საათია და სადაც გინდა, წადი.

აშხენი ასეთია, თუ ნებართვა არ ითხოვა, ერთ ფეხს მეორის წინ არ დასდგამს. აშხენი გამგებია: იცის, რომ ქვემოთ, ბარში მომუშავე მთიბავს მაწონი უნდა. გამეტებულიც არის აშხენი — სულაც საკუთარი ძროხების მაწონს წაუღებს. მათი საზრუნავი აშხენის საზრუნავია, — სხვას კი არ გაატანს, თავისი ხელით ჩაუტანს, ხელს ჩამოიწყვეტს ტარებით; აშხენი გულისხმიერია: საჭმელად რომ მიაწვდის, თვითონ კდემითა და კრძალვით, მორჩილად თავჩაღუნული დაელოდება და ბალახის ღეროთი იჩხირკედელავებს მიწაში. მარიამთან ერთად წავა წყაროზე, ძველი ამხანაგები არიან, ქალიშვილობის დროინდელი, ერთმანეთს უთქმელად უგებენ და ესმით, რომ მთიბელებს წყალი ქალებმა უნდა მიუტანონ.

აშხენმა ვედრო კარგად გამორეცხა, ლერწმის მილს მიუდგა და ძირი გაუმაგრა, რომ ავსებისას არ გადაქცეულიყო. მარიამი ცალკე გაიყვანა, რომ ვედროში მიწა ან ბალახის ღეროები არ ჩაცვივნილიყო. მარიამს თავსაფარი მოხადა, რომ არ დახეოდა. მერე ერთბაშად წასწვდა თმაში, კარგად დაიბღუჯავა, რომ ბღუჯაში ცოტა არ მოჰყოლოდა და არ დაჰგლეჯოდა. მოიწოდა ეს შენი მარიამი და, აბა დაჰკა — მხრებში, მკერდში, მუცელში, წელში თუ გვერდებზე, რომ ეტკინოს კიდეც და არც დაულურჯდეს. მერე აშხენმა წყალი დაალევინა მარიამს, დასავარცხნად თავისი სავარცხელი მისცა, თავსაფარიც მოახვია და ვედროებიც თვითონ წამოიღო, რადგან მარიამი ძლივსღა იდგა ფეხზე.

□